შენი ფინანსური რევოლუცია

ერთგულების ძალა

გარი ჭისი

შენი ფინანსური რევოლუცია

ერთგულების ძალა

გარი ქისი

Your Financial Revolution, *The Power of Allegiance,* Georgia
Copyright © 2020 by Gary Keesee
Originally published in English
Copyright © 2015 by Gary Keesee
ISBN : 978-0-9729035-9-2
Gary Keesee Ministries,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
This book is a FREE GIFT from Gary Keesee Ministries and is
NOT FOR SALE

შენი ფინანსური რევოლუცია, *ერთგულების ძალა,* ქართულად
Copyright © 2020 by Gary Keesee
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე
Copyright © 2015 by Gary Keesee
ISBN : 978-0-9729035-9-2
gari qisis msaxureba,
P.O. Box 779, New Albany,
OH 43054, USA
GaryKeesee.com
ეს წიგნი გარი ქისის მსახურების საჩუქარია და არ იყიდება.

ამ წიგნში გარი ქისი გადმოქვცემს, თუ როგორ რადიკალურად შეიცვალა მისი ცხოვრება მას შემდეგ, რაც დიდი დრო გაატარა ფინანსურად გაუმართავ სიტუაციაში. წიგნში ავტორი გულწრფელად წარმოგვიდგენს თავის საშინელ მდგომარეობას, შემდეგ კი საოცარი ბიბლიური პრინციპებისაკენ მიგვიძღვის. სწორედ ამ პრინციპებმა მიიყვანა იგი წარმატებულ და კურთხეულ ცხოვრებამდე.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....4

შესავალი.....5

თავი 1: სამეფო.....16

თავი 2: ლურჯი დანისლვა.....53

თავი 3: გთხოვ, უფალო, შეგვიწყალე!.....60

თავი 4: უზარმაზარი თევზი.....88

თავი 5: ვისი არჩევანი იყო ეს?.....97

თავი 6: უფლის კურთხევა.....131

თავი 7: კარი.....149

თავი 8: ერთგულების ძალა.....157

თავი 9: შენ კვებავ მათ!.....165

თავი 10: შეაგროვე, არ გაიქაფო!.....177

თავი 11: ფრენა სიარულზე უფრო ადვილია!.....183

წინასიტყვაობა

მინდოდა დამეწერა იმ მოგზაურობის შესახებ, რაშიც ღმერთი მე და დრენდას უკვე რამდენიმე წელია გვატარებს. ჩვენი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. წლების განმავლობაში, ჩვენს თვალწინ ვხედავდით იმ სასწაულებს, რასაც იესო ბიბლიაში ახდენდა: მკვდარი ცოცხლდებოდა, პარალიზებული დგებოდა, დადიოდა და მეორე დღეს სამსახურს უბრუნდებოდა, უამრავი ადამიანი ინკურნებოდა, ამ პერიოდში აღდგა ადამიანების ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ უდიდესი სასწაულები, რაც კი ვიხილეთ, ჩვენს ოჯახსა და ჩვენს პირად ცხოვრებაში მოხდა.

ჩემი მიზანია, აღმოჩენებში გამოგზაუროთ და ვიმედოვნებ, ეს თქვენს ცხოვრებასაც ისევე შეცვლის, როგორც ჩემი შეცვალა. ამ ამბავს მხოლოდ ერთ წიგნში ვერ გადმოვცემთ. ამიტომ, ეს იქნება პირველი წიგნი იმ სერიიდან, რომელიც თქვენი საკუთარი ფინანსური რევოლუციისკენ წარგიძღვებათ და გამოგივლენთ ღვთის სამეფოს საიდუმლოებებს, რამაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. ჩემთვის ეს ამაღელვებელი მოგზაურობაა, ისეთი, რომელიც არასდროს დასრულდება. ჩვენ გავაგრძელებთ სწავლას! ღვთის სამეფოს ცოდნა ამოუწურავია.

ძალიან მადლიერი ვარ ღვთის. მისი წყალობა ყოველდღე ახლდება, იგი მომთმენი და მპატიებელია, მიგვიძღვის ხსნის გზაზე. მე ამ მოგზაურობაში ვერ წაგიყვანთ, სანამ ჩემს არაჩვეულებრივ ცოლს, დრენდას არ ვახსენებ. სწორედ მისმა მიძღვნილმა გულმა ღვთისადმი და მისმა სიყვარულმა და მოთმინებამ ჩემდამი, მომცა ძალა დავმდგარიყავი ჩემი სისუსტეების პირისპირ და მეძებნა ღმერთი იმ პასუხებისთვის, რომლებიც ასე მჭირდებოდა. სიხარულით გიზიარებთ:

შენი ფინანსური რევოლუცია
ერთგულების ძალა

შესავალი

„მშვიდობამ მიატოვა ჩემი სამშვინველი, დამავიწყდა კეთილდღეობა“.

– გოდება იერემიასი 3:17

გავიღვიძე და ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდად იყო, ძალიან ცუდად! გაღვიძებისთანავე უდიდესმა შიშმა შთანთქა ჩემი გონება. ენას ვერ ვგრძნობდი. ჩემი ხელები, ფეხები და სახის ნახევარი გაშეშებული იყო. დრენდა გავაღვიძე და ვეცადე, ამეხსნა რა ხდებოდა, მაგრამ სახე და ენა არ მემორჩილებოდა. როცა ჩემს სიტუაციას ვუხსნიდი, შევამჩნიე რომ გული აჩქარებული მქონდა და სუნთქვა მიჭირდა. მანაც გაიღვიძა და მაშინვე ლოცვა დაიწყო. ნელ-ნელა უცნაურმა და შიშით სავსე გრძნობამ ცოტათი იკლო. ისევ დავწექი, დრენდამ საჭმლის მოტანა შემომთავაზა. ვიწექი და ვლოცულობდი. დაბნეული და შეშინებული ვიყავი იმით, რაც ჩემს სხეულს ემართებოდა. პანიკის ტალღები მივლიდა, გონებაში ისეთი შიში გამეფებულიყო, როგორიც არასდროს მიგრძვნია.

ვალებში ცხოვრება და მუდმივი ფინანსური საჭიროება, შიშს ჩემი ყოველღიური ცხოვრების ჩვეულ ნაწილად ხდიდა. ბოლო რამდენიმე წელი, ჩემი დანგრეული ფინანსური სიტუაციის გამო საშინელ სტრესში ვიყავი. გაყიდვების განყოფილებაში ვმუშაობდი, მაგრამ ფინანსურად ნამდვილად არ მქონდა კარგად საქმე. პატარა ფერმის სახლი გვქონდა ნაქირავები, რომელიც 1800-იან წლებში იყო აშენებული და ისე გამოიყურებოდა, თითქოს აშენების შემდეგ ხელიც არავის მოუკიდია. მგონი, აქ ცოტა ვაბუქებ, მაგრამ სახლი ნამდვილად არ იყო კარგ მდგომარეობაში. ფანჯრის ჩარჩოებში იმხელა ღრიჭოები იყო, მასში მცენარეები იზრდებოდა. მინების დიდი ნაწილი დამტვრეული იყო და კარდონისა და წებოვანი ლენტის მეშვეობით გვქონდა დამაგრებული. მიუხედავად ამისა, დრენდამ ის ჩვენს სახლად აქცია. მაგრამ, მისი გასაოცარი უნარებიც კი ვერ ფარავდა ფაქტს, რომ სახლში ძალიან ბევრი რამ იყო გასაკეთებელი.

ყველაფერი, რაც კი გვქონდა, ერთნაირ მდგომარეობაში იყო: გატეხილი, გაფუჭებული! ჩვენი ორივე მანქანა ძალიან ძველი იყო, მათი გარბენი 300 000 კილომეტრს აღემატებოდა და დაქოქვაც უჭირდათ. ჩვენს შვილებს ეძინათ მატრასებზე, რომლებიც თავშესაფარში დაიწუნეს, ხალიჩა კი, რომელიც მათ საძინებელში ეგო, ქუჩაში, ნაგავში ვიპოვნეთ. ლომბარდი ჩვენი ცხოვრების სტილი იყო. ყველასგან ვსესხულობდით, ვისაც კი ჩვენი დახმარება შეეძლო. თავი ძლივს გაგვქონდა, რასაც ვპოულობდით ვყიდდით, გადარჩენის გზას ვეძებდით და იმედი გვქონდა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნებოდა.

ჩემი ათივე საკრედიტო ბარათი რამდენიმე თვის წინ იყო გაუქმებული და სამ ფინანსურ კომპანიაში მქონდა სესხი 28 %-ით, რომლებიც იმატებდა და იმატებდა. მანქანის გადასახადი (დიახ, ჩემი ძველი მანქანების ვალი ჯერ ისევ არ მქონდა გადახდილი) 120 დღით დავაგვიანე და გასხვისების პირას იყო. ყველა ქვითარი, რაც კი მქონდა, დაგვიანებული იყო. სასამართლოში საქმე იყო აღძრული ჩემს წინააღმდეგ, ყოველ დილას საგადასახადოს ზარი მაღვიძებდა. IRS-ის ვალიც მქონდა და მათაც მიჩივლეს. მე და დრენდას 26,000 დოლარი გვქონდა ჩვენი მშობლების ვალი, რომლებიც უკვე დაიღალნენ ჩვენი დახმარებით. ჩვენი მაცივარი იშვიათად იყო სურსასით სავსე. ელექტრო ენერგიას მუდმივად ემუქრებოდა ჩაჭრა კომპანიიდან გადაუხდელობის გამო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩემი ემოციების ფიალაც აივსო.

ახლა, სტრესი რაღაცას მართებდა ჩემს სხეულს, რაც მე არ მესმოდა. რამდენიმე ექიმმა გამსინჯა, მითხრეს რომ პანიკური შეტევა მქონდა, რის გამოც ანტიდეპრესანტებზე დამსვეს. სამწუხაროდ, ეს პანიკური შეტევები გრძელდებოდა და განსაკუთრებით იზრდებოდა როცა სახლის დატოვება მიწევდა. შიშის ამ ბურუსით მოცულ დღეებში, პასუხების ძიებისას შევამჩნიე, რომ შაქრის, სახამებლის ან კოფეინის შემცველი საკვებიც პანიკური შეტევის მიზეზი ხდებოდა. ახლა უკვე საკვებისაც მეშინოდა და მხოლოდ იმას ვჭამდი, რაშიც დარწმუნებული ვიყავი. ჩემი ცხოვრება უღელად იქცა, ახლა უკვე აღარ შემეძლო მემუშავა, რამაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გააუარესა ფინანსური სიტუაცია.

ჩემი ცოლი ფიქრობდა, რომ ქმარს დაკარგავდა. მოგვიანე-

ბით, როცა განვიკურნე მითხრა, რომ უკვე გეგმავდა, თუ როგორ ეზრუნა ჩვენს შვილებზე. ღმერთს შევღაღადებდი პასუხებისთვის, რადგან არც გამოცდილება მქონდა და არც ცოდნა იმისა, თუ რას ვებრძოდი. ექიმები ჩემს დიაგნოზს დიდ სახელებს არქმევდნენ, მეუბნებოდნენ, რომ ეს განუკურნებელი იყო და მთელი ცხოვრება წამლებზე უნდა ვყოფილიყავი დამოკიდებული. სხვა ექიმების თქმით დიაბეტის ზღვარზე ვიყავი და დაავადება კიდევ უფრო პროგრესირდებოდა, როცა ასაკში შევიდოდი.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი ვიყავი, სულიერ ბრძოლაში არანაირი გამოცდილება არ მქონდა, არც ის ვიცოდი, როგორ აღვდგომოდი მტერს წინ. რეალურად ამ დროს ვერც კი ვხვდებოდი, რომ დემონურ სულს ვებრძოდი. ვფიქრობდი, რომ მხოლოდ ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა და ღმერთს ვთხოვდი, განვეკურნე. როგორც ქრისტიანმა, ვიცოდი, რომ ღმერთი იყო პასუხი ჩემთვის, მაგრამ იმ მომენტში ის ძალიან შორს მყოფად მეჩვენებოდა. ექიმებმა მრავალი სახელი დაარქვეს ჩემს მდგომარეობას, ყველა მათგანი გონებრივ პრობლემებთან იყო დაკავშირებული და მათი მკურნალობა მხოლოდ გარკვეული წამლების მიღებით შეიძლებოდა. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ყველაფერი განუკურნებელი იყო. მკურნალობას უბრალოდ უნდა შეემსუბუქებინა ჩემი გონებრივი მდგომარეობა. ამ წამლებს გვერდითი ეფექტები ჰქონდათ და ვერც მეხმარებოდნენ. იმაშიც კი ვარ დარწმუნებული, რომ მათი გამოყენებით სიმპტომები მემატებოდა. მათი გამოყენებისას თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ბურუსში ვცხოვრობდი. მუდმივად მაწამებდა შიშით მოცული აზრები, რომელთაც ვერ ვაკონტროლებდი. პასუხები არ მქონდა, ვერაფერი მეხმარებოდა. ეს ყველაფერი რამდენიმე კვირა გრძელდებოდა და ჩემი სასოწარკვეთილებაც იმატებდა, რადგან ვფიქრობდი ეს შიში და სიმპტომები არასოდეს დამტოვებდნენ.

მაგრამ, ერთ ღამეს, როცა ღმერთს პასუხებისთვის ვეძებდი, მოხდა ის გარღვევა, რამაც ყველაფერი შეცვალა. აღმოვაჩინე მთავარი გასაღები ჩემი თავისუფლებისთვის. ოთხშაბათს საღამოს საოჯახო მსახურებაზე ვიყავი. ქება-დიდების დროს პანიკური შეტევა დამემართა. არ ვიცოდი, რა მექნა? სასოწარკვეთილი ვიყავი და ვიცოდი ლოცვა მჭირდებოდა,

ამიტომ წინ გავედი ეკლესიაში. არ მაინტერესებდა ის, რომ ხელს ვუშლიდი მსახურების მსვლელობას. მაშინ საკმაოდ დიდ ეკლესიაში დავდიოდი და პასტორი პირადად არ მიცნობდა, თუმცა მიცნობდა ერთი ადამიანი განდიდების გუნდში. როცა სასოწარკვეთილი, ძლივს მივხოხდი წინ, ყველაფერი შეჩერდა და ყველა თვალი ჩემკენ იყო მოპყრობილი. გუნდის წევრმა, რომელიც მიცნობდა, სწრაფად იმოქმედა, რადგან ხედავდა, როგორ მოემართებოდნენ წესრიგის დამცველები ჩემს დასაჭერად.

დავინახე, როგორ მოლბა პასტორის გამომეტყველება, როცა მან ჩემი სიტუაცია აუხსნა. პასტორი მოვიდა და ჩემზე ილოცა. ჩემმა მეგობარმა უთხრა, რომ ავად ვიყავი. პასტორმაც შემომხედა და თქვა: „მას უძლურების სული აქვს.“ ამის თქმასთან ერთად, ხელები თავზე დამასხა და სულს უბრძანა ჩემი დატოვება. ამ დროს წარმოუდგენელი რამ მოხდა — მე გავთავისუფლდი. ბოლო თვეების განმავლობაში პირველად ვიგრძენი თავი ნორმალურად: არანაირი მტანჯველი ფიქრები, არანაირი შიში, მხოლოდ ღრმა მშვიდობა. იმის თქმა, რომ მადლიერი ვიყავი, ბოლომდე ვერ გამოხატავს ჩემს განცდებს. ვერც იმით ავხსნი, რას ვგრძნობდი, თუ ვიტყვი, რომ აღელვებული ვიყავი. თავბრუდახვეული ვიყავი, სიხარულით სავსე, თავს ბუმბულივით მსუბუქად ვგრძნობდი.

მსახურების შემდეგ მე და დრენდა რამდენიმე მეგობართან ერთად პიცერიაში წავედით აღსანიშნად. მახსოვს, პიცის ჭამისას ერთი სიმღერა ჩაირთო რადიოში და უეცრად ვიგრძენი რომ შიშის საზიზღარი განცდა საბანივით გადამეფარა — ის დაბრუნდა. ამ დროს, ისევ ვერ ვხვდებოდი, რომ ეს სული იყო. პასტორმა თქვა, რომ ეს უძლურების სული იყო, მაგრამ არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა და ცოტათი დავიბენი. ვფიქრობდი, რომ მსახურებაზე განვიკურნე, მაგრამ როგორც ჩანს, ასე არ ყოფილა. მეორე დღეს, კვლავ პანიკის შემოტევებს ვებრძოდი, მაგრამ ვერ ვწყვეტდი იმაზე ფიქრს, თუ რა მოხდა წინა საღამოს მსახურებაზე. როცა პასტორი ჩემზე ლოცულობდა, მას განკურნებისთვის არ ულოცია. მან ძალაუფლებით მიმართა სულს. ის ფაქტი, რომ ჩემი მდგომარეობა ასე გამოეპასუხა პასტორის სიტყვას, იმაზე მიანიშნებდა, რომ შესაძლოა, ეს მართლა სული იყო და არა დაავადება. (ხედავთ, რამდენად მოუმ-

წიფებელი ვიყავი ქრისტეში, რომ ამას ვერ ვაცნობიერებდი). ამ დროს, ძალიან ცოტა ვიცოდი სულიერი ომის შესახებ, თუმცა ვიცოდი რომ დემონები რეალურები იყვნენ, რადგან ერთხელ ნანახი მყავდა.

მოზარდობისას ჩემი მშობლების ორი პიცერიიდან ერთ-ერთს ვმართავდი. ერთ საღამოს, მოვიდა კაცი, რომელმაც მითხრა, რომ ადგილობრივ მეთოდისტურ ეკლესიაში განახლების მსახურებას ატარებდა და მეც დამპატიჟა. მან თავისი მოწვევა ამ ფრაზით დაამთავრა: „იესო კვლავ იგივენაირად მოქმედებს, როგორც ბიბლიაში მოქმედებდა.“ ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო. მე ეკლესიაში აღვიზარდე. ჩემი გული უფალს საზაფხულო ბიბლიის სკოლაში მივუძღვენი, როცა მეხუთე კლასში ვიყავი. თუმცა ამ წლების განმავლობაში არასდროს მენახა, რომ ღვთის ძალას ვინმე განეკურნა, არაფერი ისეთი, რაც ჩემს ყურადღებას მიიპყრობდა და დამარწმუნებდა, რომ ეს ღმერთია. ასე რომ, სკოლის წლებში ჩემი გული ღვთისგან გადაიხარა. ათასში ერთხელ მსახურებასაც ვესწრებოდი, თუმცა ჩემი ინტერესი დიდხანს არ გრძელდებოდა. მაგრამ ეს ადამიანი რაღაც სხვას ამბობდა. იესო კვლავ იგივეს აკეთებდა, რაც ბიბლიაში გაუკეთებია? მინდოდა, მენახა, რაზე საუბრობდა? ჩემი თანამშრომლებიდან რამდენიმე დადიოდა ამ ეკლესიაში და მათაც მიბიძგეს, წავსულიყავი, ამიტომ გადავწყვიტე, მენახა.

პირველ დღეს, როცა მივედი, ღვთის ისეთი თანდასწრება ვიგრენი, რაც მანამდე არასდროს განმეცადა. იმდენად ვგრძნობდი, თითქოს ხელითაც კი შემეძლო, შევხებოდი. მქადაგებელსაც ძალიან ძლიერი სიტყვა ჰქონდა და როცა იკითხა, თუ იყო ვინმე, ვისაც სურდა თავისი სიცოცხლე მიეძღვნა იესოსთვის, ან ხელახლა მიეძღვნა, ხელი ავიწიე. ვაუ! რა საღამო ოყო. ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი. მინდოდა ყველასთვის მეთქვა: რა საოცარი იყო ღმერთი?!

იმ პერიოდში არც ინტერნეტი იყო, არც CD დისკები და ვერც კასეტას ჩართავდი სადმე, ტელევიზიაშიც მხოლოდ სამი არხი გვქონდა. ჩვენი ქალაქიც ძალიან პატარა იყო და ბევრი არაფერი იყო ისეთი, რისი გაკეთებაც სამსახურის შემდეგ შეგეძლო. ამიტომ, მოზარდები ძირითადად პიცერიებში ატარებდნენ დროს გასართობად. პარასკევსა და შაბათს, ძირითადად ღამის პირველ საათზე ვიკეტებოდით. ჩვენი ავტოსადგომი თინეიჯერებით იყო

სავსე. ხშირად მათი გაყრა მიწევდა, რადგან ჩემი მომხმარებლები მანქანის დასაყენებელ ადგილს ველარ პოულობდნენ. ყოველ ღამე ხდებოდა ჩხუბი, რომელშიც ბოლოს პოლიცია ერეოდა და ბავშვებს სახლებში აგზავნიდა. მაგრამ ახლა იდეა მქონდა. ამ თინეიჯერებს სჭირდებოდათ ღვთის შესახებ მოსმენა. ასე რომ, გავედი და ვუთხარი, რომ თუ რომელიმე მათგანს დარჩენა სურდა, პიცერიის დახურვის შემდეგ ბიბლიის სწავლა გვექნებოდა. წარმოიდგინეთ, ეს იქნებოდა ღამის 1:30, შესაბამისად, 1:00-დან 1:30-მდე უნდა დაგვეხურა და დაგველაგებინა. წარმოდგენა არ მქონდა მართლა მოვიდოდა თუ არა რომელიმე, მაგრამ იცით რა მოხდა, რამდენიმე მათგანი მოვიდა და რამდენიმე ჩემი თანამშრომელიც დარჩა. პირველ ღამეს, შეხვედრის შემდეგ, ერთმა თინეიჯერმა თქვა, რომ სურდა, ქრისტესთვის ემსახურა და მკითხა, თუ რა უნდა გაეკეთებინა ამისთვის. ეს ჩემთვის პრობლემა იყო, რადგან ამ ნაწილზე ჯერ არ მეფიქრა. გახსოვთ, მე თითქმის არაფერი ვიცოდი ბიბლიაზე, მაგრამ წაკითხული მქონდა წმიდა წერილი, რაც ვფიქრობ, ჩემს ფიქრებს პასუხობდა:

> *და იქნება: ყოველი, ვინც მოუხმობს უფლის სახელს, გადარჩება.*
>
> – მოციქულთა საქმეები 2:21

ეს საკმაოდ მარტივი ჩანდა, ამიტომ გადავწყვიტე ასეც მოვქცეულიყავი. ჯგუფის დანარჩენი ნაწილი მაშინ წავიდა, როცა ეს ბიჭი შეკითხვით მომიახლოვდა. ასე რომ, ვუთხარი სკამზე დამჯდარიყო და იესოს სახელი წარმოეთქვა. ვფიქრობდი, ეს ძალიან მარტივი გასაკეთებელი იყო, მაგრამ დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ვიჯექი, მას კი არაფერი უთქვამს. ვიფიქრე, რომ ვერ გაიგო და ჩემი ინსტრუქცია გავიმეორე. ისევ არაფერი. უეცრად შევამჩნიე, რომ ცახცახებდა. მის გამომეტყველებაში ვხედავდი, თუ რამდენად ძნელი იყო მისთვის ამ სახელის წარმოთქმა. უეცრად, თითქოს კაშხალი გასკდა, მან იესოს სახელი წამოიძახა და მის სახეს სიმშვიდე მოეფინა. ანუ, ამან გაამართლა! ასეთი იყო ჩემი სამოქმედო გეგმა ყოველთვის, როცა ვინმეს სურდა გული უფლისთვის მიეძღვნა. სკამზე დავსვავდი და იესოს სახელს ვათქმევინებდი. თითქმის, გამონაკლისის გარეშე, პირდაპირ ვერ ამბობდნენ

ამ სახელს. ისინი ცახცახს იწყებდნენ, შემდეგ უცაბედად ეს სახელი აღმოხდებოდათ და მშვიდობაც ეუფლებოდათ.

ერთ დღეს შიგნითა ოთახში ცომს ვზელდი, როცა უკანა კარზე კაკუნი გავიგონე. კარის გაღებისას ორი მოზარდი ვიცანი, რომელთაც ცოტა ხნის წინ ვესაუბრე ქრისტეზე. შემოვიპატიჟე და ერთ-ერთმა მითხრა, რომ სურდა გული ღვთისთვის მიეძღვნა. ასე რომ, დავსვი და როგორც ყოველთვის, მანაც ჯერ ცახცახი დაიწყო და საბოლოოდ იესოს სახელი წარმოთქვა. როცა მოვიხედე, დავინახე, რომ მეორე ბიჭს ოთახი გადაეჭრა, კუთხეში იდგა და გალიაში დამწყვდეულ ცხოველს ჰგავდა. ცდილობდა კედელი გაეთხარა, თითქოს სურდა, რაც შეიძლებოდა შორს წასულიყო ჩემგან. ეს იმდენად უცნაური იყო, ახსნასაც კი ვერ ვუძებნიდი.

ვიდექი და ვუყურებდი და გავიფიქრე: „ნეტავ, დემონი ხომ არ არის?!“ დემონებში ნული გამოცდილება მქონდა, თუმცა მათ შესახებ ბიბლიაში წამეკითხა. ამ უცნაურ ქცევას სხვა ახსნას ვერ ვუძებნიდი. ამიტომ ვთქვი: „იესო, ეს დემონია?!“ მაშინვე, თითქოს რიდე ჩამოგლიჯეს, დავინახე ბიჭის მხარზე ჩამოკიდებული დემონი. იგი დაახლოებით 90 სანტიმეტრი სიმაღლის იყო და ფეხებით ეკიდებოდა ბიჭს. მუდმივად მეკითხებიან, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი. დემონი მაიმუნს ჰგავდა, მაგრამ თან განსხვავდებოდა. მაიმუნივით თმიანი და გრძელმკლავებიანი იყო, თუმცა კაშკაშა წითელი თვალები ჰქონდა და თან დამახინჯებული იყო. ამ თვალების დანახვისას ხმამაღლა შევყვირე. მათგან მომავალი სიძულვილი იმაზე მეტი იყო, ვიდრე შემეძლო გავმკლავებოდი. თუკი ამ სიძულვილის აღწერას ვეცდები, ვიტყოდი რომ თხევადი იყო, თითქოს ხელითაც შეგეძლო შეხება. იმ წამსვე ვიგრძენი, რომ ამ რაღაცას არა უბრალოდ ვძულდი, ძალიან გაბრაზებული იყო ჩემზე.

ახლა რა? არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა ამის დანახვის შემდეგ? მაგრამ მივხვდი, რომ თუკი იესოს სახელმა ღვთის სამეფო დაგვიმკვიდრა, მაშინ მას დემონებზეც უნდა ჰქონოდა ძალაუფლება. ამიტომ ხმამაღლა დავიძახე: „იესოს სახელით!“ მაშინვე საბურველი დაიხურა. თუ გახსოვთ ძველი შავ-თეთრი ტელევიზორები, როცა გამორთავდით, გამოსახულების ფერმკრთალი ჩრდილი ნელ-ნელა უფერულდებოდა ეკრანზე. ასე იყო ამ რაღაცის შემთხვევაშიც. მას ვეღარ ვხედავდი, თუმცა ვხედავდი

როგორ ფერმკრთალდებოდა მისი ბუნდოვანი აჩრდილი. ბიჭი საბურველის დახურვისთანავე გაიქცა შენობიდან.

ამრიგად, დიახ, ვიცოდი, რომ დემონები რეალურები იყვნენ. ნეტავ, შემეძლოს იმის თქმა, რომ როცა მივხდი, ჩემი პრობლემა სული იყო, გავუმკლავდი და იმ წუთიდან თავისუფლებაში განვაგრძე ცხოვრება. ეს მაშინვე არ მომხდარა. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ეკლესიაში გატარებული ამდენი წლისა, არასდროს გამომიყვია დრო იმის შესასწავლად, თუ ვინ ვიყავი ქრისტეში და თუ როგორ გამომეყენებინა ჩემი კანონიერი უფლებები მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ახლა, როცა გავაანალიზე ან ვიეჭვე მაინც, რომ სულთან მქონდა საქმე, იმის ძალაც მომეცა, რომ მესწავლა, როგორ დამემარცხებინა იგი. იმდენი ვიცოდი, რომ დემონს ჩემს ძალაუფლებაზე უნდა ეპასუხა, მაგრამ დამაბნია იმან, რომ ეს ასე არ მოხდა. რამდენიმე დღის შემდეგ, რაღაც დადებითი მოხდა, რამაც დაადასტურა რომ ჩემი პრობლემა ნამდვილად სული იყო.

ჩემს საძინებელში ვლოცულობდი ენებზე. განზრახული მქონდა იმდენ ხანს მელოცა, სანამ პასუხს არ მივიღებდი და არ გავიგებდი, თუ რა ხდებოდა ჩემს თავს. ლოცვის დროს უეცრად შვება ვიგრძენი და ისევ თავისუფალი გავხდი, როგორც მაშინ, როცა პასტორმა ილოცა ჩემთვის. დაახლოებით ორი საათის განმავლობაში ვიყავი თავისუფალი, სანამ იგი კვლავ დაბრუნდებოდა. თუმცა ახლა, სრულიად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ ეს სული იყო, რადგან იგი ლოცვას გამოეპასუხა. ვცადე კვლავ მელოცა, მაგრამ არაფერი. ამიტომ დავიწყე სხვადასხვა მასალის წაკითხვა სულიერი ომის შესახებ და იმის გაპრაქტიკება, თუ ვინ ვიყავი ქრისტეში. მაგრამ ეს რაღაც არც კი იძვროდა. მხოლოდ ერთხელ, ვიგრძენი ლოცვისას, როგორ გამოეპასუხა სული ჩემს ძალაუფლებას. დაბნეული ვიყავი და გულმხურვალედ ვეკითხებოდი უფალს: რა გამეკეთებინა? მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ვერ ვთავისუფლდებოდი, პანიკური შეტევები აღარ მქონდა და პარალიზებამაც გამიარა. ასე რომ, ძირითადი გამარჯვებები უკვე მქონდა. კვლავ ვებრძოდი მტანჯველ ფიქრებსა და დეპრესიას, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ უფრო და უფრო ვძლიერდებოდი. ყოველ დღე ვკითხულობდი, თუ რას ამბობდა ბიბლია ჩვენს ძალაუფლებაზე ქრისტეში.

ერთ შუადღეს ოფისში ვმუშაობდი და ჩემთვის უკვე ნაცნობ შიშის განცდას ვებრძოდი. ვცადე მელოცა და შიშის სულისთვის ჩემი დატოვება მებრძანებინა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უშედეგოდ. უეცრად უფლის ხმა გავიგონე. მან მითხრა, ხმამაღლა და ძალაუფლებით მებრძანებინა სულისთვის, დავეტოვებინე. შემდეგ ისეთი რამ მითხრა, რამაც სრულიად შეცვალა ჩემი ხედვა სულიერი ძალაუფლებისადმი. მითხრა ყურადღება არ მიმექცია ჩემი გრძნობებისთვის, როცა სულს დატოვებას ვუბრძანებდი, არამედ მტკიცედ დავმდგარიყავი მის სიტყვაზე და არა იმაზე, თუ მე რას ვხედავდი ან ვგრძნობდი. ოფისში ვმუშაობდი, ჩემი თანამშრომლებიც იქ იყვნენ, ამიტომ ასე უბრალოდ ვერ ავდგებოდი და ვუყვირებდი დემონს. ასე რომ, საპირფარეშოში გავედი და ხმამაღლა დავიძახე: „იესოს სახელით მე გბორკავ შიშის სულო! რასაც შენ აკეთებ, უკანონოა და გიბრძანებ, ახლავე დამტოვო იესოს სახელით!“ ისევ არაფერი. ვერანაირი ცვლილება ვერ ვიგრძენი. მაგრამ მახსოვდა თუ რა მითხრა უფალმა: „ყურადღება არ მიაქციო შენს გრძნობებს!“ ამიტომ მადლობა გადავუხადე ღმერთს იმ ძალაუფლებისთვის, რაც ამ სულზე მომცა და დავიწყე მისი განდიდება ჩემი თავისუფლებისთვის. ოფისში დავბრუნდი და მუშაობა განვაგრძე. როცა მაგიდასთან დავჯექი, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილება არ მიგრძვნია, ყოველ ჯერზე, როცა შიში ჩემს გონებას შემოუტევდა, ვიწყებდი მადლიერებას ღვთისადმი ჩემი განთავისუფლებისთვის. კლიენტის ფაილზე მუშაობისას, უეცრად ვიგრძენი, როგორ მომიცვა ღვთის თანდასწრებამ და დავინახე შავმა, ნისლიანმა ღრუბელმა როგორ დამტოვა და გაუჩინარდა ოფისის ჭერში.

მე თავისუფალი ვიყავი!

შიშის დემონურმა სულმა დამტოვა და თუ დაბრუნდებოდა, ვიცოდი, როგორ უნდა გავმკლავებოდი. ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი! დრენდას დავურეკე და მომხდარის შესახებ ვუამბე. მან მითხრა, რომ მაშინვე მოვიდოდა და ჩვენს ჩინურ რესტორანში (რომელიც ჩემი საყვარელი რესტორანია) აღვნიშნეთ. ამ სულის წინააღმდეგ კიდევ ბევრჯერ მომიწია ჩემი პოზიციის გამეორება, რადგან დემონები სწრაფად არ ნებდებიან. მიუხედავად იმისა, რომ დემონმა დამტოვა, ფინანსური ქაოსი კვლავ რჩებოდა ჩემს ცხოვრებაში. ამრიგად, შიში მუდმივად ცდილობ-

და კვლავ გაბატონებულიყო ჩემს გონებაში, ჩემს ფინანსებთან მიმართებაში. უნდა მესწავლა, როგორ გავმკლავებოდი გონებას და მემყოფა იგი მშვიდობაში.

კიდევ ბევრი ბრძოლა მქონდა მოსაგები ჩემს ცხოვრებაში, მათი მეშვეობით უნდა მესწავლა. კიდევ ბევრი სულიერი გაკვეთილი მქონდა სასწავლი ღვთის სამეფოს შესახებ. მაგრამ ამ ყველაფრის მოყოლის მიზეზი ისაა, რომ მინდა, იცოდეთ როგორ გავლენას ახდენს ფინანსური სტრესი ადამიანებსა და მათ ცხოვრებაზე და როგორ უღებს იგი კარს მტანჯველ შიშს.

მინდა იცოდეთ, რომ მე ეს გამოვიარე.

ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს რა არეულობის წინაშე ხარ ახლა, იმედი არსებობს. ნეტავ უფრო ადრე მცოდნოდა ღვთის სამეფოზე! სამწუხაროა იმაზე ფიქრი, რომ მე და დრენდა ცხრა წელი ვცხოვრობდით ფინანსურ ქაოსში, როცა შეგვეძლო, ასე არ ყოფილიყო!

სამწუხაროდ, ჩვენი ფინანსური არეულობა რადარზე არეკლილი სიგნალი არ იყო; ის თავად იყო რადარი. აი, ასე ვცხოვრობდით. ცხრა წელი სხვების მოწყალებით გაგვქონდა თავი, ეს ცხრა წელი დამამცირებელი მოვლენებისა და გარემოებების მოგონებებია. მოვლენები, რომლებთაც სიამოვნებით დავივიწყებდი. კურთხეულია ჩემი ცოლი! ის იმდენ რამეს შეეგუა ამ წლების განმავლობაში. სწორედ ამიტომ ვცდილობ დღეს, ყოველთვის ვაკურთხო იგი, როცა კი შემიძლია.

რადგანაც უფალს უნდა ესწავლებინა ჩემთვის, როგორ გავმკლავებოდი შიშის დემონურ სულს, მან დაიწყო ჩემთვის იმის ჩვენება, თუ როგორ გავმკლავებოდი ჩემს ფინანსებს სულიერი პერსპექტივიდან. იმან, რაც ღმერთმა მე და დრენდას გვასწავლა და რაც გვაჩვენა ჩვენს ფინანსებთან დაკავშირებით, იმდენად შეცვალა ჩვენი ცხოვრება, რომ გადავწყვიტეთ ცხოვრების ბოლომდე, სხვა ადამიანებს დავხმარებოდით იგივე პრინციპების აღმოჩენაში.

მაშინ, როცა ერთ დროს მე და დრენდა სასოწარკვეთილები ვიყავით, რადგან გაკოტრებულები მანქანის გადასახადსაც ვერ ვიხდიდით, ჩვენ ავაშენეთ ჩვენი ოცნების სახლი ვალების გარეშე, დავაარსეთ არაერთი კომპანია და დედამიწის ყველა სასაათო სარტყელში გავუშვით ტელეგადაცემა *ფულის საკითხის ყოველდღიური გადაწყვეტა.* დრენდამ ABC Family—ის არ-

ხზე *დრენდა* TV—ის გადაცემაც დაიწყო, რათა დახმარებოდა ოჯახებს, სცოდნოდათ, როგორ ეცხოვრათ და გაემხნევებინა ქალები. ვიგრძენით, რომ ღმერთმა მოგვიწოდა, დაგვეფუძნებინა რწმენის სიცოცხლის ეკლესია, სადაც ყოველკვირეულად ათასობით ადამიანს ვასწავლით ღვთის სამეფოს შესახებ. ამ ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მილიონები სჭირდება წელიწადში, თვეში დაახლოებით 200 000 დოლარი სჭირდება ტელევიზიას ისევე, როგორც ამ წიგნის წერას. არცერთი მათგანი არ იქნებოდა შესაძლებელი, ღმერთს ჩვენთვის ის რომ არ ესწავლებინა, რაც გვინდა, რომ თქვენ გასწავლოთ წიგნების ამ სერიებში. არ მინდა ამ წიგნს შეხედოთ, როგორც რიგით წიგნს ფინანსების შესახებ. ეს არ არის კიდევ ერთი წიგნი იმის შესახებ, თუ როგორ გჭირდება ბიუჯეტის შედგენა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საჭიროა და ეს რჩევაც შესაძლოა მოგცეთ. ეს არ არის გადამუშავება ძველი წიგნის, „არასაკმარისი შემოსავალი." ეს სხვა რამ არის!

არა, ეს არის წიგნი რევოლუციის შესახებ, აჯანყება სიბნელის სამეფოსა და მისი შემხუთველი სილარიბის წინააღმდეგ. ეს არის წიგნი იმაზე, თუ როგორ მოვიშოროთ გახრწნილი მთავრობის ძალდატანება და დავიწყოთ ახალი სიცოცხლე. ჩემი პასუხი არ ყოფილა იგივე საყოველთაო ფინანსური რჩევა. მე დავინახე, რომ მჭირდებოდა სრული ფინანსური გადაწყობა:

ფინანსური რევოლუცია!

თავი 1
სამეფო

შესავალში გაგანდეთ, თუ როგორ შთანთქა ჩემი ცხოვრება მტანჯველმა შიშმა. ამიტომ ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ჩვენი მოგზაურობა დავიწყოთ წინადადებით, რომლის გაგებაც თქვენ ძალიან გჭირდებათ: **არ ისწავლო შიშთან ერთად ცხოვრება!** შიში კარს უხსნის ყველანაირ დემონურ გავლენას, დაბნეულობასა და დეპრესიას, როგორც ჩემს ცხოვრებაში მოხდა და ხდება მილიონობით ადამიანის ცხოვრებაში. უკვე 34 წელია პირადად ვეხმარები ადამიანებს ფინანსებთან დაკავშირებით ჩემს ფინანსური დაგეგმვის ფირმაში და აღმოვაჩინე, რომ მე არ ვყოფილვარ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჰქონდა ან ებრძოდა ფინანსურ პრობლემებს ცხოვრებაში.

რეალურად, ჩემს კვლევაზე დაყრდნობით, აღმოვაჩინე, რომ ამერიკის მოსახლეობის 23 % თავიანთი ვალების მინიმალურ შესატანსაც არ იხდის და ნელ-ნელა ეშვება ფინანსურ ამინისტიაში.[1] ეს ქვეყნის ერთი-მეოთხედია! ორმოცდაშვიდი მილიონი, მოსახლეობის ერთი-მეექვსედი, საკვებით იღებს დახმარებას სახელმწიფოსგან და ათიდან რვა ოჯახი გადასახადიდან გადასახადამდე ცხოვრობს.[2] არაფერს ვამბობ იმ 18 მილიარდ დოლარ ვალზე, რომელიც ჩვენს ერს აქვს და რომელსაც ვერასოდეს გადავიხდით. არც იმ 120 მილიარდი დოლარის ღირებულების ფინანსურ ობლიგაციებზე ვიტყვი რამეს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ საკუთარ თავს დააკისრა ყველანაირი საფონდო მექანიზმის გარეშე, რითიც ღირებულების დაფარვას

1 Tracy Turner, „ვალი ადამიანის უდიდესი საზრუნავია...ფინანსურ პრობლემებს გაცილებით დიდი ადგილი უკავია, ვიდრე ტერორიზმსა და კატასტროფებს.“ *The Columbus Dispatch, 2006.*

2 Brad Plumber, „რატომ არის 47 მილიონი ამერიკელი კვებით დახმარებაზე? ამის მიზეზი მეტწილად შემცირებაა.“ *The Washington Post, 2013.*

შეძლებდა.[3] ჩვენ ვცხოვრობთ ერში, რომელსაც სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს! ჩემს ცხოვრებაში აღმოვაჩინე, რომ გადაუჭრელი ფინანსური პრობლემები და ფინანსური სტრესი შიშში ცხოვრებას ცხოვრების წესად გიქცევს.

მაგრამ არსებობს პასუხები. შენ შეგიძლია, განთავისუფლდე! ბიბლიის დამოკიდებულება მკაფიოა ამ საკითხთან დაკავშირებით: იესო მოვიდა გაჭირვებულისთვის კეთილი უწყების საქადაგებლად!

> *„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად“.*
>
> *– ესაია 61:1*

რა არის კეთილი უწყება გლახაკისთვის? რომ მას შეუძლია, იყოს თავისუფალი. დღეს, შეიძლება წარმოდგენაც არ გქონდეს, როგორ შეიძლება ეს მოხდეს. ჩემი ცხოვრების რაღაც მომენტში, სრულ უიმედობას განვიცდიდი. იმის გაფიქრებაც კი, რომ 100 დოლარი მქონოდა, რომელიც არავის ვალი არ იქნებოდა, იმდენად შორეული აზრი იყო, ალბათ, გამეცინებოდა, კიდეც ასეთი შემაძრწუნებელი და დამადარდიანებელი რომ არ ყოფილიყო. თავის გატანის რეჟიმში ცხოვრების ცხრა წელმა უდიდესი დაღი დამასვა ემოციურად. ფინანსური სტრესი გვძარცვავს ყოველივე კარგისგან. ისე მრცხვენია, როცა იმ წლების ვიდეოებს ვუყურებ! ვიდეოში ჩანს როგორ გადმოვდივარ მანქანიდან და როგორ გამორბიან ჩემთან შესახვედრად ჩემი ძვირფასი შვილები, ოფისში გატარებული გრძელი დღის შემდეგ. ფეხებზე შემომეხვეოდნენ და დაიძახებდნენ: „გამარჯობა, მამიკო!“ რამდენიმე ვიდეოში არ ვპასუხობ და მათკენ არც კი ვიხედები. იმდენად დასტრესილი და გადაღლილი ვიყავი, იმასაც ვერ ვაცნობიერებდი, რა იყო მნიშვნელოვანი.

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა გლახაკთა სახარებლად.“
–ესაია 61:1

შემდეგ გონება მახსენებს თუ რა ვისწავლე ერთხელ ცურვის გაკვეთილზე. როცა ვინმე იხრჩობა, ყვირის და დახმარებას

3 Glenn Kessler, „ჩვენს ერს 128 მილიარდი დოლარის დაუფინანსებელი ვალები აქვს.“ *Washington Post, 2013.*

ითხოვს, ფრთხილად იყავი თუკი დასახმარებლად წახვალ. რატომ? იმიტომ, რომ იმდენად ფიქრობენ გადარჩენაზე, შეიძლება წყლის ქვეშ ჩაგითრიონ ამის განზრახვის გარეშე. აი ასე ვიყავი ზომბივით, რომელმაც ცხოვრების შესახებ არაფერი იცის და გრძნობების გარეშე მოქმედებს. როგორც ქმარი, ჩავფლავდი ამ გამოცდაში. როგორც მამა, ასევე ჩავფლავდი. როგორც პროვაიდერი, კვლავ ჩავფლავდი. ჩემი ცხოვრება ერთი და იმავე უემოციო რუტინა იყო, არანაირი ხედვა და ცხოვრების დეპრესიულად აღქმა.

იმ პერიოდში კოლუმბუსში, ოჰაიოში მშენებლობის პიკი იყო. ყველგან სახლები შენდებოდა და ამის გამო, ჩვენი ქალაქი წლების განმავლობაში მასპინძლობდა სახლების გამოფენას. თუ არ იცით, ეს რა არის, ნება მომეცით, აგიხსნათ. სახლების გამოფენაზე სხვადასხვა მშენებელი წარმოადგენდა სახლების მაკეტებს, რათა თავიანთი უნიკალური სტილისა და შესაძლებლობებისთვის გაესვათ ხაზი, ისევე როგორც თანამედროვე მოწყობილობებისთვის. გარშემო მცხოვრებთათვის ეს დიდი მოვლენა იყო და ათასობით ადამიანი იღებდა ამით სიამოვნებას. მაგრამ, მე მეშინოდა სახლების გამოფენის. ასეთ გაჭირვებაში მცხოვრებს, არ მინდოდა დრენდა წასულიყო და ეს სახლები ენახა. უამისოდაც ცუდად ვგრძნობდი თავს ჩემი ფინანსური ჩავარდნის გამო; ნამდვილად არ მინდოდა, ჩემს ცოლს სცოდნოდა, რეალურად რამდენად ცუდად იყო ყველაფერი. ახლა ვიცი, რომ მსგავსი ფიქრები სისულელე იყო, მაგრამ მაშინ ასეთი ხედვა მქონდა. ვიცოდი, რომ თუ იქ წავიდოდა, ასეთი სახლი მოუნდებოდა. ამიტომ წლიდან წლამდე ჩემი პასუხი იყო: „არა!“ საბოლოოდ, ერთ წელს დავნებდი და გადავწყვიტე, წავსულიყავით.

ეს სახლები უბრალოდ დიდებული იყო. მათ ფონზე ჩვენი ფერმის სახლი ისე გამოიყურებოდა, თითქოს დანგრევა ჰქონდა მისჯილი. გამოფენაზე რამდენიმე საათიანი სიარულის შემდეგ, ტროტუარს ჩამოვუყევით და უცებ მივხვდი, რომ დრენდა ჩემს გვერდით არ მოდიოდა. მის დასანახად მოვტრიალდი და გამაოცა დრენდას იმ სახლის წინ დანახვამ, საიდანაც ახლახანს გამოვედით. სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა. მასთან მივედი და სულელური კითხვა დავუსვი: „რა მოხდა?“ თითქოს პასუხი უკვე არ მცოდნოდა. დრენდამ უბრალოდ შემომხედა და მკითხა:

„როდის შემეძლება სახლის ქონა?“ ჩემს გონებაში ყველაფერი დატრიალდა, „სახლი? ასეთი? ეს სახლები 500,000-დან 700,000 დოლარამდე ღირს.“ მე ჯერ კიდევ იმას ვცდილობდი რამენაირად ჩვენს ძველ ფერმის სახლში 300 დოლარი გადამეხადა ქირა ყოველ თვე. ვიცი, ეს სამწუხაროა, მაგრამ გამოსავალს უბრალოდ ვერ ვხედავდი, ჩემს მშვენიერ, ძვირფას ცოლს ვერაფერ იმედის მომცემს ვერ ვეტყოდი. შიში და მარცხი ჩემს გონებასა და ხედვას ამახინჯებდა. ეს მე არ ვიყავი; რა დაემართა ჩემს სიხარულს, ჩემს ბედნიერებას? ვერ ვხედავდი იმის შესაძლებლობას, რომ ამ ფინანსურ სტრესს გადავლახავდი.

დილის 2 თუ 3 საათი იქნებოდა და ვერ ვიძინებდი. ყბასა და სახეს ტკივილმა ისე გადაუარა, თითქოს ნემსებს მარჭობდნენ, შვებას ვნატრობდი. 36 საათით ადრე, ფესვის არხი დავიბჟინე იმ ინფექციის შესაჩერებლად, რომელმაც ჩემი სახე ბუშტივით დაასია. წარმოუდგენელი ტკივილი და დისკომფორტი მქონდა. ტილენოლს ყოველ ოთხ საათში ვსვავდი ტკივილის გასაყუჩებლად, მაგრამ დიდად ვერ მეხმარებოდა. როცა სასადილოში დავჯექი, რადგან ვერ ვიძინებდი და წამლის კიდევ ერთი დოზა მივიღე, შემთხვევით თვალი მოვკარი ტილენოლის ყუთს და ინსტრუქცია წავიკითხე. არა იმიტომ, რომ არ ვიცოდი, როგორ მიმეღო ტილენოლი, უბრალოდ უსაქმურობისა და მოწყენილობის გამო, ისევე, როგორც ყველას წაგვიკითხავს რა წერია ფაფის ყუთზე, როცა დილით ფაფით ვსაუზმობდით. იმიტომ არა, რომ გვაინტერესებს, უბრალოდ ასე ხდება. დიახ, დიახ, 2 აბი ყოველ 4 საათში, მაგრამ აქ რა წერია? 24 საათში არა უმეტეს 10 აბისა? ჩემმა გონებამ სწრაფად გადათვალა აბების რაოდენობა, რომელსაც ადამიანი მიიღებს თუკი მართლა ყოველ 4 საათში სვამს წამალს, როგორც მე ვაკეთებდი ბოლო 2 დღის განმავლობაში — 12 აბი დღეში, მაქსიმალურ დოზაზე 2 აბით მეტი. უეცრად მუცელი შემეკუმშა და შიშმა შემიპყრო.

იმ ყველაფერმა, რომ ცხრა წლის განმავლობაში თვიდან თვემდე ძლივს გამქონდა თავი, ჩავფლავდი როგორც ქმარი, ჩავფლავდი როგორც მამა და ჩავფლავდი როგორც პროვაიდერი, ემოციურად დამამსხვრია. ექიმებმა ანტიდეპრესანტებზე დამსვეს, რათა დამხმარებოდნენ. მაგრამ ვერაფერი მშველოდა. როცა იმ ღამით კბილის ინფექციით ვიჯექი, უკვე ორი ღამე იყო, რაც არ მძინებია და ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, ვერც

შემდეგ დავიძინებდი. ახლა, როცა ტილენოლის ყუთი წავიკითხე, გავაცნობიერე, რომ კიდევ ერთ რამეზე უნდა მედარდა, ტილენოლის შესაძლო დოზის გადაჭარბებაზე. წარმოდგენა არ მქონდა რას მიზამდა ზედმეტი დოზა, მაგრამ, რადგანაც ყველას შეეძლო ყიდვა მთელს ქვეყანაში, დარწმუნებული ვიყავი რომ საკმაოდ სუსტი წამალი იყო. ვიფიქრე, რომ მათ უბრალოდ იურისტების დასაშოშმინებლად და კანონიერების ფარგლებში სამოქმედოდ უნდა დაეწერათ გაფრთხილება ყუთზე. უბრალოდ ვერ წარმომედგინა რომ 2 აბით მეტის დალევას შეეძლო სერიოზული პრობლემის გამოწვევა. მაგრამ შიშის სულმა ჩემი გონება შებოჭა და შემომიტია ფიქრებით: „რა მოხდება თუ...“. ასე რომ, გონება რომ დამემშვიდებინა, გადავწყვიტე მოწამვლის კონტროლის ცენტრისთვის დამერეკა და გამერკვია. დარწმუნებული ვიყავი მეტყოდნენ, რომ არაფერი იყო საგანგაშო.

სატელეფონო ხაზის მეორე მხარეს მყოფი ქალის ხმა, რომელმაც მიპასუხა, საკმაოდ პროფესიონალურად ჟღერდა. მკითხა როგორ შეეძლო დამხმარებოდა და მეც ავუხსენი, რომ ბოლო 36 საათის განმავლობაში ტილენოლს ყოველ 4 საათში ვსვავდი, ანუ დღეში 12 აბს ვიღებდი 10-ის ნაცვლად, რისთვისაც ინსტრუქციის მიხედვით არ უნდა გადამეჭარბებინა. ვუთხარი, რომ უბრალოდ მსურდა გადამემოწმებინა, რომ ამ 2 ზედმეტი აბის მიღება სერიოზულ ზიანს არ გამოიწვევდა. პაუზა იყო, კომპიუტერის კლავიატურაზე აკრეფის ხმა მესმოდა. შემდეგ გავიგონე სიტყვები, რომელთაც ახლა ზუსტად ვიმეორებ: „ბატონო, არავის უცოცხლია, ვინც ასეთი დოზა მიიღო!“ სწორად გავიგე? რა თქმა უნდა, არა! ამიტომ თავიდან ავუხსენი, რომ უბრალოდ 24 საათში 2 აბით მეტი მივიღე და ასე 2 დღის განმავლობაში ვიქცეოდი.

ამჯერად, საკმაოდ მტკიცე ხმით მიპასუხა: „ბატონო, როგორც გითხარით, არავის უცოცხლია ვინც ასეთი დოზა მიიღო! გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში უნდა წახვიდეთ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ!“ ვცადე კიდევ ერთხელ ამეხსნა მისთვის, რაც მოხდა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ რაღაც არასწორად გაიგო, მაგრამ გამაჩერა და მითხრა: „ან თქვენ თვითონ წახვალთ საავადმყოფოში, ან ახლავე სასწრაფო დახმარების მანქანას გამოვგზავნი!“ შოკირებული ვიყავი! „მე თვითონ წავალ!“ ენის ბორძიკით წარმოვთქვი. „რომელ საავადმყოფოში მიდიხართ?“ - მკითხა მან. მეც ვუპასუხე და მან ყურმილი დაკიდა.

გაოგნებული ვიდექი. დილის 9 საათზე ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა, ახლა კი ღამის 3:30 იყო. ფეხების ფლატუნით ავედი საძინებელში, დრენდა გავაღვიძე და ვუთხარი, რაც მოხდა. შეძრწუნებული, პათეტიკური მზერით მიყურებდა. მისი ქმარი უკვე რამდენიმე თვე იყო ცოტა უცნაურად იქცეოდა, ამ ყველაფრის გაძლებით უკვე დაიღალა და ახლა კიდევ ეს? „გარი, მხოლოდ ორი აბით მეტი დალიე! დარწუნებული ვარ, შენც კარგად იცი, რომ არ მოგკლავს. ისევ დაურეკე!“ - მითხრა მან. მაგრამ შიში ირაციონალური და შემაძრწუნებელია. „იმ ქალმა თქვა, რომ მან შეიძლება მომკლას; საავადმყოფოში უნდა წავიდე.“ როცა შემოვტრიალდი და საძინებლიდან გამოვედი, დავინახე - „ალბათ ხუმრობ!“ - მზერა ჩემი ცოლის თვალებში.

საავადმყოფოში მისულმა, თეთრ ხალათებში ჩაცმული ორი ადამიანი დავინახე გადაუდებელი დახმარების შესასვლელთან. როცა ავუჩქარე, ჩემკენ წამოვიდნენ და მკითხეს: „გარი ქისი ხართ?“ სასწრაფოდ შემიყვანეს გასასინჯ ოთახში. გადაუდებელი განყოფილების დაფასთან ჩავლისას, დავინახე რომ ჩემი სახელი უკვე ეწერა იქ: „გარი ქისი — დოზის გადაჭარბება.“ ვერ ვიჯერებდი. გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, როცა ექიმმა სისხლის ანალიზი ამიღო მკითხა: „აქ რა გინდა? შენს სისხლში არსებული ტილენოლის დოზა თავის ტკივილსაც კი ვერ უშველის.“ როცა ჩემი ისტორია მოვუყევი მოწამვლის ცენტრთან დაკავშირებით, სიცილი დაიწყო. მე კი სულაც არ მეცინებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ფოსტაზე 2,000 დოლარიანი ჩეკი მომივიდა. ბოროტმა მომიწყო და კვლავ მომპარა.

ისევე როგორც შესავალში მოყოლილ ამბებს, ამათაც იმიტომ გიამბობთ, რათა უკეთ დაინახოთ, სად იყო ჩემი ცხოვრება, სანამ ღვთის სამეფოს შესახებ აღმოვაჩენდი. დიახ, მე ქრისტიანი ვიყავი. დიახ, მეათედსაც ვწირავდი. დიახ, დიდი ხნის განმავლობაში ჩემს ეკლესიაში განდიდებასაც ვუძღვებოდი. დიახ, მე მიყვარდა ღმერთი. მაგრამ რაღაც ცუდად იყო, ძალიან ცუდად! უკვე გითხარით, როგორ მასწავლა ღმერთმა შიშის სულთან შებრძოლება და როგორ განვთავისუფლდი ანტიდეპრესანტებისა და პანიკური შემოტევებისგან. მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიყავი თავისუფალი იმ გარემოებებისგან, რამაც ჩემი შიშთან შეჭიდება გამოიწვია, პირველ ყოვლისა, ფინანსური სიტუაციებისგან! კვლავ საშინელი წნეხის ქვეშ ვიყავი ყოველ

დღე, რათა გადასახადებისთვის საჭირო ფული მეშოვნა, ამას დამატებული, მქონდა ათი ვადა გასული და გაუქმებული საკრედიტო ბარათი, ვალი სამ საფინანსო კომპანიაში, IRS-ის ვალი, ჩემი ნათესავების ვალი და უამრავი საჩივარი და ყადაღა.

როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი ცხოვრება მთიანად ფინანსური აურზაური იყო. სტრესი და ემოციური შფოთი ჩვეული მდგომარეობა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანები ვიყავით, სულს ვღაფავდით ფინანსურად, ჩემი საკრედიტო ბარათები ერთი მეორეს მიყოლებით უქმდებოდა. ყადაღები იმატებდა, კრედიტები უქმდებოდა, კრედიტორები რეკავდნენ. ჩვენი ფინანსური მდგომარეობის კულმინაციას მივაღწიეთ, როცა ჩვენი ბიზნესით თითქმის ვეღარაფერს გამოვიმუშავებდით და საჭმლის ფულიც კი აღარ გვქონდა. ჩემი ოჯახის წევრები შეშის ფეჩის გარშემო იყუჟებოდნენ მისაღებ ოთახში, რადგან საწვავის ფული არ გვქონდა. ყველა სკამსა და სავარძელში ხურდებს ვეძებდით, იმ იმედით რომ ნახევებში იქნებოდა ჩაყრილი და მაკდონალდსის ჰეფი მილისთვის საკმარის ფულს მოვაგროვებდით, რათა ჩვენი შვილებისთვის გაგვენაწილებინა.

„ᲩᲔᲛᲘ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲙᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲐᲦᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲐᲨᲘ, ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲘᲔᲡᲝᲨᲘ.“

–ᲤᲘᲚᲘᲞᲔᲚᲗᲐ 4:19

საკმაოდ კარგად გამომდიოდა კრედიტორების თავიდან მოშორება, როცა რეკავდნენ, მაგრამ ერთ დღეს ჩემი ერთ-ერთი გადაუხდელი ანგარიშისთვის ადვოკატი დაიქირავეს, რათა ჩემი ვალი დაებრუნებინა. ამ კაცმა, რომელსაც პიროვნულობაც კი არ ჰქონდა, დამირეკა და უბრალოდ მითხრა: „თანხა სამ დღეში უნდა მქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი კლიენტის უფლებების დასაცავად სასამართლო დევნას დავიწყებ შენს წინააღმდეგ!“ ჩემი საქმე წასული იყო. გამოსავალი არ მქონდა, კრედიტს ვერ ავიღებდი, უკვე ყველა ჩემი მეგობარი შევაწუხე და ზუსტად ვიცოდი რომ ჩემი საქმე წასული იყო. საძინებელში ავბობღდი, საწოლს დავემხე და ღვთის წინაშე დავიწყე ღაღადი. ძალიან მალე, უფლის ხმა გავიგონე. ადგილი წმიდა წერილიდან, რომელიც ძალიან ხშირად მიტივტივდებოდა ხოლმე გონებაში.

„ჩემი ღმერთი კი ყოველ თქვენს საჭიროებას თავისი სიუხვისამებრ აღავსებს დიდებაში, ქრისტე იესოში“.
– ფილიპელთა 4:19

უფალს ვუპასუხე, რომ ეს მუხლი ვიცოდი, თუმცა ჩემს საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებდა! მანაც მაშინვე უპასუხა ჩემს კითხვას: „დიახ, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არაა! შენ არასდროს გამოგიყვია დრო იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს ჩემი სამეფო. სინამდვილეში, ჩემი ეკლესიის დიდი ნაწილი ისრაელიანებივით არიან, როგორც მონები. ისინი ვალებისა და ფინანსური უღელის ქვეშ ცხოვრობენ. მე მინდა, რომ ჩემი ხალხი თავისუფალი იყოს!“

სწრაფად ჩავირბინე ქვევით, დრენდას ხელი ჩავავლე და ვუთხარი, რა მითხრა უფალმა. მის წინაშე მოვინანიე, რომ არ ვეძებდი ღმერთს და არ ვცდილობდი მესწავლა როგორ მოქმედებს მისი სამეფო. რეალურად, იმ დროს მართლა არ გვესმოდა, რას გულისხმობდა ღმერთი, როცა თქვა, რომ არ ვიცოდით, როგორ მოქმედებდა მისი სამეფო. ყველაფრის შემდეგ, ჩვენ ეკლესიაში ვიყავით, ძირითადად მეათედსაც ვწირავდით ჩვენი შემოსავლიდან და გვიყვარდა ღმერთი. ვფიქრობდით, რომ ჩვენი გონება უკვე იყო მიპყრობილი სამეფოსკენ. თუმცა, მალე აღმოვაჩინე, რომ დიახ, მე ზეცისკენ მიმავალ გზას ვადექი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, როგორ გადმომეტანა ზეცის სიძლიერე და ძალაუფლება ჩემს ცხოვრებაში და როგორ მომეხდინა ეფექტი ჩემს ბუნებრივ გარემოებებზე. ამრიგად, ჩვენ დავიწყეთ ბიბლიის შესწავლა და ღმერთმა დაიწყო ლაპარაკი ჩვენდამი. იგი გვეხმარებოდა, გვესწავლა, რა იგულისხმა, როცა სამეფო ახსენა. ის, რაც ჩვენ ვისწავლეთ, გასაოცარი იყო! ეს ბნელ ოთახში შუქის ანთებას ჰგავდა. პირველად ჩვენს ცხოვრებაში ვიპოვეთ პასუხები ჩვენი ფინანსური ცხოვრების შესახებ!

ღმერთო, რას გულისხმობ სამეფოში?!

როცა ღმერთმა მითხრა, რომ არასდროს გამიგია, როგორ მოქმედებს მისი სამეფო, დავიბენი, მეტი რომ აღარაფერი ვთქვა. სამეფო? დრენდა და მე ვერც კი ვხვდებოდით. ვილოცეთ და ღმერთს ვთხოვეთ ესწავლებინა, რას გულისხმობდა ამაში: „უფალო, გვასწავლე, რას გულისხმობ სამეფოში?!“ ასე რომ, პირველი, რაც უნდა მესწავლა, იყო, თუ რას წარმოადგენდა

სამეფო. ვფიქრობ ეს ცნება ჩვენი დასავლური გონებისთვის რთული გასააზრებელი იყო, მაშინ როცა ამერიკული გონება დემოკრატიაზე და გამოხატვის თავისუფლებაზეა ორიენტირებული. ღვთის სამეფო არ არის დემოკრატია; ეს არის სამეფო, რომელსაც ჰყავს მეფე. მეფის ძალაუფლება მთელს სამეფოზე ვრცელდება. მასთან ერთად ძალაუფლება გადაცემული აქვს უამრავ მმართველსა და ხალხს, ვინც ამ ძალაუფლებაში მოქმედებს. ხალხის ბრბოს ყოლა სამეფო არ არის. შეიძლება მილიონი ადამიანი გყავდეს ბრბოში, მაგრამ ეს სამეფო ვერ იქნება. სამეფო, ესაა ხალხის ჯგუფი, რომელიც ერთი კანონის ან მმართველობის ირგვლივაა გაერთიანებული. ლექსიკონში სამეფო ასეა განმარტებული: „სამეფო: სახელმწიფო ან მმართველობა რომლის სათავეშიც მეფე ან დედოფალი დგას.“

მიუხედავად იმისა, რომ იესოს დედამიწაზე მოსვლას, შობას აღვნიშნავთ, ბოლომდე ვერ ვაცნობიერებთ, რომ მან საკუთარ თავთან ერთად მმართველობა მოიტანა. ბიბლია საუბრობს ამ მმართველობაზე ესაიას 9:6-7-ში:

> *„რადგან ვაჟი შეგვეძინა, ძე მოგვეცა; მის მხრებზე დაივანებს <u>მმართველობა</u> და ეწოდება მას სახელად საკვირველი მრჩეველი, ძლიერი ღმერთი, საუკუნო მამა და მშვიდობის მთავარი. <u>განივრცობა მისი ხელმწიფება</u> და არ ექნება დასასრული მის მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით ამიერიდან უკუნისამდე; ცაბაოთ უფლის მოშურნეობა აღასრულებს ამას“.*

იესო ამ მმართველობის თავია და როდესაც ქრისტეს ჩვენს პირად მხსნელად ვიღებთ, ჩვენც ამ მმართველობის ნაწილი ვხდებით; ჩვენ მოქალაქეები ვხდებით. და არა უბრალოდ მოქალაქეები ვხდებით, ღვთის ოჯახის წევრებადაც ვიქცევით, როგორც მისი ძეები და ასულები.

> *„მაგრამ, ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. ისინი იშვნენ არა სისხლისგან, არა ხორცის ნდომისგან, არა*

მამაკაცის ნდომისგან, არამედ ღვთისგან“.

– იოანე 1:12-13

„მაშასადამე, თქვენ უკვე აღარ ხართ ხიზნები და უცხონი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღვთის სახლეულნი“.

– ეფესელთა 2:19

როგორც ღვთის ოჯახის წევრები, ჩვენ ვფლობთ ან ვხდებით იმ ყველაფრის ნაწილი, რასაც ღმერთი ფლობს. ჩვენ ასევე მისი დიდებული ხელმწიფების მოქალაქეები ვხდებით. ეს გულისხმობს იმას, რომ ჩვენ გვაქვს კანონიერი უფლებები და პრივილეგიები ამ მმართველობაში. უკეთ რომ გაიგოთ რაზე ვლაპარაკობ, ნება მომეცით ვისაუბრო ჩვეულებრივ მოქალაქეზე ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ამერიკის მოქალაქეს, შენ კანონიერი უფლებები გაქვს. შენი კანონიერი უფლებები დაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში და სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებში. ეს უფლებები და უპირატესობები ეხება ყველა მოქალაქეს, იმის მიუხედავად, თუ ვინ არის. ეს უფლებები არაა დაფუძნებული არც ჩვენს გრძნობებზე და არც იმაზე, თუ რამდენად ჭკვიანები ვართ. არა, ისინი კანონითაა დადგენილი და ყველა იმ მოქალაქეს მიემართება კანონის ფარგლებში, ვინც კი ამერიკას სამშობლოს უწოდებს. შესაძლებელია, რომ მოქალაქემ არც კი იცოდეს თავისი კანონიერი უფლებები, თუმცა მიუხედავად ამისა, ისინი მაინც აქვთ, უბრალოდ იმიტომ, რომ ამერიკის მოქალაქეები არიან.

ახლა, რაღაცაზე უნდა დავფიქრდეთ და იმედი მაქვს რომ ეს შეცვლის მთელ თქვენს ხედვას ღვთისადმი და იმისადმი, თუ როგორ ვიღებთ ღვთისგან. აქ, ამერიკაში, თუკი აღმოვაჩენთ, რომ რაღაც ან ვიღაც ცდილობს ჩვენი კანონიერი უფლებების წართმევას, ან თუკი უსამართლოდ გვექცევიან, ჩვენ გვაქვს წვდომა მართლმსაჯულებასთან (მართლმსაჯულება ნიშნავს კანონის აღსრულებას), პროცესთან რომელიც ჩვენს კანონიერ უფლებებს დაგვიბრუნებს. ჩვენ მივდივართ სასამართლოში, სადაც მოსამართლე ყურადღებას არ აქცევს არც ჩვენს გარეგნობას, არც იმას მდიდარი ვართ თუ ღარიბი. ის კანონს უყურებს. მან ყოველთვის კანონის მიხედვით უნდა მართოს.

ეს არის ჩვენი უსაფრთხოება: რომ ჩვენ კანონიერი უფლებები გვაქვს და ჩვენი ხელისუფალი მართლმსაჯულების ფარგლებში დაიცავს ჩვენს კანონიერ უფლებებს ამერიკაში. ამ ყველაფერზე ფიქრით, კარგად დაუკვირდით ესაიას მე-9 თავს, როცა იგი იმ ახალ მმართველობაზე ლაპარაკობს, რომელსაც იესო მოიტანს დედამიწაზე.

> *„არ ექნება დასასრული მის (იესოს) მშვიდობას დავითის ტახტსა და მის სამეფოზე, რათა განამტკიცოს იგი და დააფუძნოს სამართლითა და სიმართლით...“*
>
> – ესაია 9:7ბ

ეს მუხლი ამბობს, რომ ღვთის სამეფო დაფუძნებული და განმტკიცებულია სამართლით და ღვთის კანონების ადმინისტრირებით. ადმინისტრაცია ნიშნავს შენი კანონიერი უფლებების გატარების პროცესს. შენი კანონიერი უფლებები ისაა, რასაც ღმერთი მართლად ყოფნას უწოდებს, ან რაზეც ამბობს, რომ მართალია, ეს მისი კანონია. იმაში დასარწმუნებლად, რომ შენ გაქვს ის, რაზეც ღმერთი ამბობს, რომ მართალია მის სამეფოში და რაც კანონიერად შენია როგორც ამ სამეფოს მოქალაქის, ღმერთმა მოგცა წვდომა სამართალთან, პროცესთან ან გარანტიასთან იმისა რომ შენ მიიღებ იმას, რასაც იგი დაგპირდა. ღმერთმა მისი ნება ჩვენთვის ცნობილი გახადა თავისი სიტყვით, ბიბლიით, რათა ჩვენ გვცოდნოდა ჩვენი უფლებები მის სამეფოში. ეს კეთილი უწყებაა! ყველაფერს, რასაც ბიბლიაში კითხულობ იმის შესახებ, თუ რას დაგპირდა ღმერთი, უკვე შენია კანონიერად, როგორც მისი სამეფოს მოქალაქის!

მეორე კორინთელთა მიმართ 1:20 ცხადად ამბობს, რომ ყველა აღთქმა — ყველა აღთქმა — არის „ჰო“ და „ამინ“. ეს უკვე გადაწყვეტილია; უკვე შენია კანონიერად.

> *„რადგან ღვთის ყველა აღთქმა მასში არის „ჰო“ და მისით ითქმის ჩვენს მიერ „ამინ“ ღვთის სადიდებლად“.*
>
> *– 2 კორინთელთა მიმართ 1:20*

ღვთის სამეფოს უპირველესი საფუძველი სამართალი და

სიმართლეა — ეს ვერ იქნება საჭოჭმანო. ამრიგად, ასე იფიქრეთ: „თუკი ვიცი ღვთის სამეფოს წესები (მისი ნება) და ვიცი, რომ წვდომა მაქვს სამართალზე, მართვის პროცესზე რაც გარანტიას მაძლევს იმაში, რასაც კანონი ამბობს, მე დარწმუნებული ვარ და არ მეშინია.“

> *„და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი, რასაც კი ვთხოვთ, ვიცით, რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.*
>
> *– 1 იოანე 5:14-15*

როცა მუხლში წერია, რომ ის გვისმენს, აქ არ იგულისხმება, რომ მას ესმის ჩვენი სიტყვები ბგერითი ტალღების მეშვეობით; აქ იგულისხმება, რომ ის საქმის კურსში დგება. იფიქრეთ მოსამართლეზე, რომელიც ისმენს საქმეს იმაში დასარწმუნებლად, რომ სამართალი აღსრულდა. სასამართლო დარბაზის და მოსამართლის მოვალეობაა უზრუნველყონ, რომ სამართალი ყველა მოქალაქისთვის იყოს ხელმისაწვდომი. მოსამართლის გადაწყვეტილება დაფუძნებულია არა მის განცდებზე, არამედ კანონზე, რომელსაც ყველა მოქალაქეზე ავრცელებს თავისი ძალმოსილებით. მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს სამართლის (კანონის ძალის) განხორციელება დაწერილი კანონის თანახმად. ღვთის შემთხვევაში, მისი ტახტი (ძალაუფლების ადგილი) და მისი ძალა სამართლის (მისი ნების განხორციელების) აღსასრულებლადაა ყველა ადამიანისადმი, ვინც იესოსთან და მის სამეფოში მივა.

სამეფოები მოქმედებენ კანონების მიხედვით და კანონები არ იცვლება!

გთხოვთ, კიდევ ერთხელ, ძალიან ნელა წაიკითხეთ ეს წინადადება და ნება მიეცით გავლენა იქონიოს თქვენს ხედვაზე ღვთისადმი. ადამიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ღმერთი გადაწყვეტილებებს იღებს კონკრეტულ შემთხვევაზე დაფუძნებით, მაგრამ ასე არაა. იგი იმ სამეფოს მეფეა, რომლის კანონებიც არ იცვლება. ის არ იღებს და არც მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც მისი კანონის მიღმაა. ამრიგად, შეგვიძლია, ვიცოდეთ, რომ მას უკვე აქვს პასუხი, სანამ ჩვენ

ვკითხავთ და დარწმუნებულები შეგვიძლია ვიყოთ, რომ მისი კანონის მიხედვით უკვე გვაქვს, სანამ დავინახავთ ამას, რადგან მას აქვს ძალაუფლება მისი კანონი მოქმედებაში მოიყვანოს.

როცა მე და დრენდამ სამეფოში ჩვენი კანონიერი უფლებების შესახებ გაგება დავიწყეთ, ჩვენი აზრები მკვეთრად შეიცვალა ღვთისა და ბიბლიისადმი. ჩვენი ახალი გაგების შედეგი შეცვლილი ცხოვრება იყო. არანაირი მათხოვრობა. არანაირი ხვეწნა. ჩვენ ვისწავლეთ, რომ რაც ღმერთმა თქვა, ის კანონიერად უკვე მოგვეცა, როგორც მისი სამეფოს მოქალაქეებს. ჩვენ უბრალოდ უნდა გაგვეგრძელებინა იმის სწავლა, თუ როგორ განგვეცხადებინა თანხმობა იმაზე, რაც კანონიერად ჩვენი იყო, და გამოგვეთავისუფლებინა მიწიერ სამეფოში. იფიქრეთ ჩეკის განაღდებაზე! შეიძლება ჩეკის ანგარიშზე ძალიან ბევრი ფული გქონდეს, მაგრამ არსებობს კანონიერი პროცესი, რომლითაც აცხადებ თანხმობას ამ თანხაზე და ანაღდებ ჩეკს. ყველა საკანონმდებლო სისტემაში არის პროცესი, რომლითაც ჩვენ კანონიერად ვაცხადებთ თანხმობას რაიმეზე, თუნდაც უკვე ვფლობდეთ მას.

> *„მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება, მისი შემეცნებით, ვინც თავისი დიდებისა და სათნოებისკენ მოგვიწოდა“.*
>
> *– 2 პეტრე 1:3*

ეს სამეფოა! ამ სამეფოს ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვთ. მნიშვნელოვანია, ეს გვესმოდეს: სამეფოები მოქმედებენ კანონების მიხედვით და კანონები არ იცვლება. რატომაა ეს ასე მნიშვნელოვანი? ეს მნიშვნელოვანია, რადგან, თუკი სამეფო მოქმედებს უცვლელი კანონების მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ არანაირი დამოკიდებულება არ არის კონკრეტული პიროვნებებისადმი სამეფოში. ამის ნაცვლად, სამეფოში ყველას ერთნაირი უფლებები აქვთ და ერთნაირად შეუძლიათ ისიამოვნონ სამეფოს მოქმედებით ამ კანონების მიხედვით.

აი, აქ ხდება ცოტაოდენი დაბნეულობა ეკლესიურ სამყაროში. ქრისტიანთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ღმერთი თვითნებურად წყვეტს, რისი გაკეთება სურს ვინმეს ცხოვრებაში. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი აზრით ღმერთი წყვეტს, რომ აკურთხოს ვიღაც და არ აკურთხოს სხვა. მათი აზრით ღმერთი უშვებს ადამიანებზე ისეთ რამეს, რისი კონტროლიც მათ არ შეუძლიათ. მათი აზრით ღმერთი განკურნავს ერთ ადამიანს და არ განკურნავს მეორეს. ქრისტიანთა უმრავლესობა ემუდარება ღმერთს, რომ დაეხმაროს მათ, მაშინ როცა მას უკვე გაკეთებული აქვს ყველაფერი მათ დასახმარებლად, რაც კი შეეძლო. მან მისცა მათ სამეფო, მთელი სამეფო!

როდესაც ღმერთმა დამიწყო ლაპარაკი ჩემს ფინანსებზე და იმაზე რომ მჭირდებოდა მეტის სწავლა სამეფოს შესახებ, მან ეს მუხლი მომცა.

> *„ნეტარნი ხართ გლახაკნი, რადგან თქვენია ღვთის სამეფო“.*
>
> *– ლუკა 6:20ბ*

ღმერთი მეუბნებოდა, რომ პასუხი ჩემს ფინანსებზე იყო მისი სამეფო, და თუ ამ აზრს განვავრცობთ, იმის ცოდნა, თუ როგორ მომექცია ამქვეყნიური სამეფო ღვთის სამეფოს კანონებში ისე, როგორც ამას იესო აკეთებდა. ვაღიარებ, თავდაპირველად წარმოდგენაც არ მქონდა, ეს რას ნიშნავდა. მაგრამ, როცა ვფიქრობდი იმაზე, რაც ღმერთმა მითხრა, გავაცნობიერე, რომ სამეფოები რეალურად კანონებით მოქმედებენ. კონკრეტული კანონის ფუნქცია და ეფექტი ყველა შემთხვევაში ერთნაირად უნდა იქნეს დადგენილი, რადგან კანონები არ იცვლება. აქამდე არასოდეს მიფიქრია ამ ყველაფერზე სულიერი გადმოსახედიდან. თუმცა, თუ ეს ასე იყო და ღვთის სამეფო ამგვარად მოქმედებდა, ვიცოდი, რომ შემეძლო, მესწავლა ეს კანონები, გამომეყენებინა ისინი და მათი ჩემს ცხოვრებაში მოქმედებით სარგებელიც მიმეღო.

გავაცნობიერე, რომ კანონები რომლებიც დედამიწას მართავენ, არ იცვლება. სინამდვილეში, სწორედ მათ მუდმივ და უცვლელ ფუნქციებზე დაყრდნობით შეიძლება ვინმეს მთვარეზე გაგზავნა ან თვითმფრინავის აფრენა. მაგრამ ქრისტიანთა უმრავლესობა არ მიდის ღმერთთან ამ გაგებით. ამის ნაცვლად, ისინი ემუდარებიან და ტირიან, როცა რაიმე სჭირდებათ, ცდი-

ლობენ დაარწმუნონ ღმერთი, თითქოს მან უნდა აირჩიოს, იზრუნოს მათზე თუ არა.

მაგალითად, თუ რომელიმე ეკლესიის კონფერენციაზე უნდა მექადაგა, ილოცებდა მთელი ეკლესია იმისთვის, რომ სინათლე არ წასულიყო მთელი ღონისძიების განმავლობაში? ნუთუ იმარხულებდნენ და ილოცებდნენ, ღმერთს შეევედრებოდნენ: „ღმერთო, შენ იცი რამდენად მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა და გვჭირდება სინათლე!“ ისევე როგორც ლოცვისას ქვითინით და გოდებით ითხოვენ? არა მგონია. რეალურად, ვეჭვობ, სინათლესთან დაკავშირებული საკითხი არც კი გაახსენდებოდათ, როცა ამ შეხვედრის დაგეგმვას დაიწყებდნენ. თუკი იმ საღამოს კონფერენციაზე მოვიდოდნენ და რაღაც მიზეზით სინათლე არ იქნებოდა, როგორ გგონიათ ელექტროენერგიის კომპანიაში დარეკავდნენ და შეევედრებოდნენ სინათლის ჩართვას? არა. ასე თუ მოიქცეოდნენ, დარწმუნებული ვარ კომპანიის წაარმომადგენელი ერთი წუთით მოუსმენდა, თავის თანამშრომელს ჩართავდა და ეტყოდა: „ვიღაცა ტვინის წამღებია ხაზზე“. ისიც ყურმილს აიღებდა და იტყოდა: „ქალბატონო, სინათლე ჩართულია. პრობლემა თქვენთანაა.“

როცა ამას კონფერენციაზე ვყვები, ყველა იცინის. იცით რატომ? მათ იციან, რომ ელექტროენერგიის კომპანიაში ქვითინით დარეკვა და იმის თქმა, რომ სინათლე ჩართონ, სისულელეა. უმრავლესობას ეცოდინებოდა რა უნდა გაეკეთებინათ. უბრალოდ უნდა აენთოთ სინათლე. აი ასეთი მარტივი იქნებოდა! არანაირი დიდი ემოციური კვლევა, არანაირი სტრესი, უბრალოდ სინათლეს აანთებდნენ. იცით რატომ არ ისტრესებიან შუქის ანთებისთვის? რადგან ისინი **ᲛᲝᲔᲚᲘᲐᲜ**, რომ შუქი აინთება. ისინი ელოდებიან შუქის ანთებას, რადგან იციან, როგორ მუშაობს ელექტროობა. მათ იციან **ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ**, რომლებიც ელექტროობას მართავენ და იციან, რომ კანონი არასდროს იცვლება.

მაგრამ თუ წარსულში იმოგზაურებდი და 1,000 წლის წინ დაბრუნდებოდი დროში, ვიღაცისთვის რომ გეთქვა, მთელი ქალაქის პატარა შუშის ნათურებით განათებას აპირებდი, იფიქრებდნენ, რომ სრულ ჭკუაზე არ იყავი. და თუკი მართლა დაინახავდნენ ქალაქს კორპუსებით, რომელიც პატარა შუშის ნათურებით იყო განათებული, ამას სასწაულად ჩათვლიდნენ. თუმცა, ეს არ იქნებოდა სასწაული. ეს უბრალოდ ელექტრო-

ობის კანონი იქნებოდა, რომელიც იგივენაირად იფუნქციონირებდა ყველასთვის, ვინც დროს გამოყოფდა ელექტროობის შესასწავლად.

ჩვენ ახლა ვისწავლეთ როგორ მუშაობს ელექტროობა, ან შეიძლება თქვათ, რომ გავიხსენეთ კანონები, რომლებიც ელექტროობას მართავენ. ამრიგად, ჩვენ მოველით, რომ ეს იმუშავებს და არ გვიკვირს როცა მის ფუნქციონირებას ვხედავთ. რეალურად, ის უფრო გვიკვირს, როცა გვიმტყუნებს. იმის გაგებით, თუ როგორ მართავს კანონები ელექტროობას და ამ ყველაფრის დაწერით, ჩვენ შეგვიძლია სინათლე გავაორმაგოთ მთელ სამყაროში. როგორ? შეგვიძლია სხვებს ვასწავლოთ, როგორ მოქმედებს ეს კანონები და ნება მივცეთ მათაც, მიიღონ სიამოვნება და ისარგებლონ სინათლით. ეს ყველაფერი შესაძლო ხდება იმ კანონების ჩაწვდომით, რაც ელექტროობას მართავს. იგივე პრინციპია სულიერი კანონების შემთხვევაშიც. თუ არ გვესმის ისინი, ვერ ვისიამოვნებთ მათით სარგებლობით ან ვერ გავაორმაგებთ ძალას, როცა დაგვჭირდება.

როცა ვხედავთ თვითმფრინავი როგორ მიფრინავს, არ ვამბობთ: „ვაუ! სასწაულია!“ არა, ჩვენ მოველით, რომ თვითმფრინავი იფრენს, რადგან კვლავ ჩვენ გვესმის როგორ და რატომ დაფრინავს თვითმფრინავი. და კვლავ, თუკი წარსულში დავბრუნდებოდით 1,000 წლის წინ და ახალი ორ სართულიანი Airbus 380 გადაიფრენდა ხის წვერის სიმაღლეზე, რას იტყოდა ხალხი? იტყოდნენ, რომ ეს სასწაულია! ვეთანხმები, რომ 380 ნამდვილად შთამბეჭდავია, 600 ტონა წონის, რომელსაც 800 ადამიანი გადაჰყავს ერთი საათის განმავლობაში 917 კმ. სიმაღლეზე 14,500 კმ. მანძილზე. იმდენად საოცარია, შეიძლება გაცდუნოს და გაფიქრებინოს, რომ ეს სასწაულია. მაგრამ ასე არ არის. შეგვიძლია 380-ის ინჟინრებს ვკითხოთ როგორ დაფრინავს იგი და გვეტყვიან ფიზიკის ყველა კანონს, რომელიც თვითმფრინავის ასაფრენად გამოიყენეს. ყველა გამოყენებული ხრახნისა და ნაწილის შესახებ გვიამბობენ. ინჟინრებს არ უთქვამთ საცდელი ფრენისას: „ვაუ! შეხედე! ვერ ვიჯერებ, რომ ეს რაღაც მართლა დაფრინავს.“ ისევ ვიტყვი, ჩვენ დარწმუნებულები ავდივართ თვითმფრინავში, რადგან ვიცით რომ მისი ფრენის უნარი ფიზიკის კანონებზეა დაფუძნებული, რომლებიც არასოდეს იცვლება. მანამ სანამ ამ კანონების

პარამეტრებში ჩავჯდებით, თვითმფრინავი იფრენს. გახსოვდეთ ეს: კანონები არ იცვლება!

არასდროს ავიდოდით თვითმფრინავში, ეს კანონი მუდმივად მოქმედი რომ არ იყოს. ავია ბილეთი რომ ვიყიდოთ და ეწეროს: „ამ თვითმფრინავით ფრენით თქვენ რისკავთ, რადგან აწევის კანონი სპორადულად მოქმედებს. ეს კანონი ერთ დღეს მუშაობს და მეორე დღეს არა. ზუსტად არავინ იცის: ფიქრობთ, რომ იღბლიანი ხართ? მაშინ სასიამოვნო ფრენა.“ როდის შეგეშინდათ ბოლოს, რომ სკამიდან ჰაერში აიწეოდით? არასოდეს? რატომ? რადგან იცით, რომ გრავიტაციის კანონი არასდროს იცვლება.

ეს ყველაფერი, რაც ვახსენე, ღვთის შექმნილი მიწიერი სამეფოს ფიზიკური კანონებია. მაგრამ იცით რა? მისი სამეფოს სულიერი კანონებიც იგივენაირად მოქმედებს — ისინი არ იცვლება! სანამ ღმერთი თავის სამეფოზე დამელაპარაკებოდა, კარგად ვიცოდი როგორ მოქმედებდა დედამიწის ფიზიკური კანონები, მაგრამ ვფიქრობდი რომ ღვთის სამეფო განსხვავდებოდა. ვფიქრობდი ღმერთი ვისაც უნდოდა და რასაც უნდოდა იმას უკეთებდა. მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ეს არ იყო სიმართლე. როცა დავინახე, რომ ღვთის სულიერი სამეფოს კანონები არ იცვლება და შეგიძლია ისწავლო, გაიგო და მიიღო, მივხვდი, რატომ ამბობდა იესო ასე ხშირად: „ცათა სამეფო წააგავს...“. შემდეგ იგი სამეფოს რაიმესთან დააკავშირებდა ბუნებრივი სამეფოდან, რათა ადამიანებს გაეგოთ, როგორ მოქმედებს იგი. უეცრად, თითქოს ჩემს გონებაში ნათურა აინთო. ვიფიქრე: „თუკი ღმერთმა მოგვცა სამეფო, და მან ნამდვილად მოგვცა, და სამეფო მოქმედებს უცვლელი კანონებით, შემიძლია, ვისწავლო ეს კანონები და ჩემს ცხოვრებაში გამოვიყენო.“

> *„ნუ გეშინია, მცირე სამწყსოვ, ვინაიდან თქვენმა ზეციერმა მამამ კეთილინება თქვენთვის ცათა სამეფოს მოცემა“.*
>
> *– ლუკა 12:32*

ამ დღეს სულიერი მეცნიერი გავხდი! ბიბლია სულ სხვა სინათლეზე დავინახე. დავიწყე კითხვების დასმა მისი კითხვისას: „რატომ გამრავლდა ის თევზი? რატომ განიკურნა ის ადამიანი? რატომ გამრავლდა ის პური?“ და ა.შ. როცა ბიბლიას ასე

მივუდექი და ღმერთს ვთხოვე დაენახებინა ჩემთვის მასში გამოვლენილი კანონები — ვაუ!

მაშინ, როცა ღმერთი დამელაპარაკა ადვოკატის ზარის შემდეგ და მითხრა, რომ ჩემი გასაჭირის მიზეზი ის იყო, რომ დრო არ გამომიყვია მისი სამეფოს მოქმედების პრინციპის გასაგებად, მაშინვე ქვევით ჩავედი და ჩემი ცოლის წინაშე მოვინანიე ის, რომ ღმერთს არ ვეძებდი და ნება მივეცი ჩვენს თავებს ამ არეულობაში ჩავცვენილიყავით, როგორც უკვე ვთქვი. მაგრამ რეალურად არ გვესმოდა, რას ნიშნავდა, მივნდობოდით ზეციურ სამეფოს პასუხების მისაღებად. კვლავ ვიტყვი, რომ ჩვენ უკვე ეკლესიაში ვიყავით, სასუფევლის გზას ვადექით და ღმერთი გვიყვარდა. იმ დროს, წარმოდგენა არ გვქონდა რა იგულისხმა ღმერთმა, როცა „სამეფო“ ახსენა. რეალური პრობლემა გვქონდა ხელთ და არ ვიცოდით, როგორ გვეშოვნა ფული, რომლის გადასახდელადაც ადვოკატმა სამი დღე მოგვცა. არც ის ვიცოდით, როგორ გავმკლავდებოდით სასამართლო დავას, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ აღიძრებოდა თუკი თანხას სამ დღეში ვერ ვიშოვიდით.

ასე რომ, ეს კარგი გამოცდა იყო. ეს იყო ჩემი პირველი გამოცდილება ფულად პრობლემასთან დაკავშირებით და მინდოდა უფალს ეჩვენებინა რა იგულისხმა „სამეფოში“. ნება მომეცით გითხრათ: რა მოხდა? შეგახსენებთ, ადვოკატმა სამი დღე მომცა იმ თანხის დასაბრუნებლად, რომელიც არ მქონდა. სასოწარკვეთილი ავედი საძინებელში და ღმერთს შევღაღადე. მე განსაცდელში ვიყავი! რა თქმა უნდა, სწორედ მაშინ დამელაპარაკა ღმერთი სამეფოზე, როგორც პასუხზე. წარმოდგენა არ მქონდა, რა იგულისხმა, მაგრამ ნამდვილად მსურდა გამეგო.

ორი დღის შემდეგ, საღამოს, კლიენტს უნდა შევხვედროდი სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, იმ დღეებში, ჩემს მანქანას ყოველთვის ჩემი კლიენტის სახლთან ახლოს, კუთხეში ვაყენებდი და არა სახლის წინ. მინივენს, რომელსაც მე ვატარებდი, რაღაც პრობლემა ჰქონდა. დაქოქვისას, გზას თეთრი კვამლით ავსებდა და ეს კვამლი სულაც არ იყო ცოტა. უბრალოდ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თუკი ასეთ მანქანას ჩემი კლიენტის სახლის წინ დავაყენებდი, ეს ნამდვილად ვერ წაადგებოდა ჩემს ბიზნესს, რადგან იქიდან წამოსვლისას მის

სახლთან მისასვლელ გზასაც კვამლით ავავსებდი. მივიჩნიე, რომ თუ ეს მოხდებოდა, გავლენას იქონიებდა ჩემს საიმედოობაზე ფინანსების სფეროში, რამდენადაც მათ ვთხოვდი, ასეულობით ათასი დოლარი დაებანდებინათ ჩემთან. ყველაფრის შემდეგ, თუ მე კარგი ფინანსური მენეჯერი ვიყავი, რატომ უნდა მეტარებინა მანქანა, რომელიც ძლივს გადაადგილდებოდა? არც ის ღამე იყო განსხვავებული.

როცა კლიენტის სახლიდან გამოვედი, ძალიან შემეშინდა, რადგან დავინახე, რომ იგი მომყვებოდა. ამას რაიმე განზრახვით არ აკეთებდა, უბრალოდ ვლაპარაკობდით. ვნერვიულობდი, რომ მანქანის დაქოქვისასაც იქვე იქნებოდა. საუბარი მაშინაც განვაგრძეთ, როცა მანქანაში ჩავჯექი. ფანჯარა ჩამოვწიე და ლაპარაკს კვლავ ვაგრძელებდი, იმ იმედით, რომ ღამე მშვიდობისას მისურვებდა, შემდეგ მე რამდენიმე წუთის განმავლობაში თავს მოვაჩვენებდი, თითქოს რაღაცას ვაკეთებდი, სანამ ის თვალს მიეფარებოდა. მაგრამ ასე არ მოხდა. საბოლოოდ, დამემშვიდობა, მაგრამ უბრალოდ უკან დაიხია და მინივენის უკან დადგა. ვიცოდი, სხვა გზა არ მქონდა. მანქანა დავქოქე იმ იმედით, რომ ამ ერთხელ მაინც არ ამოვარდებოდა თეთრი კვამლი, თუმცა იმედი არ გამიმართლდა. ჰაერი მაშინვე გაივსო კვამლით, რომელიც თვალებს დაგწვავდა.

იმ კაცმა სწრაფად მანიშნა მანქანა ჩამექრო. ფანჯარასთან მოვიდა და მთხოვა კაპოტი ამეხადა. შემდეგ ამიხსნა, რომ ნახევარ განაკვეთზე მანქანის ხელოსნად მუშაობდა და სურდა რაღაც შეემოწმებინა. ერთ წუთში მოვიდა და მითხრა: „როგორც ვფიქრობდი, მთავარი შუასადები გაქვს გატეხილი. სახლში წაიყვანე მანქანა და მაშინვე შეაკეთე!“ მადლობა გადავუხადე და სახლში წამოვედი, თუმცა ეს დიაგნოზი ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. მინივენის შესაკეთებლად ფული არ მქონდა.

ოფისი დაახლოებით ათი კილომეტრით იყო დაშორებული ჩემი კლიენტის სახლიდან. ოფისისკენ გზად დეპრესიის ნაცნობი საბანი კვლავ თავზე გადამეფარა. თუმცა საჭესთან მჯდომს გამახსენდა, რა მითხრა ღმერთმა და მას ჩემს მანქანაზე დავუწყე ლაპარაკი. „უფალო, ფული არ მაქვს მანქანის შესაკეთებლად. ჯერ კიდევ არ გადამიხდია მისი ვალი და გაფუჭებულს ვერ გავყიდი. უბრალოდ არ ვიცი: რა ვქნა? იქნებ უკეთესი იყოს მანქანა სულ დაიწვას. ამ შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია

დაფარავდა ზარალს და მისგან გავთავისუფლდებოდი“ - ვუთხარი მე.

ოფისიდან დაახლოებით სამ კილომეტრში, ბუშტუკი შევნიშნე, რომელიც აქამდე კაპოტზე არ შემიმჩნევია. ვუყურებდი, როგორ იზრდებოდა და იზრდებოდა ბუშტი და როგორც კი ჩემი ოფისის ავტოსადგომზე შევედი, გასკდა და ცეცხლის ალად გადაიქცა. შოკირებული ვიყავი. ჩემი მანქანის წინა ნაწილი მთლიანად ორი მეტრის სიმაღლის ცეცხლით იყო დაფარული. სასწრაფოდ შევვარდი ოფისში და სახანძრო განყოფილებაში დავრეკე. მეორე დღეს, სადაზღვევო კომპანიამ სრულად აანაზღაურა ზარალი. მათ მომცეს ჩეკი, რომელზეც გარდა მისი ღირებულებისა, საკმარისი თანხა რჩებოდა იმ ვალის გადასახდელად, რომელზეც ადვოკატმა სამი დღის წინ დამირეკა. მე და დრენდა გაოცებულები ვიყავით. ვიცოდით რომ ღმერთი მოქმედებდა ჩვენთვის და რომ რაღაც იცვლებოდა. მაგრამ ჩვენი კავშირი სამეფოსადმი, ჯერ ახლა უნდა გამოცდილიყო და გზა შეექმნა ჩვენთვის მომავალი წლებისთვის.

ამ დროს, საკუთარ თავებს დავუმტკიცეთ რომ ღვთის სისტემა მუშაობდა და ამ მომენტიდან ერთგულად დავიწყეთ ღვთის სამეფოს სისტემების სწავლა და გამოყენება.

მინივენის დაწვის შემდეგ, რა თქმა უნდა გახარებულები ვიყავით, მაგრამ უეცრად მივხვდით, რომ მანქანის გარეშე დავრჩით. მიუხედავად იმისა, რომ მინივენის ვალიც და ადვოკატის კრედიტიც გადახდილი იყო, ახალი მანქანის შესაძენად ფული არ გვქონდა. მამაჩემმა გაიგო რომ მინივენი დავკარგეთ, დამირეკა და მითხრა, რომ სურდა ახლის შეძენაში დაგვხმარებოდა. ძალიან გაგვახარა ამ სიახლემ. ამრიგად, მე და მამაჩემი წავედით ადგილობრივ მანქანების ბაზრობაზე და ვნახეთ მინივენი, რომელიც მე და დრენდას მოგვეწონა. მამაჩემმა თქვა რომ ის 5,000 დოლარს დაფარავდა, მაშინ როცა მანქანა 17,000 დოლარი ღირდა. ეს ნიშნავდა, რომ 12,000 დოლარი გვრჩებოდა გადასახდელი. უღიმღამოდ შევავსე კრედიტის აპლიკაცია, რომელსაც მამაჩემმაც მოაწერა ხელი. პასუხს დილას გამაგებინებდნენ.

იმ ღამით ვერ დავიძინეთ. ვიცოდით, იმ ვალს ვერ ავიღებდით. ღმერთი სულ ცოტა ხნის წინ დამელაპარაკა ასეთი

რაიმეს გაკეთებაზე. მაგრამ მანქანის გარეშე, კიდევ უფრო დიდი წნეხის ქვეშ ვიყავი, რომელიც ცდილობდა გავეტეხე და დავნებებულიყავი. საშინელი უძილო ღამის შემდეგ, დრენდა და მე შევთანხმდით რომ ამ ვალის აღებაზე ხელს ვეღარ მოვაწერდით. მამაჩემს დავურეკე, მადლობა გადავუხადე შემოთავაზებისთვის და ვუთხარი, რომ უარის თქმას ვაპირებდით. შემდეგ მანქანების ბაზრობაზე დავრეკე და იქაც იგივე ვუთხარი. ისინიც იმედგაცრუებულები იყვნენ, რადგან იმ დილით კრედიტზე დადებითი პასუხი მოვიდა და მანქანა წასაყვანად მზად იყო. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენა არ გვქონდა, როგორ აპირებდა ღმერთი ჩვენს დახმარებას ამ საკითხში, საოცარი მშვიდობა ვიგრძენით.

ამ პერიოდში, დრენდა ჩვენს ავტოფარეხში ნაპოვნ რამდენიმე ანტიკვარულ ნივთს ყიდდა. მას შეტყობინება ჰქონდა დატოვებული ერთი კაცისთვის ავეჯის ყიდვის შესახებ, რომელსაც იგი მანქანის დაწვამდე ერთი თვით ადრე ყიდდა, მაგრამ მას ვერ დავუკავშირდით. მინივენის დაწვიდან რამდენიმე დღეში, მან დარეკა და დაგვთანხმდა ავეჯით სავსე სამი ოთახი 1,000 დოლარზე ნაკლებად მოეყიდა. დრენდამ შეთანხმება დადო სააუქციონო კომპანიასთან, რათა მისთვის ავეჯი გაეყიდათ. მან შეძლო აუქციონზე მოლაპარაკებები ისე ეწარმოებინა, რომ აუქციონის კომპანიის მფლობელობაში მყოფი კარგად ნახმარი მანქანა მიეღო ნაღდი ფულის ნაცვლად. ასე რომ, ახლა ჩვენ გვქონდა კარგი სადგურის ვაგონი, რომლისთვისაც გადახდილი იყო, საკრედიტო ბარათი, რომლისთვისაც გადახდილი იყო და მინივენის ვალი, რომლისთვისაც ასევე გადახდილი იყო.

ვაუ! აი ასე მოქმედებს სამეფო. ამ დროს, საკუთარ თავებს დავუმტკიცეთ რომ ღვთის სისტემა მუშაობდა და ამ მომენტიდან ერთგულად დავიწყეთ ღვთის სამეფოს სისტემების სწავლა და გამოყენება. შეიძლება იკითხოთ: „რომელი პრინციპი გავიგეთ?“ ყველაზე დიდი იყო, არ მივნდობოდით ვალს, არამედ გვეთხოვა ღვთისთვის, რაც გვჭირდებოდა და ნება მიგვეცა მისთვის, ეჩვენებინა, როგორ მიგვეღო იგი.

მანქანის შემთხვევამ დამაფიქრა და გააძლიერა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც რამდენიმე თვით ადრე მოხდა, მაგრამ იმ დროს არ მესმოდა, რას მაჩვენებდა ღმერთი. ეს წერტილები ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული ჩემს გონებაში, როგორც სამეფოს პრინციპები.

ძალიან მიყვარს ირმებზე ნადირობა, თუმცა წლების განმავლობაში ხელცარიელი ვბრუნდებოდი უკან. წავიდოდი, სიცივეში დავჯდებოდი და დღიდან დღემდე უიღბლო ვიყავი. მხოლოდ ნადირობა მიყვარდათქო ვერ ვიტყვი; ბავშვები უნდა გამომეკვება, რისთვისაც ნამდვილად შემეძლო ირმის ხორცის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში გარკვეული წარმატება მქონდა, ჩემი წარმატებული ნადირობის სეზონიდან და სახლში ხორცის მოტანიდან უკვე წლები იყო გასული. ერთხელ, როცა მომავალ ნადირობის სეზონზე ვფიქრობდი, უფლის ხმა გავიგონე, რომელმაც მითხრა: „რატომ არ მაძლევ ნებას, გაჩვენო, როგორ მოიპოვო ირემი ამ წელს?“ ამან შემაკრთო. „მაჩვენო როგორ მოვიპოვო ირემი ამ წელს?“ ეს რას ნიშნავს? ამ სიტყვებზე ლოცვისას, ვიგრძენი, რომ უნდა დამეთესა ფინანსური თესლი ანუ შესაწირი, რათა შემდეგ ირემი მომემკა. ვიგრძენი როგორ მითხრა უფალმა, რომ ვიდრე მართლა მივიღებდი, ირმისთვის დათესვისთანავე დამეჯერებინა, რომ უკვე მივიღე იგი, როგორც მარკოზის 11:24-შია დაწერილი:

> *„ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ (ინგლისურში -მიიღეთ) და მოგეცემათ“.*

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ქრისტიანი ყოველთვის გავცემდი და მხარს ვუჭერდი ჩემს ეკლესიას, ასე, განზრახვაზე ფოკუსირებით დათესვა და იმის დაჯერება, რომ ლოცვისას მივიღებდი, ჩემთვის ახალი იყო. თუმცა, ჩეკი ავიღე და მეორე მხარეს მივაწერე - „ჩემი 1987 წლის ირმისთვის.“ შემდეგ ხელები დავასხი, გავაგზავნე მსახურებაში, რომელშიც დარწმუნებული ვიყავი და განვაცხადე, რომ მისი გაგზავნისას უკვე მივიღე ჩემი ირემი. ტალსაში, ოკლაჰომაში, შეზღუდულ ქალაქში მცხოვრებს, ადგილი არ მქონდა, სადაც შემეძლო მენადირა, მაგრამ ერთმა ჩემმა მეგობარმა ეკლესიიდან, ბებიამისის სახლში, სოფელში დამპატიჟა მადლიერების დღისთვის. მან ისიც მითხრა, რომ ფერმის მიმდებარედ რამდენიმე ირემი იყო. ასე რომ, მადლიერების დღის დილას, ჩემი ოჯახი სოფლისკენ გაეშურა, რათა საჭმლით და მოზიარეობით გვესიამოვნა და ჩემი ირემიც მომეკლა.

ჩემმა მეგობარმა არ იცოდა, საით სჯობდა წავსულიყავი, თუმცა, რადგან იქვე ტყეებით გარშემორტყმული საძოვარი იყო, შემომთავაზა სწორედ ამ საძოვარზე გავსულიყავი და დიდი ხის გვერდით დავმჯდარიყავი. ახლა, მინდა ეს სურათი წარმოიდგინოთ. მოთიბული თივის საძოვარზე ვიჯექი, რომლის შუაშიც ერთი დიდი ხე იდგა. სახით ტყისკენ მჯდომი, რომელიც ჩემგან დაახლოებით 120 მეტრით იყო დაშორებული, ზურგით ხეს მივეყრდენი. უკნიდან, გაშლილ მინდორში ხის გვერდით მჯდარს თუ შემხედავდით, ნამდვილად ვერ იტყოდით, რომ იდეალურ სიტუაციაში ვიყავი.

დილით, დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში, ჩემს უკან ირემი დარბოდა მინდორში, იმ ტყეებისკენ რომელიც ჩემს წინ იყო, ისე რომ მე არაფერი ვიცოდი. ეს ხე ჩემსა და ირემს შორის იყო, ისე, რომ ირემი მე ვერ მხედავდა და მე ირემს. ირემი პირდაპირ ხისკენ გამოიქცა ისე რომ მე არ დავუნახივარ. როდესაც მომიახლოვდა, ჩემი სუნი ეცა და გაჩერდა, აინტერესებდა: სად ვიყავი? ხეს შემოუარა და ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, როცა ჩემგან მხოლოდ 5 მეტრში იყო. დარწმუნებული არ ვარ, რომელი უფრო გაკვირვებული ვიყავით, თუმცა ირემს დრო არ დაუკარგავს და სწრაფად იმოქმედა. ხმამაღალი ფრუტუნით ტყისკენ გაიქცა. როცა ის სრული სისწრაფით მიქროდა, მე კვლავ ვიჯექი, ვცდილობდი ჩახმახი შემეყენებინა და მიზანში ამომეღო.

გესროლა თეთრ კუდიანი ირმისთვის, რომელიც სრული სისწრაფით მირბოდა, სულაც არ იყო ადვილი. სიმართლე გითხრათ, მორბენალი ირმისთვის მანამდე არასდროს მესროლა. მახსოვს ძლივს ვუმიზნებდი, რადგან მაღლა ხტებოდა ჰაერში, როგორც ზოგადად ამერიკული თეთრკუდა ირემი აკეთებს, როცა სრული სისწრაფით მირბის. მაგრამ, როცა სასხლეტს გამოვკარი, ირემი დაეცა და არ განძრეულა. შოკირებული ვიყავი! ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა. როგორც შემდეგ გადავზომე100 მეტრის სიშორეზე გავისროლე.

გასროლის ხმაზე, ჩემი მეგობარი გამოვიდა და მომილოცა როცა ძირს დაგდებული ირემი დაინახა. მისთვის არაფერი მქონდა ნათქვამი იმაზე, რაც უფალმა ირმის მიღების შესახებ მითხრა, მაგრამ შევხედე და ვუთხარი: „არა მგონია, ეს ირემი ჩემი დიდებული მონადირული უნარის დამსახურება იყოს!“

შემდეგ ჩემი მონადირის ქურთუკიდან ჩეკის გაგზავნით დათარიღებული ქაღალდი ამოვიღე. იქ უბრალოდ ეწერა: „მჯერა, რომ ჩემს 1987 წლის ირემს მივიღებ იესოს სახელით!“ ამ ფურცელზე ის თარიღი და დროც მეწერა, როცა ამ ლოცვით ვილოცე. მეგობარს ფურცელი გავუწოდე, რათა ენახა და შემდეგ იმის მოყოლა დავიწყე, თუ რისი გაკეთება დამავალა ღმერთმა.

ამ მოვლენამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ ღვთისგან იყო. მაგრამ რაღაც მიზეზით, ვერ ვხვდებოდი, რომ სამეფოს კანონს ვეცნობოდი. რეალურად, ტერმინი „სამეფო“ იყო ის, რაზეც არასოდეს მეფიქრა. ირმის მიღება საოცარი იყო, მაგრამ კიდევ მოხდებოდა? თუკი სამეფოს კანონებზე არ ვიფიქრებდი, არ მეცოდინებოდა, რომელმა კანონმა გამოიწვია ირმის გამოჩენა. ასე რომ, ეს ღვთიურად მივიჩნიე და მოუთმენლად ველოდი შემდეგ ნადირობის სეზონს, რათა კვლავ გამომეცადა. მაგრამ სეზონის მოსვლამდე, მანქანას ცეცხლი წაეკიდა. მანქანის დაწვისა და სადგურის ვაგონის გამოჩენის შემდეგ, რომლისთვისაც ფასი უკვე გადახდილი იყო, სრული ყურადღება ღვთისკენ მივმართე. ახლა აღელვებული ველოდი სანადიროდ წასვლას მომავალ სეზონზე. მინდოდა გამომეცადა ჩემი თეორია და მეტი გამეგო ღვთის სამეფოზე. ნადირობის სეზონი არც ისე შორს იყო!

ამ პირველ ირემს, ოკლაჰამაში, 1987 წლის შემოდგომაზე ვესროლე. მაგრამ 1988 წლის ივლისში, ოჰაიოში გადავედით. მე იქ გავიზარდე, თუმცა, უკვე 12 წელი იყო გასული, რაც იქ აღარ ვცხოვრობდი. იქ ყოფნის წლებში, არანაირი წარმატება არ მქონდა ოჰაიოს ირმის მონადირეობაში. არაერთხელ მიცდია, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოვარტყი. როცა ოჰაიოში ნაქირავებ სახლში დავსახლდით, მივხვდი რომ წარმოდგენა არ მქონდა სად მენადირა. პატარაობისას კურდღლებზე ვნადირობდი მამაჩემის სახლის გზის გადაღმა, უბესთან. წლების განმავლობაში დავდიოდი იმ ადგილებში მაგრამ არც ირმისთვის მომიკრავს თვალი და არც რაიმე ნიშნისთვის, რომ იმ ტერიტორიაზე ირმები იყვნენ. ერთ დღეს, კოლეჯში ვიყავი, როცა ჩემმა ძმამ აღელვებულმა დაგვირეკა. მან თქვა, რომ მამაჩემის სახლთან ახლოს, უბესთან ირემი დაინახა. ამან ორივე გაგვაოცა.

ეს საუბარი გამახსენდა და გადავწყვიტე, რომ ნადირობის სეზონის გახსნის დღეს ამ უბისკენ გავეშურებოდი. ჩემს

ძმას დავურეკე და რჩევა ვკითხე, თუ კონკრეტულად სად წავსულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ წლები იყო გასული მისი იქ ყოფნიდან, ახსოვდა დიდი ნეკერჩხლის ხე, რომელიც უბეს ესაზღვრებოდა ტყისკენ და იფიქრა, რომ ეს კარგი საორიენტაციო ადგილი იქნებოდა. რადგანაც მთელი ბავშვობა ამ უბის აღმა-დაღმა დავდიოდი და ყველა შესახვევს ვიცნობდი, ზუსტად ვიცოდი საით მიმითითა.

მე და დრენდამ გავაორმაგეთ ის, რაც უფალმა წინა წელს გვაჩვენა ოკლაჰამამდე — დავთესეთ, ჩავიწერეთ და ვირწმუნეთ, რომ მარკოზის 11:24-ის თანახმად მივიღებთ, როცა ვლოცულობთ. იმ დროს, ოჰაიოში ნადირობის ლიმიტი ორი ირემი იყო და სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა. მაგრამ, ვფიქრობდით, რომ დავთესავდით ერთისთვის, შემდეგ გავიდოდით და მეორესაც მივიღებდით. მე და დრენდამ დავთესეთ ირმისთვის და ვირწმუნეთ, რომ ლოცვის დროს უკვე მივიღეთ. ჩვენდა გასაოცრად, ნადირობის სეზონის გახსნიდან 40 წუთში, არა ერთი, არამედ ორი ირემი მქონდა. ვაუ, ნამდვილად რაღაცისკენ მივდიოდით!

ერთი თვის შემდეგ, ერთი ბიზნეს იდეის შესახებ დამესიზმრა. ეს ბიზნესი მთელ იმ ფინანსურ ცოდნას მოიცავდა, რაც სადაზღვევო ბიზნესში მივიღე, თუმცა სიზმარში მას სხვა მიზანი ჰქონდა. ბოლომდე ვერ გავიგე, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ღმერთი ჩემი საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და იმ ფირმის დატოვებისკენ მიმიძღვოდა, რომელშიც 8 წელი გავატარე. იმ დროს კვლავ სიცოცხლის დაზღვევისა და უსაფრთხოების გაყიდვების განყოფილებაში ვმუშაობდი.

ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲘᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ 7 ᲬᲔᲚᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲔᲦᲬᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ, ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲐ.

იმ კვირაში, როცა ეს სიზმარი ვნახე, დაგეგმილი მქონდა შეხვედრა ოჯახთან, რომელთანაც სიცოცხლის დაზღვევაზე უნდა მელაპარაკა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ვლაპარაკობდით, ვიცოდი, სიცოცხლის დაზღვევის ქონა ნამდვილად არ ყოფილა ამ ოჯახის რეალური საჭიროება და პრობლემა. მათ ყველაფერი თავდაყიდა ჰქონდათ ყოველთვიურ ბიუჯეტსა და ვალებში. კლიენტებთან ჩემი საქმიანობის ნა-

წილს მონაცემების ფორმის შევსება შეადგენდა სადაც მთელ მათ ფინანსურ მონაცემებს გადმოვიტანდით. ეს საშუალებას მაძლევდა გამომეთვალა: რა თანხის სიცოცხლის დაზღვევა სჭირდებოდათ მათ? იმ ღამით, ძალიან ვდარდობდი ამ ოჯახზე. მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ არ ვიცოდი: როგორ? დავჯექი მათი მონაცემების ფურცლით ხელში და ვარიანტების ძებნა დავიწყე. როცა ფინანსების კალკულაციას ვაკეთებდი, სიცოცხლის დაზღვევის პერსპექტივიდან გადავუხვიე და დავფიქრდი: თუ შემეძლო რაიმე თანხა გამომენთავისუფლებინა მათი თვიური ბიუჯეტიდან? გარკვეული ხარჯების გადანაცვლებისა და კალკულატორზე თამაშის შემდეგ, გაოცებული ვიყავი იმით, რომ ამ ოჯახს შეეძლო 7 წელზე ნაკლებში დაეღწია თავი ვალებისგან, გირაოს ჩათვლით, შემოსავლის ცვლილების გარეშე.

ამ დროს, უკვე 8 წელი მქონდა გატარებული ფინანსების სფეროში და არასდროს მსმენოდა ვინმეს ეთქვა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. ვითვლიდი და ვითვლიდი ხელახლა და ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე პასუხს ვიღებდი: 6.2 წელში ისინი ვალისგან განთავისუფლდებოდნენ. საბუთების უჯრასთან მივედი და სხვა კლიენტის მონაცემთა ფორმა ავიღე. იგივე გათვლები გავაკეთე და იგივე პასუხი მივიღე: 7 წელზე ნაკლებში ვალებისგან განთავისუფლდებოდნენ. სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვიყავი ამ მონაცემებით.

ვიფიქრე, ჩემს კლიენტს ძალიან გაახარებდა ამის გაგება, ამიტომ გადავწყვიტე კარგი პრეზენტაცია მომემზადებინა და წარმედგინა: რა აღმოვაჩინე მათი სიცოცხლის დაზღვევის საჭიროებაზე ფიქრისას? მართლა ვწუხდი ამ ოჯახზე. ვიცოდი, როგორ მოქმედებდა ფინანსური სტრესი ცხოვრების ყველა სფეროზე და მინდოდა, სცოდნოდათ რომ იმედი არსებობდა. ამრიგად, კლიენტს ჩემი პრეზენტაცია წარვუდგინე და როცა რიცხვებზე გადავედი, გაოცებულნი ისხდნენ. ვაჩვენებდი, რა მალე შეეძლოთ ვალებისგან განთავისუფლება, ამ დროს ქმარი ცრემლებით სავსე თვალებით წამოხტა და მადლობის გადახდა დამიწყო. ზუსტად ისე იყო, როგორც ტელევიზორში აჩვენებენ ოჯახს, რომელმაც ან ლატარიაში მოიგო თანხა ან მთავარი პრიზი გასართობ შოუში. ძლივს იჯერებდნენ, რასაც ვეუბნებოდი. ეს მათთვის მართლაც ამაღელვებელი გამოცდილება იყო, თუმცა არც ჩემთვის იყო ნაკლები.

როცა ამ საღამოზე ვფიქრობდი, ვერ ვიჯერებდი ფაქტს, რომ კლიენტის აქტივებისა და რიცხვების უბრალო გადაადგილებით შესაძლებლობა მომეცა, მეჩვენებინა: როგორ განთავისუფლებულიყვნენ ვალისგან 7 წელზე ნაკლებში? დავინახე ის მუხტი და იმედი, რაც მათ მიეცათ. ჩემი დანარჩენი კლიენტების ფაილებს დავუბრუნდი იმის შესამოწმებლად, თუ რამდენი მოყვებოდა ამ „7 წელზე ნაკლებ დროში ვალებისგან განთავისუფლების ჩარჩოში“. გამაოცა იმან, რომ მათი 85 % ასე იყო. მაგრამ ვინ ეუბნებოდა ამას ხალხს? იმ ღამის შემდეგ რომელიც ჯერ კლიენტთან და შემდეგ ჩემი ძველი კლიენტების ფაილებზე მუშაობაში გავატარე, მივხვდი, რომ შემეძლო, დამეწყო ბიზნესი, სადაც ადამიანებს ვაჩვენებდი: როგორ შეეძლოთ ვალებისგან განთავისუფლება ჩემი გეგმის მიხედვით?

იმ დროისთვის მე თვითონაც არ ვიყავი ვალებისგან თავისუფალი, მაგრამ ნამდვილად მქონდა ემპათია ფინანსურ სტრესში მყოფი ხალხისადმი. ეს მისია ბევრად უფრო მხიბლავდა ვიდრე უბრალოდ სიცოცხლის დაზღვევის გაყიდვა. ყველა ჩემი დაზღვევის კლიენტისთვის იგივე სახის ამონაბეჭდის ჩვენება დავიწყე და გამონაკლისის გარეშე, ყველა შოკირებული იყო

თუმცა, ბიზნეს მოდელად ჩამოყალიბებისთვის, რამდენიმე საკითხი უნდა გადამეჭრა. პირველი ის იყო, რომ ძალიან დიდი დრო მიჰქონდა ჯერ კალკულაციის ხელით ჩატარებას და შემდეგ მონაცემების ხელით აკრეფას, რათა პრეზენტაციის ფორმა მიმეცა. მეორე, როგორ გამოვიმუშავებდი ფულს ამის კეთებით? საბოლოოდ, შევუთანხმდი პროგრამისტს და უკვე ხელთ მქონდა დაწერილი პროგრამა, რომლის გამოყენებითაც ბევრად სწრაფად შევქმნიდი გეგმას. რაც შეეხება მეორე საკითხს, ვიცოდი, რომ ხალხს ვალებისგან თავის დაღწევაში ფულს ვერ გადავახდევინებდი, როცა მათ ფული საერთოდ არ ჰქონდათ. ამაზე ლოცვა დავიწყე.

ერთ დღეს ამაზე ვფიქრობდი. ვიგრძენი, რომ ღმერთმა იდეა მომცა, თუ როგორ მემართა ჩემი კომპანია, დავხმარებოდი ადამიანს ისე, რომ მათთვის გადასახადი არ დამეკისრებინა და ამავდროულად, თანხა გამომემუშავებინა. ჩემი გეგმის მიხედვით უნდა მომეძებნა როგორც მე ვეძახი — დაკარგული ფული, ფული რომელიც ჩემს კლიენტს უკვე ჰქონდა, მაგრამ ვერ ხედავდა. მაგალითად, შევადარებდი ავტომობილის, სახლის, სიცოცხლისა

და ჯანმრთელობის დაზღვევის კოეფიციენტს და დანაზოგის ძებნას დავიწყებდი. შევადარებდი გირაოს პროცენტს, რათა დამენახა, რაღაცების გადაადგილებას თუ ჰქონდა აზრი. ბევრ ასეთ რამეს შევამოწმებდი, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ბიზნესის ყველა იმ სფეროს არ ვიცნობდი, რასაც ვიკვლევდი. როცა ჩემი კლიენტის სახლში, დანაზოგს ვაჩვენებდი და შემდეგ ვთავაზობდი ეპოვნათ კომპანია რომელიც ჩემს იდეებს განახორციელებდა ან ჩემს მიერ მოძებნილი კომპანიის წარმომადგენელი ეპოვნათ, რომელიც ნაკლებად ძვირი იყო მათთვის. უეცრად გავაანალიზე, რომ ამ კლიენტს საშუამავლო გადასახადის გადახდა მოუწევდა ამ კომპანიისთვის.

რეალურად, მე უკვე ყველაფერი მქონდა გაკეთებული, რომ ჩემი კლიენტისთვის იმ კომპანიის პროდუქტი მიმეყიდა. ერთადერთი, რაც მათ რჩებოდათ, უბრალოდ ხელის მოწერა იყო. ასე რომ, დავიწყე იმ გამყიდველებთან, წარმომადგენლებთან და პროფესიონალებთან დაკონტაქტება, ვისაც ჩემს კლიენტებს ვთავაზობდი, ვეუბნებოდი: რას ვაკეთებდი და ვეკითხებოდი: მათი აზრით, იქნებოდა თუ არა ამისთვის საშუამავლო გადასახადი საჭირო? ყველა მათგანი დადებითად მპასუხობდა კითხვაზე. ამრიგად, აი, რა გავაკეთე. წამოვედი ჩემი ძველი კომპანიიდან და დავაარსე ჩემი საკუთარი კომპანია, რათა ადამიანებს ვალებისგან განთავისუფლებაში დავხმარებოდი. ბიზნესი კარგად წავიდა და საკმარისი თანხაც გამოვიმუშავეთ, რომ მე და დრენდა ვალებისგან ორ წელიწად ნახევარში გავთავისუფლებულიყავით. ისეთი ბედნიერები ვიყავით! (თუ დაგაინტერესებთ უფასო გეგმის შედგენა დაგვირეკეთ ნომერზე 1-800-815-0818. ჩვენ კვლავ ვაკეთებთ ამას, 28 წლის შემდეგაც კი!)

ყოველი დღე იყო ახალი, რადგან ღმერთი უფრო და უფრო მეტს გვაჩვენებდა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სამეფო. როცა სხვა კლიენტს ვსტუმრობდი, ღმერთი დამელაპარაკა და მითხრა, რომ ხალხი დამექირავებინა და ჩემი პატარა ბიზნესი ნამდვილ ბიზნესად მექცია. როცა ჩემთან სამუშაოდ ხალხი დავიქირავე, ჩვენმა ბიზნესმა აყვავება დაიწყო და უფრო და უფრო მაღალ დონეზე გადადიოდა. შესავალში გითხარით, როგორ დავიწყეთ ჩვენი მანქანისთვის ფულის გადახდა და როგორ ავაშენეთ ჩვენი ოცნების სახლი. ჩემს თანამშრომლებთან ყოველთვიური ბიზნეს შეხვედრების დროს მათ ღვთის სამეფოზე ვუზიარებდი. ხალხი ჩემს კომპანიაში მოდიოდა, რათა მეტი გაეგოთ სამეფოზე და

იმაზე თუ როგორ გამოეყენებინათ იგი მათ ცხოვრებაში, როცა თავადაც ჰქონდათ ბიზნეს შესაძლებლობა.

ის გაკვეთილები, რასაც ღმერთი მაჩვენებდა, საოცარი იყო და ბევრი ასეთი გაკვეთილი სწორედ მაშინ მივიღე, როცა სანადიროდ გავდიოდი ყოველწლიურად. მარტივად რომ ვთქვა, ის რასაც ნადირობისას ვხედავდი, განსაცვიფრებელი იყო. საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არც დავიჯერებდი. თითოეული ამბავი, რაღაც ახალს მასწავლიდა ღვთის სამეფოს შესახებ, ისეთს, რაც მანამდე არასდროს დამენახა. ვიფიქრე, რომ ამ წიგნში რამდენიმე ამბავს გაგიზიარებდით, მაგრამ თუ მართლა გსურთ ჩემი ნადირობის ამბების წაკითხვა, შეგიძლიათ ჩემი წიგნი *რწმენის ნადირობა* გადმოტვირთოთ ჩემი ვებ-გვერდიდან.

ეს ამბავი რამდენიმე წლის შემდეგ გადამხდა მას შემდეგ, რაც ღვთის სამეფოს შესახებ ცოდნის მიხედვით ირმებზე ნადირობა აღმოვაჩინე. როგორც უკვე გაგიზიარეთ, ღმერთმა მასწავლა დამეთესა ჩემი ირმისთვის და მიმეღო იგი მაშინ, როცა ვილოცებდი — და გამონაკლისის გარეშე, ყოველ წელს ვინადირებდი ირემს დაახლოებით 30-45 წუთში. სხვათა შორის, ეს უკვე 28 წელია ხდება. კონკრეტულად ამ წელს, როგორც ყოველთვის გავედი, სრულიად დარწმუნებული, რომ ირემი გამოჩნდებოდა. რამდენიმე წუთში დავინახე როგორ მიდიოდა ირემი ჩემგან, ჩემი მეზობლის საკუთრებისკენ დაახლოებით 180 მეტრში. ვიცოდი, რომ როგორც კი ტყეში შევიდოდა, წავიდოდა, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ ეს ჩემი ირემი იყო. იმ პერიოდში ჯერ არაფერი ვიცოდი მშვილდ-ისრით ნადირობაზე, ხმოვანი სიგნალების გამოყენებასა და ირმების მოხმობაზე. ვიცოდი რომ ეს ირემი ჩემი იყო, თუმცა უიმედოდ ვუყურებდი, როგორ შედიოდა მეზობლის ტყეში. უეცრად, სულში მოვისმინე: „უთხარი ირემს, რომ შენთან მოვიდეს.“ „რა? ვუთხრა ირემს, რომ ჩემთან მოვიდეს?! ეს რას ნიშნავს?“ დარწმუნებული არ ვიყავი, ამიტომ ხმამაღლა დავიძახე, თუმცა არც ისე ხმამაღლა რომ ირემს გაეგო: „ირემო, გიბრძანებ გაჩერდე, მოტრიალდე და ჩემს ხესთან დადგე!“ მშვილდ-ისრით ვნადირობდი, ამიტომ დავამატე ბოლო ნაწილი, რათა ჩემთან ახლოს ყოფილიყო. მივხვდი, რომ თუკი რწმენა მას ჩემთან მოიყვანდა, იმასაც შეძლებდა, რომ იმ ხის ქვეშ დამდგარიყო, სადაც ადვილად ვესროდი.

ჩემდა გასაოცრად, ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე, ირემი გაჩერდა, მოტრიალდა და ჩემი ხისკენ წამოვიდა. შოკირებული ვიყავი რადგან ირემმა ეს 180 მეტრი გამოიარა და დადგა ჩემი ხის ქვეშ, დიახ, იმ ხის ქვეშ დადგა რომელიც მხოლოდ სამი მეტრის სიმაღლის იყო. ირმის მოსახმობი არც ერთი ხელსაწყო არ მქონდა თან, ვიყავით მხოლოდ მე და ღმერთი, და მაინც, ეს ირემი ახლა ზუსტად ჩემს წინ იდგა. არ მგონია, რომ ვინმეს აეცილებინა იმ მანძილზე. სიხარულით მოვიტანე ეს ირემი სახლში, მაგრამ ვერ ვიჯერებდი, რაც ვნახე. მართლა იმიტომ მოვიდა ირემი, რომ მე დავუძახე და ვუბრძანე? მართლა ასე ჩანდა.

ფერმა, რომელსაც ჩვენ ვქირაობდით 36 ჰექტარი იყო, რაც ასევე მოიცავდა ტყეს, ბუჩქნარით დაფარულ პატარა უბეებს და მინდვრებს. ზამთრის თვეებში, განსაკუთრებით თუ მიწაზე თოვლი იდო, ძალიან გვიყვარდა კურდღელზე ნადირობა. ოჰაიოს კურდღლის სეზონის პარალელურად კოლხურ ხოხობზე ნადირობის სეზონი იყო, თუმა ჩვენს ფერმაში იშვიათად თუ დაგვინახავს ხოხობი.

იმ დღეს კურდღელზე სანადიროდ გავედით უბის ბოლოში, როცა მამალი ხოხობი შემოგვეფეთა. სასწრაფოდ ვესროლე ჩიტს. როგორც კი სასხლეტს ხელი ავუშვი, ვიცოდი რომ მხოლოდ ფრთაში მოვარტყი. ხოხობი ჩამოვარდა, თუმცა მან მკვდრის სირბილი დაიწყო. ხოხობს შეუძლია საათში 57 კილომეტრს მიაღწიოს და ეს კონკრეტულიც ყველაფერს აკეთებდა ამის დასამტკიცებლად. მიწა ახალი თოვლით იყო დაფარული და ფრინველი გაშლილ მინდორზე მირბოდა, რომელიც ოდნავ აღმართში ადიოდა, ამიტომ მის თითოეულ ნაბიჯს კარგად ვხედავდი, როცა გაქცევას ცდილობდა.

ვიდექი და ვფიქრობდი, რომ ფრინველი წავიდოდა, მაგრამ უეცრად სულში მალამოსავით მომედო რაღაც. ვიცოდი, რა მოხდა, როცა ირემს ვუბრძანე, შეჩერებულიყო და ჩემკენ წამოსულიყო. ვიგრძენი, რომ იგივე უნდა მეცადა და ხმამაღლა დავიყვირე: „ხოხობო, იესოს სახელით ШЕЧЕРДИ!“ უეცრად ხოხობის წინსვლა ვეღარ შევნიშნე. მთელ მინდორს კარგად ვხედავდი და ხოხობი მაშინ გაჩერდა, როცა მე დავიძახე. ჩემი ვაჟი ტიმი ჩემთან ერთად იყო და მითხრა: „მამა, ხოხობი ზუსტად მაშინ გაჩერდა, როცა დაიყვირე!“ მაგრამ სად იყო? მე

და ტიმი მის ნაკვალევს გავყევით მინდორში და დავინახეთ, რომ უბრალოდ თოვლში იჯდა. თავი ნახევრად ჰქონდა ჩაფლული თოვლში, მაგრამ ასე იჯდა, გაშლილ მინდორში, თოვლზე. ბალახს ამოფარებული იყო იმ ადგილას, სადაც მხედველობის არედან დავკარგეთ. მკვდარი იყო? ჩიტი ავიყვანე და მაშინვე ფრთების ტყლაშუნს და ჭყივილს მოჰყვა. იგი ნამდვილად ცოცხალი იყო! როცა დავკალით, მის სხეულს ვაკვირდებოდით და დავინახე, რომ მე მხოლოდ ოდნავ გავსერე მარჯვენა ფრთაში. მე და ტიმმა ერთმანეთს გაოცებით გადავხედეთ. არავინ დაიჯერებდა იმას, რაც ვნახეთ, არავინ.

როგორც უკვე ვახსენე, ოჰაიოში ლიმიტის მიხედვით მხოლოდ ორი ირმის მონადირება შეგეძლო და სქესს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი მამალი ირემი წელიწადში. ოჰაიო ცდილობდა ირემთა რაოდენობა შეემცირებინა მეტის ამოღებით სამიზნეში. ასე რომ, დავთესავდი მამალი და დედალი ირმებისთვის და საათის მექანიზმივით პირველი გასვლისთანავე 30-40 წუთში მოდიოდა მამალი ირემი, როცა მეორედ გავიდოდი — დედალი მოდიოდა. ერთ დღეს დავფიქრდი: „ერთი წუთით; ირმები მოდიან იმ თანმიმდევრობით, როგორც მე ვწერ ფურცელზე, როცა ვთესავ.“ მართლა ასე შეიძლებოდა ყოფილიყო? რა მოხდებოდა, თუკი მათ წყობას გადავანაცვლებდი? ძირითადად მამალი და დედალი ირმებისთვის ვწირავდი და სწორედ ამ თანმიმდევრობით გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ამჯერად დედალისა და მამალისთვის დავთესე და ამჯერად, ჯერ დედალი ირემი მოვიდა და შემდეგ მამალი. რამდენიმე წლის განმავლობაში ვცვლიდი ამ თანმიმდევრობას, რათა ჩემი თეორია გამომეცადა და ყოველთვის ამართლებდა. როცა ამ ყველაფერს ვხედავდი, გაოცებული ვიყავი ღვთის სამეფოთი და იმით, თუ რა ცოტა ვიცოდი მის შესახებ. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვიყავი ის იყო, რომ ღმერთი მაჩვენებდა, რომ გაცილებით დიდი ძალაუფლება მქონდა იმაზე, თუ როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება, ვიდრე მე ვფიქრობდი.

მცირე გადახვევა, ახლა 2015 წლის ირმებზე ნადირობის სეზონია. დავთესე ოთხტოტა რქიანი ან უფრო დიდი მამალი ირმისთვის და ორ წლამდე დედალისა და მამალისთვის, საჭმელად. საათის მექანიზმივით, ჯერ დიდი მამალი ირემი გამოჩნდა ექვსტოტა რქებით ზუსტად ჩემს ხესთან, შემდეგ

გასვლაზე ორ წლამდე დედალი მოვკალი, მხოლოდ ის მოვიდა ჩემს ხესთან. ვიცი, რომ შემდეგ გასვლაზე ორ წლამდე მამალი გამოჩნდება. ვიცი ეს გიჟურად ჟღერს, უბრალოდ იმას გეუბნებით, რასაც ჩემი თვალით ვხედავ.

მაგრამ იყო ერთი ნადირობა, რომელმაც ჩემთვის ყველაფერი ისეთი ნათელი გახადა, შემეშინდა კიდეც. ჩემი თესლი ოთხტოტა ან უფრო დიდი ირმისთვის და პატარა მამლისთვის დავთესე (პატარა მამალი დედლად ითვლება, რადგან მას ჯერ პატარა რქები აქვს, რომლებიც ბეწვში წერტილებივით ჩანან). მშვილდ-ისრით ნადირობის სეზონი იყო. გავედი ჩვეულებისამებრ და 15 წუთში მოვინადირე ირემი რვატოტა რქებით. დარწმუნებული ვიყავი რომ შემდეგ გასვლაზე პატარა მამალი გამოჩნდებოდა.

ორი კვირის შემდეგ ისევ გავედი სანადიროდ და როგორც კი ჩემს სამალავ ხესთან მივედი დავინახე მშვენიერი რვატოტა რქიანი ირემი რომელიც საძოვარზე მიდიოდა ჩემგან დაახლოებით 270 მეტრში. პირდაპირ ჩემი ხისკენ მოდიოდა. მიმართულების შეცვლის გარეშე გადაკვეთა მინდორი და ზუსტად ჩემი სამიზნე ხის ქვეშ დადგა. დაახლოებით 20 წამი იდგა ასე და შემდეგ შეტრიალდა და იგივე გზით წავიდა. გახსოვთ? გითხარით, რომ ოჰაიოში მხოლოდ ერთი მამალი ირმის მოკვლა შეგეძლო, მე კი უკვე მყავდა მონადირებული ერთი რვატოტა რქებით. ასე რომ, უბრალოდ უნდა ვმჯდარიყავი ასე, მეყურებინა ამ ირმისთვის და არ მესროლა. ახლა სრულიად დაბნეული ვიყავი. პირველი შემთხვევა იყო, როცა სანადიროდ გავედი და ასე ახლოს მოვიდა ირემი, რომელიც ის არ იყო, რომლისთვისაც შევწირე. ამ მამალი ირმის ქცევა, ის რომ მინდორი გადმოიარა, ზუსტად ჩემი ხის ქვეშ დადგა და შემდეგ ზუსტად იმავე ბილიკით დაბრუნდა უკან, უბრალოდ ძალიან უცნაური იყო. თითქოს ირემი შეხვედრაზე იყო. მთელი დილა ველოდე, თუმცა პატარა მამალი არ გამოჩენილა.

იმ ღამით ოფისში ვფიქრობდი, ძალიან მაწუხებდა ეს ფაქტი. რაღაც ისე ვერ იყო. პატარა ირემი უნდა გამოჩენილიყო. რატომ მოვიდა რვატოტა ირემი? როცა იქ ვიჯექი, ენებზე ლოცვა დავიწყე, ღმერთს ვთხოვდი ეჩვენებინა, თუ რა მოხდა. გავიგონე მისი ხმა: „შეხედე შენს თესლს!“ ჩემი თესლი? ვიცოდი რაც დავთესე. ჩემი ბანკი ჩეკების ასლებს აკეთებს, ასე რომ მოვძებნე და დავხედე ჩეკს, რომელიც მაშინ დავწერე როცა ჩემი

ირმებისთვის შევწირე. როგორც უკვე ვთქვი, ვფიქრობდი, რომ დავთესე ორი მამალი ირმისთვის, ერთი ოთხტოტა ან უფრო დიდისთვის, ხოლო მეორე პატარასთვის, რომელსაც რქები არ ეტყობა და დედალში ითვლება. მაგრამ აი რა ეწერა ჩემს ჩეკზე: „ორი მამალი ირემი, ოთხტოტა ან უფრო დიდი, ერთი პატარა მამალი.“ მიუხედავად იმისა რომ მე სულ ორ მამალს ვგულისხმობდი, ერთს ოთხტოტას ან უფრო დიდს და მეორეს — პატარას, აქ ასე არ ეწერა. ჩეკზე ეწერა: „ორი ოთხტოტა ან უფრო დიდი მამალი ირემი და ერთი პატარა ირემი.“ რამდენი ირემი გამოდის? სამი. მეორეც ოთხტოტა ან უფრო დიდი, როგორც პირველი. როცა ეს დავინახე, განცვიფრებული დავჯექი. ეს რვატოტა შეხვედრაზე იყო. ის იქ უნდა მოსულიყო ღვთის სამეფოს კანონის მიხედვით. წამოვხტი და ყვირილი და ხტუნვა დავიწყე მთელს სახლში. ᲕᲐᲣ!!!!

იმავდროულად, დანახულმა შემაშინა. თუკი მე ახლა დავინახე თუ რამდენად ზუსტად და კონკრეტულად ფუნქციონირებდა სამეფო, მაშინ უფრო ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი. ჩემი დაუდევრობით, მოძრაობაში მოვიყვანე მოვლენები, რაც რეალურად არ მინდოდა, რომ განხორციელებულიყო, თუმცა მაინც ხდებოდა, რადგან გამოვათავისუფლე სულიერი კანონის თანახმად. გავაცნობიერე, რომ უამრავი ადამიანი ჩემი ჩათვლით, განიცდიდა ისეთ რაიმეს, რისი მოხდენაც არ სურდათ, თუმცა თავად მოიყვანეს მოქმედებაში. გახსოვდეთ, თავისი სიტყვით იესომ ლეღვის ხე გაახმო, თუმცა სხვადროს ლაზარეს მოუხმო საფლავიდან. ორივე მაგალითში, ერთი და იმავე კანონი სხვადასხვა მიზნებისთვისაა გამოყენებული. შემდეგ ჯერზე როცა სანადიროდ გავედი, პატარა მამალი ირემი გამოჩნდა, როგორც დათესილი მქონდა.

მოვლენების მთელმა ამ ჯაჭვმა ძალიან გამაოცა და უდიდესი გავლენა იქონია ჩემს ხედვაზე სამეფოსადმი. ახლა, ყოველგვარი დაბნეულობის გარეშე ვიცოდი, რომ ღვთის სამეფო ნამდვილად ძალიან კონკრეტული იყო. თუმცა უნდა გაგვიკვირდეს ეს? დედამიწაზე არსებული ყველა ფიზიკური კანონი კონკრეტულია. მივხვდი, უბრალოდ მანამდე ვერ ვაცნობიერებდი, რომ სულიერი კანონები ისევე მოქმედებდნენ, როგორც ის ფიზიკური კანონები, რომლებიც სულიერმა მოიტანა. უნდა მცოდნოდა, მაგრამ არ ვიცოდი. ახლა უკვე დარწმუნებული ვიყავი ამაში, რომ ღვთის სამეფო ძალიან, ძალიან კონკრეტული იყო.

კარგით, რადგან მთხოვეთ კიდევ ერთ ამბავს მოგიყვებით ჩემი ნადირობიდან. (მიყვარს ის გაკვეთილები, რაც ნადირობისას ვისწავლე, ამიტომ უნდა ამიტანოთ.) რადგანაც დავინახე თუ რამდენად კონკრეტულია სამეფო, გადავწყვიტე კიდევ უფრო კონკრეტული ექსპერიმენტი ჩამეტარებინა. ამჯერად, შვიდტოტა რქიანი ირმისთვის დავთესე. ზოგაგად, ირემს ერთი და იმავე რაოდენობის ტოტები აქვს ორივე რქაზე. ოთხტოტას ორივე მხარეს ორ-ორი ტოტი აქვს; რვატოტას — ოთხ-ოთხი და ა.შ. არის შემთხვევები როცა რქები თანაბარი არ არის, თუმცა ხშირ შემთხვევაში ერთნაირადაა.

რადგანაც, ასე ვთქვათ, ექსპერიმენტს ვატარებდი, მინდოდა ჩემი რწმენა რაღაც განსაკუთრებულისთვის გამომენთავისუფ-ლებინა და არა ჩვეულებრივისთვის. უკვე დავინახე, რომ რაც უფრო კონკრეტული ხარ, მით უფრო მეტ ხანს შეიძლება დაგჭირდეს ლოდინი და უფრო ზუსტი იქნება სულიწმიდის ინსტრუქციებიც ამის აღსასრულებლად. ამრიგად, ვიცოდი, რომ მშვილდ-ისრით ნადირობის პირველ დღეს არ უნდა გავსულიყავი, რადგან არ მოვიდოდა. რეალურად, მთელი ოქტომბერი ველოდებოდი. უბრალოდ სულში ვიცოდი: „არა, ის ჯერ იქ არაა!“ იმედგამაცრუებელი იყო. შემოდგომის ფერები, ტყეები, ძალიან მინდოდა გასვლა, მაგრამ ჯერ კვლავ ველოდი.

შემდეგ აი რა მოხდა! ერთ საღამოს, როცა მისაღებში ვიჯექი და ჩემი ცოლის მშობლებს ვესაუბრებოდი, რომლებიც ჯორჯიადან ჩამოვიდნენ, გავიგონე: ხვალ იყო ის დღე. შვიდტოტა მოვიდოდა! მთელს ოჯახს ვუთხარი, რომ ჩემს ირემს ხვალ მოვინადირებდი. იმდენად აღელვებულმა გავიღვიძე, ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა სახლიდან გამოვედი. არბალეტი ხეში მქონდა დამაგრებული, რომელიც ჩემი ტყეების შემომსაზღვრელ ოთხ ჰექტარ ჭაობს გადაჰყურებდა. ლამაზი ადგილი იყო. იქ ჯდომისას იხვები გადაიფრენდნენ; ონდატრები და წაულებიც შეიძლება დაგენახა. ამ ტერიტორიას ბუჩქნარი ემიჯნებოდა, რომელიც ჩემს საკუთრებაში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი იყო ირმების საბუდრად. ჩემს სადგომზე ლოდინისას, არაფერი მომხდარა. გავიდა 45 წუთი, ერთი საათი, ისევ არაფერი.

ახლა, ყოველგვარი დაბნეულობის გარეშე ვიცოდი, რომ ღვთის სამეფო ნამდვილად ძალიან კონკრეტული იყო.

მანქანის კარების გაღება-დახურვის ხმა მესმოდა მინდვრის ბოლოს, ჩემი სახლიდან და ვიცოდი რომ დრენდას მშობლები ჯორჯიაში ბრუნდებოდნენ. დავპირდი, რომ მათთან ერთად ვისაუზმებდი, სანამ წავიდოდნენ, და მე უნდა მომემზადებინა საჭმელი. ჩემი გეგმა იყო დილას ადრე მომენადირებინა ირემი და სახლში წავსულიყავი საუზმისთვის. მაგრამ მამალი ირემი ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო. უხალისოდ გამოვედი სამალავიდან და სახლისკენ გავემართე. ჩემი გამოცდილებიდან ვიცოდი, რომ ირემი გვიან დილით მოვიდოდა იმ ადგილას, რადგანაც როგორც უკვე ვთქვი, ეს ჭაობი მათი საბუდარი იყო. ვიცოდი, რომ ირემი ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა გამოჩენილიყო, მაგრამ მეტს ველარ დაველოდებოდი. თავიდან მომიწევდა გამოსვლა მოგვიანებით.

ყველას მივესალმე სახლში და საუზმის მომზადება დავიწყე. რაც თავი მახსოვს, მე ვამზადებ ოჯახში საუზმეს. განსაკუთრებული რეცეპტი მაქვს ვაფლებისთვის, რომლებიც, მე თუ მკითხავთ, მართლა გასაოცარია. კვერცხი, ძეხვი და ყველი ჩემი მენიუს მწვერვალს შეადგენენ, თუმცა მთავარი, რაც ჩემს საუზმეს ასეთ საოცარს ხდის, ნამდვილი ნეკერჩხლის სიროფია. ოჰაიო ნეკერჩხლის სიროფის შტატია. ჩემს გარშემო ყველა აკეთებს და ყიდის ნეკერჩხლის სიროფს. ჩემს სახლში ყალბ ნეკერჩხლის სიროფს ვერ დავუშვებ, მხოლოდ ნამდვილს ვყიდულობ. ასე რომ, საუზმეს ვამზადებ, ჩვენი სამზარეულოს ფანჯარა კი პირდაპირ ტყეებსა და ჭაობს უყურებს. უეცრად, დავინახე მამალი ირემი როგორ გადადის მინდორზე და ჭაობისკენ მიემართება. „აი ჩემი ირემი!“ - წამოვიძახე. ოჯახს ვუთხარი რომ საუზმისთვის მიეხედათ, რადგან მას უნდა გავდევნებოდი!

წარსულში მინდორზე მიმავალი ირმების ყურებით ზუსტად ვიცოდი, ის საით მიდიოდა. იქ მისასვლელად ზუსტად ჩემს სადგომ ხესთან უნდა გაევლო. გავთვალე, რომ თუ ჩემს სამალავს უკნიდან მოვუვლიდი და ირემზე ადრე მივიდოდი იქ, შევძლებდი, მომერტყა მისთვის. იმ ხემდე ირემზე სწრაფად მისვლა არც ისე მარტივი იქნებოდა და **ᲐᲮᲚᲐᲕᲔ** უნდა წავსულიყავი! კარებისკენ გავიქეცი, მშვილდ-ისარს ხელი დავტაცე და სახლიდან გავვარდი. რაც შემეძლო, ჩუმად შემოვურბინე მინდორს, ჩემს სადგომამდე მივედი და ნელა ავცოცდი. ახლო-მახლო ირემს ვერ ვხედავდი, რაც ძალიან კარგი იყო.

ჩემს სამალავში დავჯექი თუ არა, დავინახე, როგორ მოდიოდა ჭაობში ირემი ზუსტად იმ ადგილისკენ, სადაც მე ვიჯექი. მამალი ირემი არაფერს აქცევდა ყურადღებას, გარდა იმ დედალი ირმისა, რომლის კვალსაც მიჰყვებოდა, შესაბამისად ვერც დამინახა და ვერც ჩემი სუნი იგრძნო. დედალი ჩემი სამალავის ქვევით, ჭაობში დადიოდა და მამალიც იგივე ბილიკს მიჰყვებოდა. უკეთეს განლაგებაზე ვერც კი ვიოცნებებდი. ახლა, როცა მამალი ირემი ჩემგან 22 მეტრში იყო, ფრთხილად დავუმიზნე ჩემი არბალეტი და ისარი გავუშვი. როგორც კი ისარს ხელი ვუშვი, მაშინვე მივხვდი რომ ავაცილე. მოდით, სიმართლე ვთქვათ, ძლივს ვსუნთქავდი მინდვრის გარშემო სირბილისგან, რათა ირმისთვის მომესწრო.

იმედგაცრუებული ვიყავი იმით, რომ ძალიან ქვევით მოხვდა, ვიცოდი რომ სასიცოცხლო ადგილს ავაცილე. როცა მოვარტყი, ირემი ჭაობის მომიჯნავე ხშირ ბუჩქნარში გადახტა და მხედველობის არიდან გაქრა. მშვილდით ნადირობისას დავაკვირდი, რომ ზოგჯერ ირემი ვერ ხვდება, რა მოხდა, როცა ისარი ხვდება. ხშირად, ისინი უბრალოდ მიდიან, რადგანაც არც დაუნახიხარ და არც უყნოსიხარ. ისიც ვიცოდი, რომ ზოგადად, როცა ირემი დაჭრილია ბუჩქებში წვება და შორს არ მიდის. რადგანაც ირემს არ დავუნახივარ, ისიც ასე მოიქცა. ჩუმად ჩამოვედი ხიდან და გავეშურე სახლისკენ იგივე გზით რითიც მოვედი. ისევ გრძელი გზა ავირჩიე, რათა ირემი არ დამეფრთხო.

სახლში მისულს კითხვები დამაყარეს, თუ რა მოხდა და მოვინადირე თუ არა ირემი. ყველას მოვუყევი რაც მოხდა ჩემს ვაჟებს ვთხოვე, ირმის ბუჩქნარიდან გამოდევნაში დამხმარებოდნენ, იმ იმედით, რომ მეორედ ვესროდი. გარს შემოვერტყით ბუჩქნარს და ფრთხილად გავიკვალეთ მასში გზა. უეცრად დავინახე, როგორ გადაახტა ჩემი ერთი ვაჟი ირემს, ისიც მაღალ ბუჩქზე გადახტა. 65 მეტრით იყო ჩემგან დაშორებული და მარჯვნიდან მარცხნივ მიდიოდა.

ამ დროს ირემმა დაინახა ჩემი მეორე შვილი მინდვრის ბოლოში. მიხვდა, რომ ეს ის არ იყო ვინც თავზე გადაახტა და აღარ იცოდა რომელი მხარე უფრო უსაფრთხო იყო. გაჩერდა, რათა სწრაფად გადაეწყვიტა, საით გაქცეულიყო. ვიცოდი, ეს ჩემი ერთადერთი შანსი იყო მის ხელში ჩასაგდებად. მას ჯერ კიდევ არ დავენახე. ჩემგან 65 მეტრში იდგა და ჩემს

ვაჟს უყურებდა. არბალეტს საკმარისი ძალა აქვს ირმის ამ დისტანციაზე მოსაკლავად, მაგრამ ისარი 65 მეტრზე ახლოს დაეცემოდა. ამ სიშორეზე არასდროს მისვრია და ეს ერთ-ერთი უახლესი 185-ფუნტიანი არბალეტი იყო, რომელსაც შეეძლო ისარი 140 მ/წმ სიჩქარით გაესროლა. მისი სიზუსტე დაახლოებით 30 -35 მეტრით იყო შემოფარგლული.

რამდენადაც ირემი ჩემს პირდაპირ იდგა და თანაც - უძრავად. გადავწყვიტე, მესროლა. მშვილდი მოვზიდე, დავუმიზნე ირემს და გავუშვი. დავინახე, როგორ მიფრინავდა ისარი ირმისკენ და ჩემდა გასაოცრად, ყელში ჩაერჭო. ისარმა ყელის ნახევარი გაიარა (მაპატიეთ ყველა დეტალისთვის) და ახლა გაჭედილი იყო ირმის ყელში ისე, რომ ორივე ბოლო გარეთ ჰქონდა. ირემი ბუჩქნარში შევარდა და ველარ დავინახე: სად წავიდა? ნელი სვლით წავედი ბუჩქნარისკენ, სადაც ირემი გაუჩინარდა. აი ისიც! ისარმა თავისი საქმე გააკეთა, მე ჩემი მამალი ირემი მივიღე.

როცა ჩემი ვაჟი, ტომიც მოვიდა, ყველაზე მეტად ირმის რქები მაინტერესებდა. კარგად ვერ დავითვალე, მაგრამ როგორც დავინახე, შვიდი ტოტი ჰქონდა. როცა ახლოდან შევხედეთ, დავინახეთ, რომ ირმის რქები რეალურად რვატოტა იყო, თუმცა ერთი პატარა რქა მოტეხილი ჰქონდა, რაც შვიდტოტად აქცევდა. მე და ტიმი გაკვირვებულები ვიდექით და უფალს ვადიდებდით. ღვთის სამეფო მართლა საოცარი იყო! როცა მე და ტიმი იქ ვიდექით, უცებ მივხვდით: „ვინ დაგვიჯერებს? ვინმემ იცის, რომ სამეფო ასე მოქმედებს?“

მგონი მიხვდით, ღვთის სამეფო ძალიან კონკრეტული კანონების მიხედვით მოქმედებს, რომლებიც დადგენილია და ყოველთვის ერთნაირად ფუნქციონირებს. ისეთი ამაღელვებელი იყო თავიდან, როცა აღმოვაჩინე, რომ ეს კანონები ყველა სფეროში ფუნქციონირებენ, მათ შორის ფინანსებშიც. შემეძლო, მესწავლა ეს კანონები. შემეძლო გავმხდარიყავი სულიერი მეცნიერი და მივხვდებოდი, როგორ მოქმედებს ეს სამეფო. ღმერთი დამეხმარებოდა.

თავი 2
ლურჯი დანისლვა

როცა მე და დრენდამ დავინახეთ, რომ ღვთის სამეფო მოქმედებდა და ფუნქციონირებდა ჩვენს ცხოვრებაში, სრულიად განვთავისუფლდით ვალებისგან და გვინდოდა ყველა შემხვედრისთვის გვეთქვა, რაც ვისწავლეთ. როცა ეკლესია დავაარსეთ, ყველას ვუთხარით ამის შესახებ, ვინც კი მოგვისმენდა და ჩემ ბიზნესსაც ვმართავდი. მაგრამ სულში ვგრძნობდი, რომ კიდევ რაღაც იყო; არ ვიცოდი რა, თუმცა ვიცოდი, რომ ღმერთი რაღაც მეტის გასაკეთებლად მიმიძღოდა, რათა ღვთის სამეფოს შესახებ სხვებისთვის გამეზიარებინა.

მთელი 2005 წელი სულში განზრახვა მქონდა, გამემართა, როგორც მე ვუწოდებ, ფინანსური რევოლუციის კონფერენცია. ეს იქნებოდა ხუთი შეხვედრა, სადაც დრო მექნებოდა სამეფოს იმ პრინციპებზე სასაუბროდ, რომელთაც ჩემი ცხოვრება შეცვალეს. მეთოდისტურ ეკლესიაში გავიზარდე, სადაც ხშირად გვქონდა ერთ კვირიანი გამოღვიძების მსახურებები. სწორედ ამ ტიპის მოდელს ვხედავდი სულში. ხუთი სესია, სადაც საკმარისი დრო მექნებოდა ხალხი იმ პრინციპებზე დამეფიქრებინა, რაც ღმერთმა მასწავლა ფინანსურ სამეფოში. ამ დრომდე, ეს პრინციპები ერთიანი სისტემის სახით არ მქონდა გაერთიანებული. მაგრამ სულში კვლავ და კვლავ ვხედავდი, როგორ ვატარებდი ხუთი სესიისგან შემდგარ შეხვედრას ფინანსებზე.

ამ საკითხზე ლოცვისას ჩემს მეგობარ ლარის შევეჯახე, რომელიც დიდი ხანი არ მყავდა ნანახი. მან მითხრა მომავალი კონფერენციის შესახებ ალბანეთში, რომელსაც ის ატარებდა და მიმიწვია იქ სასაუბროდ. ლარი უკვე 12 წელი იყო მისიონრად ალბანეთში და საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა ამ ქვეყანაზე. ასე შორს მოგზაურობის იდეა ჩემთვის რაღაც ახალი იყო. ბევრს არ ვმოგზაურობდი. ალბანეთში ნამყოფი არ ვიყავი

და ზუსტად არც მისი მდებარეობა ვიცოდი. ლარიმ გამამხნევა, მითხრა, რომ ეს შეხვედრა მთელი ერის მასშტაბის იქნებოდა და ამ ერის მრავალი პასტორი იქნებოდა. იგი ფიქრობდა, რომ ჩემი აზრები სამეფოს ფინანსებთან დაკავშირებით, მათ დაეხმარებოდა. ლარიმ მითხრა რომ კონფერენციაზე ორი ან სამი სესია დამეთმობოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი სესია არ იყო, მოუთმენლად ველოდი ამ საკითხზე სწავლების იმ რამდენიმე სესიას, რაც მქონდა. ამრიგად, ვუთხარი, რომ სიამოვნებით წავიდოდი.

როცა ალბანეთში თვითმფრინავიდან გადმოვედი, ლარი საოცარი წინადადებით შემხვდა. „გარი!“ - მითხრა მან, „ერთ-ერთმა ჩემმა სპიკერმა ბოლო მომენტში გააუქმა, ამიტომ ხუთი სესია დაგეთმობა.“ სიხარულისგან, გული ამოხტომას მქონდა. ვიცოდი, ეს შეხვედრა ღვთის დანიშნული იყო და ახლა ვნახავდი, როგორ განხორციელდებოდა რეალობაში ის, რაც სულში ვნახე. ჩემი ჩანაწერები თან მქონდა, თუმცა არ მქონდა განაწილებული ხუთ-სესიიან ფორმატში. ასე რომ, თითოეულ დღეს ვასწავლიდი, შემდეგ წავიდოდი, სულით ვილოცებდი და ამოვწერდი ჩემს მონიშვნებს შემდეგი სესიისთვის. თითოეულ სესიაზე წარმოუდგენელი ცხებულება მოდიოდა.

სანამ გავაგრძელებ, უნდა გითხრათ, რომ ალბანეთი საოცრად გაჭირვებული ქვეყანა იყო მაშინ, როცა მე იქ ჩავედი. საშუალო შემოსავალი 500 დოლარი იყო თვეში და ქრთამის აღება ადამიანთა დიდი ნაწილისთვის ცხოვრების წესი იყო. როცა ფინანსების სფეროზე სწავლებაზე ვფიქრობდი, არ ვიცოდი, როგორ მიიღებდნენ. ვიცოდი, რომ ღვთის სიტყვა ყველასთვის მოქმედებდა, მაგრამ ეს ახალი გამოცდილება იყო ჩემთვის. როცა პირველ სესიაზე ვასწავლე, თავიდან თითქოს აღმართულ კედელს ვგრძნობდი. მეორე სესიაზე, ვიგრძენი რომ ადამიანთა სულიერი წყურვილი ჩემკენ მოიმართა. მათ სახეებზე ვხედავდი, როგორ იზრდებოდა რწმენა მათში ღვთის სამეფოზე კეთილი უწყების მოსმენისას. სწავლების ყოველ მომდევნო დღეს, ისინი უფრო და უფრო ბედნიერები ხდებოდნენ. შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან აღფრთოვანებულები იყვნენ სამეფოთი.

ბოლო სესიის წინა საღამოს, უფალი დამელაპარაკა, რომ შესაწირავი შემეგროვებინა ადგილობრივი ეკლესიებისთვის. დარწმუნებული არ ვიყავი ამაში, რადგან, პირველ რიგში, ეს არ

ყოფილა ჩემი შეხვედრა; და მეორე, არ ვიყავი დარწუნებული ხალხის გამოხმაურებაზე. ლარის და მე უნდა გადაგვეხადა რამდენიმე ადგილობრივი პასტორის ტრანსპორტირებისა და ბინის ხარჯები, რათა შეხვედრაზე მოსულიყვნენ. ლარის ვკითხე ამის შესახებ და მითხრა, რომ შემეძლო, ასე მოვქცეულიყავი და შესაწირავი ამეგროვებინა.

ამრიგად, ბოლო სესიის დროს შესაწირავი ავაგროვე კონ-ფერენციისთვის. იმდენად ძლიერი ცხებულება იყო, რომ ფეხზე დგომაც მიჭირდა. დარბაზში ყველა ცეკვავდა და შესძახოდა, როცა ხელში შესაწირად გამზადებული ფული ეკავათ. წესრიგის დამცველები, რომელთაც ქისები ეჭირათ, ქვითინებდნენ, როცა ხალხი ფულს აგდებდა და ფეხზე ძლივს იდგნენ. მსგავსი რამ არასდროს მენახა, ყოველ შემთხვევაში შესაწირის აგროვები-სას. როცა ვუყურებდი, როგორ ცეკვავდა და შესძახოდა ხალხი გაცემისგან გამოწვეული სიხარულისგან, ავსებული ვიყავი ცხე-ბულებითა და იმ ადამიანების წრფელი რწმენით, ვინც ასეთ ძვირფას თესლს გასცემდა.

მსახურების შემდეგ, რა თქმა უნდა, ლარიც აღძრული იყო ხილულით. გაოცებული იყო იმ ორი სავსე შესაწირის ქისითაც, რომელიც უკან მიგვქონდა, როცა საღამოს მსახურებიდან მის ბინაში ვბრუნდებოდით. ლარიმ მითხრა, რომ ზოგადად მხო-ლოდ ერთი შესაწირის ქისა ივსებოდა შეხვედრებზე, ისიც ნახევრად, როცა კი მას აუგროვებია შესაწირი წარსულში. სწრაფად მივდიოდით და ფულით სავსე ქისებს ვმალავდით, როცა ხალხით გადაჭედილ ქუჩებში ვიკვლევდით გზას ლარის ბინისკენ მიმავლები.

როდესაც ლარის ბინაში მივედით, დავსხედით მისაღებში და ქისები გავხსენით თანხის დასათვლელად. როდესაც ლარიმ ქისების შიგთავსი მაგიდაზე გადმოაპირქვავა, რაღაც მოხდა, რისი სიტყვებით ახსნაც დღემდე გვიჭირს. უეცრად ნათელ-მა მოლურჯო ნისლმა აავსო ოთახი და ღვთის თანდასწრებამ დაგვძლია. დავსხედით იმ ცხებულებაში, რამაც ის ადგილი აავ-სო. არც ერთ იმ ცხებულებას არ ჰგავდა რაც კი ქადაგებისას ან სწავლებისას მიგრძვნია. ნაცვლად ამ ცხებულებას თანდასწრე-ბაც ახლდა თან. იმდენად წმიდა იყო, ვგრძნობდი, რომ თავად ღვთის თანდასწრებაში ვიყავი, ის იქ იყო. როცა დავსხედით, ეს ყველაფერი უფრო და უფრო ძლიერდებოდა მთელს ოთახში.

ერთადერთი რაც შეგვეძლო, იყო, ვმსხდარიყავით და გვექვითინა. შემდეგ ფულის გროვაში, რომელიც მაგიდაზე იყო გაშლილი, საქორწინო ბეჭედი შევნიშნე. მთლიანად დამიპყრო იმ ფაქტმა, რომ ვიღაცამ იმ ღამით, ვისაც ფული არ ჰქონდა, გაიღო ის ერთადერთი რამ, რაც მისთვის ძვირფასი იყო. ამ დროს უფალი დამელაპარაკა და მითხრა:

> *„მოგიწოდებ ერებში, რათა ასწავლო მათ პრინციპები, რომლებიც მე გასწავლე სამეფოსა და ფინანსების შესახებ! ეს ბეჭედი დღეს უდიდესი რწმენით ჩადეს შესაწირში. მაგრამ მინდა აიღო და შეინახო ამ საღამოს სამახსოვროდ. ასევე იცოდე, რომ, როგორც საქორწინო ბეჭედი ლაპარაკობს აღთქმაზე, ასევე აცხადებ შენ ჩემს უზრუნველყოფის აღთქმას ჩემი ხალხისადმი. იცოდე, რომ სადაც გაგაგზავნი, ყოველთვის უზრუნველგყოფ თანხებით, რათა გადაიხადო ყველა ხარჯისთვის.“*

მთელი ღამე ვერ დავიძინე. იმ ღამით ლარის სახლში დავრჩი და ეს ცხებულებაც იქ იყო. ისე გადავიფრინე ატლანტიკის ოკეანის თავზე, სახლამდე თვალი არ მომიხუჭავს. ერთადერთი, რაც შემეძლო, იყო, მეყურებინა ფანჯრიდან და მეტირა მთელი 8 საათიანი ფრენის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც იმ ღამით უფალი დამელაპარაკა, 46 საათი არ მძინებია. იმ ღამიდან თვეების განმავლობაში, როცა ამაზე დავფიქრდებოდი, იგივე თანდასწრებას ვგრძნობდი და ტირილს ვიწყებდი.

ლარისთვის არ მითქვამს, თუ რა მითხრა უფალმა იმ ბეჭედზე. შესაწირავით აგროვებული ფული ალბანეთის ეკლესიებს ეკუთვნოდა და ვიცოდი, რომ ბეჭედიც უნდა გაყიდულიყო დამატებითი თანხისთვის, თუმცა ისიც ვიცოდი რაც უფალმა მასზე მითხრა. ამიტომ, ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა ლარიმ დამირეკა და მითხრა, რომ უფალი დაელაპარაკა და უთხრა: ბეჭედი ჩემთვის მოეცა. ბეჭედი მინაში ჩავსვი და დღესაც ჩემს ოფისშია. წლების განმავლობაში, როცა უდიდესი ფინანსური გამოწვევების პირისპირ აღმოვჩენილვარ, ძალიან ბევრჯერ ყოფილა, რომ შემიხედავს ამ ბეჭდისთვის და გამხსენებია სიტყვები, რაც უფალმა მითხრა იმ ღამით. ჩავარდნის გარეშე, ღმერთი ერთგული იყო თავისი სიტყვის და უზრუნველმყოფდა

ყველაფრით, რაც მჭირდებოდა იმ მიმართულებით მიმავალს, რაც იმ ღამით მომცა. იმ ღამემ ალბანეთში ჩემი ცხოვრება შეცვალა. მაგრამ კიდევ ბევრი უნდა ეჩვენებინა ღმერთს ჩემთვის მომავალში.

როცა ალბანეთიდან სახლში დავბრუნდი, ძლიერი სურვილი ვიგრძენი რომ ეს უწყება ღვთის სამეფოს შესახებ ყველგან წამეღო, სადაც კი შევძლებდი. ისეთი ძლიერი ჟინი ვიგრძენი შინაგანში, რომ ეს ინფორმაცია გარეთ გამომეტანა, მოწადინებული ვიყავი იგივე ხუთი სესია კვლავ მესწავლებინა და მენახა მოხდებოდა თუ არა იგივე. დიდხანს ლოდინი არ დამჭირვებია. იუტას პასტორმა იგივე ხუთი სესიის სასწავლებლად მიმიწვია. მან ლარისგან მოისმინა, რომ ეს ცხოვრებას ცვლიდა და სურდა წავსულიყავი. იგი პატარა, ღარიბი ინდური ეკლესიის პასტორი იყო. მათ ფინანსური დახმარება სჭირდებოდათ და თუკი რაც ლარიმ უთხრა სიმართლე იყო, იგრძნო, რომ მე შემეძლო დახმარება.

ასე რომ, გავფრინდი და შეხვედრები გავმართე კვირა დილიდან ოთხშაბათ საღამომდე. სულ ხუთი სესია იყო, როგორც ალბანეთში და იგივე გამოხმაურებაც მივიღე. ხალხი შესძახოდა და ცეკვავდა ძლიერი ცხებულების ქვეშ, როცა კონფერენციის ბოლო საღამოს შესაწირს გასცემდნენ. ამჯერად ლურჯი ნისლი არ დამინახავს, თუმცა ძლიერ ცხებულებას ვგრძნობდი ხუთივე სესიის განმავლობაში. ბოლო სესიაზე, ისევე გაოცებული ვიყავი შესაწირით, რომელიც მხოლოდ 17 წყვილმა გასცა, როგორც ლარი იყო ალბანეთში. შესაწირის თანხა შესაწირის ჩასაკეტ ქისაში ჩავკეტე და ოფისში წავიღე, რათა მეორე დღეს დამეთვალა.

გვიან დილით, იმ დღეს ოფისიდან დამირეკეს. ყურმილთან ჩემი მდივანი იყო და მივხვდი რომ რაღაც ხდებოდა. ხმა უკანკალებდა და თითქოს ტიროდა. პირველი, რაც მან თქვა იყო: „პასტორო, რაღაც ხდება იმ ფულთან, რაც გუშინ მოიტანეთ!“ „რას გულისხმობ, ტრეისი?“- ვკითხე მე. შემდეგ მან დაიწყო მოყოლა, თუ როგორ გახსნა ფულის ქისა, რათა დაეთვალა და ბანკში შეეტანა, მაგრამ როგორც კი გახსნა, ძლიერი ცხებულება მოვიდა მასზე ოფისში და იატაკზე დაეცა. ჩოჩქოლზე ჩემი მეორე მდივანი შემოვიდა და მანაც ცახცახი დაიწყო ცხებულებისგან. ტრეისიმ მკითხა: „რა მოუვიდა იმ ფულს იუტაში?“ ვუთხარი, რომ არ ვიცოდი.

რამდენიმე კვირის შემდეგ, იგივე პრინციპებზე ოჰაიოს სამხრეთში, პატარა ეკლესიაში ვასწავლიდი. ამ ეკლესიაში ჩვენ DVD–ზე ჩაწერილი პირველი ოთხი სესია გავაგზავნეთ, რომელთაც წინა ოთხი კვირის განმავლობაში უყურეს. კვირა საღამოს ჩავედი, რათა მეხუთე სესიით დამესრულებინა. ცხებულება კვლავ ისეთი იყო, რომ ფეხზე დგომა გვიჭირდა. როცა იმ ღამით შესაწირი ავაგროვე, იგივე გამოხმაურება მქონდა, რაც დანარჩენ შეხვედრებზე ვნახე. ხალხი ისეთი გახარებული იყო გაცემით! შესაწირის დროს, ეკლესიაში ხალხის წინ დადეს კალათა, სადაც ადამიანებს შეეძლოთ, ჩაედოთ თავიანთი ძღვენი. ამ დღეს, ლურჯი ნისლი კვლავ გამოჩნდა. დაახლოებით ოთხი მეტრი დიამეტრის წრე შეიკრა შესაწირის კალათის გარშემო, როცა ადამიანები გასცემდნენ. იმდენად ძლიერი ცხებულება იყო, რომ მანქანამდე მისვლაში დამეხმარნენ, რადგან ჩემით ვერ დავდიოდი.

მაგრამ იესომ არა მხოლოდ ჩვენი ზეცაში წასვლის უფლებისთვის გადაიხადა, მან ასევე შესაძლებელი გახადა ვიცხოვროთ, როგორც ღვთის ძეებმა და ასულებმა და ვისიამოვნოთ ღვთის სამეფოს უპირატესობებით აქ, მიწიერ სამეფოში.

როცა ეს ყველაფერი ხდებოდა, რეალურად არ ვიცოდი რა იყო და არც სადმე სხვაგან მოხდენის შესახებ გამეგო რამე. გავაგრძელე კონფერენციების ჩატარება და ცხებულებაც აგრძელებდა ძლიერ გამოვლინებას. და დიახ, რამდენიმე კონფერენციაზე ლურჯი ნისლიც გამოჩნდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაბნევდა ფაქტი, რომ ცხებულება თვითონ ფულზე იყო. კონფერენციის შემდეგ, ჩემს გუნდს უჭირდა შესაწირის დათვლა. გახსოვთ, რომ ცხებულება მოვიდა ალბანეთში, იმ ბინაში მაშინ, როცა ლარიმ შესაწირი მაგიდაზე ამოაპირქვავა? თუკი ამ შესაწირში ჩაგდებულ ფულს აიღებდით, მაშინვე იგრძნობდით ამ ცხებულებას და ცახცახს იწყებდით. ვიცი არანორმალურად ჟღერს, მაგრამ დაკვირვებით ეს დავინახე.

როგორც სულიერი მეცნიერი, დაბნეული ვიყავი ამ ყველაფრით და უფალს ვკითხე ამის შესახებ. იგი დამელაპარაკა და მითხრა, თუ რატომ ვლინდებოდა ეს ძლიერი ცხებულება შესაწირავზე.

მან მითხრა, რომ ზოგი ადამიანი მოვალეობის მოხდის მიზნით ან წესის დაცვის გამო სწირავს. ზოგიერთი ფორმულას ცდის, მაგრამ რეალურად არ სწამს როცა სწირავს. ზოგიერთი გასცემს, რადგან ფიქრობს, ღმერთი გაბრაზდება მასზე თუ ასე არ მოიქცევა. ზოგიერთი გასცემს, თითქოს გადასახდელი ვალი აქვს. მან მითხრა, რომ როდესაც მე ვასწავლი და ვავლენ ღვთის სამეფოს დაფარულ ფინანსურ პრინციპებს, ადამიანთა გულებში რწმენა იზრდება. როდესაც გასცემენ, სრულად რწმენით აკეთებენ ამას, იმ დროს სამეფოსთანაც აქვთ კავშირი და ამიტომ გადმოედინება ცხებულება.

2005 წელს ალბანეთში მოგზაურობის შემდეგ, ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. ჩემმა სურვილმა მივწვდომოდი ადამიანებს, რათა კეთილი უწყება გამეზიარებინა სამეფოს შესახებ, გამოიწვია ის, რომ მე და დრენდამ ტელევიზიის გამოყენება დავიწყეთ, რათა ერებს მივწვდომოდით ამ კეთილი უწყებით. ახლა მილიონებს ვხარჯავთ წელიწადში, რათა ხალხს იმ სამეფოზე ვუთხრათ, რომელიც ჩვენ წლების წინ აღმოვაჩინეთ. მაგრამ იქნებ შენ ჯერ არ გსმენია ღვთის სამეფოს კეთილი უწყება?! ჩვენც ასე ვიყავით — ზეცისკენ მიმავალი მორწმუნეები, რომლებმაც არ ვიცოდით, როგორ გამოგვენთავისუფლებინა ზეცა დედამიწაზე. მაგრამ იესომ არა მხოლოდ ჩვენი ზეცაში წასვლის უფლებისთვის გადაიხადა, მან ასევე შესაძლებელი გახადა, ვიცხოვროთ, როგორც ღვთის ძეებმა და ასულებმა და ვისიამოვნოთ ღვთის სამეფოს უპირატესობებით აქ, მიწიერ სამეფოში. მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კიდევ მილიონობით ადამიანს უნდა მივწვდეთ სახარების კეთილი უწყებით. ამას კი ფული სჭირდება. ხალხი გვიყურებს, ჩვენი ცხოვრება განსხვავებულად უნდა გამოიყურებოდეს!

რა ვასწავლე ალბანეთში, რამაც ასეთი ცხებულება მოიტანა? რისი ქადაგება დამავალა ღმერთმა ერებისთვის? სწორედ ესაა ამ წიგნის მიზანი და მჯერა, რომ იგი შენს ცხოვრებასაც ისევე შეცვლის, როგორც ჩემი შეცვალა!

თავი 3

გთხოვ, უფალო, შეგვიწყალე!

ჯერიმ ოფისში დარეკა და მკითხა, თუ შეეძლო, გაჩერებულიყო და ჩემთან ერთად ჰქონოდა ლანჩი, როცა მის ახლო-მახლოს ვიქნებოდი. ინტერვიუს ვწერდი ტელევიზიაში ერთ ქალაქში, მასთან ახლოს. მას სურდა, მოეყოლა, როგორ შეიცვალა მისი ცხოვრება ჩემი მასალებითა და ტელეგადაცემებით. მანამდე არასდროს შევხვედრივარ ჯერის, მაგრამ ერთხელ თუ ორჯერ ტელეფონზე გვესაუბრა. „რა თქმა უნდა“ - ვუთხარი მე. მაინც მოგვიწევდა ერთად ლანჩი გვქონოდა და ვიფიქრე, სანამ იქ ვიქნებოდი, სიამოვნებით ვნახავდი და მოვისმენდი მის ისტორიას.

ლანჩზე ჯერისა და მის ვაჟს შევხვდი და ჯერიმ თავისი ამბის მოყოლა დაიწყო. ჯერი პასტორი იყო, რომელიც 30 წელი მწყემსავდა ეკლესიას, მაგრამ მსახურების მიტოვება მოუწია, რადგანაც ინსულტმა ამის უნარი წაართვა. ინსულტის შემდეგ, მისი ცხოვრება დაინგრა. რადგანაც მუშაობა აღარ შეეძლო, ფინანსურად ოჯახის საცხოვრებელი უკან დარჩა და შერიფმა გასაყიდად გაიტანა. კომუნალური გადასახადების გადახდა და საკვების ყიდვაც გამოწვევად იქცა. რეალურად, ჯერის თქმით ყველაფერი ისე ცუდად იყო, რომ ერთ დღეს დაჯდა ცალ ხელში .45-ით (პისტოლეტით), ხოლო მეორეში ბიბლიით და თავის მოკვლაზე დაფიქრდა.

სწორედ ამ უიმედობისას ნახა ჯერიმ ჩვენი ტელეგადაცემა და შეუკვეთა ჩვენი მასალების ნაწილი. იგი აგრძელებდა იმის ახსნას, რომ როდესაც თავდაპირველად ეს მასალა მიიღო, სასწრაფოდ სჭირდებოდა 2,000 დოლარი ყველაზე არსებითი გადასახადების დასაფარად და საკვების საყიდლად. მან რამდენჯერმე მოუსმინა

მასალას, სანამ რწმენამ ზრდა არ იწყო მის გულში. გადაწყვიტა მინდობოდა ღმერთს ამ 2,000 დოლარისთვის, რაც სჭირდებოდა. ასე რომ ის გააკეთა, რაც მე და დრენდამ, როცა ჩვენი პირველი ირემი მივიღეთ. მან დათესა თესლი ამ 2,000 დოლარისთვის. მან დაწერა ქაღალდის ფურცელზე დრო და თარიღი, როცა მისი რწმენით მიიღო ფული, მარკოზის 11:24-ის თანახმად და ჩეკი ჩვენს მსახურებას გამოუგზავნა.

მე არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა, რადგანაც არ მქონდა ნალაპარაკები ჯერისთან. მან თქვა, რომ დაახლოებით კვირა-ნახევარში ვიღაც მოვიდა მისი სახლის კართან და გასაუბრება სთხოვა. ჯერი ამ კაცს წარსულში იცნობდა, თუმცა დიდი ხანი იყო, რაც არ ელაპარაკათ. მათ ცოტა ხანს ისაუბრეს და შემდეგ ამ კაცმა უთხრა, რომ ის რეალურად ჯერისთვის 2,000 დოლარიანი ჩეკის მისაცემად მივიდა. მან დაიწყო ახსნა, რომ კვირა-ნახევრის წინ, ამა და ამ დღეს და ამა და ამ საათზე, სულიწმიდისგან იგრძნო, რომ ჯერისთვის 2,000 დოლარი უნდა მიეტანა.

ჯერი გაოცებული იდგა. მან ხელი დასტაცა საფულეს, სადაც ედო ფურცელი, რომელზეც ის დრო და თარიღი ეწერა, როცა ირწმუნა მისთვის საჭირო 2,000 დოლარი მიიღო. ჯერის ფურცელზე დაწერილი დრო და თარიღი ზუსტად ემთხვეოდა დროს, რომელზეც ეს კაცი ჰყვებოდა, რომ იგრძნო ჯერისთვის 2,000 დოლარი უნდა მიეცა. ჯერიმ იცოდა, რომ ეს დამთხვევა არ იყო. მან იცოდა, რომ ეს იყო პირდაპირი პასუხი ღვთის სამეფოდან, კერძოდ, სამეფოს კანონებიდან.

მან გააგრძელა თავისი ამბავი და მომიყვა, რომ 7 შვილი ჰყავს, რომელთაგან ყველა დაოჯახებულია გარდა მისი 16 წლის ბიჭისა (რომელიც მასთან ერთად იყო ლანჩზე), რომელიც რეალურად ღმერთს დაშორდა მას შემდეგ, რაც დაინახა, თუ რა პრობლემებში გადიოდა მამამისი. ბიჭი გაბრაზდა ღმერთზე, რადგან მისი მამა ერთგული იყო 30 წლის განმავლობაში, ახლა კი ეს შვილი გრძნობდა, რომ ღმერთმა მიატოვა იგი.

ჯერის მის შვილთან მისაწვდომი გზის პოვნა სურდა და იდეა გაუჩნდა. მე ჩემს მასალაში ბევრს ვლაპარაკობ ირემზე ნადირობაზე და ვყვები, როგორ მასწავლა ღმერთმა რწმენით ნადირობა. მისი შვილი გიჟდებოდა ირმებზე ნადირობაზე, ამრიგად ჯერიმ შვილს აუხსნა, როგორ მოენადირებინა მამალი ირემი

იმ შემოდგომას სამეფოს მეშვეობით. შვილი დაფიქრდა ამაზე და საბოლოოდ დათანხმდა. მან და ჯერიმ გამოათავისუფლეს თავიანთი რწმენა ისევე, როგორც ჯერიმ 2,000 დოლარისთვის გააკეთა. ბიჭმა 8 წუთში მოინადირა მშვენიერი მამალი ირემი. როცა ჯერის და მის შვილს ირემი ყასაბთან მიჰქონდათ, ჯერიმ მანქანაში ჩემი დისკი ჩართო. როცა მივიდნენ, შვილმა უთხრა, რომ სურდა მანქანაში დარჩენილიყო და მეტი მოესმინა. როცა ჯერი მანქანიდან გადმოვიდა, შვილმა დაუძახა: „მამა, მგონი მთელი ეს წლები რაღაცა გამოგვრჩა! ვიცი, რომ ეს ირემი ღვთის სამეფოს შედეგია.“

ამის შემდეგ, მისმა შვილმა ხელახლა მიუძღვნა თავი უფალს და მამას უთხრა, რომ თუკი ღმერთს შეეძლო 2,000 დოლარისა და ირმის მიცემა, მაშინ მას იმ 17,000 დოლარის მიცემაც შეეძლო, რაც სახლის გამოსასყიდად სჭირდებოდათ. სწორედ ამ დროს გავიცანი ჯერი. მახსოვს, როგორ მივიღე ჯერის წერილი მისი და მისი ვაჟის დათესილ თესლთან ერთად სახლის გამოსასყიდად. მახსოვს რომ წერილი მოკლე იყო, თუმცა მარტივად გადმოსცემდა, რა სჭირდებოდათ. სხვა არაფერი არ იყო ნახსენები მხოლოდ სახლის გამოსყიდვა. მახსოვს, როგორ დავასხი ხელები წერილს და დავეთანხმე. მახსოვს ზუსტი დრო, როცა ეს გავაკეთე.

ამ დროს, ჯერი მეუბნება, რომ დაახლოებით ორ კვირაში სხვა ადამიანი მოდის მის კართან. ამ ადამიანსაც წარსულში იცნობდა ჯერი. მან უთხრა ჯერის, რომ სახლი შერიფის აუქციონის სიაში ნახა და ჰკითხა: რამდენი იყო საჭირო მის გამოსასყიდად? ჯერიმ უთხრა თანხის რაოდენობა, დაახლოებით 17,000 დოლარი. კაცმა გამოწერა მთელი ღირებულების ჩეკი და წავიდა. ჯერი მიაშტერდა ჩეკს. ამ დროს ჯერი მაგიდის მეორე მხარეს ზის, ტირის და მადლობას მიხდის, რომ ადამიანებს ღვთის სამეფოს შესახებ ვასწავლი. მან თქვა, რომ ძალიან გახარებული იყო იმით, რომ მისმა შვილებმა ღვთის ხელი დაინახეს, რამაც საშუალება მისცა მას სამეფოს შესახებ გაეზიარებინა მათთვის. ძალიან მიყვარს! ეს არის ღვთის სამეფოს რეალურობა, მე კი ძალიან კურთხეული ვარ იმით, რომ შესაძლებლობა მაქვს გავუზიარო ხალხს და შემდეგ მათი ისტორიები მოვისმინო. ხედავთ, ჯერის შეცოდება არ სჭირდებოდა. მას პასუხები სჭირდებოდა, რომლებიც სამეფოში იპოვა.

ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა დავამატო ჯერის ამბავს. მიუხედავად იმისა, რომ ისე ჩანს, თითქოს ადამიანები უბრალოდ მივიდნენ ჯერის კართან და ფული მიუტანეს, არ მინდა არასწორი აზრი გაგიჩნდეთ, რომ თქვენი ფინანსური პასუხი ასე უბრალოდ გამოჩნდება, როდესაც სხედხართ და კოკა-კოლას სვამთ. არა, შენი როლი უნდა ითამაშო, რათა მოიმკა ის, რაც გჭირდება. ჯერის შემთხვევაში, ის 30 წელი მწყემსავდა ეკლესიას. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში თესავდა ამ ადამიანებში. და მეორე, ჯერის არ შეეძლო სახლის დატოვება ინსულტის გამო. ჯერიმ იქიდან მოიმკა, სადაც დათესილი ჰქონდა, ადამიანებიდან მის ეკლესიაში, რომლებთანაც ამ წლების განმავლობაში თესავდა.

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას — აქედან იქით გადადიო, გადავა; და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი!“

_ მათე 17:20ბ

უნდა გითხრათ, რომ ჯერი ასევე სრულიად განიკურნა ინსულტისგან და დაახლოებით 30 კილო ჰქონდა დაკლებული, როცა მე მასთან ერთად მივირთვი ლანჩი. დიდება ღმერთს! იგი ჩაეჭიდა სამეფოს. შეიძლება თქვათ: „ნუ, ჯერი პასტორი იყო; მან რა თქმა უნდა, იცოდა ღვთის სამეფოს შესახებ.“ აშკარად არა, და იქიდან გამომდინარე, რაც მინახავს, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ის არ ყოფილა ასე. სამწუხაროდ, მრავალმა ეკლესიურმა ადამიანმა არ იცის, როგორ გამოიყენოს ღვთის სამეფო ან მიიღოს პასუხები. მათეს სახარებაში დაწერილი ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ ფიქრობს ბევრი.

„ხალხთან რომ მივიდნენ, ერთი კაცი მიუახლოვდა მას მუხლმოდრეკით. უთხრა: „უფალო! შეიწყალე ჩემი ძე, მთვარეულია და ძლიერ იტანჯება, ვინაიდან წარამარა ცეცხლში ან წყალში ვარდება. მივუყვანე შენს მოწაფეებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მისი განკურნება.“

იესომ თქვა: „ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო თაობავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე გითმინოთ?

აქ მომიყვანეთ!“ მოყვანისთანავე შერისხა იგი იესომ და გამოვიდა მისგან ეშმაკი. იმ ჟამიდან განიკურნა ყმაწვილი.

„მაშინ განმარტოებით მიუახლოვდნენ მოწაფეები იესოს და ჰკითხეს: „ჩვენ რატომ ვერ შევძელით მისი განდევნა?“ ხოლო მან უთხრა: „თქვენი მცირე რწმენის გამო. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ მთას — აქედან იქით გადადიო, გადავა; და არაფერი იქნება თქვენთვის შეუძლებელი“.

– მათე 17:14-20

ამ ამბავში, ვხედავთ სასოწარკვეთილ კაცს; მის ძეს ბოროტი სულები სტანჯავენ, თითქმის სიკვდილამდე მიჰყავთ. გაიგო რა იესოს მსახურებაზე და იმაზე, რომ იესოს ჰქონდა დემონების განდევნის ძალაუფლება, დაგეგმა, თავისი შვილი იესოსთან წაეყვანა, რათა განეკურნა. თუმცა, როცა იქ მივიდა, აღმოაჩინა, რომ იესო სამ მოწაფესთან ერთად მთაზე იყო სალოცავად წასული. იქ მყოფმა მოწაფეებმა უთხრეს, რომ პრობლემა არ იყო; ისინიც სდევნიდნენ ეშმაკებს მას შემდეგ რაც იესომ მისცა ამის ძალაუფლება მისი სახელით და შეეძლოთ, ამ კაცის ძისთვისაც მიეხედათ. მაგრამ მათი ლოცვის შედეგად ახალაგაზრდა კაცი არ დაუტოვებია დემონს. მიუხედავად მათი მცდელობისა, დემონი არ განდევნილა. მამა გაბრაზებული იყო, იესოს მიმყოლი ბრბო კი - დაბნეული.

მაგრამ ამ მომენტში იესო და ის სამი მოწაფე გამოჩნდნენ მთიდან ჩამომავალნი. იესომ, დაინახა რა ჩოჩქოლი, იკითხა, თუ რა ხდებოდა. ბიჭის მამა უხსნის მას, როგორ მოიყვანა თავისი ძე მოწაფეებთან, მაგრამ ვერ შეძლეს დემონის განდევნა. შემდეგ მამა იმას აკეთებს, რაც მრავალთათვის აღმოჩნდება ჭეშმარიტება, თუ არა ხალხის უმეტესობისთვის, რომელიც ისეთი კრიზისის წინაშეა, სადაც თითქოს გამოსავალი არ ჩანს. იგი შეწყალებას შესთხოვს იესოს. მიუხედავად იმისა, რომ შეწყალების ხვეწნა სასოწარკვეთილებისას კარგად ჟღერს, ეს არ ყოფილა ამ კაცის პასუხი და არც შენია! მამა, რომელსაც სურდა იესოს თანაგრძნობა აღეძრა მისი სიტუაციისადმი,

შემდეგ აგრძელებს და ჰყვება, თუ როგორ სტანჯავს დემონი მის შვილს, ცეცხლში აგდებს და მის მოკვლას ცდილობს. იესო აჩერებს მას. მას აღარ სურს, მეტი მოისმინოს ტანჯვაზე, რასაც ამ კაცის ძე უძლებს. უიმედობაში იესო შესძახებს: *„ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო თაობავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე გითმინოთ? აქ მომიყვანეთ!“* ამ ერთი წინადადებით, იესო ნათელს ჰფენს, თუ რატომ არ გამოვიდა დემონი ბიჭისგან.

მაგრამ ვიდრე ღრმად ჩავალთ იმ აზრში, რაც იესომ თქვა, საჭიროა ხელახლა განვიმტკიცოთ საფუძველი, რაზეც ვდგავართ, რომ ღმერთი არ და ვერ იტყუება. რასაც ის ამბობს, ჭეშმარიტებაა. ამის ფონზე შეგვიძლია, ერთი წინადადებით შევაფასოთ ეს სიტუაცია: „დემონები **უნდა** გამოვიდნენ.“ თუ ასე არ ხდება, რაღაც ისე ვერ არის და ეს არა ღვთის, არამედ ჩვენი ბრალია. გახსოვდეთ ეს: ღვთისგან მიღებისას პრობლემა ყოველთვის ჩვენთანაა! იესო ნათლად გვეუბნება მიზეზს, რის გამოც დემონმა არ დატოვა ბიჭის სხეული, არასწორი აზრები და ურწმუნოებაა. ჩვენ ახლავე განვიხილავთ ამ ორ მიზეზს. მაგრამ მანამდე მინდა ამ მამასა და ძეზე გადავიტანოთ ყურადღება.

მამა ნამდვილად სასოწარკვეთილი იყო შვილის მდგომარეობის გამო. როცა თითქოს არაფერი მომხდარა მოწაფეების ლოცვის შემდეგაც კი, თითქოს პასუხი აღარ იყო. ერთადერთი პასუხი, რისი იმედიც ჰქონდა, არ გამართლდა. მხოლოდ ერთი რამ იყო დარჩენილი — მოწყალების თხოვნა. ფრაზა „მოწყალების თხოვნა“ გულისხმობს, რომ ვიღაცას აქვს დახმარების ძალაუფლება, მაგრამ აირჩია, რომ ასე არ მოიქცეს. ამრიგად, ერთადერთი რაც დარჩა, არის იმ საშინელი ტანჯვის აღწერა, რასაც ბიჭი უძლებდა, იმის მცდელობით, რომ იესოში თანაგრძნობა აღეძრა.

წრფელად რომ ვთქვათ, სწორედ ასე ლოცულობს უმრავ-ლესობა, იციან რა, რომ ღმერთს აქვს მათი დახმარების ძა-ლაუფლება, თუმცა არ არიან დარწმუნებულნი მის პასუხში და მოწყალებას შესთხოვენ. ამრიგად, გრძელი ლოცვებითა და მრავალსიტყვობით, ისინი აღწერენ ტკივილის დეტალებსა და გარემოებებს: „მამა, ხომ იცი რომ პარასკევამდე მჭირდება ეს თანხა; გთხოვ, დამეხმარე, ღმერთო!“ ან „ღმერთო, გთხოვ, თუ ჩემს შვილს განკურნავ, მთელი ცხოვრება გემსახურები. გთხოვ,

ღმერთო.“ მე არ ვამარტივებ იმ სიტუაციებს, რაშიც ადამიანები გადიან, მაგრამ გთხოვთ, მოინიშნეთ, თუ რამდენად სწრაფად მოიტანა იესომ ღვთის ძალა ამ სიტუაციაში და გაათავისუფლა ბიჭი! აი ასეთია ღვთის გული, მისი სურვილი! მას არც თანაგრძნობა აკლია, არც ძალა და ძალაუფლება. არც ამ ამბავში იყო ეს პრობლემა. იესო ამ პრობლემას ურწმუნოებასა და უკულმართობას უწოდებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასწორმა ფიქრებმა და რწმენის ნაკლებობამ ხელი შეუშალა სამეფოს სამართლიანობის აღსრულებას ამ შემთხვევაში.

კარგით, ამაზე მეტია სალაპარაკო, სამეფოსა და მისი მოქმედების მრავალი გასაღების შესახებ. არ მინდა, სრულად გავიარო ის რაღაცები, რაც უნდა იცოდეთ, მაგრამ უბრალოდ მაინც ვახსენებ მათ და მოგვიანებით ვისწავლით იმ კანონებზე, რაც აქ მოქმედებს.

სამეფოს კანონების ყველაზე არსებითი ნაწილის გასაგებად უნდა გვესმოდეს ეს პირველადი და ფუნდამენტური მომენტი: ღმერთმა ადამს სრული მმართველობა მისცა დედამიწაზე. მას უნდა ემართა იგი.

> *„თქვა ღმერთმა: „შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად და ჩვენს მსგავსად; დაე, იბატონოს ზღვაში თევზზე, ცაში ფრინველზე, პირუტყვზე, მთელ დედამიწაზე და ყოველ ქვეწარმავალზე, რომელიც დაძვრება მიწაზე“.*
>
> – დაბადება 1:26

ვფიქრობ, ამ საკითხს ძალიან ნათლად გადმოსცემს ებრაელთა 2:7-9:

> *„ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და პატივით დააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე. ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი“.*

სულ მცირე, ის უნდა გავიგოთ, რომ ღმერთს არ შეუძლია თავისი ძალაუფლების გამოვლენა ამ მიწიერ სამეფოში (ადამი-

ანთა სამეფოში) თუკი ის კაცი თუ ქალი, რომელსაც კანონიერი მმართველობა აქვს აქ, არ გამოანთავისუფლებს ზეციურ ძალაუფლებას.

აი რატომ უთხრა იესომ თავის მოწაფეებს მათეს 18:18-ში:

> *„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“.*

კვლავ ვიტყვი, რომ ზეცას არანაირი კანონიერი უფლება არ აქვს მიწიერ სამეფოზე, გარდა იმ კაცისა და ქალის მეშვეობით, ვინც მას გახსნის აქ. აი რატომ ამბობს იესო, რომ თუ კაცი ან ქალი გამოანთავისუფლებს ზეცის ძალაუფლებას აქ, ზეცაც გამოეპასუხება. თუ ჩვენ ასე არ მოვიქცევით, არც ზეცას შეუძლია. თუ ეს აზრი გეუცნაურება, გთხოვ, აქ არ გაჩერდე! მოგვიანებით, დეტალურად განვიხილავ ამ საკითხს. მაგრამ ახლა, უბრალოდ დაეთანხმე ამ ჭეშმარიტებას, რომ მიზეზი, რის გამოც დემონმა ბიჭი არ დატოვა ისაა, რომ — **მას არც უნდა დაეტოვებინა!** იგი თავისი კანონიერი უფლებით სარგებლობდა, რომ დარჩენილიყო. კვლავ ვიმეორებ, იესომ თქვა, რომ მიზეზი, რის გამოც დემონმა არ დატოვა ბიჭი იყო რწმენის ნაკლებობა, ანუ მმართველობის ნაკლებობა. ღმერთმა თავისი მმართველობა დაკარგა ადამიანის საქმეში, როცა ადამმა გამოაგდო ღმერთი თავისი ამბოხებით. სწორედ აქ მოიპოვა სატანამ კაცობრიობაზე მმართველობა.

მაგრამ ეს შენ არ ხარ, ჩემო მეგობარო! შენ გაქვს წვდომა სამეფოს მმართველობაზე. არსებობს პასუხები შენს პრობლემებზე.

> *„აიყვანა იგი (იესო) მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებასა და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული (ადამის მიერ) და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“*
>
> – ლუკა 4:5-7

შედეგად, ღმერთმა დაკარგა კანონიერება მიწიერ სამეფოზე, რადგან დაკარგა მისი მატარებელი ადამიანი — ადამი. ისევ გეტყვით, რომ ამ ყველაფერს კონკრეტულ კანონებთან დაკავშირებით მოგვიანებით განვიხილავ, როგორც უკვე ვთქვი, მაგრამ მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ისტორია მოვიყვანე, იყო, მიმეთითებინა მამის დამოკიდებულებასა და სასოწარკვეთილებაზე და დამენახვებინა, თუ როგორ მიდის იგი მოწყალების თხოვნამდე. გთხოვთ, ძალიან ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი რამდენიმე წინადადება!

თუკი არ არსებობს ძალაუფლება ან კანონი და ადამიანის ტრადიციული სამართლის სისტემა, რომელიც ადამიანს გამოსავალს მოუტანს, მაშინ მოწყალების თხოვნა ერთადერთია რაც დაგვრჩა. ნება მომეცით, სხვანაირად ვთქვა! თუკი ადამიანს არანაირი კანონიერი საშუალება არ აქვს პრობლემის აღმოსაფხვრელად და არც წვდომა აქვს პროცესთან, რომელიც სამართალს ემსახურება, მაშინ პასუხების მიღებაშიც ვერ ვიქნებით დარწმუნებული. ერთადერთი რაც დაგვრჩა, ხვეწნაა.

მაგრამ ეს შენ არ ხარ, ჩემო მეგობარო! შენ გაქვს წვდომა სამეფოს მმართველობაზე. არსებობს პასუხები შენს პრობლემებზე. გახსოვდეს, სამეფო მმართველობაა და იგი ფუნქციონირებს კანონებით, რომლებიც მიუკერძოებელია და ხელმისაწვდომია ამ სამეფოს მართლმსაჯულებაში მცხოვრები ყველა მოქალაქისთვის! როგორც უკვე აღვნიშნე ამ წიგნში, ღვთის სამეფო სამართალზე (ლეგალურ პროცესზე, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ღვთის ძალაუფლებას, აღასრულოს ის, რაც მისი კანონის მიხედვითაა სწორი) და სიმართლეზეა აშენებული. არსებობდა მიზეზი, რის გამოც დემონი არ გამოსულა ბიჭისგან და ეს არ ყოფილა ღვთის სისუსტე, ან მისი ნების ცვლილება. იესო გვაჩვენებს ამას, როცა სწრაფად საყვედურობს მოწაფეებს და შემდეგ დევნის დემონს.

რადგანაც ადამიანს აქვს კანონიერება მიწიერ სამეფოზე, ღვთის მმართველობა და ძალაუფლება ვერ იმოძრავებს, სანამ კაცი ან ქალი, რომელსაც მმართველობა აქვს დედამიწაზე, სრულიდ დარწმუნებული იმაში, რასაც ზეცა ამბობს, არ გამოანთავისუფლებს ძალაუფლებას აქ.

ქრისტიანთა უმრავლესობა, როცა სამეფოს გამოვლენას ვერ ხედავენ, ცვლიან დოქტრინას და ამბობენ: „ყველა დემონი არ იდევნება!“ მათ იციან, რომ ღმერთს აქვს მთელი ძალა, ამრიგად მიიჩნევენ, რომ ღმერთს შეუძლია, ყველაფერი გააკეთოს მიწიერ სამეფოში, რაც მას სურს, ასე რომ, თუ დემონი არ განიდევნა, ე.ი. ღმერთმა აირჩია, მას არ დაეტოვებინა სხეული. მეგობარო, ასეთი გაგება სრულიად არასწორია! იესომ თქვა რომ **მათი** უკულმართობისა და ურწმუნოების გამო ვერ განხორციელდა ზეცის მართლმსაჯულება ამ შემთხვევაში. ნება მომეცით ასე ვთქვა. მიზეზი, რის გამოც დემონი არ გამოვიდა, კანონის საკითხი იყო — პერიოდი. იგი არ გამოსულა, რადგან იქ მყოფთაგან არავინ გამოათავისუფლა ზეცის ძალაუფლება და კანონიერი მართლმსაჯულება ამ სიტუაციაში. „მაგრამ გარი, ისინი ცდილობდნენ მის გამოდევნას!“ დიახ, მაგრამ, როგორც ვთქვი, კანონის მიხედვით ის არ უნდა გამოსულიყო. რატომ? კვლავ ვიმეორებ, ზეცას არ აქვს მმართველობა დემონის განსადევნად.

ნება მომეცით სხვანაირად შემოგთავაზოთ ზემოთ ნათქვამი. მათ არასწორი აზროვნება ჰქონდათ, კარგს ან მისაღებს უწოდებდნენ იმას, რაც არასწორი იყო და პირიქით. არასწორად ფიქრობდნენ იმაზე, თუ რას იტყოდა ღმერთი რაიმე საკითხთან დაკავშირებით. ურწმუნოება იყო ასევე მთავარი საკითხი, რადგან სწორედ რწმენაა საჭირო ზეცისთვის დედამიწაზე მართლმსაჯულების აღსასრულებლად. მორწმუეები არ იყვნენ დარწმუნებულნი, სრულად დარწმუნებულნი, რომ დემონი გამოვიდოდა. მათ ეშინოდათ!

რადგანაც ადამიანს აქვს კანონიერება მიწიერ სამეფოზე, ღვთის მმართველობა და ძალაუფლება ვერ იმოძრავებს, სანამ კაცი ან ქალი, რომელსაც მმართველობა აქვს დედამიწაზე, სრულიდ დარწმუნებული იმაში, რასაც ზეცა ამბობს, არ გამოათავისუფლებს ძალაუფლებას აქ. სხვათა შორის, გულებში სრული დარწმუნებულობის ქონას ზეცის ნათქვამში რწმენა ჰქვია და იმ დღეს არავის ჰქონდა რწმენა. ისინი გაორებულები და ურწმუნოებით სავსენი იყვნენ, რითიც გზა მოუჭრეს ზეცის სამართალს ამ სიტუაციაში. მაგრამ იესოს ჰქონდა რწმენა და იცოდა, რომ ეს დემონი გამოვიდოდა! იესომ აიღო სიტუაციაზე კონტროლი და მანაც დატოვა ბიჭი. „მაგრამ, გარი, დემონი

იმიტომ გამოვიდა, როცა იესომ შერისხა, რომ ის იესო იყო?!“ მართლა? მოდით შევხედოთ მარკოზის 6:5-ს, სადაც იესო თავის მშობლიურ ქალაქში მსახურობს.

> *„და ვერ მოახდინა იქ ვერანაირი სასწაული, გარდა იმისა, რომ რამდენიმე სნეულს ხელები დაასხა და განკურნა“.*

უნდა დამეთანხმოთ, რომ იესოს ჰქონდა განკურნების ძალა, ასეა? მაშინ იმაზე პასუხის გაცემასაც შეძლებთ, თუ რატომ ვერ შეძლო მან ამ ისტორიაში იმ ყველაფრის გაკეთება, რაც სურდა. საჭიროება იყო, მაგრამ რაღაც უშლიდა ხელს. იგი გვპასუხობს მე-6 მუხლში, *„უკვირდა მათი ურწმუნოება.“* რწმენა (თანხმობა ზეცასთან) ანიჭებს ზეცას კანონიერებას მიწიერ სამეფოში. მაგალითისთვის, ამ პრინციპს მარტივად დაინახავთ იმაში, თუ როგორ გახდით დახსნილი და მოხვედით ქრისტესთან.

> *„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად“.*
>
> – რომაელთა 10:10

თქვენ გწამთ გულში (რასაც ზეცა ამბობს) და გამართლებულნი ხართ! ეს კანონის მიერი ტერმინია, რომელიც კანონის სისრულეში მოყვანას გულისხმობს და აღნიშნავს, რომ ახლა ზეცას აქვს კანონიერი ძალაუფლება მიწიერ სამეფოზე. ამ პრინციპის მარტივად აღქმისას, მოდით გვახსოვდეს, რომ ადამს კანონიერი ბატონობა მიეცა აქ, დედამიწაზე და ადამიანს კვლავ ეს პოზიცია აქვს. ეს არ უნდა აგვერიოს იმაში, რომ ადამიანს არ შეუძლია სულიერი მმართველობა, რომელიც ედემში დაკარგა სატანასთან. ღმერთი ვერ დაარღვევს იმ კანონიერ პოზიციას, რომელსაც ადამიანი ფლობს ახლა მიწიერ სამეფოში. შესაბამისად, ღმერთმა უნდა იპოვოს ისეთი კაცი ან ქალი, რომელიც დათანხმდება ზეცას, რათა კანონიერად მოიპოვოს შემოსასვლელი და გამოვლინდეს მიწიერ სამეფოში.

რომაელთა 10:10-ში შეამჩნევთ, რომ ორი რამ უნდა მოხდეს, სანამ ზეცის ძალაუფლება და ძალა გამოთავისუფლდება აქ, მიწიერ სამეფოში. პირველი უკვე ვახსენე: სრულიად დარწმუ-

ნებულები უნდა ვიყოთ და ჩვენს გულებში ვეთანხმებოდეთ იმას, რასაც ზეცა ამბობს; ამას რწმენა ჰქვია. მეორე, გვჭირდება, გვესმოდეს, რომ რწმენაში ყოფნა თავისთავად არ გამოათავისუფლებს ზეცას აქ. გაგიკვირდათ? ნება მომეცით, აგიხსნათ! სინათლის ჩამრთველზე იფიქრეთ! როცა გულით გჯერა, რასაც ზეცა ამბობს, ეს გაკავშირებს ზეცის კანონიერებასთან ან გამართლებასთან. მაგრამ შემდეგ ეს ძალაუფლება აქ უნდა გამოვათავისუფლოთ. როგორც ჩემს მაგალითში, გვჭირდება, რომ შუქი ავანთოთ. ამას ვაკეთებთ, როცა ვაღიარებთ და ვმოქმედებთ სამეფოს ძალაუფლებით.

ვიცი, რომ ერთსა და იმავეს ვიმეორებ, მაგრამ ღვთის სამეფოს ამ კანონის გაგება **არსებითია**, რათა გქონდეს უნარი მიიღო ის, რაც ზეცას აქვს შენთვის. ყველაფერს, რასაც ზეციდან მიიღებ, ისევე მიიღებ, როგორც გადარჩენას —ზეცის ნათქვამის შენს გულში დაჯერებით და ამის შესახებ თქმით ან მოქმედებით.

სამეფო, რომელზეც იესო ასწავლიდა და აჩვენებდა, სრულიად უცხო იყო მოწაფეებისათვის. არაერთხელ ჩანს, თუ როგორ დააბნია მოწაფეები ნანახმა. წმიდა წერილიდან წაკითხულ ადგილში, დარწმუნებული ვარ, მოწაფეები შეშინდნენ დემონის გამოვლენით და დაეჭვდნენ, რითიც გაანულეს თავიანთი რწმენა. ვფიქრობ, რომ როცა დემონის გამოდევნა სცადეს, მან თავი გამოავლინა, შეიძლება ბიჭი ძირს დაეხეთქა. რამაც შესაძლოა, შიში გამოიწვია. ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია, თუმცა ერთ რამეში ნამდვილად დარწმუნებული ვარ. რაღაცამ გამოიწვია ის, რომ მათი გულები თანხმობაში ვერ მოვიდა ზეცასთან და ურწმუნოება შემოვიდა მათში.

მეორე მხრივ, იესო სრულიად დარწმუნებული იყო იმაში, თუ რას ამბობდა ზეცა ასეთ სიტუაციაში და უბრძანა დემონს, გამოსულიყო. ასე რომ, როგორც ვხედავთ, პრობლემა იმაში, რომ დემონი არ გამოვიდა მიწიერ სამეფოში იყო და არა ზეციერ სამეფოში.

„ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ!“

– არკოზი 11:22–24

მხოლოდ ერთი ადგილის ამორჩევა რომ მიწევდეს წმიდა წერილიდან, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს მიწიერ სამეფოში ღვთის სამეფოს ფუნქციონირებას, ვიტყოდი, რომ ეს

მარკოზის 11:22-24-ია. სცენის წარმოსადგენად, საჭიროა რამდენიმე მუხლით უკან დავბრუნდეთ, სადაც დავინახავთ, რომ იესოს მიმართვით ლეღვის ხე გახმა. მას შემდეგ რაც ხეზე ნაყოფი ვერ იპოვა, იესომ დაწყევლა იგი. როცა მეორე დღეს მოწაფეებმა იგივე ხე ნახეს, აღმოაჩინეს, რომ ის გამხმარიყო. პეტრე გაოცებულია ნანახით და იესოს შეჰღაღადებს.

> *„პასუხად უთხრა იესომ: „გქონდეთ ღვთის რწმენა! ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ამ მთას ეტყვის: აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, გულში კი არ შეეჭვდება, არამედ ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება, ექნება მას. ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ!“*
>
> – მარკოზი 11:22-24

შეამჩნიეთ, რომ პეტრე გააოცა მომხდარმა? ეს როგორ მოხდა? იესომ უბრალოდ მიმართა ხეს. ეჭვგარეშეა, რომ ხე გამოეპასუხა იესოს სიტყვებს და გახმა. შემდეგ იესო პეტრეს უმხელს „ჭეშმარიტებას“ - ღვთის სამეფოს კანონს. იესოს განმარტება გვეხმარება მეტად გავიგოთ, თუ როგორ ერევა ღვთის სამეფო მიწიერ სამეფოში. ამ მაგალითშიც იგივე კანონის მოქმედებას ვხედავთ, რაზეც ვსაუბრობდით; კაცი ან ქალი დედამიწაზე, სრულად დარწმუნებულია იმაში, რასაც ზეცა ამბობს (რაც ახლა გამართლებულია) და შემდეგ გამოათავისუფლებს ზეცის ძალაუფლებას. რა თქმა უნდა, ეს ადამიანი ამ ისტორიაში თავად იესოა, მაგრამ იესო თავის განმარტებაში ძალიან ცხადად ამბობს იმას, რომ ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება.

დარწმუნებული ვარ, დაეთანხმებით! ადამიანებს, მართლა რომ სცოდნოდათ ეს და გაეგოთ კანონი, რომელზეც იესო ასწავლიდა, ამას მათ ცხოვრებაზე გასაოცარი გავლენა ექნებოდა. მე ღვთის სამეფოს გავლენა საკუთარი ოჯახის ცხოვრებაზე დავინახე, მაგრამ ასევე გასაოცარი იყო სამეფოს გავლენის იმ ოჯახებზე დანახვა, ვისაც იმას ვასწავლიდით, რაც თავად ვისწავლეთ. ნება მომეცით გავიხსენო ამბავი ჩემს ეკლესიაში, სადაც ეს კანონი გამოვლინდა. ხშირად სამეფოს შესახებ ცოდნა და მისი

ფუნქციონირება განასხვავებს სიცოცხლესა და სიკვდილს. ამ ამბავშიც ასე იყო.

ჯენიფერმა დაიწყო ჩემს ეკლესიაში სიარული, რწმენასა და ღვთის სამეფოზე მოსმენა. აღფრთოვანებული სწავლობდა თავის ძალაუფლებასა და უფლებებზე სამეფოში. მაშინ მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ და სურდა, სახლში ემშობიარა. ამრიგად, დაიწყო იმის შესწავლა, თუ რას ამბობს ღვთის სიტყვა ბავშვის შობასა და იმ აღთქმებზე სამეფოში, რაც მის ბავშვს შეეხებოდა. დარწმუნებული იყო, რომ კარგად იმშობიარებდა სახლში. ბებიაქალისთვის რიგი დაიკავა და ერთ ქალს ეკლესიაში, რომელმაც რამდენიმე ბავშვი გააჩინა სახლში, სთხოვა, თუ შეეძლო ინსტრუქტორობა გაეწია მისთვის მშობიარობისას.

სანამ ბავშვს გააჩენდა, ყველა მსახურებაზე ღვთის სამეფოს პრინციპებით იყო გაჟღენთილი. ეს ცნებები ახალი იყო ჯენიფერისთვის. მოსწონდა იმის სწავლა, რომ ღვთის სამეფოში რეალური პასუხები არსებობდა. სამწუხაროდ, ამ პერიოდში მის ქმარს კვირაობით მუშაობა უწევდა და მსახურებას ხშირად ვერ ესწრებოდა მასთან ერთად. საბოლოოდ, მოვიდა დრო, როცა ბავშვი უნდა დაბადებულიყო. ბებიაქალსა და ინსტრუქტორს გამოუძახეს.

ღამის ორი თუ სამი საათი იქნებოდა, როცა საწოლის გვერდით დადებულმა ტელეფონმა დამირეკა. ყურმილში ჯენიფერის ინსტრუქტორის კივილი მესმის: „პასტორო, გთხოვთ ილოცეთ; ბავშვი მკვდარი დაიბადა!“ ახალმა ამბავმა მაშინვე გამომაფხიზლა. შემდეგ მშობიარობის ინსტრუქტორმა მითხრა, რომ ბავშვი ახლახანს გადაიყვანა სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში. მან ისიც გამანდო, რომ რეალურად, სამედიცინო გუნდმა მოსვლისთანავე გამოაცხადა, რომ ბავშვი მკვდარი იყო.

მე და დრენდა წამოვხტით და ჩავიცვით. სულით ლოცვა დავიწყე და ვუსმენდი თუ რა უნდა გამეკეთებინა. ვიცოდი რომ ეშმაკს სურდა ცილი დაეწამა ჩვენი ეკლესიისთვის ამ ამბით. სათაურებსაც კი ვხედავდი გონებაში: „ბავშვი კვდება, რადგან ეკლესია სახლში მშობიარობისკენ მოუწოდებს.“ ჩვენ მართლა არ გვქონია ამ საკითხზე მტკიცე პოზიცია თუ როგორ უნდა დაბადებულიყო ბავშვი, სახლში თუ სამშობიაროში, თუმცა ბევრი ქალი ირჩევდა სახლში მშობიარობას; ეს სიმართლე იყო.

მე და დრენდა სულით ლოცვას ვაგრძელებდით როცა მანქანით საავადმყოფოსკენ მივდიოდით, რომელიც 20 წუთის გზაზე იყო. დაახლოებით ნახევარი გზის გავლის შემდეგ, უეცრად ვიგრძენი, რომ უფლის სული გადმოვიდა ჩემზე და ვიცოდი, რომ ბავშვი კარგად იქნებოდა. ზუსტად იმ წუთას, ჩემი ცოლი შემომიტრიალდა და მითხრა, რომ უფალმა ახლახანს უთხრა, რომ ბავშვი კარგად იქნებოდა.

ვიცოდი, რაც გვითხრა უფალმა მე და ჩემს ცოლს, ამიტომ, როცა გადაუდებელი დახმარების ოთახში შევედი, მაინტერესებდა: რას ვნახავდი? პალატაში 7 თუ 8 ექთნისგან შემდგარი ჯგუფი დავინახე, ჩემი გადმოსახედიდან სრულიად ნორმალური, ვარდისფერი, მტირალი ბავშვის გარშემო. ფრთხილად დავაკვირდი მათ სახეებს. ძირითადად, როცა ბავშვი ქალების ჯგუფშია, მათ სახეზე ღიმილს დაინახავ. მაგრამ ამ შემთხვევაში, არცერთი მათგანი არ იღიმოდა. თითოელი მათგანის სახეზე შოკი იყო გამოსახული.

შევხვდით ქალს, რომელმაც დაგვირეკა. მან კვლავ გვითხრა, რომ ბავშვი სახლშივე გამოაცხადეს მკვდრად, რაც 20 წუთის წინ იყო. საავადმყოფოშიც, მოყვანისთანავე განაცხადეს, რომ ბავშვი მკვდარი იყო, მაგრამ უეცრად გაიღვიძა. დიდება ღმერთს! მე და დრენდა აღფრთოვანებულები ვიყავით ცოცხალი ბავშვის ნახვით, ისე როგორც სულიწმიდამ გვითხრა.

ამასობაში, სასწრაფო დახმარების მეორე მანქანამ ბავშვის დედა, ჯენიფერი მოიყვანა დედათა პალატაში. შესაბამისად, მან ჯერ არ იცოდა თავისი გოგონას მდგომარეობა. ჩემი ცოლი, დრენდა დედათა განყოფილებაში ავიდა მის სანახავად. როგორც კი დრენდა იმ პალატაში შევიდა, სადაც ჯენიფერი ისვენებდა, უთხრა: „ჯენიფერ, შენი პატარა კარგადაა, ის შესანიშნავია!“ ჯენიფერის გვერდით მდგარი ექთანი ჩაეჩრა და უხეშად განაცხადა: „არა, ის ბავშვი სუდარაშია ჩასმული!“ ჩემმა ცოლმა ძალიან დამაჯერებლად შეუსწორა ექთანს შეცდომა. დღეს, ღმერთს დიდება, პატარა გოგონა რომელსაც ჰეილი დაარქვეს, მშვენიერი ახალგაზრდა ქალბატონია, რომელსაც არც ტვინის დაზიანება აქვს და არც ჯანმთელობის რაიმე დარღვევა! რადგან მესმის, რომ ღვთის სამეფო სულიერ კანონზე დაფუძნებით მოქმედებს, ვიცი, რომ ეს შედეგი შემთხვევითი არ ყოფილა. სულიერ მეცნიერს (არა ქრისტიან მეცნიერს, არამედ მას, ვინც

სწავლობს, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო), რომელიც მე ვარ, მინდოდა ზუსტად გამერკვია: რა მოხდა?

ვიცოდი, რომ პატარა ჰეილი ოფიციალურად „მკვდრად შობილად“ გამოაცხადა სასწრაფო დახმარების გუნდმა, რომელიც სახლში მივიდა. ვიცოდი ისიც, რომ მიყვანილი ბავშვი საავადმყოფოშიც მკვდრად გამოაცხადეს. მაშინ რა მოხდა? მშობიარობის ინსტრუქტორს დაველაპარაკე და ვთხოვე დეტალებში მოეყოლა ყველაფერი, რაც მოხდა. გასაღებს ვეძებდი. მან თქვა, რომ მშობიარობისას ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ ბავშვი დაიბადებოდა. მას სიცოცხლის არანაირი ნიშანი არ ჰქონდა და მუქი ლურჯი ფერი ედო. ბებიაქალი ეცადა ბავშვის გამოცოცხლებას, თუმცა ამაოდ. ინსტრუქტორმა მითხრა, რომ ჯენიფერის ოჯახის წევრებიც იქ იყვნენ, რომელთაც პანიკა დაიწყეს. მაგრამ ჯენიფერმა მშვიდად უთხრა: დაწყნარებულიყვნენ, შემდეგ თითი ქმარს მიადო სახეზე და უთხრა: „სიტყვა არ დაძრა — ეს ბავშვი კარგად იქნება!“

ინსტრუქტორი აქ გავაჩერე და ვთხოვე კიდევ გაემეორებინა, თუ რა უთხრა ჯენიფერმა ქმარს. მან იგივე გაიმეორა, ჯენიფერმა თითი ქმარს სახეზე მიადო და უთხრა: „სიტყვა არ დაძრა — ეს ბავშვი კარგად იქნება!“ ვაუ! აი ისიც! აი ამ წუთმა, ამ განაცხადმა გადაარჩინა პატარა ჰეილის სიცოცხლე. თავს დეტექტივივით ვგრძნობდი, რომელმაც საქმე გახსნა! აღტაცებული ვიყავი. ეს ისეთი მარტივი, და ამავდროულად ისეთი ღრმა იყო. ჯენიფერმა უბრალოდ გამოიყენა სულიერი კანონი ამ სიტუაციაში და ამან მისი ბავშვის სიცოცხლე იხსნა! როცა გაგებულზე ვფიქრობდი, ყველაფერმა აზრი შეიძინა.

ჯენიფერმა იცოდა, რომ სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, მისი ქმარი მასსავით ვერ აშენდა რწმენაში გასული თვეების განმავლობაში. ისიც იცოდა, რომ მისი, როგორც ოჯახის თავის დათანხმება შობის ამ საშინელ სცენაზე ბავშვის ბედს გადაწყვეტდა. აი, რატომ იყო მისი პირველი რეაქცია ქმართან დალაპარაკება, რათა ნება არ მიეცა მისთვის, დათანხმებოდა მათი ბავშვის სიკვდილს. ნაცვლად ამისა, ჯენიფერი დარწმუნებული იყო, რომ ბავშვი იცოცხლებდა და კარგად იქნებოდა და ეს რწმენითა და გაბედულებით განაცხადა.

როგორც კი ჯენიფერი საავადმყოფოდან გამოწერეს, იგი სასწრაფო დახმარების გუნდთან მივიდა და ჰკითხა: რა გაუკეთეს

ბავშვს გზაში იმ ღამით? დარცხვენილებმა შეხედეს.

„არაფერი“ - ბოლოს თქვა ერთ-ერთმა.

„რას ნიშნავს არაფერი?“ - ჰკითხა ჯენიფერმა, „რეაქტიული ცილა შეუმოწმეთ?“

„არა“ - უთხრეს მათ.

„სხვა რამე გაუკეთეთ ბავშვს?“

„არა“ - კვლავ იგივე უპასუხეს.

მათ უთხრეს რომ ბავშვი უბრალოდ მკვდარი იყო და მისი გამოჯანმრთელების არანაირი იმედი აღარ არსებობდა. თუმცა ბავშვმა უბრალოდ „გაიღვიძა“, როცა საავადმყოფოში მოვიდნენ! სასწრაფო დახმარების ამ გუნდს საავადმყოფოსა და სახანძროსგან წლიური ჯილდო ჰქონდა მიღებული, როგორც რთულ სიტუაციებში ყველაზე კარგად მოქმედ გუნდს, თუმცა მათ აღიარეს, რომ არაფერი გაუკეთებიათ.

ცოტა ხნის წინ ჰეილი და მისი დედა, ჯენიფერი ჩვენს სატელევიზიო გადაცემაში გვყავდა. ყველა ჩვენგანი ცრემლიანი თვალებით კიდევ ერთხელ ვზეიმობდით ღვთის სამეფოს მოქმედებას. ჩვენ ვზეიმობდით ფაქტს, რომ ვიღაც იყო ამ სიტუაციაში, ვინც იცოდა, თუ როგორ ემოქმედა სულიერი კანონისა და სამეფოს ძალაუფლების ფარგლებში.

ამ ამბავში ვხედავთ, რომ ჯენიფერი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რასაც ზეცა ამბობს, და შემდეგ, თავისი სიტყვებით ათავისუფლებს ამ ძალაუფლებას მის სიტუაციაში. კანონი მოქმედებს!

კიდევ ერთ ოჯახს ჰქონდა მსგავსი გამოცდილება ჩემს ეკლესიაში ღვთის სამეფოს იგივე კანონთან მიმართებაში. ორმა დამ გადაწყვიტა, რომ ერთად ესადილათ, რაც მარტივი არ იყო, რადგან დაახლოებით 12-13 ბავშვი იდგა მათ შორის. სადილობისას, შეამჩნიეს, რომ ოთხი წლის ჯოელი აკლდათ. მთელ სახლში ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვნეს. იფიქრეს, რომ დაიმალა, მაგრამ მთელი სახლის გადაყირავების შემდეგაც ვერსად მიაგნეს. უეცრად დედამისს, თინას, თავში საშინელი აზრი მოუვიდა. იქნებ უკანა ეზოში აუზში ჩავარდა? თავის 13 წლის დისშვილთან, კორტნისთან ერთად გაიქცა იქით და უეცრად შიშმა გააქვავა, როდესაც ჯოელი აუზის ფსკერზე, უძრავი დაინახა. არავინ იცოდა, რამდენი ხანი გაატარა ბავშვმა იქ. თინამ დაიკივლა, რომ 911-ზე დაერეკათ და აუზში ჩაყვინთა

ჯოელის ამოსაყვანად. იგი არ სუნთქავდა, ფერფლისფერი ედო და არ მოძრაობდა.

13 წლის გოგონამ, რომელიც ჩვენს ბავშვთა მსახურებაში გაიზარდა, დეიდას უთხრა: „არა, თინა დეიდა, არ გვჭირდება 911-ზე დარეკვა; ჩვენ ძალაუფლება გვაქვს. ჩვენ უნდა ვილოცოთ!“ ორივემ ლოცვა დაიწყო, მაგრამ არაფერი მომხდარა. თინამ კვლავ დაიყვირა: „დარეკეთ 911-ზე!“ კორტნიმ დეიდას უთხრა: „დეიდა თინა, ჩვენ სიცოცხლის სიტყვა უნდა გამოვათავისუფლოთ მისადმი!“ და კორტნიმ წარმოთქვა: „ჯოელ, იესოს სახელით, გაიღვიძე!“ უეცრად ჯოელმა დაახველა, წყალი ამოაფურთხა და გონზე მოვიდა, სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში.

როცა ამ ამბავზე ვფიქრობ, ყოველთვის გაოცებული ვარ. მაოცებს არა ის, რომ ბიჭი კარგად იყო, არამედ 13 წლის ბავშვი და მისი აზროვნება იმ მომენტში. უზომოდ სტრესულ, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე გამავალ სიტუაციაში, მან შეძლო, შიშის გარეშე განესაზღვრა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. კორტნიმ დაამტკიცა, რომ სამეფოს მოქმედების პრინციპების ცოდნა მეტია, ვიდრე უბრალოდ კარგი მსახურება; ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია!

მინდა, კვლავ ყურადღება მიაქციოთ, თუ როგორ მოქმედებს სამეფო! პირველად, კორტნიმ თქვა, რომ უნდა ელოცათ, რაც გააკეთეს, თუმცა არაფერი მომხდარა. ეს იმიტომაა, რომ როდესაც ვლოცულობთ, არ ვათავისუფლებთ ღვთის ძალაუფლებასა და ძალას. მაგრამ ჩვენ მიმართულების მისაღებად ვლოცულობთ. სწორედ ეს სჭირდებოდათ მათ ამ მომენტში. შემდეგ შეამჩნევდით, კორტნი ამბობს, რომ სიცოცხლის სიტყვა უნდა უთხრან მას. ამის გაკეთებისას, ბავშვი სრულიად ჯანმრთელი გამოფხიზლდა და დღემდე ასეა. კვლავ, ვხედავთ გულს, რომელიც სრულიად დარწმუნებულია იმაში, რასაც ზეცა ამბობს, თუმცა მაინც არაფერი ხდება მანამ, სანამ ეს ძალაუფლება გამონთავისუფლდება მიწიერ სამეფოში იმ ქალისა ან კაცის მიერ, ვისაც სწამს.

ნება მომეცით, კიდევ ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ძალიან ახლოს იყო ჩემს ოჯახთან. დრენდას ძმამ თავისი ცოლი ქენდი სამშობიაროში გადაიყვანა მეხუთე ბავშვის გასაჩენად. დილით, მე და დრენდა მივედით, რათა ოჯახის ახალი წევრი გვენახა, მაგრამ როგორც გავიგეთ, ცოტათი დაგვიანების გამო

ქენდიმ სულ ახლახანს იმშობიარა. როცა დედათა პალატაში შევედით, პატარა ჰოლანდი ახალი გაყვანილი იყო ჩვილთა ოთახში. ალბათ ნანახი გექნებათ, რომ სამშობიაროებში ჩვილთა პალატები მთლიანად შუშაშია, რაც საშუალებას გაძლევს, იქ გადაყვანილი ახალშობილი დაინახო.

როცა პატარა ჰოლანდი შემოიყვანეს, მაშინვე შევამჩნიე, რომ თითქმის სულ თეთრი იყო. ჯონის ყველა ბავშვი ძალიან თეთრი და ქერა იყო, ამიტომ თავიდან ვიფიქრე, რომ უფერულობა ნორმალური იყო მისი შვილისთვის. მაგრამ ბავშვი მაინც არ გამოიყურებოდა კარგად. უეცრად, ექიმებმა აქეთ-იქით სირბილი დაიწყეს. ექთნებმა მაშინვე ფარდები ჩამოაფარეს და უკვე ვეღარ ვხედავდი: რა ხდებოდა შიგნით? ვიცოდი, რომ ეს კარგის ნიშანი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფარდები ჩამოაფარეს, მათ შორის დარჩენილ პატარა ნაპრალში მაინც ვარჩევდი: რა ხდებოდა? ექთნები აღფურვილობას ამზადებდნენ, ექიმმა რეაქტიული ცილის შეყვანა დაიწყო. ჩვილთა პალატის მეორე კარებთან მივედი, სადაც კარგად მესმოდა, რაზე საუბრობდნენ ექიმები. შოკში ჩამაგდო იმის მოსმენამ, რომ ბავშვს გულისცემა არ ჰქონდა და ვერც ვერაფრით შეძლეს გულის ამუშავება. მესმოდა გულის მონიტორის ხმა. დარტყმას გავიგებდი, შემდეგ 15-20 წამი არაფერი, შემდეგ ისევ. ჰოლანდს პულსი არ ჰქონდა!

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲡ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ!

ექიმი ოთახიდან გამოვიდა და ჯონისკენ წავიდა: „კარგი ამბავი არ გვაქვს, ჯონ; ვწუხვარ, მაგრამ ცდას განვაგრძობთ!“ ჩვენ პალატაში არ გვიშვებდნენ, ამიტომ დრენდამ და ჯონმა პალატის ერთ ბოლოში დაასხეს ხელი კარებს, მე მეორე ბოლოში და ლოცვა დავიწყეთ. ვლოცულობდით და ვაცხადებდით, რომ ჰოლანდი იცოცხლებდა, არ მოკვდებოდა და კარგად იქნებოდა. იესოს სახელით ვუბრძანებდით გულისცემას.

უეცრად, ექიმი, რომელიც ჯონის ელაპარაკა, სასწრაფოდ გამოვიდა. უსიტყვოდ მოირბინა ჩვენთან. რამდენიმე წუთში ექთანი გამოჰყვა, რომელიც ხმამაღლა ეუბნებოდა: „ექიმო, ჩვენ ამას ვერ გავაკეთებთ! უფლებამოსილები არ ვართ ამ საავადმყოფოში ეს პროცედურა ჩავატაროთ! ამ სისხლის აღების

უფლებას ვერ მოგცემთ!“ ექიმმა მას ყურადღება არ მიაქცია, ისე შებრუნდა პალატაში. ხელში სახელმძღვანელო ეჭირა და შემიძლია ვთქვა, რომ ყურადღებით სწავლობდა პროცედურის ჩატარებას. ფარდებს შორის ნაპრალიდან ვუყურებდი, როგორ ადგა და დაიწყო გრძელი მილის შეყვანა ბავშვის სხეულში. ახლა მივხვდი, რომ ბავშვს სისხლს უსხამდა.

უეცრად, გულისცემის ხმა გავიგე, რომელმაც სისწრაფეს მოუმატა და ახალშობილის ნორმალურ პულსს მიაღწია. ერთი წუთის შემდეგ ექიმი გამოვიდა და თქვა: „აქ ნამდვილად ანგელოზები იყვნენ; ღმერთი დამეხმარა ამ ბავშვის გადარჩენაში!“ ადვილი შესამჩნევი იყო, როგორ კანკალებდა. მოგვიანებით აღმოვაჩინეთ, რომ ეს ექიმი არ იყო ჩართული ქენდის მშობიარობაში. უბრალოდ სხვა პაციენტის ამბის სანახავად მოვიდა საავადმყოფოში მაშინ, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა. ექიმი ისე გაოცებული იყო იმით, რაც მოხდა! მან გვითხრა, რომ ჰოლანდს 36 წუთის განმავლობაში არ ჰქონდა გულისცემა!

დღეს ჰოლანდი ლამაზი, ჩვეულებრივი 4 წლის გოგონაა. მჯერა, რომ ამ სიტუაციაში პასუხები სწორედ სამეფოს კანონების ჩვენმა ცოდნამ მოიტანა. ახლაც მახსოვს, როგორ გავიფიქრე, როცა ხელები პალატის კარებს დავასხი: „ჩვენ დრენდას პატარა ძმისშვილის გასვენებას არ გავაკეთებთ! ჩვენ ამას ვერ მოვესწრებით!“

როცა მოგვიანებით შევჩერდებით, რათა ჩავუღრმავდეთ, თუ როგორი გავლენა ჰქონდა ღვთის სამეფოს თითოეულ ზემოთ გაზიარებულ ისტორიაში, მინდა გახსოვდეთ: ღვთის სამეფოს კანონები ყოველთვის და ყველასთვის მოქმედებს! როგორც წიგნის დასაწყისში აღვნიშნე, მიწიერი სამეფოს ბუნებრივი კანონები ყოველ ჯერზე ერთნაირი შედეგებით მოქმედებს. ისინი მიუკერძოებელია და ყველასთვის იმოქმედებს, ვინც დროს გამოჰყოფს მათ შესასწავლად და გამოიყენებს მათ. ელექტროობა ა.შ.შ.-სა და აფრიკაში ერთნაირად მოქმედებს; ამას მნიშვნელობა არ აქვს.

დავიწყე იმის გაცნობიერება, რომ ღვთის სამეფო იყო სამეფო ძალიან მკვეთრი, თუმცა ამავდროულად დაფარული კანონებით და ვიცოდი, რომ ჩემს პრობლემებზე პასუხი ვიპოვე. მივხვდი, რომ ღმერთი არასდროს მიკავებდა, მას არ აურჩევია:

არ ვეკურთხებინე ან არ დამხმარებოდა, როცა მჭირდებოდა. არა, ახლა გავაცნობიერე, რომ ღმერთმა, რაც კი ცხოვრებაში დამჭირდებოდა, ყველაფერი მომცა ქრისტეს მეშვეობით, რომელმაც თავისი ჯვარცმით მომცა წვდომა იმ ყველაფერზე, რაც ზეცას აქვს. ახლა გავიგე, რომ სამეფო დადგენილი კანონებით მოქმედებდა, რომლებიც შემეძლო მესწავლა და გამომეყენებინა ჩემს ცხოვრებაში.

უკვე სხვანაირი ხედვით დავიწყე ბიბლიის ისტორიების წაკითხვა, ვეძებდი გასაღებს, რაც სამეფოს კიდევ ერთ კანონს გამომივლენდა. ჩემს თავს დავუდგინე, რომ სულიერი მეცნიერი ვიყავი, შესაბამისად უნდა გამომეკვლია თუ რატომ მოხდა ბიბლიურ ისტორიებში ის, რაზეც ამდენჯერ წამიკითხავს. ეს ადგილი პირველი იოანეს წერილიდან ბევრისთვის სასაცილო და უცნაურია. ვიცი, რომ უკვე წავიკითხეთ, მაგრამ მოდით, კიდევ წავიკითხოთ, რადგან მასში ჟღერს ის ჭეშმარიტება, რაც შენი პასუხია!

> *„და აჰა, რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ როცა რამეს ვთხოვთ მისი ნებისამებრ, იგი გვისმენს. და როცა ვიცით, რომ გვისმენს იგი (საქმის კურსშია), რასაც კი ვთხოვთ, ***ვიცით,*** რომ გვაქვს, რაც ვითხოვეთ მისგან“.*
>
> – 1 იოანე 5:14-15

მიყვარს ეს ადგილი, რადგან იგი კანონზე ლაპარაკობს, კანონი კი გვაძლევს გაბედულებას, რომ სამართალი აღსრულდება. ესაა ჩვენი გაბედულება — თუკი რაიმეს ვითხოვთ ღვთის ნებისამებრ (კანონის, რომელსაც ღმერთი სწორს უწოდებს), იგი გვისმენს. კვლავ ვიტყვი, რომ ტერმინი „გვისმენს იგი“ გულისხმობს არა ფიზიკურად ხმის მოსმენას, თუმცა ასეცაა. არამედ იმას, რომ ღმერთი თავის თავზე იღებს შემთხვევას. თუ დაფიქრდებით მოსამართლეზე, რომელიც თავის თავზე იღებს შემთხვევას და კანონის მიხედვით განაგებს და არა საკუთარი გრძნობების მიხედვით (სულ მცირე ასე უნდა იყოს), მაშინ გაიგებ ამ მუხლს. იგი გვისმენს— საქმეს საკუთარ თავზე იღებს და შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ მივიღებთ იმ სამართალს, რაც კანონიერად გვეკუთვნის.

მეგობარო, ვფიქრობ უნდა გაჩერდე და თავიდან, უფრო ნელა წაიკითხო! თუ ის, რაც ახლა წაიკითხე ჭეშმარიტებაა, და ეს ასეა, მაშინ შენი ცხოვრება სიხარულს უნდა აფრქვევდეს! ადამიანებს, რომლებიც ამ ცოდნის გარეშე ლოცულობენ, არ აქვთ გაბედულება; ისინი უბრალოდ ბუტბუტებენ ლოცვისას. იესო ამის შესახებ მათეს 6:7-13-ში ლაპარაკობს.

> *„ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი“.*
>
> – მათე 6:7

„ამაო სიტყვების გამეორება“ გულისხმობს უაზრო სიტყვებისა და ბგერების წარმოთქმას. აი ასე ლოცულობს ადამიანთა დიდი ნაწილი. წარმოდგენა არ აქვთ თავიანთ უფლებებზე სამართლის მიღების შესახებ და არც იმაზე, რაც ღმერთმა უკვე მისცა მათ კანონიერად სამეფოში. შენ არ გჭირდება ხვეწნა და ტირილი იმისთვის, რაც უკვე გაქვს!

დავუშვათ, პოლიციელი დგას გზაზე და სატვირთოს ეუბნება, რომ გაჩერდეს, წარმოიდგინეთ, რომ უცებ დაიწყოს ტირილი და ეხვეწებოდეს სატვირთოს გაჩერებას. „გთხოვ, სატვირთოვ, გთხოვ! შემიწყალე! გთხოვ, ძალიან გთხოვ, გაჩერდი!“ ეს იქნებოდა ყველაზე საწყალი და დამამცირებელი ა.შ.შ.-ს ერისა და მისი კანონმდებლობისთვის. არა, ეს პოლიციელი დგას მტკიცედ და ეუბნება სატვირთოს, რომ გაჩერდეს, ისიც ჩერდება ქვეყნის კანონისა და მისი პოზიციის გამო, ოფიცრის, როგორც ერის ხელისუფლების წარმომადგენლის წინაშე.

ადამიანებს, რომლებიც ღმერთს ეხვეწებიან, წარმოდგენა არ აქვთ ამ ქვეყნის კანონზე და არც მათ პოზიციაზე. მიზეზი, რის გამოც პოლიციელის ხვეწნა სატვირთოსადმი სამარცხვინოა ერისთვის, ისაა რომ ეს ერს კანონისა და ძალაუფლების გარეშე მყოფად წარმოგვიდგენს. როცა ქრისტიანები ხვეწნას აგრძელებენ, ეს ღვთის სამეფოს გვიხატავს, როგორც სუსტს, რომელიც პასუხებს ვერ გვთავაზობს. ეს ბადებს ადამიანში ღვთის ნებისა და მისი სურვილისადმი ეჭვს, თუ რამდენად სურს მას მათი დახმარება, მაშინ როცა, მათ უკვე აქვთ უფლება

იმისა, რასაც ითხოვენ. იესო ნათელ პასუხს გვაძლევს ხვეწნით ლოცვის ამ აბდა-უბდა ტიპზე: „შეწყვიტეთ!“

> *„ლოცვის დროს კი ნუ მოჰყვებით ამაო სიტყვების გამეორებას, როგორც წარმართები იქცევიან, რადგან ჰგონიათ, რომ მრავალსიტყვაობის გამო იქნებიან შესმენილნი! ნუ იქნებით მათი მსგავსები, რადგან თქვენმა მამამ მანამდე იცის, რა გჭირდებათ, ვიდრე თხოვდეთ! თქვენ კი ასე ილოცეთ:*
>
> *‘მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს მეფობა შენი და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა; პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს; და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა; და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისგან, რადგან შენია მეფობა, ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ! ამინ!’“*
>
> – მათე 6:7-13

გახსოვდეთ, იესო ამ მუხლებში გვასწავლის, თუ როგორ ვილოცოთ. სამწუხაროდ, მრავალ ადამიანს უნახავს ეს მუხლები ლამაზად გამოკრული თავიანთ სახლებში, თუმცა მათი არსი არ ესმით. ამ ადგილს „მამაო ჩვენო“ ჰქვია, თუმცა ის თავის მოწაფეებს ამ სიტყვებით ასწავლიდა, თუ როგორ ელოცათ. ის სიტყვა-სიტყვით არ ლოცულობდა ამას, როგორც ჩვენ ეკლესიაში ვაკეთებთ მსახურებებზე. ეს სიტყვები სახელმძღვანელო ინსტრუქციაა, თუ როგორ შეგიძლია ილოცო და მიიღო პასუხები, და არა უბრალოდ საზეპირო მუხლი გასამეორებლად.

„მოვიდეს მეფობა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ არის ლოცვის ინსტრუქცია. ჩვენ უნდა ვილოცოთ და ღვთის ნება, რაც ზეცაშია, მიწიერ სამეფოში და ჩვენს სიტუაციებში მოვიტანოთ. ამრიგად, რა არის შენი პასუხი? დაიჯერე იმის, რაზეც ღმერთი ამბობს, რომ შენია და გამოიყენე შენი ძალაუფლება ზეციერ სამეფოში, რათა ზეცა მიწიერ სამეფოზე მოიტანო და დააკმაყოფილო შენი და შენს გარშემო მყოფთა საჭიროებები.

ერთი წუთით შეჩერდით და ამაზე დაფიქრდით. თუკი ყოველგვარი ეჭვის გარეშე გეცოდინებოდა, რომ შენი ლოცვა ეფექტიანია და მას მთელი ზეცა გამოეპასუხება, გაგხდიდა ეს გაბედულს ლოცვისას? **ᲓᲘᲐᲮ!!!** როცა იცი ზუსტად, რა კანონიერი უფლებები გაქვს, როგორც ზეცის მოქალაქეს, როცა იცი რა მოგეცა უკვე დაუმსახურებლად და გესმის მიღების პროცესი და ის, თუ როგორ ისიამოვნო ამ კანონის შემოთავაზებული სარგებლით, შეგიძლია ცხოვრების სულ სხვა სტილით იარო — სამეფოს სტილით. რა დაემართება შიშს? რა დაემართება დაურწმუნებლობას? როგორ უბიძგებს ეს ცოდნა გაბედულებას შენი მომავლისკენ და დარწმუნებულობას შტორმის დროს? სწორედ ასეთი გავლენა ჰქონდა სამეფოს ჩემსა და დრენდაზე, როცა მისი აღმოჩენა დავიწყეთ. ძალიან ხშირად გვაცებდა ნანახი. არა, მოდით, სხვანაირად ვიტყვი! მუდმივად გვაცებდა ნანახი! მეტიც, ჩვენ გაოცებულნი ვიყავით იმ ძალაუფლებით: რაც ღმერთმა ეკლესიას მისცა, რათა მისი მმართველობით იმოქმედოს აქ, მიწიერ სამეფოში.

> *„რადგან სიცოცხლის სულის **რჯულმა** ქრისტე იესოში გამათავისუფლა მე ცოდვისა და სიკვდილის **რჯულის**-გან“.*
>
> – რომაელთა 8:2

იმის გაგება, რომ ჩვენ განვთავისუფლდით „ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან“ და მოგვეცა სამეფო და წვდომა „სიცოცხლის სულის რჯულზე“, აღმაფრთოვანებელი იყო. და ისევ ვიტყვი, რომ კიდევ უფრო აღმაფრთოვანებელი იყო ის, რომ ვუყურებდით, როგორ გამოჰქონდა ამ კანონს ნაყოფად სამეფოს სიმართლე ჩვენს პირად ცხოვრებაში.

სამეფომ შესაძლებლობა მომცა, განვკურნებულიყავი ფიზიკურად, ისევე როგორც ემოციურად, ახალი იმედის ჩემში შემოსვლით და განვთავისუფლებულიყავი ანტიდეპრესანტებისაგან. ამან საშუალება მომცა გამომეღწია სიღარიბიდან, როცა გაკოტრების გამო თვეში ქირის 300 დოლარის გადახდაც მიჭირდა ჩემი 1800-იანი წლების ფერმის სახლისთვის, შევძელი ამეშენებინა და სრულად გადამეხადა 715 m^2 სახლის საფასური, რომელიც 23 ჰექტარ მიწაზე იყო. ჩემს

ცოლსაც ბევრად მეტად მოვწონდი! ყველაფრად ღირდა წესიერი მანქანის ტარება, რომელიც ყოველდღე არ გაფუჭდებოდა. რამდენიმე წლის წინ იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ ასობით ათას დოლარს გავიღებდით სახარების გავრცელებისთვის. სიცოცხლე, სამეფოს სინათლე ნელ-ნელა შთანთქავდა სიბნელეს; და როგორც ღმერთმა თქვა დაბადების წიგნში, როდესაც შეხედა მის დასრულებულ ქმნილებებს, „რომ კარგი იყო!“ მეც, ვიდექი გაოცებული და ვამბობდი: „კარგია, ძალიან კარგი!“

მე და დრენდა იმდენად აღფრთოვანებულები ვიყავით, რომ ვინც კი მოგვისმენდა, ყველას ვუყვებოდით სამეფოზე და ჩვენს ისტორიაზე. იგივე შედეგები ჰქონდათ სხვა ადამიანებსაც ჩვენს ეკლესიაში, ერთ-ერთი მათგანი იყო ჩვენი 12 წლის ქალიშვილი. მან იმდენი რამ ნახა ღვთის გაკეთებული; დრო და დრო ხდებოდა მოწმე ღვთის სამეფოს უცვლელი კანონების შედეგებისა ჩვენს ცხოვრებაში. ვიცოდი, უყურებდა და სწავლობდა ამ კანონების შესახებ, მაგრამ ერთმა ამბავმა დამანახა, თუ მართლა რამდენი ესწავლა.

ერთ დღეს მის საძინებელში ავედი რათა ტკბილი ძილი მესურვებინა და რაღაც განსხვავებული მომხვდა თვალში. მის კედელზე შპიცის ძაღლის ფოტო იყო. ნებისმიერი მშობელი მიხვდება, რომ ასეთი სურათის ნახვის შემდეგ, მალე მას ძაღლს სთხოვენ. გადავწყვიტე ამისთვის თავი ამერიდებინა, რადგან ნამდვილად არ მსურდა კიდევ ერთი ძაღლი სახლში. ქირსთენის დას უკვე ჰყავდა ძაღლი, და რადგან მათ ერთ საძინებელში ეძინათ, პოლის ძაღლიც ყოველთვის იქ იყო პოლისთან და ქირსთენთან ერთად.

თავაზიანად ვუთხარი ქირსთენს, როგორ მომეწონა მისი სურათი, თუმცა არ მსურდა კიდევ ერთი ძაღლი სახლში. თუ ძაღლის მოფერება უნდოდა, შეეძლო მეტი დრო გაეტარებინა მისი დის ტაქსას მოფერებაში. იმ ღამით ქირსთენს არაფერი უპასუხია, უბრალოდ გააანალიზა რა ვუთხარი. ვიფიქრე თემა დახურული იყო, მაგრამ შპიცი კიდევ რამდენჯერმე ახსენა: „განა ძალიან კარგი არ იქნებოდა შპიცის ყოლა?“, „ისინი ისეთი ფუმფულები არიან!“ შემდეგ, რა თქმა უნდა, ქირსთენი სასწრაფოდ მაჩვენებდა ინტერნეტში ნაპოვნ ერთ-ერთ ფოტოს. მე ისევ ვეტყოდი, „არა!“ სახლში მე მქონდა ძალაუფლება და კიდევ ერთი ძაღლი ნამდვილად არ გვეყოლებოდა.

ისევ ვიფიქრე, რომ თემა დაიხურა, სანამ ერთ დღეს, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, როცა ეკლესიიდან სახლში დავბრუნდით, ქირსთენი თავდაჯერებული მომიახლოვდა და ღიმილით განმიცხადა: „მამა, დღეს მე რწმენით მივიღე შპიცის ლეკვი, როგორც შენ ასწავლი!“ მე გავახსენე ჩემი დამოკიდებულება კიდევ ერთი ძაღლის ყოლის შესახებ. ისევ ღიმილით მიპასუხა: „მაგრამ მამა, დედა ამბობს, რომ ღმერთს მეფის გულის შეცვლაც შეუძლია.“ მისი კომენტარი არ იყო ურჩობიდან გამომდინარე. იგი უბრალოდ დაეთანხმა დედამისს და ილოცა, რომ ღმერთს შეეცვალა ჩემი გული. გამაცურეს. ახლა ვიცოდი, რომ დედამისს ელაპარაკა, რომელმაც გაამხნევა, რომ ღმერთს ნამდვილად შეეძლო ჩემი მოსაზრების შეცვლა.

ამ წახალისებაზე დაფუძნებით, მან იმ დილით თავისი რწმენა გამოანთავისუფლა ეკლესიაში, დათესა და აღიარა რომ რწმენით მიიღო ეს ძაღლი. მე მყარად დავდექი ჩემს აზრზე, ჩემს სიყვარულში დავარწმუნე და ისევ გავიმეორე: „ჩვენ ამ სახლში კიდევ ერთი ძაღლი არ გვეყოლება!“ ვუთხარი, რომ ვწუხდი, თუმცა ეს არ მოხდებოდა. თითქოს არც ადარდებდა, რას ვიტყოდი; ღიმილით ამიარა გვერდი. ისევ ვიფიქრე, რომ თემა საბოლოოდ დაიხურა.

მაგრამ, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მისისიპის პატარა ეკლესიაში მიმიწვიეს სასწავლებლად. ძალიან პატარა, სოფლის ეკლესია იყო, რომელსაც გარშემო გაშლილი, დიდი მინდორი ერტყა. პირველი საღამოს შემდეგ პასტორი მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მსახურების დროს ღმერთი დაელაპარაკა. მან თქვა: „არ ვიცი, იცი თუ არა, მაგრამ მე შპიცები მყავს და ღმერთმა მითხრა, რომ ერთი ლეკვი შენთვის მომეცა. ისინი ახლა ექვსი კვირისები არიან და მზად არიან სახლის საპოვნელად.“ პირი ღია დამრჩა. ისევ მყარად ვიდექი იმ აზრზე, რომ ეს ძაღლი არ უნდა წამომეყვანა, ამიტომ ვუთხარი: „გაგაგებინებ, რას გადავწყვეტ?!“ წარმოდგენა არ მქონდა, რომ მას ძაღლები ჰყავდა და რა თქმა უნდა, არაფერი მქონდა ნათქვამი ქისთენის ლეკვის სურვილზე.

დამსხვრეული ვიყავი და დრენდას ვუთხარი, რაც მოხდა და ისიც, რომ არ მსურდა ამ ძაღლის სახლში წამოყვანა. მან შემომხედა და მითხრა: „ჩვენი გოგოს რწმენის უარყოფას აპირებ?“ არც დრენდას სურდა კიდევ ერთი ძაღლი სახლში,

მაგრამ მისი სიყვარული ქირსთენისადმი ყველა იმ დისკომფორტს აღემატებოდა, რისი გამოწვევაც კიდევ ერთ ძაღლს შეეძლო. და ახლა როცა ღმერთმა ქირსთენის რწმენის პასუხად მოგვცა ძაღლი, როგორ შეგვეძლო უარგვეყო? ასე რომ, პასტორს ვუთხარი, რომ ლეკვს წავიყვანდი.

ქირსთენისთვის არაფერი გვითქვამს, მაგრამ მის დას ვუთხარით, რათა ქირსთენი აეროპორტში წამოეყვანა ჩვენს დასახვედრად. ქირსთენი ეროპორტში მოვიდა, მისკენ წავედით და ძაღლისთვის ნაყიდი პატარა სამოგზაურო ჩანთა გავუწოდეთ. როცა ქირსთენმა პატარა შპიცი დაინახა, ცრემლებად დაიღვარა. ყველაფერი გაჩერდა. ჩვენ გარშემო ყველა გაჩერდა და გვიყურებდა. ხალხი შემოგვეხვია, ქირსთენი შუაში იდგა, ხელში ლეკვი ეჭირა და ტიროდა. დრენდა ყველას უყვებოდა, თუ როგორ მოგვცეს ეს ძაღლი და როგორ ერწმუნა ქირსთენი ღმერთს ძაღლისთვის.

ამ დროს მივხვდი, რომ შეგიძლია გამოღვიძება მოახდინო აეროპორტში, უბრალოდ ხელში ლეკვის დაჭერით. ყველას უნდოდა ლეკვის ნახვა. მთელი ხალხი აეროპორტში, ქირსთენთან ერთად ტიროდა, თანამშრომლებიც კი. ამ მომენტში, თავს საშინელ მამად ვგრძნობდი. როცა დავინახე, თუ რამხელა სიხარული მოუტანა ამ ლეკვმა ჩემს გოგონას და როგორ მოგვცა ღმერთმა ეს ძაღლი მისი რწმენის შედეგად, მიკვირდა რატომ ვიყავი იმის წინააღმდეგი, რაც მისთვის ასეთი ძვირფასი იყო. შექსპირი, როგორც მას ჩემმა გოგონამ დაარქვა, გასაოცარი იყო. იგი ჩვენი ოჯახის ნამდვილი წევრი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა, დამოუკიდებელი ბიჭი იყო, ყველგან დაჰყვებოდა ქირსთენს, სადაც წავიდოდა, დღისითაც და ღამითაც.

მართალია ეს ძალიან ემოციური ისტორიაა, მინდა დავსვა კითხვა, რომელსაც პასუხის გაცემა სჭირდება და რაც ამ წიგნის მიზანს შეადგენს. **<u>როგორ გამოჩნდა ეს ძაღლი?</u>** აქამდე არასდროს შემოუთავაზებიათ ჩემთვის ძაღლი. და როგორ მოხდა რომ ზუსტად ის ძაღლი იყო, რომლისადმიც ჩემმა გოგონამ რწმენა გამოათავისუფლა? ბედნიერი დამთხვევა იყო? არა, ნამდვილად არა. ეს იყო სამეფოსა და მისი მმართველი კანონების პირდაპირი პასუხი ჩემი ოჯახის ცხოვრებაში. მან ისევე გამოიღო შედეგი, როგორც ყველას ცხოვრებაში გააკეთებს, ვისაც რწმენა აქვს და სამეფოს ძალაუფლებას გამოათავისუფლებს აქ, მიწიერ

სამეფოში. შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს ძაღლი ღვთის სამეფოს ნაყოფი იყო. მაგრამ ეს როგორ გააკეთა? რომელი კანონების მოქმედებით აღსრულდა ეს? ვიმედოვნებ, წიგნის დასასრულს ნათელი პასუხები გვექნება, რაც დაგეხმარება, იცოდე, ზუსტად როგორ ისიამოვნო ღვთის სამეფოთი. ყველაფრის შემდეგ, შენ ამ სამეფოს მოქალაქე ხარ კანონიერი უფლებებითა და სარგებლით! მაგრამ, უპირველესად, ნება მომეცით კიდევ ერთი მაგალითი მოგიყვეთ სამეფოს შესახებ ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან!

თავი 4

უზარმაზარი თევზი

რაც მე და დრენდამ ღვთის სამეფოსა და იმ ძალაუფლების შესახებ გავიგეთ, რაც მიწიერ სამეფოში გვქონდა, უფრო და უფრო გავაცნობიერეთ ფაქტი, რომ ჩვენ თავად განვსაზღვრავდით, როგორ ვიცხოვრებდით. ღვთის სამეფომ ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროზე მოახდინა გავლენა, მაგრამ ჩვენ უნდა გამოგვეთავისუფლებინა ის უზრუნველყოფა, რაც გვჭირდებოდა ან გვსურდა ჩვენს ცხოვრებაში. ეს ყველაფერი თავისით არ ხდებოდა. როგორც ჩვენი გოგონას პატარა ძაღლი, არაფერი ყოფილა სამეფოს მმართველობისთვის პატარა და უმნიშვნელო. ამის გაცნობიერების შემდეგ, აღარაფერი იყო შეუძლებელი ჩვენთვის. ცხოვრების დიდი ნაწილი ისე გავატარე, არ მესმოდა, რომ ღმერთმა მოგვცა სამეფო, მთელი სამეფო, რათა ვისიამოვნოთ. ისეთი კარგი იყო ღვთის სამეფოს გავლენის ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში დანახვა, პატარა, უმნიშვნელო სფეროებშიც კი! ამის მაგალითი იყო ეს ამბავი, რასაც ახლა მოგიყვებით. მე მას დიდი თევზის ამბავს ვუწოდებ.

ეს მოხდა მაშინ, როცა ჩემი ოჯახი ალასკაზე წავიდა არდადეგებზე. ის ფაქტი, რომ იქ ვიყავით, ჩემთვის უკვე ახდენილი ოცნება იყო. ანკორიჯში ჩავფრინდით, ფურგონი ვიქირავეთ სამი კვირით და დასავლეთ სანაპირო შემოვიარეთ. ისეთი ლამაზი იყო! ერთ დღეს, როცა კენაის ნახევარკუნძულზე ვიყავით, შევამჩნიეთ უზარმაზარი თევზი, რომელიც გასაქირავებელ ნავზე იყო ჩამოკიდებული. ასეთი ნავების უმრავლესობა მაშინ შემოვიდა ნავსადგურში და ყველას ასეთი უზარმაზარი თევზი ეკიდა. დიდი ბრტყელი თევზი მეგონა. მანამდე კამბალა არასდროს მენახა და არც ვიცოდი, როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ ძალიან დიდი იყო. გაოცებულებმა ჩავუარეთ ნავების გასაქირავებელ კომპანიებს, ყველა მათგანი კამბალაზე ერთ დღიან თევზაობას

უკეთებდა რეკლამას. უეცრად ჩემი ცოლი მომიტრიალდა და მითხრა: „მინდა, კამბალა დავიჭირო და მინდა, იმ კაპიტანთან ერთად დავიჭირო!“ მან ერთ-ერთ რეკლამაზე მიმითითა, რომელზეც თევზის ქრისტიანული ნიშანი იყო გამოსახული.

ჯერ ძალიან გამიკვირდა! „შენ კამბალას დაჭერა გინდა?!“ მანამდე თევზაობა არასდროს მონდომებია. მაგრამ დაიჟინა, ამიტომ შევტრიალდით და ოფისში შევედით. ოფისის პერსონალი სხვა კლიენტით იყო დაკავებული, ამიტომ უბრალოდ გარშემო ვიყურებოდით და განცხადებების დაფაზე გაკრულ ფურცლებს ვკითხულობდით. დავინახეთ ნიშანი, რომელიც გვაუწყებდა, რომ ახლა კამბალას რბოლა იყო, რომელიც მალე დამთავრდებოდა. რადგან ჩვენ არ ვიცოდით, ეს რას ნიშნავდა და შესაძლოა, არც თქვენ იცოდეთ. აგიხსნით! კამბალას რბოლა იყო და არის შეჯიბრი, თუ ვინ დაიჭერს ყველაზე დიდ კამბალას იმ თვეში ყველა გამქირავებელ კომპანიას შორის. გამარჯვებული მიიღებდა მის სურათს გაზეთში და ჩეკს. მე და დრენდა რბოლაში მონაწილეობის მიღებაზე ვლაპარაკობდით, რადგან მაინც უნდა გვეთევზავა. მონაწილეობა სულ რამდენიმე დოლარი ღირდა და აი, სწორედ მაშინ მოხდა ეს!

დრენდა, ჩემი ტკბილი, ნაზი ცოლი ტრიალდება ჩემკენ და მეუბნება, რომ გადაწყვიტა რბოლაში გაიმარჯვოს, რათა ამ კაპიტნის ბიზნესმა ყურადღება მიიპყროს სხვა გამქირავებელ კაპიტნებს შორის, რადგან ის ქრისტიანია და ღმერთი მადლს მიანიჭებს. ამრიგად, როცა ჩვენი ჯერი მოვიდა, რომ ხელი მოგვეწერა, დრენდამ მტკიცედ განაცხადა, რომ ის კამბალას რბოლაში გამარჯვებას აპირებდა და რომ ღმერთი მადლს მიანიჭებდა და მათ ბიზნესს ცნობილს გახდიდა, რადგან ისინი ქრისტიანი ბიზნესმენები იყვნენ. რა თქმა უნდა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რას იფიქრებდა გასაქირავებელი ნავის კაპიტანი. რა თქმა უნდა, ყველას სურს, რომ გაიმარჯვოს კამბალას რბოლაში; და დარწმუნებული ვარ, რომ ტურისტების დიდი ნაწილისგან, თუ ყველასგან არა, ექნებოდა ეს მოსმენილი. თუმცა, იმაში არ ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი ხალხი აცხადებდა, რომ ისინი ღვთის მადლით მოიგებდნენ.

კაპიტანს ბევრი არაფერი უთქვამს დრენდას კომენტარების შესახებ რბოლის თაობაზე. როცა გავედით და თევზაობა დავიწყეთ, დავიწყეთ კამბალების ჭერაც და ყოველ ჯერზე

დრენდა კაპიტანს, რომელიც ამავდროულად კომპანიის მფლობელიც იყო, ეკითხებოდა, თუ რამხელა უნდა ყოფილიყო კამბალა რბოლის მოსაგებად. ის უბრალოდ პასუხობდა, რომ იმ თევზზე დიდი უნდა ყოფილიყო, რომელიც ახლახანს დაიჭირა, რაც ყოველი თევზის დაჭერის შემდეგ კითხვის დასმისკენ უბიძგებდა დრენდას. როცა მან 20 კილოიანი თევზი დაიჭირა, კაპიტანმა თქვა, რომ საკმარისი არ იყო. როცა 30 კილოიანი დაიჭირა, კვლავ საკმარისი არ იყო. რა თქმა უნდა, ყველამ იცის რა გემრიელია კამბალა, ამიტომ ვაპირებდით, რასაც დავიჭერდით, სახლში გაგვეგზავნა. ლიმიტი კაცზე ორი ცალი იყო, ამიტომ 30 კილოიანი შევინახეთ.

მოსაღამოვდა და უკვე ბინდდებოდა. ჩემს ვაჟს ტომს, გოგოს — პოლის და მე, უკვე შესრულებული გვქონდა ჩვენი ორ კამბალიანი ლიმიტი. ჩემს ორ შვილს, ემის და ტიმს ადრე მოუწიათ სახლში გაფრენა კონფერენციაზე დასასწრებად და ჩვენთან ერთად არ იყვნენ. დრენდას, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი 30 კილოიანი კამბალა, მაგრამ ჩვენი ვერც ერთი თევზი ვერ მოიგებდა რბოლას. დრენდა კვლავ დარწმუნებული იყო, რომ უფრო დიდს დაიჭერდა. სწრაფად ბინდდებოდა, კაპიტანმა გვითხრა ანკესები შეგვენახა, რადგან პორტში დაბრუნების დრო იყო. მაშინ, როცა კაპიტანი დანარჩენებს ალაგებაში გვეხმარებოდა, დრენდამ ბრძანება დააიგნორა. სთხოვა კიდევ რამდენიმე წუთი მიეცა, რადგან კვლავ განაცხადა, რომ კამბალას რბოლაში გამარჯვებულ თევზს დაიჭერდა. კაპიტანი რამდენიმე წუთს დაელოდა, შემდეგ მისკენ წავიდა და უთხრა: „მაპატიეთ, მაგრამ მართლა უნდა დავბრუნდეთ!“

სანამ მის ანკესს მოუახლოვდებოდა, რაღაცამ დაქაჩა. ცხადი იყო რომ ძალიან დიდი თევზი იყო, რადგან ღერძი მოიღუნა და მასრამ ღრჭიალი დაიწყო. კაპიტანმა ანკესს ხელი მოჰკიდა, რათა ეგრძნო, რამდენად დიდი იყო თევზი. მისი თქმით, თევზი ნამდვილად დიდი იყო, მაგრამ ეს ზვიგენი იყო. როგორც თქვა, ამას თევზის დაქაჩვის ძალით მიხვდა. დრენდას საკმაო დრო დასჭირდა თევზის ამოსათრევად. მთელი ძალა დასჭირდა, რათა იგი 90 მეტრი სიღრმის ფსკერიდან ამოექაჩა. როცა თევზი წყლის ზედაპირზე გამოჩნდა, ყველას შეეძლო დაენახა რომ ის ნამდვილად ძალიან დიდი კამბალა იყო, დრენდაზე დიდიც კი.

როცა თევზი ნავთან მოვათრიეთ, კაპიტანმა თქვა, რომ

ის ზედმეტად დიდი იყო იმისთვის, რომ ნავზე ცოცხალი ამოგვეყვანა, რადგან ფართხალებდა და შეეძლო ვინმე ან თვითონ ნავი დაეზიანებინა. კაპიტანს სპეციალური სადგისი ჰქონდა ასეთი თევზისთვის, რომლის ბოლოში დამაგრებული წამალიც თევზის თავში მოხვედრისთანავე კლავდა მას. როგორც კი კაპიტანმა თევზს სადგისი ჩაარჭო თავში და წამალი შევიდა, თევზი უეცრად ახტა.

ამ ხმაზე, თევზმა მთელი ძალით ჩაყვინთა ფსკერისკენ. ძუა უფრო და უფრო ქვევით მიდიოდა 90 მეტრ სიღრმეზე და ანკესის ძარაც საშინელ ხმას გამოსცემდა. გვეშინოდა, რომ ის ვეღარ დაიჭერდა თევზს ან კაუჭი გამოძვრებოდა, როცა თევზი მთელი ძალით დაენარცხა ფსკერს. დრენდას თავიდან უნდა ამოექაჩა თევზი ზევით. ძალიან წვალობდა, რადგან ერთხელ უკვე ამოათრია და ძალა აღარ ჰქონდა, ამიტომ ხელები შემოვხვიე, მასთან ერთად მოვკიდე ანკესს ხელი და ნელ-ნელა ამოვათრიეთ ზედაპირზე. ახლა უკვე შეძლო კაპიტანმა მისი ნავზე ამოტანა და მისმა ზომამ ყველა გაგვაოცა.

კამბალა ქალაქის ცენტრში მივიტანეთ, სადაც საკმარისად დიდი სასწორი ჰქონდათ მის ასაწონად. თევზი 55 კილოს იწონიდა და დრენდაზე გრძელი იყო. კაცმა, რომელმაც თევზი აწონა, თქვა რომ ჯერ-ჯერობით კონკურსში მონაწილე თევზებს შორის ყველაზე დიდი იყო. მაგრამ შეჯიბრი კიდევ ორი კვირა გრძელდებოდა, ამრიგად ზუსტად არ ვიცოდით ეს თევზი გაიმარჯვებდა თუ არა. ერთ დღესაც მივიღეთ ჩეკი, რომელსაც დრენდას სახელი ეწერა და თან ახლდა გაზეთის სტატიის ასლი, სადაც მისი ფოტო იყო დაბეჭდილი. ისეთი გახარებულები ვიყავით!

სამეფომ კვლავ იმუშავა! და კვლავ უნდა დავსვა კითხვა: „როგორ დაიჭირა მან ეს თევზი?“ რაც დაქორწინებულები ვიყავით, სულ ორჯერ ეთევზავა და თევზაობა ნამდვილად არ იყო მისი. ჯერ კიდევ შოკირებული ვიყავი იმით, რომ კამბალას დაჭერა მოინდომა. მაგრამ მას თავისი მიზეზები ჰქონდა; რბოლაში გამარჯვებული თევზის დაჭერას აპირებდა! და ასეც გააკეთა. როცა შემდეგში კაპიტანს შევეხმიანეთ ალასკაში, საშუალება მოგვეცა, გაგვეზიარებინა მისთვის ღვთის სამეფოს შესახებ და ის, თუ როგორ დავიჭირეთ ეს თევზი. მიუხედავად იმისა, რომ, როცა იმ დღეს კაპიტანი დავტოვეთ, ის ჯერ არ

იყო ოფიციალურად გამარჯვებული, თევზი იმდენად დიდი იყო, რომ მისი ყურადღება მიიპყრო. და რა თქმა უნდა, საბოლოოდ გაიმარჯვა.

ალბათ იფიქრებთ, რომ ჩვენი, უფრო სწორად დრენდას თევზის ისტორია აქ მთავრდება. ვიცი ხალხი იფიქრებს, რომ ის უბრალოდ იღბლიანი აღმოჩნდა, მაგრამ ორჯერ? დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ, მე და დრენდა ერთმა ჩვენმა მეგობარმა პასტორმა დაგვპატიჟა ალასკაზე, ორაგულზე სათევზაოდ. ფურგონით მოგზაურობის შემდეგ, იქ აღარ ვიყავით ნამყოფები და თითქოს სულ მიზეზს ვეძებდი იქ დასაბრუნებლად. ისევ ფურგონი ვიქირავეთ და დავგეგმეთ, ორაგულზე მაშინ გვეთევზავა, როცა ისინი მდინარეებში დაბრუნდებოდნენ. თევზაობისას, საუბარი წავიდა კამბალასა და დრენდას თევზზე. ჩვენს მეგობარს მანამდე არასდროს ეთევზავა კამბალაზე, ამიტომ ვთქვით: „მაშინ მოდით, წავიდეთ!“ გადავწყვიტეთ იგივე ადგილას და იგივე გამქირავებელ კაპიტანთან მივსულიყავით, თუ კვლავ ჰქონდა ეს ბიზნესი.

როცა იმ ადგილას მივედით, აღმოვაჩინეთ, რომ ის იქ აღარ იყო და ვიფიქრეთ სხვა კაპიტანი დაგვექირავებინა. მაგრამ მანამდე გადავწყვიტეთ, გვეცადა, ინტერნეტში გვეპოვა მისი სახელი, რადგან არც მისი ნავის სახელი გვახსოვდა და არც კომპანიის. ძებნის შედეგად გაზეთის სტატიის ასლს მივაგენით, რომელიც დრენდას თევზზე გვიამბობდა და რომელსაც მისი ხუთი წლის წინანდელი ფოტო ახლდა. სტატიაში ნავი და კომპანიის სახელიც იყო ნახსენები, ასე რომ, მაშინვე დავრეკეთ და ყველაფერი გავარკვიეთ. კომპანია კვლავ ბიზნესში იყო, უბრალოდ 8 კილომეტრით ქვევით იყვნენ გადასულები.

როგორც კი შევედით, მაგიდასთან მჯდომმა ქალმა, რომელიც კაპიტნისა და შესაბამისად მეპატრონის ცოლი იყო, ამოგვხედა და თქვა: „კამბალას გამარჯვებული!“ სასიამოვნო იყო რამდენიმე წუთით დიდ კამბალასა და იმაზე საუბარი, თუ რა ხდებოდა ამ ხუთი წლის განმავლობაში. ეს ეკონომიკური კრიზისის დროს ხდებოდა, შესაბამისად ბიზნესი კარგ მდგომარეობაში ნამდვილად არ იყო. მან თქვა, რომ ადამიანები აღარ მოგზაურობდნენ და არ ხარჯავდნენ ფულს თევზაობაზე ადრინდელივით, რამაც მის ქმარს გული აუცრუა. ჩვენ სამეფოს შესახებ შევახსენეთ და თქვა, რომ მის ქმარს ღვთის მსახურება

დიდად არ აინტერესებდა.

როცა ნავზე ავდიოდით, კაპიტანსაც გაახსენდა დრენდა და დიდი თევზი. დრენდა მიუახლოვდა და ჰკითხა: როგორ მიდიოდა თევზაობის ამბები, რაზეც მან უპასუხა, რომ მის თევზთან შედარებით ბევრად პატარებს იჭერდა. ისიც თქვა, რომ ამ ადგილას დიდი თევზები არ იყვნენ, რადგან წყალმარჩხი ადგილი იყო. შემდეგ კაპიტანმა მისი ბიზნესის აქეთ გადმოსვლის მიზეზი განმარტა და გვითხრა, რომ, სადაც მანამდე თევზაობდა და სადაც დრენდამ რბოლაში გამარჯვებული დაიჭირა, წყალი ბევრად ღრმა იყო, მაგრამ ბევრი ზვიგენი იყო. ზვიგენები სატყუარებს მანამდე უჭამდნენ, სანამ ის ფსკერამდე ჩააღწევდა, რაც სატყუარებსაც აკარგვინებდა და დროსაც.

ვკითხეთ: რამხელა თევზებს იჭერდნენ ამ ტერიტორიაზე? რაზეც გვიპასუხა, რომ ამ თვეში 10-15 კილოიანზე დიდი არც კი დაუნახავს. დრენდამ შეხედა და უთხრა: „ვაპირებ, დღეს დიდი დავიჭირო, იმაზე დიდი ვიდრე ბოლო პერიოდში გინახავს, რათა იცოდე, რომ ღმერთი ერთგულია!“ მან უბრალოდ გაიცინა. მთელი დღის განმავლობაში კაპიტნის სიტყვისამებრ 10 კილოიანებს ვიჭერდით, და მთელი დღე კაპიტანი დაცინვით ახსენებდა დრენდას იმ „დიდი თევზის“ შესახებ, რომლის დაჭერასაც აპირებდა. თითქოს წინა მოგზაურობის გამეორება იყო.

დღის ბოლოს, კაპიტანმა გვითხრა ანკესები აგვეკეცა, დრენდამ ყურადღება არ მიაქცია, აცხადებდა, რომ სულ რამდენიმე წუთი სჭირდებოდა დიდი თევზის დასაჭერად. ისევ, კაპიტანი ცოტა ხანს დაელოდა და შემდეგ უთხრა, რომ უნდა წასულიყვნენ. ამ დროს მისი ანკესი რაღაცამ დაქაჩა და გრძელი ამბავი რომ შევამოკლო, 30 კილოიანი თევზი დაიჭირა. კაპიტანი კვლავ გაოცებული იყო.

როცა თევზაობის შემდეგ რესტორანში წავედით, ერთ გამქირავებელ კაპიტანს ვესაუბრეთ, რომელიც ასევე იქ სადილობდა. როცა გაიგო, რომ დრენდამ 30 კილოიანი კამბალა დაიჭირა, არ სჯეროდა. სად თევზაობდით? რამდენად შორს? უნდოდა, სცოდნოდა, სად დავიჭირეთ ასე დიდი თევზი. რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ, კიდევ ერთხელ მოგვიწია გამქირავებელ კომპანიაში მისვლა, რათა ხელი მოგვეწერა თევზის ჩვენთან სახლში გაგზავნაზე.

სანამ კაპიტნისგან წამოვიდოდით, შესაძლებლობა გვქონდა, კიდევ ერთხელ გაგვეზიარებინა ღვთის სამეფოზე. შევხედე და ვუთხარი: „შენ უნდა გაიგო, როგორ დაიჭირა დრენდამ ეს ორი თევზი! ღვთის სამეფოს კანონები ფულზეც მოქმედებს.“ ამჯერად მისი ყურადღება მოვიპოვეთ, სულ მცირე დაინტერესდა მაინც. მას ჩემი წიგნი - *როგორ გადავჭრათ ფინანსური პრობლემები* დავუტოვეთ და წამოვედით.

ეს ორი თევზი შემთხვევითობის შედეგი იყო თუ ღვთის სამეფოს კანონების? თქვენ გადაწყვიტეთ, მაგრამ მე და დრენდამ უკვე დიდი ხნის წინ გადავწყვიტეთ. თევზაობისგან, ვალებისგან განთავისუფლებისგან, თუ განკურნებისგან მიღებული გამოცდილება სამეფოს შესახებ - გასაოცარი და ცხოვრების შემცვლელი იყო. სხვებიც განიცდიან სამეფოს მოქმედებას. აქ არის წერილი ერთი ქალბატონისგან, რომელმაც დრენდას ამბავი მოისმინა.

> მოგესალმებით გარი და დრენდა!
>
> იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ, სადაც დრენდა საპრიზო კამბალას იჭერს, ვფიქრობდი მეც უნდა გამეზიარებინა თქვენთვის ჩემი თევზაობის ისტორია. ცოტა ხნის წინ ოჯახი არდადეგებზე წავედით კანავერალის კონცხზე, ფლორიდაში. ჩემს ქმარს, რობერტს სურდა, ღრმა ზღვაში ეთევზავა და იმედოვნებდა, რომ სახლში, კოლორადოშიც წაიღებდა თევზს. რამდენიმე თვე ვგეგმავდით მოგზაურობას, ამიტომ, როცა მითხრა რომ სათევზაოდ წასვლა სურდა, აღვფრთოვანდი და ვუთხარი: „წავიდეთ! და მოდი ღმერთს ვერწმუნოთ, რომ კარგად ვითევზავებთ!“ ბობს ვკითხე: რომელი თევზი იყო გავრცელებული ფლორიდაში, სადაც ჩვენ ვაპირებდით თევზაობას? იმ თევზებიდან, რაც ჩამომირაკრაკა, გადავწყვიტე მელოცა და მერწმუნა, რომ დიდ წითელ სნაპერს დავიჭერდით.
>
> ეს დღეც დადგა და ნავის კაპიტნისა და ეკიპაჟისგან ინსტრუქციებს ველოდით. განვაცხადე, რომ დიდი წითელი სნაპერის დაჭერას ვაპირებდი, ამიტომ აღელვებული ვუსმენდი კაპიტანს. იმედი გამიცრუა იმის მოსმენამ, რომ ახლა ქორჭილას, ბრტყელი თევზის და სნაპერის დაჭერას ვერ შევძლებდით. ოჰ, ვიფიქრე,

რისთვისღა ვერწმუნო?!

არ ვაპირებდი ხელიდან გამეშვა ჩემი რწმენის გამოცდის ეს შესაძლებლობა. და ვთქვი: „უფალო, მჯეროდა, რომ დიდ წითელ სნაპერს დავიჭერდი, დაე, ასე იყოს! ვაპირებ ისიც დავიჭირო და სხვა თევზიც წავიღო სახლში!“

ნავზე, ჩემს 8 წლის გოგონას, რეიჩელს მივუბრუნდი და ვუთხარი: „გახსოვდეს, რომ შეგიძლია ილოცო და ღმერთს მიენდო, რომ თევზს დაიჭერ დღეს! გწამს ამის?“ მან გამიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. იგივე გამამხნევებელი სიტყვები ვუთხარი ჩემს 21 წლის გოგონასაც, ჯორდანს. მან გაოცებულმა შემომხედა, თუმცა მერე დამეთანხმა. ბობს შევხედე და ვთქვი: „მოდი, ვირწმუნოთ, რომ კარგად ვითევზავებთ!“

რამდენიმე საათი გავიდა და ჩვენი ანკესები კვლავ უძრავად იყო. უეცრად რაღაცამ რეიჩელის ანკესი დაქაჩა, რამაც ის ძალიან გაახარა და დასახმარებლად მამას დაუძახა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ატლანტიკური ზვიგენი ამოათრიეს! ვაუ, რეიჩელმა ნამდვილად გაიგო რწმენის პრინციპი! ამიტომ შექებაც დაიმსახურა, საოცრად შეასრულა!

მახსოვს, იმაზე ფიქრი დავიწყე, რომ ალბათ ვერაფერს დავიჭერდი, მაგრამ ასეთი აზრები გავაჩერე და განვაცხადე, რომ უკვე მივიღე ჩემი თევზი. დავჯექი, მოვდუნდი და გავიგე ღვთის ხმა: „თუ მოდუნდები, და ნებას მომცემ მოგცე თევზი, მიიღებ მას!“ ვიცოდი, რომ მეთევზე ნამდვილად არ ვიყავი, შესაბამისად ჩემს უნარებს მაინც ვერ მივენდობოდი. დავჯექი, ღრმად ამოვისუნთქე, ღმერთს მივენდე და დაველოდე. 20-30 წუთის შემდეგ, ჩემი ანკესი კორძს წამოედო; უფრო სწორად მე მეგონა კორძი, მაგრამ საბოლოოდ თევზი აღმოჩნდა.

ჩემი ქმარი მითითებებს მაძლევდა და მალევე კაპიტანიც მოვიდა იგივეს გასაკეთებლად. როცა დიდ თევზს ვექაჩებოდი, მითხრა, რომ დიდი ალბათობით ანკესის მეორე ბოლოში უზარმაზარი სნაპერი იყო. გამაოცა, რომ მან მანამდე იცოდა, სანამ თევზი გამოჩნდებოდა! მასრის

დახვევას ვაგრძელებდი და ჩემი 10 კილოიანი უზარმაზარი სნაპერიც გამოჩნდა ზედაპირზე! ისეთი სიხარულით და აღფრთოვანებით ვემადლიერებოდი ღმერთს! ვიცოდი რომ გარღვევა მოხდა ჩემს რწმენაში. ვიხსენებდი დრენდას დარწმუნებულობას და ვფიქრობდი, რომ მეც შევძელი იგივე რწმენა გამომეჩინა. რწმენა შევინარჩუნე და შედეგიც გამოიღო.

მადლობა თქვენი მსახურებისა და წიგნების წერისთვის, მათ შორის – *რწმენით ნადირობისთვის*. მადლიერი ვარ ღვთისა და თქვენი მსახურების, რაც დიდი კურთხევების მიღებაში დამეხმარა. კიდევ უფრო დიდი რწმენით და აღფრთოვანებით ველი მომავალს. ვიცი, რაგორ მოემსახურა ეს გამოცდილება ჩვენს ოჯახს!

პატივისცემით,
ს.თ.

თავი 5
ვისი არჩევანი იყო ეს?

წინა ისტორიებში დავინახეთ, როგორ გამოიღო ღვთის სამეფომ ნაყოფად აქ, მიწიერ სამეფოში: ძაღლი, თევზი, ფული გირაოსთვის, მანქანებისა თუ სახლებისთვის, როგორ გადაარჩინა სამი ბავშვის სიცოცხლე და კიდევ უამრავი რამ. ყველა ეს ამბავი ღვთის სამეფომ შექმნა, ან მოდით, უფრო პირადი გავხადოთ, ჩვენმა ღვთის სამეფომ! არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან მისი სამეფო განუზომლად დიდებულია.

2 პეტრეს 1:3 ამბობს:

> *„ისე, როგორც მისმა ღვთაებრივმა ძალამ მოგვანიჭა ყოველივე, რაც ცხოვრებისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება“.*

ყველა ამ ნანახ ამბავთან დაკავშირებით, მინდა ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა დავსვა: „ვისი არჩევანი იყო ეს?“ აი რას ვგულისხმობ: უბრალოდ უეცრად გადაწყვიტა ღმერთმა, რომ ის ძაღლი ქირსთენისთვის მიეცა, ან თევზი ჩემი ცოლისთვის, დრენდასთვის? ეს ის მოვლენები იყო, რაც ღმერთს თავისი უმაღლესი ნებით ჰქონდა გადაწყვეტილი ჩვენს ცხოვრებაში? თუ სხვა მიზეზმა გამოიწვია ამ ყველაფრის მოხდენა? ვფიქრობ, პასუხი უმრავლესობას გაგაოცებთ. ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი მე გავაკეთე.

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მოდით, შევხედოთ ისტორიას ლუკას მე-8 თავში.

„და იყო იქ ერთი ქალი, რომელიც თორმეტი წელი სისხლის დენით იტანჯებოდა; მთელი ქონება ექიმებში დახარჯა, მაგრამ ვერავინ განკურნა. უკნიდან მიუახლოვდა, მისი ტანსაცმლის კალთას შეეხო და იმწამსვე შეუწყდა სისხლის დენა.

და იკითხა იესომ: „ვინ შემეხო?“ ყველამ იუარა. პეტრემ და მასთან მყოფებმა უთხრეს: „მოძღვარო, ხალხი გარს გახვევია და ზედ გაწყდება, შენ კი კითხულობ ვინ შემეხოო?!“ ხოლო იესომ თქვა: „ვიღაც შემეხო, რადგან ვიგრძენი, რომ ძალა გავიდა ჩემგან!“

დაინახა ქალმა რომ ვერ დაიმალა, ძრწოლით მიუახ-ლოვდა, დაემხო მის წინაშე და საჯაროდ განაცხადა რა მიზეზითაც შეეხო და როგორ უცბად განიკურნა.

უთხრა მას: „ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა, წადი მშვიდობით!“

– ლუკა 8:42-48

ბიბლია ძალიან ცხადად ამბობს, რომ იესოს ყველა მხრიდან აწყდებოდნენ. პეტრესაც კი გაუკვირდა იესოს შეკითხვა - „ვინ შემეხო?“ როგორც სულიერმა მეცნიერმა, მინდა, ვიცოდე, უფრო სწორად მჭირდება, ვიცოდე, თუ რატომ განიკურნა ეს ქალი და არავინ სხვა. რატომ გადმოვიდა ცხებულება მასზე და არა ყველა იმ ადამიანზე, ვინც მაშინ იესოს შეეხო? პასუხი აქ არის, მაგრამ სანამ ვუპასუხებ, მოდით სხვა კითხვა დავსვათ. იესო განზრახ მოემსახურა მას? დაასხა ხელები? პასუხია: არა! რეალურად, იესომ არც კი იცოდა მისი იქ ყოფნის შესახებ. საჭირო გახდა ეკითხა ვისზე გადავიდა ცხებულება, რადგან მას არ დაუნახავს იგი. ამრიგად, ვისი არჩევანი იყო ის, რომ ეს ქალი განიკურნა ამ დღეს?

ნება მომეცით, კითხვა სხვაგვარად დავსვა! ღმერთმა გადაწყვიტა, რომ იგი ამ მომენტში განეკურნა, თუ ეს ამ ქალის გადაწყვეტილება იყო, რომ ღვთისგან მიეღო? ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა, რადგან მრავალი ადამიანი „ელოდება“

ღმერთს, რომ რაღაც მოიმოქმედოს მათ ცხოვრებაში. მჯერა, ის ფაქტი, რომ იესომ მისი იქ ყოფნის შესახებაც კი არ იცოდა, ამტკიცებს, რომ ეს მისი გადაწყვეტილება იყო, რომ მიეღო, და არა იესოს გადაწყვეტილება, რომ განეკურნა იგი.

ეს ძალიან მნიშვნელოვან გამოცხადებას ხსნის, რაც შემდგომში მდგომარეობს — ღმერთი არ ირჩევს შემთხვევითობის პრინციპით, თუ ვინ განკურნოს და ვინ არა. მან უკვე მოგვცა თითოეულ ჩვენგანს წვდომა განკურნებაზე ჩვენი კანონიერი დგომით მის სამეფოში. ანუ, რეალურად ჩვენ ვირჩევთ. მაგრამ მინდა ვიცოდე, როგორ შეძლო მან ამ ძალის მიღება? როგორ „გადაწყვიტა“ მიეღო? იესო ზუსტად გვეუბნება, როგორ მიიღო მან ღვთის სამეფოს ძალაუფლება და ძალა. მან თქვა: „ასულო, შენმა რწმენამ განგკურნა, წადი მშვიდობით!“ ეს წინადადება გვეუბნება ყველაფერს, რისი ცოდნაც გვჭირდება და პასუხობს ჩვენს კითხვას, თუ რატომ მიიღო მან და არავინ სხვამ იმ დღეს. როგორც სულიერმა მეცნიერებმა, მოდით ახლოდან შევხედოთ ამ ამბავს და დავინახოთ, თუ ვიპოვით რაიმე გასაღებს იმისა, თუ რატომ მიიღო მან.

პირველყოვლისა, იესო მას „ასულს“ უწოდებს, რაც ნიშნავს, რომ ის ისრაელის ერის ნაწილი იყო. ეს ნიშნავს, რომ ის აღთქმაში იყო ღმერთთან. შეგვიძლია ისიც ვთქვათ, რომ მას, როგორც ისრაელის ერის მოქალაქეს, ზეცის წინაშე ჰქონდა კანონიერი უფლება, მიეღო ღვთისგან. თუმცა, ეს ფაქტი ვერ იქნება იმის ერთადერთი მიზეზი, რომ მან მიიღო, რადგან ყველას იმ დღეს, ვინც იესოს აწყდებოდა, იგივე კანონიერი უფლებები ჰქონდათ. რაღაც სხვაც უნდა ყოფილიყო, რამაც ძალის გამოთავისუფლება გამოიწვია. იესო კიდევ ერთ მიზეზს გვეუბნება, თუ რატომ მიიღო მან. რეალურად, იესომ თქვა, რომ ზუსტად ეს იყო მიზეზი, რომ პირადად მან მიიღო. მან თქვა, რომ მისმა რწმენამ განკურნა იგი.

ახლა ვიცით მიზეზი, რის გამოც მან შეძლო მიღება. პირველ რიგში, მას კანონიერი უფლება ჰქონდა, მიეღო, როგორც აბრაჰამის ასულს; და მეორე, მისმა რწმენამ გამოიწვია ძალის გადმოღვრა პირადად მის სხეულზე იმ მომენტში. ფაქტი, რომ ის აბრაამის ასული იყო, რაც გულისხმობს მის დგომას ზეცის წინაშე ღვთის მიერ აბრაამისადმი მიცემულ აღთქმაში, შეგვიძლია შევადაროთ ელექტრო ენერგიის კომპანიას, რომელსაც დენი

გამოშვებული და კაბელებით შენს სახლამდე მოტანილი აქვს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს რომ შენთან სინათლე ჩართული იქნება. შენც უნდა გადააატრიალო ჩამრთველი, თუ სინათლე გსურს. ამრიგად, ახლა გვჭირდება გავარკვიოთ, თუ სად არის ან რა არის ეს ჩამრთველი. იესომ მას რწმენა უწოდა, მაგრამ რა არის რწმენა და როგორ შემიძლია ჩავრთო იგი? ეს აუცილებელი შეკითხვაა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს!

რა არის რწმენა?

რწმენა ტერმინია, რომელსაც ქრისტიანები დაუფიქრებლად ისვრიან აქეთ-იქით. დარწმუნებული ვარ ბევრმა, თუ არა უმრავლესობამ, არ იცის, რა არის რწმენა, რისთვისაა საჭირო, როგორ გაიგოს არის თუ არა რწმენაში, ან როგორ იპოვოს რწმენა. თუ რწმენა ის ჩამრთველია, რამაც ეს ქალი განკურნა, მაშინ კარგად უნდა დავაკვირდეთ მას! რწმენის განმარტებას რომაელთა 4:18-21-ში ვნახულობთ. ვიცი, ახლა რასაც ფიქრობთ, „არა, გარი! რწმენის განმარტება ებრაელთა 11:1-ია."

> *„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ".*
>
> – ებრაელთა 11:1

დიახ, ეს ტრადიციული პასუხია, მაგრამ თუ წმიდა წერილს ჩახედავთ, ებრაელთა 11:1 რწმენის სარგებლობაზე გველაპარაკება და არა იმაზე, თუ რა არის რეალურად რწმენა. დარწმუნებული ვარ, ეს მუხლი რომაელთა მიმართ წერილიდან ნათლად დაგვიხატავს, თუ რა არის რწმენა რეალურად.

> *„რომელიც უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი!" არ შესუსტებია რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. და არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნობით, არამედ*

განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა“.

– რომაელთა 4:18-21

მოდით, ამ ამბის წყობას ჩავწვდეთ. აბრაამს და სარას შვილის ყოლა აღარ შეეძლოთ. იმას არ ვგულისხმობ, რომ ბავშვის ჩასახვასთან ჰქონდათ პრობლემა და ცდა უნდა გაეგრძელებინათ. ვგულისხმობ იმას, რომ თითქმის 100 წლისები იყვნენ, ეს ყველაფერი დამთავრებული იყო. მათ სხეულებს შვილი ვეღარ ეყოლებოდათ; შეუძლებელი იყო! თუმცა, ღმერთმა აღუთქვა აბრაამს შვილი, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივად ეს ნამდვილად შეუძლებელი იყო. ბიბლია ამბობს, რომ აბრაამი გულდაჯერებული იყო იმაში, რომ ღმერთს ჰქონდა ძალა, აღესრულებინა თავისი ნათქვამი, მიუხედავად იმ ბუნებრივი ფაქტებისა რაც სრულიად სხვას ამტკიცებდა. აი, აქ არის ჩვენი რწმენის განმარტებაც: „გულდაჯერებულად ყოფნა, რომ ღმერთს აქვს ძალა, აღასრულოს თავისი აღთქმული!“ მე ასე ვიტყოდი: **დაეთანხმო ზეცას,** არა მხოლოდ გონებრივად, არამედ სრული გულდაჯერებით, ჩვენი გულები დარწმუნებული იყოს იმაში, რაც ღმერთმა თქვა, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი სამეფო სხვა რამისკენ მიუთითებს.

„ᲮᲝᲚᲚᲝ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲘᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ.“

_ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲗᲐ 11:1

ჩვენი განმარტება, თუ რა არის რწმენა:

რწმენა არის იყო გულდაჯერებული იმაში, რასაც ღმერთი ამბობს! ეს არის ჩვენი გულისა და გონების თანხმობა ზეცასთან, როცა ჩვენი გული სრულიად დარწმუნებული და მინდობილია.

რატომ არის რწმენა საჭირო?

რატომ არ შეუძლია ღმერთს განკურნოს ყველა საავად-

მყოფოში, როცა მას ასე სურს? რატომ არ შეუძლია ომების შეჩერება? რატომ არ შეუძლია ანგელოზების გამოგზავნა ჩვენთვის სახარების საქადაგებლად? დარწმუნებული ვარ, აქამდეც მოგისმენიათ ეს შეკითხვები. პასუხი ისაა, რომ მას არ შეუძლია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არ აქვს უნარი ამის გასაკეთებლად, არამედ მას არ აქვს მმართველობა და ძალაუფლება, რომ ეს გააკეთოს. „გარი, შენ ამბობ რომ ღმერთს არ შეუძლია გააკეთოს, ის რაც სურს?!“ ვიცი, ეს უცნაურად ჟღერს ახლა თქვენთვის, მაგრამ მოდით ბიბლიაში მოვძებნოთ ამაზე პასუხი.

სადღაც ვიღაცამ დაამოწმა და თქვა:

„რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთაწინაშე;დიდებითადაპატივითდააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე.“

ხოლო, რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს“.

– ებრაელთა 2:6-8

ამ მუხლებში ვხედავთ რომ ღმერთმა ადამიანს სრული კანონიერი მმართველობა მისცა მთელს მიწიერ სამეფოზე, როცა იქ განათავსა. არაფერი იყო ისეთი, რაც მის მმართველობაში არ შედიოდა. ის მართავდა ამ სამეფოს მთელი ძალაუფლებით. მის მმართველობას ზურგს უმაგრებდა ის ძალაუფლება, რამაც იგი იქ მოათავსა. რეალურად, იგი ღვთის სამეფოს წარგზავნილი ძალაუფლებით მართავდა. იგი ამ მმართველობის გვირგვინს ატარებდა, რაც ღვთის დიდებას, ცხებულებას წარმოადგენს და იმ პატივის პოზიციას, რასაც მისი იქ ყოფნა ჰქვია.

კარგად რომ წარმოვიდგინოთ, როგორ გამოიყურება ეს ყველაფერი, იფიქრეთ ჩვეულებრივ მეფეზე! მიუხედავად იმისა,

რომ ის ჩვეულებრივი ადამიანია და არანაირი განსაკუთრებული ძალა არ აქვს, როგორც ადამიანს, ის ატარებს გვირგვინს, რაც ხაზს უსვამს, რომ იგი არა მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენს, არამედ მთელ სამეფოს და მმართველობას. მისი სიტყვები ძალმოსილია მხოლოდ იმიტომ, რომ მას ზურს უმაგრებს იმ სამეფოსა და მმართველობის მთელი ძალა და უნარი, რასაც იგი წარმოადგენს.

თუ წარმოიდგენთ ოფიცერს, რომელიც მოძრაობას არეგულირებს, იგი დიდ ტრაქტორს ან სატვირთო ტრაილერს ბრძანებით გააჩერებს: „შეჩერდი, კანონის სახელით!“ მართალია სატვირთო ამ კაცზე ბევრად დიდია და კაციც სულაც არ არის სატვირთოსავით ძლიერი, მაგრამ სატვირთო ჩერდება. იგი ჩერდება არა ამ კაცის, არამედ იმ ემბლემის გამო, რომელიც მას უკეთია და რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ბევრად დიდია, ვიდრე ის კაცი, რომელიც ამ ემბლემას ატარებს. სატვირთოს მძღოლს ამ კაცის არ ეშინია, მაგრამ მას ეშინია მმართველობის, რომელსაც ეს კაცი წარმოადგენს, რაც სატვირთოს გაჩერებას იწვევს. იგივეა აქაც. ადამი მართავდა ყველაფერს, რაც კი იყო შექმნილი მიწიერ სამეფოში. ღვთის ძალა და ბატონობა, რასაც დიდებისა და პატივის გვირგვინი წარმოადგენდა, აძლევდა ადამიანს გარანტიას, რომ მისი სიტყვები ღვთის სამეფოს სახელით მართავდა.

ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ როცა ადამმა ღვთის მმართველობის წინააღმდეგ ღალატით დაკარგა უნარი ემართა დედამიწა მან დაკარგა თავისი გვირგვინი. მიწიერი სამეფო შეიბღალა და შეიცვალა. სიკვდილი შემოვიდა მიწიერ სამეფოში და სატანამ უკვე კანონიერად მოიპოვა ძალაუფლება და გავლენა ადამიანის საქმიანობაში. აუცილებელია, ისიც გესმოდეთ, რომ ადამიანი კვლავ მიწიერი სამეფოს კანონიერი მმართველია, როგორც ღმერთმა დაადგინა იგი, თუმცა მას აღარ აქვს ძალაუფლება სულიერი მმართველობისთვის, როგორც ერთ დროს ჰქონდა. იგი დაცემულ მდგომარეობაშიც კი დედამიწას განაგებს. თუმცა, მას აღარ აქვს ღვთის მმართველობის გვირგვინი, რომელიც ზურგს გაუმაგრებს. მას აღარ აქვს ძალაუფლება, მართოს ღვთის ძალითა და დიდებით; მან დაკარგა თავისი პატივის პოზიცია. თუმცა იგი კვლავ ერთადერთი კანო-

ნიერი კარებია მიწიერ სამეფოში. აი რატომ სჭირდება ღმერთს სულით ავსებული ადამიანების გამოყენება თავისი ნების აღსასრულებლად ადამიანთა ცხოვრებაში. იგივენაირად, სატანა იყენებს ბოროტით შთაგონებულ ადამიანებს, რათა გავლენა მოახდინონ მიწიერ სამეფოზე მისი ნების მიხედვით. ადამიანის დედამიწაზე მმართველობის ეს პრინციპი აუცილებელია, რათა ღვთის სამეფოს კანონები გვესმოდეს და როცა ამას გაიგებთ, უამრავ კითხვას გაეცემა პასუხი, რაც მომავალში გექნებათ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ხდება ან რატომ არ ხდება რაღაცები სულიერად.

აი რატომ სჭირდება ღმერთს სულით ავსებული ადამიანების გამოყენება თავისი ნების აღსასრულებლად ადამიანთა ცხოვრებაში.

შეიძლება თქვათ: „მე მეგონა, ღმერთი ფლობდა დედამიწას და მის სისრულეს.“ დიახ, ასეცაა! იმედი მაქვს, ეს მაგალითი დაგეხმარებათ, გაიგოთ: რას ვამბობ? თუკი ჩემს სახლს მოგაქირავებდით, მიუხედავად იმისა, რომ კანონიერად მას მე ვფლობ, კანონიერადვე უარს ვამბობ უფლებაზე რომ ნებისმიერ დროს, როცა მომინდება მოვიდე სახლში. გაქირავებისას ძირითად შემთხვევაში არსებობს პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როდის შეუძლია ბინის მფლობელს მივიდეს გაქირავებულ სახლში — მაგალითად: გაუმკლავდეს ექსტრემალურ სიტუაციას ან შეაკეთოს რაიმე და აუცილებლადაა მითითებული რაოდენობა. თუკი ამ შეთანხმების მიღმა ვეცდები სახლში შესვლას, ეს უკანონოდ შეჭრას ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ სახლი ჩემს მფლობელობაშია. თუკი დავარღვევ გაქირავებისას დადებულ წესს, მომიწევს, კანონის ფარგლებში დავტოვო ტერიტორია, იმის მიუხედავად, რომ მას მე ვფლობ. ეს წარმოგვიდგენს, თუ რატომ სჭირდებოდა სატანას ადამის მეშვეობით ჩაეგდო ხელში მიწიერ სამეფოზე წვდომა. მხოლოდ ადამს ჰქონდა გასაღები! სატანა უნდა შესულიყო კარებში, რომელიც ადამი იყო. თუკი სატანა ადამისთვის შემოვლას შეეცდებოდა, მას კანონის ფარგლებში გამოაძევებდნენ.

„აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ

მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან მე მაქვს მოცემული და ვისაც მინდა, იმას ვაძლევ. თუ თაყვანს მცემ, შენი იქნება ყოველივე!“

– ლუკა 4:5-7

ამ მუხლში შეგიძლიათ, დაინახოთ: სატანა აცხადებს, რომ კაცთა სამეფოს ძალაუფლება და დიდებულება (სიმდიდრე) მას მიეცა. ვინ მისცა მას ეს ძალაუფლება? მან, ვისაც ჰქონდა, ადამმა! ამიტომ ღმერთი ასე უბრალოდ ვერ გადაწყვეტს ადამიანთა საქმიანობას, კანონიერი შესასვლელის გარეშე. ასე რომ მოქცეულიყო, სატანა იტყოდა, რომ ეს დანაშაულია. არა, ღმერთიც იგივე კარებში უნდა შესულიყო, რომელიც სატანამ გამოიყენა, რათა თავისი მმართველობა და ძალაუფლება დედამიწაზე მოეტანა, და ეს კარი კვლავ ადამიანი იყო. მაგრამ არსებობდა ასეთი ადამიანი?

„უთხრა უფალმა აბრამს: „წადი შენი ქვეყნიდან, შენი სამშობლოდან, მამაშენის სახლიდან იმ ქვეყანაში, რომელსაც გაჩვენებ! დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები! ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; <u>და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი!</u>“

– დაბადება 12:1-3

აბრაამს ჩვენი რწმენის მამას ვუწოდებთ, რადგან ისაა ადამიანი, რომელმაც მიწიერი სამეფოს კარები გახსნა ღვთისთვის, რითიც დედამიწის ყველა ერი იკურთხებოდა. რა თქმა უნდა, როცა ეს მუხლი ერების კურთხევაზე ლაპარაკობს, იგი იესო ქრისტეზე საუბრობს, რომელიც მოგვიანებით გზას გახსნიდა ღვთის მმართველობისთვის, რათა მას აბრაამის რწმენის მეშვეობით კვლავ ჰქონოდა კანონიერი წვდომა მიწიერ სამეფოზე. აბრაამის რწმენამ კანონიერი კარი გახსნა ზეცისთვის, რომელიც ღმერთმა სამუდამოდ გახსნილად დაბეჭდა კანონიერი შეთან-

„ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, ᲠᲬᲛᲔᲜᲐ — ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲮᲝᲚᲝ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ — ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ“.

_ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ 10:17

ხმების (აღთქმის) დადებით აბრაამთან და მის შთამომავლობასთან.

ნება მომეცით, სხვა სიტყვებით ვთქვა! ზეცის მმართველობას მხოლოდ კაცის ან ქალის მეშვეობით შეუძლია, მიიღოს წვდომა მიწიერ სამეფოზე, რადგან მათ ხელშია მმართველობა აქ. ეს კანონიერება მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუკი კაცს ან ქალს სრული დარწმუნებულობა აქვს გულში იმისა, რასაც ღმერთი ამბობს (რწმენა).

შეგვიძლია ასეც ვთქვათ, რომ ზეცას მხოლოდ იმ კაცსა თუ ქალზე შეუძლია კანონიერი ზეგავლენის მოხდენა მიწიერ სამეფოში, ვისაც სურს და რომელიც ირჩევს ღვთის ბატონობისა და ძალაუფლების ქვეშ ყოფნას. იგივე პრინციპი გამოიყენა სატანამ დედამიწაზე წვდომის მისაღებად. მან ადამი გამოიყენა. მან დაარწმუნა ადამი, რომ ღმერთი სანდო არ იყო, რითიც მისი გული ღმერთთან თანხმობას დააშორა. შედეგად, ადამმა აირჩია ერწმუნა სატანის და უარყო ღვთის ძალაუფლება.

იგივე პრინციპს გამოიყენებს ღმერთი ახლა მისი მმართველობისა და ძალაუფლების უკან, მიწიერ სამეფოში დასაბრუნებლად აბრაამის მეშვეობით. აბრაამი ერწმუნა ღმერთს, რაც ღმერთმა სიმართლედ ჩაუთვალა, რაც ნიშნავს, რომ საჭირო კანონიერი შეთანხმება შედგა. ამ შეთანხმებამ ორივე მხრიდან, ღვთისგან და აბრაამისგან, შესაძლებლობა მისცა ღმერთს კანონიერი კონტრაქტი (აღთქმა) დაედო, რაც უზრუნველყოფდა ზეცის წვდომას მიწიერ სამეფოზე, **მაგრამ** აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს შეთანხმება მხოლოდ აბრაამსა და მის შთამომავლებზე იყო. ამ აღთქმის ნიშანი აბრაამის მთელს შთამომავლობას მიეცა, რაც წინადაცვეთა იყო. წინადაცვეთა იყო მამაკაცის სასქესო ორგანოზე კანის მოჭრა. როცა მამაკაცი თავის თესლს თესავდა ქალში, მას უნდა გაევლო ეს წინადაცვეთილი ორგანო, რაც აცხადებდა სატანის წინაშე, ასევე ბავშვის დედა და მამაც აცხადებდნენ, რომ ეს ბავშვი ზეცის წინაშე იდგა, როგორც ღმერთსა და აბრაამს შორის დადებული კანონიერი შეთანხმების მემკვიდრე.

თუმცა, როგორც უკვე წავიკითხეთ, ყველა კაცსა თუ ქალს ვისაც კანონიერად ჰქონდა წვდომა ამ შეთანხმებაზე, უნდა შეესრულებინა კანონიერი მოთხოვნები, რაც გულისხმობდა იმას, რომ მათი გული სრულად დარწმუნებული უნდა

ყოფილიყო ღვთის სიტყვაში, რათა რეალურად ესიამოვნათ იმ აღთქმის პირადი სარგებლობით, რაც ღმერთმა აბრაამს დაუდო. რეალურად, აღთქმას გაყვანილობა მიჰყავდა მათ სახლამდე, მაგრამ მათ უნდა ჩაერთოთ ჩამრთველი იმით, რომ პირადად ერწმუნათ და ემოქმედათ ღვთის სიტყვის თანახმად.

კარგი, ახლა ვიცით, რა არის რწმენა და რატომაა რწმენა კანონიერად მოთხოვნილი?! ახლა აუცილებელია, ვიცოდეთ, თუ როგორ მივიღოთ რწმენა და როგორ ვიცოდეთ ვართ თუ არა რწმენაში?!

როგორ ვიღებთ რწმენას?

აი გასაღებიც: რწმენისთვის ვერ ილოცებ. გაგიკვირდათ? მეც ასე ვფიქრობდი.

> *„ამრიგად, რწმენა — მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა — ქრისტეს სიტყვისაგან“.*
>
> *– რომაელთა 10:17*

როგორ მოდის რწმენა ღვთის სიტყვის მოსმენისაგან? სულ ესაა ამასთან დაკავშირებით? როგორი პროცესია? უბრალოდ სიტყვის მოსმენა საკმარისია ადამიანის სულში რწმენის განვითარებისთვის? იმის გასაგებად, თუ როგორ მოდის რწმენა და რაზე საუბრობს რომაელთა 10:17, შეგვიძლია, მარკოზის მე-4 თავს შევხედოთ. თუ ბიბლიას ჰაერში აისვრით, ის მარკოზის მე-4 თავზე გადაშლილი უნდა დაეშვას, იმდენად მნიშვნელოვანია ეს ადგილი! მარკოზის 4:13-ში იესო ამბობს, რომ თუ ვერ გაიგებ, რას ასწავლის იგი ამ თავში, ბიბლიის ვერცერთ სხვა იგავს ვერ გაიგებ. ვიტყოდი, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია!

რატომ არის ეს თავი ასეთი მნიშვნელოვანი? რადგან ის გვეუბნება, როგორ უკავშირდება ზეცა მიწიერ სამეფოს, როგორ იღებს კანონიერებას და სად ხდება ეს ყველაფერი. არაფერია ისე მნიშვნელოვანი შენს ცხოვრებაში, როგორც ამ თავის აზრის გაგება. შეიძლება იკითხოთ: „როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო?“ წაიკითხეთ მარკოზის მე-4 თავი! ამ თავში იესო გვიყვება იგავს იმის შესახებ, თუ როგორ იბადება რწმენა

ადამიანის სულში, რაც როგორც უკვე იცით, აუცილებელი მოთხოვნაა, რათა ზეცამ დედამიწაზე კანონიერად შემოჭრა შეძლოს.

ამ თავში მოცემული სამი ისტორია, არის იგავი მთესველზე, იგავი თესლის მიმომფანტველზე და იგავი მდოგვის მარცვალზე.

მოდით ჯერ ამ თავში მოთხრობილ მეორე ამბავს შევხედოთ, იგავი თესლის მიმომფანტველ კაცზე.

> *„და თქვა: „ღვთის სამეფო ჰგავს კაცს, რომელიც თესლს აგდებს მიწაში. ღამით სძინავს, დღისით დგება, მაგრამ არ იცის, როგორ აღმოცენდება და იზრდება თესლი. რადგან მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში. რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, მაშინვე წარგზავნის ნამგალს, რადგან მოაწია მკამ“.*
>
> – მარკოზი 4:26-29

სანამ ამ ნაწყვეტში გადავეშვებით, მოდით, ჩვენი ტერმინები განვმარტოთ! რა არის თესლი, რაზეც იესო ლაპარაკობს, ან რა არის ეს ნიადაგი? იესო რეალურად ამ ტერმინებს ამ თავში მოთხრობილ წინა იგავში განმარტავს, რომელიც მთესველის შესახებაა. თესლი ღვთის სიტყვაა, მიწა კი ადამიანის გული ან სული. ამრიგად, ამ იგავში ამ ორი ტერმინის იესოსეული განმარტების მიხედვით ვიტყვით, რომ იესომ თქვა: ადამიანი თესავს ღვთის სიტყვას, საკუთარ გულში. შემდეგ თავისით, კაცის გულის ნიადაგი გამოიღებს რწმენას (თანხმობას ზეცასთან) მიწიერ სამეფოში.

სანამ გავაგრძელებ, აუცილებლად უნდა გახსოვდეთ, როგორ განვმარტეთ რწმენა: კაცის ან ქალის გულის მტკიცე დარწმუნება იმაში, რასაც ზეცა ამბობს. ეს ადგილი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადამიანმა არ იცის, როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი, მის გულში დათესილი სიტყვა იწყებს ზრდას და თავისით გამოაქვს თანხმობა ნაყოფად. მას სძინავს, თუ ღვიძავს მნიშვნელობა არ აქვს, ეს ხდება, პროცესი გრძელდება. რადგან ადამიანი გულში ინახავს სიტყვას, მისი გული ნელ-ნელა თანხმობაში მოდის იმასთან, რასაც ზეცა ამბობს და რწმენა იბადება.

ჩვენი ადგილი მარკოზის მე-4 თავიდან გვეუბნება, რომ გული პროცესის შედეგად მოდის თანხმობაში. ეს ისტორია გვეუბნება, რომ თავდაპირველად, როცა ჩვენი გული სიტყვას იღებს, რწმენა იწყებს ჩამოყალიბებას. იესო ამ ფაზას გაღვივებას უწოდებს. შემდეგ გაღვივება გრძელდება, იზრდება და გამოაქვს ჯეჯილი. საბოლოოდ ჯეჯილი თავს იკეთებს, თუმცა ამ გვიანდელ ფაზაშიც კი არ არის ჯერ ნაყოფი, თანხმობა და ცვლილება ბუნებრივ სამეფოში. შემდეგ იესო ამბობს, რომ პროცესი გრძელდება, თავი მწიფდება და მარცვალი ყალიბდება მასში. როცა პროცესი ამ წერტილამდე მიდის, როცა თავთავში მწიფე თესლია, თანხმობა მიღწეულია, რწმენა მოსულია, რაც საშუალებას აძლევს კაცსა თუ ქალს მიწიერ სამეფოში მოიმკან ის, რაც ზეცამ დათესა კაცის გულში.

ახლა ყურადღებით დააკვირდით! მოდით, მიმოვიხილოთ: რა ხდება რეალურად?! ზეცა თესავს ღვთის სიტყვას მიწიერ სამეფოში, კაცის ან ქალის გულში, სადაც თანხმობაა საჭირო. ამ დროისთვის კაცის გული არაა თანხმობაში ზეცასთან, მაგრამ პროცესი იწყება გულში, რაც თავისით მოაქცევს გულს დათესილთან თანხმობაში. იესო საოცარ ილუსტრაციებს იყენებს ამ პროცესის საჩვენებლად. ამ პროცესის თესლის მთესველ ფერმერთან და ნაყოფის დამწიფებასთან შედარებით იესო გვაძლევს სურათს, თუ როგორ გამოიყურება რწმენა. ბუნებრივ სამეფოში, სადაც თესლი გონებაში მწიფდება, **<u>ᲖᲣᲡᲢᲐᲓ</u>** ისეთივე იქნება, როგორც მიწაში დათესილი თესლი. ნება მომეცით, თავიდან ვთქვა!

როცა გონებაში მყოფი თესლის ნაყოფი მწიფდება, იგი ზუსტად - <u>ᲖᲣᲡᲢᲐᲓ</u> - ისევე გამოიყურება, როგორც მიწაში დათესილი თესლი.

დათესეთ სიმინდი და თესლი, რასაც აიღებთ ტაროდან, ისეთივე იქნება, როგორიც დათესეთ. იგივე ნაირად გამოიყურება, იგივე გემო აქვს. ამ ორს შორის განსხვავებას ვერ იპოვი, იდენტურია.

ამრიგად, ნება მომეცით იესოს ნათქვამის პერიფრაზი გადმოგცეთ. როცა ვისმენთ სიტყვას (რომაელთა 10:17), ჩვენ რეალურად მიმოვფანტავთ ღვთის სიტყვას ჩვენს სულიერ კაცში, ჩვენს გულში. თუკი ამ სიტყვას გულში შევინახავთ, ის დამწიფდება; და როცა დამწიფდება, სურათი ჩვენს გულში

(მიწიერი სამეფო) დაემთხვევა ზეცის ნათქვამს. სხვანაირად რომ ვთქვათ, როცა ზეციურ აღთქმას შენს გულში დათესავ, იგი თავისით, ნელ-ნელა წარმოქმნის დარწმუნებას ღვთის ნათქვამში. საბოლოოდ, შენი გული სრულად დარწმუნებული იქნება იმაში, რასაც ზეცა ამბობს და თანხმობაშიც მოვა. მაგალითად, თუ ავადმყოფობის პირისპირ აღმოჩნდი, გარემოებები შენს სხეულში გეუბნება, რომ ავად ხარ. როცა დათესავ ღვთის სიტყვას, რომელიც ამბობს, რომ ღმერთმა ფასი გადაიხადა შენი განკურნებისთვის იესოს მეშვეობით, შენი გული ნელ-ნელა, თავისით იწყებს იმის დაჯერებას, რასაც ღმერთი ამბობს.

როცა ეს სიტყვა მომწიფდება შენს გულში და დარწმუნება გაქვს იმაში, რომ განკურნებული ხარ, რეალურად ხდება ის, რისიც **შენ** გწამს და ამბობ. უბრალოდ კი აღარ ციტირებ ზეცის ნათქვამს. ახლა შენი გული მტკიცედაა დაჯერებული. როცა ამბობ: „მე განკურნებული ვარ!“ ეს ფორმულა კი არაა, რასაც ციტირებ, არამედ ისაა, რისიც გწამს და იცი, რომ ფაქტია. ზეცის ნათქვამი, ახლა რეალობის შენეული აღქმა ხდება.

აი რატომ ამბობს ებრაელთა 11:1:

> *„ხოლო რწმენა არის მტკიცე დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“.*

როცა რწმენა გვაქვს, მოდის ზებუნებრივი დარწმუნება იმაში, რასაც ზეცა ამბობს, თუმცა კიდევ ერთი ნაბიჯია გასავლელი ამ პროცესში.

ახლა ადამიანმა უნდა გაგზავნოს ნამგალი მოსამკელად, რათა რაშიც გულში დარწმუნებულია, რეალობაში მოიყვანოს რეალურ სამეფოში.

> *„რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, <u>მაშინვე წარგზავნის ნამგალს</u>, რადგან მოაწია მკამ“.*
>
> – მარკოზი 4:29

ყურადღება მიაქციეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გული

თანხმობაშია ზეცასთან და ზეცის რეალობა ამ კაცის თუ ქალის რეალობა გახდა ფიზიკურ სამეფოში, ჯერ არანაირი რეალური ცვლილება არ მომხდარა. რადგან კაცია ის, ვისაც ბუნებრივად აქვს მმართველობა დედამიწაზე, სწორედ მან უნდა გამოათავისუფლოს ზეცის ძალაუფლება ამ სამეფოში. ღმერთი ვერ გააკეთებს ამას კაცის თუ ქალის გარეშე. შემიძლია, ეს ძალიან ნაცნობი მუხლის მეშვეობით გაჩვენოთ, რომელიც უკვე განვიხილეთ!

*„ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე (**და მართლდებიან**), ხოლო ბაგით **აღიარებენ** გადასარჩენად“.*

– რომაელთა 10:10

გულით სწამს ადამიანს სიტყვა, რაც წარმოქმნის რწმენას და მართლდება. გამართლება კანონებთან დაკავშირებული ტერმინია, რაც კანონის აღსრულებას გულისხმობს. ამრიგად, როცა კაცის გული თანხმობაშია ზეცასთან და მისი გული სრულიად დარწმუნებულია ზეცის ნათქვამში, იგი მართლდება. ახლა ზეცას კანონიერად შეუძლია მის ცხოვრებაში, მიწიერ სამეფოში გადმოდინება. მაგრამ მხოლოდ გამართლება ვერ გამოათავისუფლებს ღვთის ძალას. როგორც სახლში, სადაც ელექტრო სადგურის მიერ ჩართულია ელექტრო ენერგია, კიდევ ერთი ნაბიჯია საჭირო, რათა ენერგია გამოთავისუფლდეს და შუქი აინთოს — ჩამრთველის გადატრიალება. რატომ? რადგან როგორც რომაელთა 10:10 მიუთითებს, კიდევ ერთი ნაბიჯია გადასადგმელი გამართლების შემდეგ.

კაცმა ან ქალმა, რომელიც ზეცისა და დედამიწის წინაშე დგას გამართლებული, შემდეგ უნდა აღიაროს ანუ მოქმედებაში მოიყვანოს ეს თანხმობა, რათა რეალურად გამოათავისუფლოს ღვთის ძალა და ცხებულება მიწიერ სამეფოში. გთხოვთ, წაიკითხეთ ეს მუხლი თავიდან და თავიდან, სანამ სრულად არ მიხვდებით: რას ვგულისხმობ?! აი ასე მოქმედებს იგი! აი როგორ მოიპოვებს ზეცა კანონიერებას მიწიერ სამეფოში, გული დაკავშირებული უნდა იყოს ზეცასთან ამ სამეფოში და შემდეგ ჩვენი სიტყვები და ქცევები უნდა გახდეს ჩამრთველი, რაც რეალურად გამოათავისუფლებს ზეცის ძალას. გთხოვთ,

ყურადღება მიაქციეთ ამ მუხლის მეორე ნაწილს: ჩვენ უნდა გამოვათავისუფლოთ ზეცის ძალაუფლება აქ!

ის, რომ ზეცა ელოდება კაცს თუ ქალს, რათა ჯერ კანონიერება და შემდეგ მმართველობა მოიპოვოს მიწიერ სამეფოში, ჩანს იმაში, რასაც იესო ასწავლის მათეს მე-16 და მე-18 თავებში.

> *„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც დედამიწაზე შეკრავთ, ზეცაშიც შეკრული იქნება. ხოლო რასაც გახსნით დედამიწაზე, გახსნილი იქნება ზეცაშიც“.*
>
> – მათე 18:18

იესო აცხადებს, რომ ის აპირებდა ეკლესიისთვის მიეცა ზეცის სამეფოს გასაღები (ძალაუფლება) დედამიწაზე. იგი ამბობს, რომ რასაც შეკრავ დედამიწაზე, ზეცა ზურგს გაგიმაგრებს, და რასაც გახსნი დედამიწაზე, ზეცა ამაშიც ზურგს გაგიმაგრებს.

ᲐᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲖᲔᲪᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲬᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ, ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲖᲔᲪᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲪᲔᲕᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲩᲐᲛᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲡ ᲖᲔᲪᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲡ.

იფიქრეთ ისევ პოლიციის ოფიცერზე, მას აქვს ძალაუფლება, მაგრამ სახელმწიფოს აქვს ძალა. პოლიციის ოფიცერს უჭირავს მმართველობის გასაღები ანუ ძალაუფლება, რადგან მან ფიცი დადო, ყოფილიყო სახელმწიფოს წარმომადგენელი. მის ნათქვამს სახელმწიფო უმაგრებს ზურგს. გახსოვდეთ, მხოლოდ კაცსა და ქალს აქვს კანონიერი მმართველობა აქ, შესაბამისად მხოლოდ კაცსა და ქალს შეუძლია ზეცას კანონიერი მმართველობა გადასცეს.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია, რაც რწმენის შესახებ უნდა იცოდე. ნება მომეცით ჩვენს ადგილს დავუბუნდე მარკოზის მე-4 თავიდან.

> *„რადგან **მიწას თვითონ გამოაქვს ნაყოფი**: ჯერ ჯეჯილი, შემდეგ თავთავი, მერე კი სავსე მარცვალი თავთავში“.*
>
> – მარკოზი 4:28

გახსოვთ, როგორც უკვე ვახსენე, იესომ განმარტა ამ იგავში ნახსენები ნიადაგი, როგორც ადამიანის გულის ან სულის განსახიერება. ყურადღება მიაქცით სად წარმოიქმნება რწმენა?! გაგაოცათ? ეს არ არის ზეცის ნაყოფი, როგორც ბევრს მიაჩნია, ის აქ, მიწიერ სამეფოში წარმოიქმნება და შენი გულის ნაყოფია. შენ ვერ ილოცებ მისთვის და ღმერთს ვერ სთხოვ! რწმენა ზეცაში არაა საჭირო. ჩვენ არ გვჭირდება თანხმობა ზეცაში. არა, ეს მხოლოდ აქ, მიწიერ სამეფოშია საჭირო და მხოლოდ აქ შეიძლება მოხდეს კაცისა თუ ქალის გულში მისი დაბადება. როგორც იგავი გვასწავლის მარკოზის მე-4 თავში, მხოლოდ ერთი გზაა მის მისაღებად, ღვთის სიტყვა შენს გულში უნდა მოათავსო და დაელოდო თანხმობის პროცესს. ამრიგად, თუ რწმენა მჭირდება, რა უნდა გავაკეთო? ჩემს გულში ღვთის სიტყვა უნდა მიმოვაბნიო და ნება მივცე მას, გაიზარდოს, სანამ რწმენა ჩამოყალიბდება. ესაა ერთადერთი გზა მის წარმოსაქმნელად.

სანამ მარკოზის მე-4 თავს დავტოვებთ, მინდა იქ ნახსენებ ნამგალზე ვისაუბრო.

> *„რაჟამს მომწიფდება ნაყოფი, **მაშინვე წარგზავნის ნამგალს**, რადგან მოაწია მკამ“.*
>
> – მარკოზი 4:29

დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიური სამყაროს დიდ ნაწილს არ უსწავლია, როგორ გამოიყენოს ნამგალი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ არ უსწავლიათ როგორ მოიმკან ის, რაც სჭირდებათ. ეკლესიას ძირითადად ასწავლიან, როგორ გასცენ, მაგრამ არა, როგორ გაზარდონ და მოიმკან მათი დათესილი თესლიდან. იესო ძალიან ცხადად ლაპარაკობს ამ მუხლში, რომ როცა ჩვენი რწმენის მომკის დრო მოვა, ᲩᲕᲔᲜ უნდა გამოვიყენოთ ნამგალი. თუნდაც კარგად გამოგვეთავისუფლებინა ჩვენი რწმენის თესლი, თუკი ნამგლის გამოყენება არ გვეცოდინება, ვერაფერს მოვიმკით. გულწრფელად რომ ვთქვა, არც მე ვიცოდი რაიმე ამის შესახებ სანამ უფალმა არ დაიწყო ჩემთვის სამეფოს მოქმედების შესახებ სწავლება. ნება მომეცით, რამდენიმე მაგალითი მოგიყვანოთ, თუ როგორ გამოიყურება ის!

ატლანტაში, ერთ ეკლესიაში მიმიწვიეს საქადაგებლად. ოთხშაბათი საღამოს მსახურება იყო და ეს ეკლესია არც

ისე დიდი იყო, თუმცა ეს ჩემთვის პრობლემა არ იყო. როცა ეკლესიაში მივედი, მეუცნაურა, რომ კარები ჩაკეტილი იყო და იქ არავინ დამხვდა. ეს იყო მსახურების დაწყებამდე ათი წუთით ადრე. სატვირთო მანქანის ხმა გავიგონე; ისეთი ხმა იყო, თითქოს ხმის ჩამხშობი საერთოდ არ ჰქონდა. როცა მოვიხედე, ძველი, დანჯღრეული, გაფუჭებული პიკაპის სატვირთო დავინახე, რომელიც ეკლესიის უკან პატარა ქუჩაზე შევიდა. ყურადღება არ მივაქციე; ბოლოს და ბოლოს, ატლანტაში ვიყავი. ცოტა ხანში, შენობის უკნიდან ერთი კაცი გამოვიდა და პასტორად გამეცნო. ბოდიში მომიხადა დაგვიანებისთვის, რადგან მისი ძველი სატვირთო არ დაიქოქა. მითხრა, რომ სატვირთოს დასაქოქად დაგორდა და სიჩქარის აკრეფის შემდეგ მოსაჭერს დაუჭირა, რადგან ისე არ იქოქებოდა. მან თქვა, რომ ხშირად, როცა საერთოდ ვერ ახერხებდა დაქოქვას, ფეხით უწევდა ეკლესიამდე 8 კილომეტრის გავლა.

თავის ეკლესიაზე მოყოლისას მითხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის პასტორი იყო, ამ ეკლესიის მთავარ ფუნქციად ქალაქის მაცხოვრებლების გამოკვება მიაჩნდა. ისინი დაახლოებით საჭმლის 10,000 პორციას გასცემდნენ თვეში. როცა პასტორი ლაპარაკობდა, გავბრაზდი. აქ არის ღვთის კაცი, რომელიც თვეში 10, 000 ადამიანს კვებავს და მას სანდო მანქანაც კი არ ჰყავს? ის ღვთის ერთადერთი სახეა, ვისაც მის მიერ გამოკვებილი ადამიანების უმრავლესობა ოდესმე ნახავს. თუკი ხედავენ, რომ ამ ყველაფერს ძლივს აკეთებს, 8 კილომეტრს გადის ფეხით 40 გრადუს სიცხეში, რა დარწმუნებულობა ექნებათ, რომ მათ ღმერთი დაეხმარებათ? შემეძლო, ამაზე მეზრუნა. სახლში საკმაოდ ახალი მანქანა მყავდა, რომელსაც 3,200 კმ. ჰქონდა გარბენი და შემეძლო მისთვის მიმეცა. მე მას ჩემი გეგმა გავაცანი და ვუთხარი, რომ ჩემი გუნდის ერთ-ერთ წევრს ატლანტაში გავაგზავნიდი მანქანასთან ერთად. რა თქმა უნდა, ის ძალიან გაახარა ამან. ის საღამო მისთვის და მისი პატარა ეკლესიისთვის ღვთის სამეფოსა და ფულთან დაკავშირებით მისი ფუნქციონირების შესახებ სწავლებაში გავატარე.

სახლში მივედი და მანქანის ატლანტაში ჩაყვანის საკითხი მოვაგვარე. როცა ჩემი გუნდის წევრი სახლში მოვიდა მანქანის წასაყვანად, ვიცოდი რომ სულიერ გარიგებას ვაწარმოებდი

ზეცაში. ვიცოდი, რომ, რადგან ვათავისუფლებდი ამ მანქანას ღვთის სამეფოში, შემეძლო მერწმუნა ღვთის, რომ ჩემთვის საჭირო ტრანსპორტით უზრუნველმყოფდა. დიდად არ მაინტერესებს მანქანები. ზოგს მეტად აინტერესებს, მაგრამ მე არა. მანქანა მხოლოდ გადაადგილების საშუალებაა ჩემთვის. რა თქმა უნდა, მომწონს, როცა კარგი მანქანა მაქვს, თუმცა ძირითადად მათ მანამდე ვატარებ, სანამ ჩანაცვლების საჭიროება არ დადგება.

როცა ჩემი გუნდის წევრი მოვიდა, ფარეხში გავედი, მანქანას ხელები დავასხი და ვთქვი: „მამა, მე ამ მანქანას შენი მსახურებისთვის ვათავისუფლებ და რადგან მას ვათავისუფლებ, უკან ვიღებ მანქანას...“ აქ შევყოყმანდი. ვიცოდი რამდენად ზუსტია ღვთის სამეფო და ვიცოდი, რომ მხოლოდ სიტყვა „მანქანა“ საკმარისი არ იქნებოდა. ისიც ვიცოდი, რომ ზუსტი უნდა ვყოფილიყავი და მე და დრენდა უნდა შევთანხმებულიყავით იმ კონკრეტულ რაღაცეებთან, რასაც ვიღებდით. ასე, შუა წინადადებაში გაჩერებული, მივხვდი, რომ არ ვიცოდი, როგორი მანქანა მინდოდა. ამიტომ თავიდან დავიწყე: „უფალო, დღეს მე შენი მსახურებისთვის ვათავისუფლებ ამ მანქანას და მჯერა, რომ ვიღებ ძალიან კარგ მანქანას, რადგან დავთესე, მაგრამ, როცა გადავწყვეტ, უკან დავბრუნდები შენთან მანქანის მოდელთან დაკავშირებით!“ სულ ეს იყო; მანქანა წავიდა. გონებაში არც ერთი მანქანა არ მქონდა, რომელზეც ვიტყოდი: „დიახ, აი ეს მანქანა მინდა!“

რამდენიმე თვე გავიდა. რა თქმა უნდა, დრენდა თანხმობაში იყო ჩემთან მანქანის გაცემასთან დაკავშირებით და ჩემსავით, წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორი მანქანა უნდოდა. ორი თვე ვსაუბრობდით მანქანებზე და საბოლოოდ, ერთ დღეს მითხრა: „იცი, ვფიქრობ, სიამოვნებით მეყოლებოდა კაბრიოლეტი!“ ვუთხარი, რომ ვეთანხმებოდი და ვკითხე თუ როგორი? ისევ, იმაზეც კი არ გვქონდა წარმოდგენა, როგორი კაბრიოლეტები არსებობდა ჩვენთან. მაგრამ ერთ დღეს, როცა ლანჩზე ვიყავით გასულები, ჩემმა ცოლმა უეცრად წამოიძახა: „აი, ეს არის!“ „რა არის?“ ვკითხე მე. „აი, ეს არის!“ - ისევ გაიმეორა და რესტორნის პარკინგისკენ მიმითითა. „რა არის?“ ვკითხე. „მანქანა, აი, ეს მანქანა მინდა!“ შემდეგ პარკინგის გასწვრივ დიდი კაბრიოლეტი დავინახე. „მოდი, წავიდეთ და ვნახოთ როგორია?“ - ვუთხარი მე. ასე რომ, მანქანასთან მივედით და მის უკან გავჩერდით.

ნუ, გასაკვირი არაა, რომ მოგვეწონა! ეს BMW 645Ci იყო, ნამდვილად კარგი კაბრიოლეტი და ამავე დროს, ძალიან ძვირი. გულწრფელად რომ გითხრათ, ეს მანქანა რომ დავინახე, ვიფიქრე: „კარგი, უფალო, დაგვანახე რა უნდა გავაკეთოთ?!“ ვიცოდი, რომ ახალი BMW-ისთვის 115,000 დოლარს არ გადავიხდიდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ღმერთს საოცრებების გაკეთება შეეძლო. მე და დრენდას არავისთვის გვითქვამს მანქანაზე და არც გვიხსენებია, რომ მანქანას ვეძებდით.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, დრენდას ძმამ დაგვირეკა და გვითხრა: „დრენდას მანქანა ვიპოვე!“ „რას გულისხმობ?“ - ვკითხე მე. „ვნახე, რომ მანქანა იყიდებოდა, და უეცრად ვიფიქრე, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო დრენდას მანქანა; და თქვენთვის უნდა მეთქვა“ - გვითხრა მან. „რა მანქანა იყო?“ - ვკითხე. „BMW 645Ci და იგი საუკეთესო, საუკეთესო მდგომარეობაშია. სულ რამდენიმე წლისაა, დაბალი გარბენი აქვს, და ნაკაწრიც კი არ აქვს. სრულყოფილია. ამის გარდა, მის გამყიდველს იცნობ.“ „ვიცნობ?“ - ვკითხე მე. „კი, მითხრა, რომ უნდა დაურეკო ამის თაობაზე.“ როცა მან მანქანის სერია და მოდელი მითხრა და მივხვდი, რომ ეს სწორედ ის მანქანა იყო, რომელიც მე და დრენდას რამდენიმე კვირის წინ მოგვეწონა, ვიცოდი, რომ ღმერთი რაღაცას აპირებდა.

მანქანის მფლობელს დავურეკე. დიახ, მას ვიცნობდი და ცოტა ვისაუბრეთ მანქანის შესახებ, მეუბნებოდა რა კარგ მდგომარეობაში იყო მანქანა. შემდეგ კი ეს სიტყვები თქვა: „იცი, რაც ტელეფონზე ვლაპარაკობთ, სულ ის განცდა მაქვს, რომ ეს დრენდას მანქანა უნდა იყოს!“ მე ისიც კი არ მქონდა მისთვის ნათქვამი, რომ მანქანას დრენდასთვის ვეძებდი. მან ლაპარაკი გააგრძელა: „გეტყვი, რასაც ვაპირებ! ვაპირებ მანქანა 28,000 დოლარად მოგყიდო.“ ყურებს ვერ ვუჯერებდი. ეს მანქანა გაცილებით მეტი ღირდა. როცა ამის შესახებ დრენდას ვუთხარი, ძალიან აღელდა. ნაღდი ფულით გადავიხადეთ მანქანის საფასური და დღემდე გვყავს იგი. კვლავ კარგად დადის და ასევე გამოიყურება. კვლავ არც ერთი ნაკაწრი არ აქვს და ბევრჯერ, დამღლელი დღის შემდეგ მუსიკითა და მზის სინათლით აუვსია ჩვენი ცხოვრება.

ძალიან გვიყვარდა ამ მანქანით კოლორადოს მთებში მოგზაურობა. უკან სატვირთოში დასაბანაკებლად საჭირო

აღჭურვილობა გვედო. ჩვენი გოგონა ქირსთენიც ჩვენთან ერთად ეყო. მახსოვს კანზას I-70-ში მივდიოდით ღამით, მანქანის თავი გადაწეული გვქონდა. ქირსთენი უკან იწვა და ეძინა. ვარსკვლავები ისე კაშკაშებდნენ ჩვენს ზევით, გზაზეც არაფერი მოდიოდა ერთი-ორ სატვირთოს თუ არ ჩავთვლით. ერთ-ერთი ისეთი სრულყოფილი ღამე იყო, როცა ჰაერი სუფთაა და სამყაროში ყველაფერი საოცარია. შემდეგი ორი კვირა მთებში სიარულში გავატარეთ და აღმოვაჩინე, თუ რამდენის გაძლება შეეძლო ამ მანქანას. ერთი სიტყვით შეგვიძლია, დავახასიათოთ იგი— გასაოცარი!

მაგრამ, მილიონ დოლარიანი შეკითხვის დროა. როგორ აღმოჩნდა ეს მანქანა აქ? რატომ იყო ეს ზუსტად ის მანქანა, რომელზეც დრენდამ თქვა: „აი, ეს არის!“ ვიცოდი, რომ ღვთის სამეფომ მოიტანა ეს მანქანა ჩვენს ცხოვრებაში. ვიცოდი, რომ როცა ის მანქანა პასტორისთვის დავთესე, სულიერი კანონი უნდა განხორციელებულიყო. მახსოვს, ვთქვი, რომ უკან მივიღებდი მანქანას, არა სპორტულ მანქანას, არა ჯიპს, არამედ უბრალოდ მანქანას; მახსოვს, ვთქვი, რომ კარგი მანქანა იქნებოდა. მაგრამ მე და დრენდას ნამგალი უნდა გაგვეგზავნა. მანქანა არ გამოჩნდებოდა, სანამ არ ვიტყოდით - „აი, ეს არის!“ მიუხედავად იმისა, რომ რწმენა მაშინაც მქონდა, როცა სიტყვიერად გამოვათავისუფლე ეს მანქანა, ჩვენ ნამგალი არ გაგვიგზავნია, სანამ დრენდამ არ თქვა - „აი, ეს არის.“

კიდევ ერთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც ეს პრინციპი კიდევ უფრო გამოკვეთა. როგორც უკვე იცით, ნადირობა მიყვარს. ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ნადირობა ძალიან პოპულარულია და კურთხეული ვარ იმით, რომ საკუთარი სანადირო ტერიტორია მაქვს. 25 ჰექტარი მიწიდან, რომელიც მე მეკუთვნის, დაახლოებით 7 ჰექტარი ტყეს უკავია, 4 ჰექტარი კი ჭაობს. ყოველ წელს წარმატებით ვნადირობ ირემსა და ციყვზე. იმ ტერიტორიაზე ყოველთვის დაფრინავენ იხვები და ბატები, თუმცა რატომღაც, არასდროს მიფიქრია მათზე მენადირა. ოჰ, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, მე და ბიჭები ჩავდიოდით ჭაობში და რამდენიმე ბატს ვიჭერდით ვახშმისთვის. მაგრამ იხვზე მონადირეები არასდროს ვყოფილვართ.

მოკლედ, რამდენიმე წლის წინ, როცა ვუყურებდი ათობით და ათობით იხვი როგორ დაფრინავდა ჭაობში, ვიფიქრე, უნდა

მეცადა მათზე ნადირობა. ვაუ, ეს ისეთი ამაღელვებელი იყო! ამ აზრმა მომიცვა. იმ შემოდგომაზე, იხვებზე ნადირობის სეზონზე, აღმოვაჩინე, რომ სერიოზული ვარჯიში მჭირდებოდა იხვებისთვის სროლაში. რამდენიმე დავიჭირე და ვნახე, რომ საჭმელადაც კარგი იყო. შევამჩნიე, რომ ძირითადად იხვები ჩემი სასროლი დიაპაზონის კიდეზე ან მის მიღმა იყვნენ, რის გამოც ვაცილებდი. ჩემი რეგულარული იარაღით ვნადირობდი, რომელსაც, კურდღლიდან დაწყებული ირმით დამთავრებული, ყველაფერზე ვიყენებდი. ეს იყო რემინგტონის მოდელი 11-87. არასწორად არ გამიგოთ, მე მიყვარს ეს იარაღი და ძალიან კარგი იარაღია. მაგრამ გაგონილი მქონდა, რომ ახალი მოდელის იარაღები იყო გამოსული სპეციალურად იხვზე სანადიროდ. ისინი შენიღბული იყო და 8.9 სმ.-იანი ტყვიები იდებოდა, რაც ვიცოდი, რომ ხელს უწყობდა შორს სროლას. გადავწყვიტე ერთი ასეთი მენახა მომავალ იხვების სეზონამდე.

ამასობაში იხვების სეზონი დამთავრდა, ახლა იანვარი იყო და კაბელაში მივდიოდი. გადავწყვიტე, იარაღების სექციაში გამევლო და მენახა, როგორ გამოიყურებოდა ეს ახალი მოდელები. მაღაზიაში შესვლისას დავინახე, რომ მთელი სექცია იყო მიძღვნილი იხვზე სანადირო იარაღებისთვის. რამდენიმე მათგანს შევხედე და ერთ-ერთის ყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ 2,000 დოლარი ღირდა და სეზონამდე კიდევ ერთი თვე იყო. „მოვიცდი“ - გავიფიქრე ჩემთვის. მაგრამ რაღაც უჩვეულო გავაკეთე, სანამ წამოვიდოდი. მაშინ ვერც მივხვდი, რას ვაკეთებდი, რადგან ეს ფიქრის გარეშე გავაკეთე. თითით მივუთითე იმ იარაღისკენ, რომელიც მინდოდა და ხმამაღლა ვთქვი: „მე მექნება ეს იარაღი იესოს სახელით!“ არც კი დავფიქრებულვარ, ეს ისე გავაკეთე. უბრალოდ განვაცხადე, რომ ეს იარაღი მექნებოდა. ჩემს გულში ნათელი სურათი იყო იმ იხვზე სანადირო იარაღის, რომელიც მინდოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბიზნეს კონფერენციაზე მიმიწვიეს სპიკერად. იქ ისეთი რაღაც მოხდა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო. ჩემი სიტყვის შემდეგ, კომპანიის მფლობელი გამოვიდა და თქვა, რომ პატივისცემის ნიშნად უნდოდათ, დავესაჩუქრებინე. „ვიცოდით, რომ ნადირობა გიყვარს, ამიტომ ეს იარაღი გიყიდეთ!“ - თქვა მან. გავოგნდი, როცა ახალი ბრენდის, ბენელის, ნახევრად ავტომატური იხვზე სანადირო იარაღი გამოიტანეს,

...ღმერთს უბრალოდ სურდა ეჩვენებინა, რომ ვუყვარდი. მან მაჩვენა, რომ ვუყვარდი როცა ჩემთვის იესო გამოაგზავნა და სამეფო მომცა!

ზუსტად ისეთი როგორიც მაღაზიაში ვნახე, ის რომელზეც მივუთითე! ხედავთ ამას? როგორ მოხდა რომ ზუსტად ის იარაღი მომცეს? წლების განმავლობაში ათობით იარაღი გამიცია, მაგრამ არასდროს გამიგზავნია ნამგალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რწმენით და გულუხვობით ვთესავდი ამ ირაღებს, მაგრამ არასდროს გამიგზავნია ნამგალი. არასდროს მითქვამს: „უფალო, აი, ეს არის! აი, ეს არის, რომელიც მინდა!“ როგორც კი ეს გავაკეთე, ნაყოფიც გამოჩნდა!

იარაღის ისტორიას ჩემს ახალგაზრდა მსახურ მეგობარს ვუყვებოდი. მან მითხრა: „დიახ, ვფიქრობ, რომ ღმერთი აკეთებს ამას! ზოგჯერ ის უბრალოდ პატარა, განსაკუთრებული საჩუქრით გაკურთხებს, რათა გითხრას, რომ უყვარხარ.“ როცა მის ნათქვამზე ვფიქრობდი, მივხვდი: „არა, ეს ასე არაა! რა თქმა უნდა, ღმერთს ვუყვარვარ, მაგრამ მას არ სურს უბრალოდ გამაოცოს პატარა საჩუქრით.“ ძაღლი, თევზი, ირემი, რაც ზუსტი თხოვნის მიხედვით მოდიოდნენ, მანქანები, ეს ყველაფერი იმის გამო არ მოსულა, რომ ღმერთს უბრალოდ სურდა ეჩვენებინა, რომ ვუყვარდი. მან მაჩვენა, რომ ვუყვარდი, როცა ჩემთვის იესო გამოგზავნა და სამეფო მომცა!

მინდა, მკის შესახებ კიდევ ერთი ისტორია გიამბოთ. როგორც უკვე გითხარით, დიდად არ მიყვარს მანქანები. ჩვენ მანამდე ვმართავდით მათ, სანამ ჩანაცვლება არ გახდებოდა საჭირო. ამის მაგალითია ჩვენი რვა წლის ჰონდა პილოტი. გვიყვარს ეს მანქანა, გამოსადეგია, კარგად დადის, ახალივით გამოიყურება, ამიტომ ისევ გვყავს. მაგრამ ხშირად გვიფიქრია შედარებით დიდი სპორტული სტილის მანქანის ყიდვაზე მგზავრებისა და სტუმრების გადასაადგილებლად. დიდი ხნის წინ, კადილაკ ესკელადე ვიქირავეთ ერთი ღონისძიებისთვის, რომელსაც ჩვენ ვმასპინძლობდით Now Center—ში. იმ დღეების განმავლობაში მე და დრენდა დავდიოდით ამ მანქანით და ძალიან მოგვეწონა. მოგვეწონა მისი მარგალიტისებური თეთრი ფერი და ის მოკლე ვერსია, რომელსაც ვატარებდით, განსხვავებით გრძელი ვერსიისგან, რომლითაც ესკალადე გამოდიოდა. ჩვენ ვთქვით:

„აი, რა გვინდა?! კადილაკ ესკელადე, მარგალიტისებრი თეთრი, მოკლე ვერსია. ასეთი უნდა ვიყიდოთ!“ თუმცა დაკავებული ცხოვრების გამო მართლა არ გვქონდა დრო სასიარულოდ და საყიდლად.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, როგორც კი კარებიდან ფეხი გამოვდგი და დილის გაზეთის ასაღებად წავედი, ჩემმა მობილურმა დარეკა. კაცის ხმა იყო: „პასტორო, მინდა ესკელადეს კადილაკი გიყიდო! რა ფერი გინდა?“ დაბნეულმა ვუთხარი: „ვაუ, გასაოცარია. მე და დრენდას მარგალიტისებრი თეთრი მოგვწონს!“ „კარგი“ - თქვა მან, „ვნახოთ, რას ვიპოვი?!“ იმდენად აღელვებული ვიყავი, დამავიწყდა, მისთვის მეთქვა, რომ მოკლე ვერსია უფრო მოგვწონდა. განზრახული ჰქონდა ერთი ან ორი წლის მანქანა ეპოვნა, რომელიც ძალიან კარგ მდგომარეობაში იქნებოდა და ბევრი არ ექნებოდა გარბენი.

დაახლოებით ერთი თვე მისგან არაფერი გვსმენია. ერთ დღესაც დარეკა: „მე მაქვს თქვენი ესკელადე; შემხვდით ამა და ამ დროს და ამა და ამ ადგილას და წაიყვანეთ სახლში!“ შევხვდით და მას მარგალიტისებრი თეთრი ესკელადე ჰყავდა ჩვენთვის, მოკლე ვერსია. ძალიან ლამაზი იყო! „ვწუხვარ, რომ ამას ამდენი დრო დასჭირდა!“ - თქვა მან. „ძალიან ვცდილობდი გრძელი ვერსია მეპოვნა, მაგრამ მათზე ისეთი მოთხოვნაა, არსად არ იყო. მხოლოდ მოკლეს პოვნა შევძელი. იმედია, ეს პრობლემა არ იქნება.“ პრობლემა? ეს სწორედ ის იყო, რაც გვინდოდა და რაც ვთქვით!

კვლავ ვსვამ კითხვას: როგორ გამოჩნდა ზუსტად ის ესკელადე, რომელიც გვინდოდა? კარგით, პირველ რიგში, მე რვა მანქანა გავეცი, გარდა იმისა, რომელიც პასტორს მივეცი და ზევით ვახსენე. მაგრამ არასდროს მითქვამს: „აი, ეს არის!“ მანამდე სანამ ეს დრენდამ BMW—ზე არ გააკეთა. ახლა, მე და დრენდა შევთანხმდით და ხმამაღლა ვთქვით: „აი, ეს არის!“ წლებია ვამბობ, რომ ეკლესიას ძალიან კარგი სწავლება აქვს გაცემაზე, მაგრამ საშინლად ასწავლის ხალხს, თუ როგორ უნდა მოიმკან. შეგიძლიათ წინა ისტორიებიდან გამომდინარე მითხრათ: რა არის ნამგალი? იმედი მაქვს, რომ ეს ცხადია! რწმენით ძალიან ბევრი მანქანა დამითესავს, რომ უკან მივიღებდი, მაგრამ მე და დრენდა არასდროს შევთანხმებულვართ ახალ მანქანაზე. ვაგრძელებდით იგივე მანქანის ტარებას. მაგრამ, როგორც

კი ვთქვით: „აი, ეს არის!“, ისიც გამოჩნდა. ნამგალი ჩვენი სიტყვებია!

> *„სიკვდილ-სიცოცხლე ენის ხელშია და მისი მოყვარულნი შეჭამენ მის ნაყოფს“.*
>
> – იგავები 18:21

იყო პერიოდი, როცა ეკლესია თითქოს ძალიან ბევრს ასწავლიდა აღიარების შესახებ. ჩემ გარშემო იყვნენ ადამიანები, შესაძლოა თქვენს გარშემოც, რომლებიც იტყოდნენ რაღაცას, შემდეგ პირზე ხელს აიფარებდნენ და ამბობდნენ: „უნდა დავაკვირდე, რას ვაღიარებ?!“ ეს საკმაოდ კარგად ჟღერს და ვეთანხმები, რომ ეს ღვთის სიტყვის გულში შენახვაში დაგეხმარებათ. თუმცა, შენს აღიარებებზე დაკვირვებას, არაფერი აქვს საერთო ნამგალთან. რა? კი მაგრამ, მეგონა ახლახანს თქვი, რომ ნამგალი ჩვენი სიტყვებია. დიახ, ასე ვთქვი, მაგრამ უბრალოდ კარგი რაღაცების თქმაში დახელოვნების ფორმულა - გასაღები არაა!

> *“ჭეშმარიტად გეუბნებით, რომ ვინც ამ მთას **ეტყვის**, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, გულში კი არ შეეჭვდება, არამედ **ირწმუნებს**, რომ **მისი სიტყვისამებრ** მოხდება, ექნება მას!“*
>
> – მარკოზი 11:23

კვლავ ვიტყვი, რომ მარკოზის მე-4 თავში ნახსენები ნამგალი შენი სიტყვებია! იმ დროისთვის, როცა მარკოზის სახარება მე-4 თავში ნამგალზე საუბრობს, მას უკვე განხილული აქვს რწმენის პროცესი და როგორ მივიღოთ იგი. ის ამბობს, რომ როცა მარცვალი მომწიფდება, ნამგალს გზავნი, რადგან მოაწია მკის დრომ. მკის დრო მოვიდა, რადგან გწამს, რადგან გულში ეთანხმები ზეცას. ზემოთ მოყვანილი მუხლი მარკოზის მე-11 თავიდან, იგივე პრინციპის მატარებელია. გულით გწამს სიტყვა, შემდეგ ლაპარაკობ და გამოათავისუფლებ ზეცის ძალაუფლებას. მაგრამ ყურადღება მიაქციეთ ფრაზას: *„ირწმუნებს, რომ მისი სიტყვისამებრ მოხდება!“* რწმენის გამოცდაა, გწამს თუ არა,

რასაც ამბობ?! უბრალოდ თქმა ან აღიარება ღვთის სიტყვისა, თავისთავად რწმენა არაა. თუკი შენი გული თანხმობაში არაა ზეცასთან, შეგიძლია მანამდე აღიარო სანამ არ გალურჯდები, მაგრამ არაფერი მოხდება. შესაბამისად, რას უნდა დავუკვირდეთ ჩვენს აღიარებას თუ ჩვენს გულს?

> *„კეთილ კაცს თავისი გულის საუნჯიდან სიკეთე გამოაქვს, ბოროტ კაცს კი თავისი გულის ბოროტი საუნჯიდან ბოროტება გამოაქვს; რადგან გულის სისავსიდან მეტყველებს მისი პირი“.*
>
> – ლუკა 6:45

> *„ყველაფერზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინებიან სიცოცხლის წყაროები; მოიცილე მზაკვრობა ბაგიდან და უკულმართი საუბარი განიშორე!“*
>
> – იგავები 4:23-24

ცხადად შეგვიძლია დავინახოთ, რომ ის, თუ რას ვამბობთ, გამომდინარეობს ჩვენი გულიდან და იქიდან თუ მას რისი სჯერა. თუკი მარკოზის მე-4 თავში წარმოდგენილ პროცესს გავყვებით, გვეცოდინება, როგორ შევცვალოთ რეალურად ის, თუ რისი სწამს ჩვენს გულს და როგორ მოვიყავნოთ იგი ზეცასთან და რწმენასთან შესაბამისობაში. შემდეგ, როცა სრულიად დარწმუნებულები ვართ, ჩვენი სიტყვებითა და ქცევებით ვაგზავნით ნამგალს. მიხვდით? დიდებულია, მოდით, გავაგრძელოთ!

რწმენაზე საუბრის გაგრძელებისას მინდა, წამოვჭრა შეკითხვა, რომელზე პასუხის გაცემაც აუცილებლად უნდა შეგეძლოთ!

საიდან უნდა ვიცოდე რეალურად მაქვს თუ არა რწმენა?

ეს ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელზე პასუხიც **აუცილებლად** უნდა იცოდე, რადგან შეუძლებელია, რწმენის

ლოცვით ილოცო, თუკი არ გაქვს რწმენა. მრავალი გზა არსებობს იმის გასაგებად, გაქვს თუ არა რწმენა, მრავალი სიმპტომი, რომელიც უნდა იცოდე და ეძებო. შეიძლება ძალიან ბევრი ცუდი, შიშზე დაფუძნებული გადაწყვეტილება მიიღო როცა რწმენაში არ ხარ. შიშზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ყოველთვის ამ ქვეყნიერების წყევლის მძევლად გაქცევს და გამოგატოვებინებს იმას, რაც ღმერთს შენთვის აქვს. ამრიგად, რა არის რწმენაში ყოფნის დამადასტურებელი ნიშანი? პირველი ნიშანი მარტივია; შეგიძლია კვლავ დაუბრუნდე ჩვენს რწმენის განმარტებას და გაიაზრო, რომ გულში სრული დარწმუნებულობის ქონა ნამდვილად გასაღებია. მაგრამ ხშირად გვგონია, რომ დარწმუნებულები ვართ, თუმცა მხოლოდ ჩვენს გონებაში ვეთანხმებით ღვთის სიტყვას და არა გულში. უნდა ხვდებოდეთ განსხვავებას! როცა სრულად დარწმუნებული ხარ, რა თქმა უნდა, აქ არის გონების თანხმობაც იმასთან, რასაც სიტყვა ამბობს, თუმცა ამას გარდა დარწმუნებულობამ მშვიდობა და მოლოდინი უნდა მოგიტანოს.

> *„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ“.*
>
> – ებრაელთა 11:1

თუკი რაიმეს ქონის დამადასტურებელი ნიშანი გაქვს, კვლავ დაგჭირდება დარწმუნება იმაში რომ გაქვს? რა თქმა უნდა, არა! კვლავ ვიტყვი, როცა რწმენაში ხარ: ცოდნა, მშვიდობა და დარწმუნება გაქვს იმასთან მიმართებაში რასაც ღვთის სიტყვა ამბობს, თუნდაც ჯერ ვერ ხედავდე მას. მრავალი ადამიანი ასე ამბობს ამას: „მე ვიცი, რომ ვიცი, რომ ვიცი, რომ ვიცი, რომ მაქვს!“ ეს ცოდნა შიგნიდან მოდის და არა იქიდან, თუ რას გეუბნებიან გარემოებები. ეს შენს სულიერ კაცშია, შენს გულში. შიში მიდის, არანაირი ნერვიულობისა თუ წუწუნის აზრები არ ბომბავს შენს გონებას; იცი, რომ ასეა!

რწმენაში ყოფნის კიდევ ერთი ასპექტი სიხარული და მოლოდინია. აი აქ არის შენი პასუხი. შენ გაქვს ეს! რწმენა მეტია ვიდრე მშვიდობისა და დარწმუნებულობის განცდა, თუმცა ესეც გექნება. ამას გარდა, უნდა შეგეძლოს სულიერად დაიცვა შენი

პოზიცია. როცა ამას ვამბობ, წარმოიდგინეთ სასამართლო დარბაზი, და თქვენი თავი, როგორც ადვოკატი, რომელიც ჯვარედინად კითხავს მოწმეს. რატომ გჯერა იმის, რისიც გჯერა შენს სიტუაციაში? როგორ დაიცავდი შენს პოზიციას? ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: ღვთის სიტყვა!

მაგალითად, თუ ვინმე მოვიდა შენს სახლში და თქვა: „ჰეი, გადი ჩემი სახლიდან!“ განა ეტყვი: „ოჰ, მაპატიეთ; ერთი დღე მომეცით და წავალთ?!“ - არა, ასე არ ეტყვით! ალბათ გაიცინებთ. თუკი ის იტყოდა: „არა, ეს ჩემი სახლია; ან წადი ან სასამართლოში შევხვდებით!“ შენ უპასუხებდი: „სიამოვნებით გნახავ სასამართლოში!“ მოსმენაზე მშვიდად აჩვენებდი მოსამართლეს შენს დოკუმენტებს. ისიც ერთს შეხედავდა ამ ყველაფერს, დააპატიმრებდა მას შევიწროებისთვის და სასამართლოს მთელ ხარჯებსაც მას გადაახდევინებდა. შენი დარწმუნებულობა დაფუძნებული იყო არა შენს ემოციებზე და იმაზე, თუ რას გრძნობდი, არამედ, კანონზე და ფაქტზე, რომ შენ კანონიერად ფლობდი სახლს.

„ხოლო რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს, დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავთ.“

_ ებრაელთა 11:1

როცა საქმე რწმენაში ყოფნას ეხება, აღმოვაჩინე, რომ ხშირად, როცა ადამიანებს არ ესმით, რა არის რწმენა, მარტივად იბნევიან, როცა საკუთარ დარწმუნებულობას ქმედებებში დებენ და არა რწმენის ერთადერთ წყაროზე, რომელიც ღვთის სიტყვაა. მარტივია ქცევა ან ქცევის ფორმულა ღვთის სიტყვაზე, ღვთის სამეფოს რეალურ ძალაში აგერიოს, რომელიც მოდის სრულიად დარწმუნებული გულიდან. მაგალითად, თუკი დათესე ფული ღვთის სამეფოში და გეკითხები, თუ რატომ გჯერა, რომ მიიღებ უკან ამ გაცემისთვის, შენი პასუხი არ უნდა იყოს: „რადგან ამა და ამ დღეს გარკვეული თანხა გავეცი.“ ეს აღიარებს მხოლოდ შენს ქმედებას, რაღაც ფორმულას უყურებს და მისი ღუზა არაა დარწმუნებულობაზე დაშვებული. შენი დარწმუნებულობა მხოლოდ ღვთის სიტყვიდან შეიძლება მოდიოდეს.

ვერ დავითვლი რამდენი ადამიანისთვის მიკითხავს მათზე ლოცვისას, თუ რატომ სწამდათ, რომ მიიღებდნენ, როცა ვილოცებდი და ისინი უბრალოდ შემომხედავდნენ პასუხის

გარეშე. როცა ვეკითხები, მე მათ რწმენას ვეძებ, მათ თანხმობას ზეცასთან. მინდა მათგან მოვისმინო: „ვიცი, მივიღებ, რადგან ღმერთი დამპირდა ამა და ამ წიგნის ამა და ამ მუხლში რომ ეს ჩემია!“ თუკი ისინი მუხლს ვერ მეტყვიან, დიდი შანსია, რომ მათ ღუზა არ აქვთ ჩაშვებული და წარმოდგენა არ აქვთ საით მიდის მათი ნავი.

გახსოვდეთ, რწმენა მხოლოდ მაშინ არსებობს როცა ღვთის ნება იცი. რატომ? რადგან რწმენა მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როცა შენი გული თანხმობაშია ღვთის ნებასთან. მჯერა, ბევრი ფიქრობს, რომ რწმენაშია, როცა ასე არაა. კვლავ ვიტყვი, მათი გონება შეიძლება ეთანხმებოდეს, რომ ღვთის სიტყვა ჭეშმარიტია და კარგია, მაგრამ რწმენა მხოლოდ მაშინ აქვთ, როცა გული სრულად დარწმუნებულია. მრავალი ადამიანის გონება ეთანხმება ღვთის სიტყვას, მაგრამ გულში მშვიდობა არ აქვთ.

აი, კარგი ილუსტრაცია, რომ მიხვდეთ რაზე ვლაპარაკობ. რაც, ვფიქრობ მიგითითებთ იმაზე, რომ მრავალს არ სწამს, როცა ჰგონიათ, რომ სწამს. რას იფიქრებთ თუკი გეტყვით რომ ცოტა ხნის წინ აღმოვაჩინე რომ ცა ლურჯი არაა, როგორც ხალხი ამბობს, არამედ ფერი, რომელსაც ისინი ლურჯს უწოდებენ, სინამდვილეში ყვითელია? სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, რომ გითხრათ, რომ მთელი ცხოვრება არასწორად გვასწავლიდნენ ფერების შესახებ და ლურჯი სინამდვილეში ლურჯი კი არა ყვითელია. რას გააკეთებდით? შოკირებული აიღებდით ტელეფონს, თქვენი პირველი კლასის მასწავლებელს დაურეკავდით და დაადანაშაულებდით, რომ მთელი ცხოვრება აგირიათ, როცა ფერები არასწორად გასწავლათ? არა მგონია! არანაირი შიშის ემოცია არ გექნებოდათ, არანაირი დრამა. უბრალოდ გეცოდინებოდათ, რომ მე იდიოტი ვარ, არარაციონალურ კომენტარებს ვაკეთებ და შენს საქმეს დაუბრუნდებოდი. რატომ? რადგან სრულიად ხარ დარწმუნებული, რომ ლურჯი ლურჯია!

ახლა მოდით, ჩემი მაგალითი ჩვენს რწმენის განხილვას შევადაროთ! რა მოხდებოდა, თუკი სრულიად იყავი დარწმუნებული იმაში რასაც ღმერთი ამბობს განკურნებაზე და ექიმი გეუბნება, რომ კიბოსგან მოკვდები? შეხედავდი ექიმს და იფიქრებდი, რომ იდიოტია, რადგან იცოდი, რომ ეს შეუძლებელია. რატომ?

რადგან სრულიად დარწმუნებული იყავი განკურნებით უზრუნველყოფაში, რისთვისაც იესომ უკვე გადაიხადა. ხედავთ ამას? რა თქმა უნდა, მრავალი ლოცულობს, მაგრამ დაკვირვებების შედეგად ვხედავ, რომ ისინი ლოცულობენ არა რწმენის ლოცვით, არამედ იმედის და შედეგში არ არიან დარწმუნებულები. მეგობარო, აი რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი ღვთის სიტყვით ავაშენოთ საკუთარი თავი! უნდა ვიცოდეთ, რა არის ღვთის ნება, რათა დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, თუ რას ამბობს?! ამრიგად, შეგვეძლება უარვყოთ ის, რაც მისი ნება არ არის! ნება მომეცით, ჩემი ცხოვრებიდან მოვიყვანო მაგალითი, რაც გვაჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იკვებო იმით, რასაც ღმერთი ამბობს ცხოვრებაზე.

ბიზნესის მართვაში მძიმე კვირების შემდეგ, ძალიან დაღლილი ვიყავი (ეს მანამდე იყო, სანამ ეკლესიის პასტორი გავხდებოდი). ჩემი დღის განრიგი შედგებოდა გაყიდვების ზარებისგან და რა თქმა უნდა, ვალებით ცხოვრების ფინანსური წნეხისგან. სტომატოლოგთან მივდიოდი ფესვის შესავსებად. ყველაფერი კარგად იყო, სანამ სტომატოლოგი ნოვოკაინის შეყვანას დაიწყებდა. როგორც კი ნემსი ღრძილში შეიყვანა, უცებ ტკივილი ვიგრძენი და ჩემი ყბა მაშინვე გაბუჭდა, იმის მაგივრად რომ ნელ-ნელა მომხდარიყო ეს. მე გამიკვირდა და ექიმს ვუთხარი ამის შესახებ. მანაც თქვა: „ოჰ, როგორც ჩანს, ნერვს მოვარტყი!“ მე მაშინვე ვკითხე: „ეს ნორმალურია?“ მან კი ეს სიტყვები მითხრა: „ნუ, ძირითადად ინკურნება!“ რა? სწორად გავიგე? „ექიმო, რას გულისხმობთ ძირითადად ინკურნებაში?!“ მანაც მითხრა: „80-85%-ის შემთხვევაში, დროთა განმავლობაში სრულიად ინკურნება და მუდმივ უარყოფით ეფექტს არ ტოვებს.“

რა? უეცრად შიშმა ამიტანა. ახლა რა იქნება? განიკურნება? ჩემი გონება შიშმა მოიცვა. ვიზიტის შემდეგ სახე გაბუჟებული დამრჩა, რაც ზოგადად ასე არ არის, როცა სტომატოლგისგან გამოსვლის შემდეგ გაბუჟება ნელ-ნელა ივლის. ექიმთან ვიზიტიდან დაახლოებით ერთ საათში კლიენტთან მქონდა შეხვედრა, შესაბამისად საკმაო დრო მქონდა იმაზე საფიქრალად, თუ რა მოხდა. მაგრამ შეხვედრაზე მიმავალი, სრულ აგონიაში ვიყავი, არა ტკივილისგან, არამედ მშიდობის ნაკლებობისგან და შიშისგან, რომელიც ჩემს გონებაში ტრიალებდა.

იმ დროისთვის ვიცოდი, რომ ჩემი ერთადერთი იმედი ღვთის სიტყვა იყო.

დღის ბოლოს, როცა შეხვედრიდან სახლში მივდიოდი, მეგობართან გავიარე. სახე კვლავ გაბუჟებული მქონდა და მინდოდა ვიღაცას დავერწმუნებინე იმაში, რომ ეს რაღაც გაივლიდა. ყურადღება მიაქციეთ ჩემს შეცდომას: ღვთის სიტყვას კი არ ვეძებდი დარწმუნებისთვის, არამედ ადამიანს, რომელიც ძლიერი მორწმუნეც კი არ იყო. ამ ადამიანს მოვუყევი რაც მოხდა და ველოდებოდი, რომ მეტყოდა: „ეს არაფერია, გარი; განიკურნება!“ თუმცა, აი რა მოვისმინე: „ო, არა! ჩემს ერთ მეგობარს დაემართა ეს და არ განკურნებულა. მისი სახე მას შემდეგ პარალიზებულია.“ ვერ ვიჯერებდი მოსმენილს! ახლა უფრო მეტად შემიპყრო შიშმა. ისე მოვიქეცი, თითქოს ვიცოდი, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა და მადლობა გადავუხადე მისი დროისთვის. სასოწარკვეთილმა კიდევ ერთ მეგობარს შევუარე და იგივე კითხვა დავუსვი, შოკირებულისგან იგივე პასუხი მოვისმინე: „ო, არა!“ - თქვა მანაც, „ჩემს ერთ მეგობარს დაემართა ასე და არ განკურნებულა; მისი სახე დღემდე პარალიზებულია!“

ამ ვიზიტის შემდეგ, განადგურებული ვიყავი. ვიცოდი, რომ ღმერთი კურნავს (გონებაში), მაგრამ ამ შიშისგან ვერ ვთავისუფდებოდი. ჩემი გული ნამდვილად არ იყო დარწმუნებული. იმ ღამით, აგონიაში ვიყავი! გონება შიშმა მოიცვა და სახე კვლავ ისეთი დაბუჟებული მქონდა, როგორც სტომატოლოგის კაბინეტში. ვცდილობდი დამეძინა და უეცრად მარჯვენა ყურის ქვეშ ტკივილი ვიგრძენი. შეიძლებოდა ეს ყოფილიყო? მამაჩემი ერთი თუ ორი წლის წინ სახის ნერვის პერიფერიულ დამბლას ებრძოდა. მან მითხრა, რომ ეს ყველაფერი სწორედ ყურის ქვეშ ტკივილით დაეწყო. სახის ნერვის პერიფერიული დამბლა ხდება მაშინ, როცა ყურის ქვეშ მოთავსებულ ძვალში გამავალი ნერვი, რომელიც სახის კუნთებს აკონტროლებს, სუსტდება ინფექციისა ან ანთების დროს.

ვიწექი და ვცდილობდი, დამეძინა, მაგრამ გონებაში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებდა: „სახის ნერვის პერიფერიული დამბლა დაგემართება მამაშენივით!“ როცა დილით გავიღვიძე სახის ნერვის პერიფერიული დამბლა სრულად იყო განვითარებული! ახლა არა მხოლოდ ყბა მქონდა დაბუჟებული, სახის მთელი

მარჯვენა ნაწილიც დაბუჟებული იყო, თვალების დახუჭვა და პირის დახურვაც არ შემეძლო, ცუდ დღეში ვიყავი.

ადგილობრივ ექიმთან მივედი ჩემი ეჭვის დასადასტურებლად. გამოკვლევის შემდეგ, შემომხედა და მითხრა რომ ნამდვილად სახის ნერვის პერიფერიული დამბლა მქონდა განვითარებული. მე ვკითხე: „ამის შემდეგ რა ხდება?“ მიპასუხა: „შემთხვევების 80-85 %-ში სამუდამო პარალიზების გარეშე ინკურნება.“ მართლა ის თქვა, რაც ვიფიქრე, რომ თქვა?

ამ მომენტისთვის უკვე ვიცოდი, რომ პრობლემა მქონდა. ვიცოდი რომ ეშმაკი აქ არ გაჩერდებოდა და არ მინდოდა იმის ნახვა, თუ შემდეგი რა იქნებოდა. საკმარისად ბევრი ვიცოდი სულიერი ბრძოლის შესახებ იმის მისახვედრად, რომ არასწორი მიმართულებით მივდიოდი. გახსოვდეთ, ეს წლებით ადრე იყო, სანამ ამ ყველაფერზე ვისწავლიდი. თუმცა საკმარისი ვიცოდი, რათა მივმხვდარიყავი, რომ ამ ყველაფერს სულიერად უნდა გავმკლავებოდი, თუკი მის დამარცხებას ვაპირებდი. ისიც გავაცნობიერე, რომ ეს დემონური გეგმა იყო, მას სურდა დაუცველი გამოვეჭირე მაშინ, როცა დაღლილი ვიყავი და არანაირ პრობლემას არ ველოდი.

იმ დროისთვის ვიცოდი, რომ ჩემი ერთადერთი იმედი ღვთის სიტყვა იყო. ჩემში ვერაფრით ვაკავებდი შიშს, რომელიც ჩემს გონებას ბორკავდა. ასე რომ 3X5-ზე ბარათებზე ამოვწერე მუხლები განკურნების შესახებ და მთელს სახლში გავაკარი. მოვინანიე უფლის წინაშე და დავიწყე ჩემს გულში რწმენის განვითარების პროცესი. ვიცოდი რომ სიტყვა უნდა დამეთესა გულში რწმენის განსავითარებლად, ამრიგად მთელი დღე ღვთის სიტყვაზე ვფიქრობდი.

თავდაპირველად, არაფერი შეცვლილა. ჩემი სახე კვლავ დაბუჟებული იყო და მუდმივად ვებრძოდი შიშის სულს. ერთი კვირის შემდეგ, როცა სახეზე არაფერი იყო შეცვლილი, ესეც მოხდა! როგორც მარკოზის 4:26 გვასწავლის პროცესის შესახებ, როცა დავთესე სიტყვა ჩემს გულში, რწმენამ დაიწყო ჩამოყალიბება, ჯერ ჯეჯილი გაიზარდა, შემდეგ თავთავი ჩამოყალიბდა და ბოლოს თავთავში მარცვალი მომწიფდა.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში, არც თანხმობა მაქვს და შესაბამისად არც რწმენა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვხედავ ცვლილებას და არ ვიცი, როგორ მიდის ეს პროცესი, მარკოზის მე-4 თავის მიხედვით, რაღაცები ნამდვილად იცვლება.

ცვლილება, რაზეც მე ვლაპარაკობ, ჯერ არ იყო გამოვლენილი ბუნებრივ სამეფოში, მაგრამ ცვლილება ხდება ჩვენს გულში. თუ სიტყვას ჩავეჭიდებით, ის ნელ-ნელა თავისით ცვლის ჩვენი გულის რწმენის სისტემას ურწმუნოებიდან ზეცასთან თანხმობამდე. ამ შემთხვევაშიც სიტყვას ჩავეჭიდე, ვიცოდი რა, რომ ის იყო ჩემი ერთადერთი პასუხი.

უეცრად, ერთ დღეს, როცა სახლში დავდიოდი, სადაც ყველგან გაკრული მქონდა 3X5-ზე ბარათები განკურნების მუხლებით, უბრალოდ თვალი მოვკარი ერთ-ერთს, რომელიც უკვე ასჯერ მენახა. მაგრამ ახლა როცა შევხედე, ᲑᲣᲣᲛ! უეცრად, ცხებულება გადმოვიდა ჩემზე, შიშმა მაშინვე დამტოვა და ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, რომ განვიკურნე. თუმცა, სახე კვლავ დაბუჟებული მქონდა. არანაირი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ ვიცოდი რომ განვიკურნე. რამდენიმე საათში ჩემი სახე ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა, ყველანაირი დაბუჟება გაქრა. დიდება ღმერთს! სიტყვა მოქმედებს!

მიუხედავად იმისა, რომ ნება მივეცი ჩემს სულიერ ცხოვრებას, დასუსტებულიყო ჩემი უარყოფითა და დაკავებულობით, საბოლოოდ გავაცნობიერე ჩემი შეცდომა და მოვინანიე ჩემი უგუნურება. ეს იყო მაშინ, როცა ჯერ ახლა ვიწყებდი იმის სწავლას, თუ როგორ მოქმედებს რწმენა და დიდი გამოცდილება არ მქონდა ამ სფეროში. უგუნურივით უკან ვიხედებოდი, თუ რა გავაკეთე და ხალხს ვეკითხებოდი ჩემს მომავალზე გაჭირვების ჟამს, იმის ნაცვლად რომ პირდაპირ ღვთის სიტყვისკენ წავსულიყავი. როცა გავაცნობიერე, რაც ხდებოდა, ღვთის სიტყვისკენ შევბრუნდი მთელი დარწმუნებით. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა არაა დარწმუნებული ამ პროცესში, რადგან მათთვის არასდროს უსწავლებიათ რწმენის და მისი წარმოქმნის შესახებ. არ იციან რა ამ პროცესის შესახებ, წნეხის ქვეშ, ივიწყებენ სიტყვას, რადგან ფიქრობენ, რომ იგი არ მოქმედებს.

გაიგე სატანის უკუშეტევა!

როცა ქრისტინა ჩვენს ეკლესიაში მოვიდა, ბევრი არაფერი იცოდა ღმერთზე. ერთ-ერთ კვირის მსახურებაზე ხელახლა იშვა და მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. ჩვენს ეკლესიაში

გვაქვს სამეფოზე ორიენტირებული სწავლება. ერთ-ერთი სფერო, რაზეც ვლაპარაკობთ და ვასწავლით, არის განკურნების მიღების კანონიერი უფლება. ქრისტინას წლების განმავლობაში ჰქონდა სმენის პრობლემა. რეალურად, უკვე 40 წელი იყო, რაც სმენის აპარატს ატარებდა და დაახლოებით სმენის 50% ჰქონდა დაკარგული. დედამისი ყრუ იყო და მისი ძმაც იგივე სმენის პრობლემით იტანჯებოდა. როცა ქრისტინამ მოისმინა, რომ როგორც მორწმუნეს კანონიერი უფლება ჰქონდა განკურნების მისაღებად, ძალიან გაუხარდა!

გაკვეთილზე, ჩემმა მეუღლემ ხელები დაასხა და ილოცა, რომ მისი სმენა გახსნილიყო და მაშინვე სრულყოფილი სმენა დაუბრუნდა. ქრისტინამ ყვირილი და ტირილი დაიწყო და ღმერთს ადიდებდა. როცა ჩემი ცოლი დრენდა და ქრისტინა ჩემთან მოვიდნენ ახალი ამბის სახარებლად, ვიგრძენი, რომ მაშინვე უნდა გამეფრთხილებინა იგი სატანის უკუშეტევის შესახებ. დრენდას ვუთხარი ქრისტინასთვის მითითებები მიეცა, რომ თუკი სიმპტომები დაბრუნდებოდა, ხმამაღლა, გაბედულად განეცხადებინა, რომ ის განკურნებული იყო და სატანას უკან უნდა დაეხია. მეორე დილას გამოცდაც მოვიდა. მისი სმენა კვლავ დაუბრუნდა იმ მდგომარეობას, როცა კარგად არ ესმოდა. მანაც ზუსტად ის გააკეთა, რაც ვუთხარით: „არა! სატანავ, მე ამას არ ვიღებ! მე განკურნებული ვარ და *ვიყავი* იესოს სახელით!“ მაშინვე სმენა გაეხსნა და მას შემდეგ სრულყოფილად ესმის.

გახსოვდეთ, რომ სატანა უკუშეტევას განახორციელებს და ეცადე, ტერიტორია კვლავ შენ აიღო! არ მისცე მას ამის უფლება! დადექი ღვთის სიტყვაზე!

ამ თავში დრო გამოვყავი, რათა თქვენთვის ზოგადად დამენახებინა: რა არის რწმენა? როგორ ფუნქციონირებს? როგორ მიხვდე, ხარ თუ არა რწმენაში და როგორ მიიღო რწმენა? იმისთვის, რომ ღვთის სამეფომ იმოქმედოს შენს ცხოვრებაში, ეს ყველაფერი უნდა იცოდე. გახსოვდეს, იესომ უთხრა ქალს: „შენმა რწმენამ განგკურნა.“ ასე უნდა იყოს შენს ცხოვრებაშიც: შენი რწმენა: ზეცის ნათქვამში სრულად დარწმუნებული გული და ნამგლის გაგზავნა იქნება შენი პასუხი ნებისმიერი პრობლემის დროს, რომლის წინაშეც აღმოჩნდები.

თავი 6
უფლის კურთხევა

რესტორანში ვიჯექი ჩემს მეუღლესა და მოწვეულ სპიკერთან ერთად. დაახლოებით საღამოს 10 საათი იყო და ახალი დამთავრებული გვქონდა ძალიან ძლიერი მსახურება. მიმტანი მოვიდა შეკვეთის ასაღებად და საუბარი დავიწყეთ. ჩემმა მოწვეულმა სპიკერმა დაიწყო მისთვის იმის მოყოლა, თუ რა საოცარი მსახურება იყო, უყვებოდა ჩვენს ეკლესიაზე. შემდეგ ჰკითხა: „გიყვარს ნადირობა?“ მიმტანმა თქვა, რომ უყვარდა. ჩემს მოწვეულ სპიკერს ძალიან უყვარდა ჩემი ნადირობის ისტორიები. იმ საღამოს ჩემი წიგნი - *რწმენით ნადირობა* მივეცი, რათა თავისი მეგობრისთვის წაეღო. როცა გვერდით მეჯდა, თან მქონდა ის წიგნი, რომლის მისთვის გაგზავნასაც ვაპირებდი.

მიმტანი აგრძელებდა და აგრძელებდა იმის მოყოლას, თუ როგორ ნადირობდა მაგრამ ვერასდროს კლავდა ირემს. მე და ჩემმა სტუმარმა დავიწყეთ იმის ახსნა თუ როგორ მოქმედებდა ღვთის სამეფო და რომ მას შეეძლო, მოლოდინი ჰქონოდა, რომ ირემს მიიღებდა ყოველთვის, როცა სანადიროდ გავიდოდა. მან არც კი იცოდა, ჩვენზე რა ეფიქრა. მაგრამ გამახსენდა წიგნი, რომელიც თან მქონდა და შევთავაზე. სტუმარს ვუთხარი, რომ სხვა ასლს მივცემდი და დამთანხმა. მიმტანმა მადლობა გადამიხადა და დამპირდა, რომ წიგნს გადახედავდა. ვიფიქრე, რომ მისგან მომავალში ვერაფერს გავიგებდი. ასე არ აღმოჩნდა.

ერთი წლის შემდეგ იგივე მოწვეული სპიკერი ჩამოვიდა ჩემს ეკლესიაში და მითხრა, რომ ძალიან მოეწონა რესტორანი, რომელშიც წინა წელს ვიყავით და მკითხა, თუ შეგვეძლო ისევ იქ გვევახშმა. ასეც მოვიქეცით. დავსხედით და გავოცდით, რადგან იგივე მიმტანი მოვიდა, რომელიც წინა წელს გვემსახურებოდა. როცა მოგვიახლოვდა, შემოგვხედა და თქვა:

„გამარჯობა, თქვენ ერთი წლის წინ იყავით და ირმებზე ნადირობაზე ვლაპარაკობდით!“ „კი, გვახსოვს!“ - ვუთხარით ჩვენც. „წავიკითხე თქვენი მოცემული წიგნი და ისე მოვიქეცი, როგორც იქ ეწერა. ორი ირემი მოვინადირე გასულ წელს და წელსაც იგივეს ველოდები,“ თქვა მან. ძალიან გაგვახარა მისი ამბის მოსმენამ, მაგრამ არ გაგვკვირვებია. ღვთის სამეფო ყოველთვის მოქმედებს.

ერთხელ, შეხვედრას ვმართავდი დაახლოებით 25 პასტორისთვის, სადაც უნდა ამეხსნა ღვთის სამეფოსა და მისი მოქმედების პრინციპების შესახებ. საოცარი შეხვედრა იყო. როცა ოთახიდან გამოსვლას ვაპირებდი და ჩემი გუნდიც უკვე ალაგებდა იქაურობას, ერთ-ერთი პასტორი შემობრუნდა. ის და მისი მეუღლე ჩემს ცოლთან მივიდნენ და დალაპარაკება სთხოვეს. პასტორმა დაიწყო მოყოლა, რომ მას სახლის გამოსყიდვის უფლება ჩამოერთმეოდა კვირის ბოლოს, თუკი 6,900 დოლარს არ მიიტანდა. მან აგვიხსნა, რომ მხოლოდ 100 დოლარი ჰქონდა, რომელიც ახლაც ხელში ეჭირა. „სულ ესაა, რაც მაქვს!“ - თქვა მან, „მაგრამ მინდა დავთესო, როგორც დღეს გვასწავლე, რათა შენთან და შენს ცოლთან ერთად განვაცხადოთ თანხმობა იმ თანხაზე, რაც ამ კვირაში გვჭირდება.“ ხელები ერთმანეთს ჩავკიდეთ, ვილოცეთ და მადლობა გადავუხადეთ ღმერთს ამ ფულისთვის.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ეს პასტორი ერთ ღონისძიებაზე დავინახე. იგი გახარებული გამოიქცა ჩემკენ და მითხრა: „უნდა მოგიყვე, რა მოხდა?!“ „მაშინ, მე და ჩემს ცოლს თქვენთვის არ გვითქვამს, რომ პატარა აბრეშუმის შირმის მაისურების ბიზნესი გვქონდა რომელსაც პერიოდულად ვუბრუნდებოდით ჩვენს ავტოფარეხში. ბევრს ვერ ვშოულობდით, მაგრამ ათასში ერთხელ რაღაც შეკვეთა გვქონდა. იმ დღეს, ჩვენი ლოცვის შემდეგ, რამდენიმე შეკვეთა მივიღეთ, რომელთა ჯამური თანხაც 8,900 დოლარს შეადგენდა. იმ კვირას ბევრი უნდა გვემუშავა, თუმცა პარასკევს უკვე გვქონდა ის 6,900 დოლარი რაც სახლის შესანარჩუნებლად გვჭირდებოდა. მადლობა!“

პასტორების კონფერენციაზე ვიყავი ჩრდილო კაროლინაში სხვა 500 პასტორთან ერთად. მე სპიკერი არ ვიყავი, მხოლოდ ვესწრებოდი. ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა: „შენთან

დალაპარაკება მჭირდება.“ ეს იყო პასტორი გერმანიიდან და მითხრა, რომ საინტერესო ისტორია უნდა მოეყოლა ჩემთვის.

მის თინეიჯერ ვაჟს საიდანღაც ხელში ჩაუვარდა ჩემი CD-ები. მათი მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, რომ რწმენით მიიღებდა PlayStation 3-ს, რადგან მისთვის ფული არ ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, ყველამ იცით, რა არის PlayStation 3, მაგრამ თუ არა, გეტყვით რომ ეს კომპიუტერული თამაშების სისტემაა. პასტორმა მითხრა, როგორ შევიდა ერთხელ მისი შვილი მასთან ოფისში და ჰკითხა: დაეთანხმებოდა თუ არა, რომ ეს PlayStation 3 მიეღო?! შვილმა აუხსნა მამამისს თუ რა ისწავლა ჩემი CD-ებიდან და თუ როგორ სურდა დაეთესა მარცვალი და მამასთან ერთად ელოცა ამისათვის. პასტორმა მითხრა, რომ ბევრი არ უფიქრია, თუმცა როგორც ეკლესიის პასტორმა, მიიღო მისი შვილისგან გაღებული თესლი, ფინანსური შესაწირავი ეკლესიისთვის. მან და მისმა შვილმა ერთად ილოცეს და დაეთანხმნენ, რომ ბავშვს ახლა PlayStation 3 ჰქონდა და საკითხი დახურეს.

მეორე დღეს ერთმა კაცმა დაურეკა პასტორს მათი ეკლესიიდან და ჰკითხა: უნდოდა თუ არა მის შვილს ცოტაოდენი თანხა გამოემუშავებინა, რადგან ის რაღაც მოკლე ვადიან პროექტზე მუშაობდა და დახმარება სჭირდებოდა. ბიჭი მოხარული იყო, ამ ორ დღიან პროექტში საკმარისი თანხა მოაგროვა, რათა PlayStation 3 ეყიდა.

ამან ბიჭის ყურადღება მიიპყრო, პასტორმა თქვა, რომ რამდენიმე კვირაში კვლავ მის ოფისში მივიდა და ჰკითხა: სხვა რაღაცაზე თუ დაეთანხმებოდა? პასტორმა მითხრა, რომ უპასუხა: „რა თქმა უნდა!“ თუმცა გააოცა, როცა შვილმა ჰკითხა: დაეთანხმებოდა თუ არა, რომ ღმერთი მას უფრო დიდ კუნთებს მისცემდა?! პასტორმა მითხრა, რომ ზუსტად არ იცოდა, თუ როგორ ეპასუხა შვილისთვის ამაზე. თუმცა საბოლოოდ თავის შვილს აუხსნა, რომ მასაც მოუწევდა თავისი წილი რაღაცის გაკეთება, როცა კუნთებს ითხოვდა და დაეთანხმებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ამას გაიგებდა. შვილი დათანხმდა. და კვლავ ბიჭმა დიდი კუნთებისთვის დათესა და შეთანხმებულად ილოცეს ამისთვის.

მეორე დღეს პასტორის სახლთან მანქანა გაჩერდა. ეს იყო ოჯახი ეკლესიიდან. როცა პასტორი მათთან სალაპარაკოდ გავიდა, მათ უთხრეს რომ ფარეხის დალაგებისას ჰანტელი

იპოვნეს და იფიქრეს, რომ მის შვილს ენდომებოდა. თუ არა და მათი აზრით, პასტორს ის მაინც ეცოდინებოდა, ეკლესიაში ვის შეიძლებოდა გამოეყენებინა. პასტორმა მითხრა, რომ არავინ არაფერი იცოდა მისი შვილის სურვილზე კუნთების შესახებ და ზუსტად წინა ღამით ილოცეს ამაზე. პასტორმა თქვა, რომ ძალიან გაუკვირდა! სახლში შევიდა და შვილს უთხრა: „სად არის ის CD-ები?“

ასეთი ისტორიები ძალიან ხშირია. ყოველთვის ვისმენ და მინდა, რომ თქვენს ცხოვრებაშიც ხშირი იყოს მსგავსები. ჩვენ აქამდე დავადგინეთ და განვიხილეთ ღვთის სამეფოს კანონების ფუნქციონირების რამდენიმე საკვანძო ასპექტი, ისევე როგორც ის, თუ რამდენადაა საჭირო თანხმობა ანუ რწმენა, რათა ზეცამ დედამიწაზე ლეგიტიმურობა ანუ ძალაუფლება შეიძინოს. ახლა, მოდით უფრო ღრმად შევიდეთ იმ საკითხებში, თუ როგორ შეუძლია სამეფოს ამ კანონებს დაგვეხმაროს ჩვენს ფინანსებში.

> *„უფლის კურთხევაა, რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას“.*
>
> – იგავები 10:22

როცა ეს მუხლი პირველად წავიკითხე, ვიფიქრე: „რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით არ გულისხმობს იმას, რასაც ამბობს, ასე არაა?“ მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ზუსტად იმას გულისხმობს, რასაც ამბობს! იმის გასაგებად, თუ რაზე საუბრობს ეს მუხლი, დასაწყისში უნდა დავბრუნდეთ, სადაც ადამიანი შეიქმნა.

> *„სადღაც ვიღაცამ დაამოწმა და თქვა:*
> *„რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი? ანდა ძე კაცისა, რომ მოინახულებ ხოლმე მას? ოდნავ დაამცირე იგი ანგელოზთაწინაშე;დიდებითადაპატივითდააგვირგვინე და დაადგინე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე. და ყოველივე მის ფერხთა ქვეშ დაუქვემდებარე.“*
> *ხოლო რაკი მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდე“.*
>
> – ებრაელთა 2:6-8

ეს ადგილი უკვე წავიკითხეთ, მაგრამ აუცილებელია ჩვენი განხილვისთვის ახლა. რომ მიმოვიხილოთ, როცა ადამიანი შეიქმნა, ყველაფერი დედამიწაზე მისი ბატონობის ქვეშ იყო. ერთი რამეც კი არ იყო რასაც ის არ განაგებდა. ის მიწიერ სამეფოს ძალაუფლება გადაცემულის პოზიციიდან მართავდა და იმ მმართველობის გვირგვინს ატარებდა, რომლის წარმომადგენელიც იყო. მისი ცხებულებით იყო შემოსილი და პატივად ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული. სატანა, რომელიც ღმერთს აუჯანყდა, უკვე გადმოგდებული იყო დედამიწაზე სანამ ადამი გამოჩნდებოდა. მან შეიზიზღა ადამიანი, როცა აღმოაჩინა, რომ მას ღვთის მმართველობის გვირგვინის მატარებელი ადამიანი მართავდა. სატანა ახლა ამ ქმნილებას უნდა დამორჩილებოდა, რომელიც თავისი ბუნებრივი, ფიზიკური მდგომარეობით მასზე ბევრად სუსტი იყო შექმნილი. თუმცა სულიერად ადამის ნათქვამ ყოველ სიტყვას იგივე ძალაუფლება ჰქონდა, როგორც თავად ღვთის ნათქვამს. ადამი, ღვთის ძე მართავდა დედამიწას ძალაუფლებისა და ფუფუნების ამ საოცარი პოზიციიდან.

„უფლის კურთხევაა რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას.“

_ იგავები 10:22

ამრიგად, სატანამ შეიძულა კაცი და ილტვოდა იმ ძალაუფლებისკენ, რასაც იგი ფლობდა დედამიწაზე. მისი ერთადერთი პასუხი იყო, რამენაირად ხელში ჩაეგდო გვირგვინი, პოზიცია, რომელსაც ადამიანი ფლობდა და ჩამოეშორებინა იგი. მხოლოდ ერთი პატარა პრობლემა იყო. სატანას არ ჰქონდა ძალაუფლება, გვირგვინი წაერთმია ადამისთვის; მისი ერთადერთი იმედი იყო, როგორმე მოუტყუებინა ადამი, რათა თავად მოეხსნა გვირგვინი. ევას დარწმუნებით იმაში, რომ ღმერთს არ უნდა ნდობოდა და რომ ცხოვრებას გაცილებით მეტის შეთავაზება შეეძლო, ვიდრე ღმერთი რთავდა ნებას, ადამმა და ევამ აირჩიეს, სატანისთვის დაეჯერებინათ და არა ღვთისთვის და ღმერთს უღალატეს. საბოლოოდ, ადამმა და ევამ დაკარგეს ღვთის სამეფოს ძალაუფლებაში მათი კანონიერი პოზიცია და სატანა გახდა ამ ქვეყნიერების ღმერთი, როგორც პავლე ამბობს კორინთელთა მიმართ მე-2 წერილში.

> *„ურწმუნოთათვის, რომლებსაც ამ წუთისოფლის ღმერთმა დაუბრმავა გონება, რათა არ ებრწყინა მათთვის სახარების ნათელს ქრისტეს დიდებაზე, რომელიც ღვთის ხატია“.*
>
> – 2 კორინთელთა 4:4

სანამ ადამი აჯანყდებოდა, იგი ძის პრივილეგიებით სარგებლობდა. ყველაფერი, რაც ღმერთს ეკუთვნოდა, მისიც იყო, არანაირი საზრუნავი და შიში მას არ აწუხებდა. ყველაფერი, რაც მას პლანეტა დედამიწაზე საცხოვრებლად სჭირდებოდა, მანამდე არსებობდა აქ, სანამ ის შეიქმნებოდა.

თუკი შექმნის ექვს დღეს გადავხედავთ დაბადების წიგნში, ვნახავთ, რომ ადამიანი მეექვსე დღის ბოლოს შეიქმნა, ეს იყო ღვთის შემოქმედებითი გეგმის ბოლო ნაწილის განხორციელება. მან განსაზღვრა, რომ მას უკვე ეცოცხლა მეშვიდე დღეს, რომელიც ღმერთმა დასვენების დღედ გამოაცხადა. ეს იმიტომ არ ყოფილა, რომ ღმერთი დაიღალა, არამედ, რადგან მან დაასრულა და ყველაფერი სრულყოფილი იყო. ერთი წუთით დაფიქრდით: რა დაასრულა ღმერთმა? დაფიქრდით მის დიდებულ გეგმაზე ადამიანისთვის! სამწუხაროდ, ადამმა გასცა ეს ყველაფერი და ამ პროცესში დაკარგა მისი კანონიერი პოზიცია სამეფოში.

როცა ღმერთი მიუახლოვდა მას ურჩობის გადაწყვეტილების შემდეგ, ღმერთმა უთხრა ადამს:

> *„წყეულიმც იყოს მიწა შენს გამო! ტანჯვით ჭამდე მის ნაყოფს მთელი შენი სიცოცხლე! ეკალსა და ძეძვს აღმოგიცენებს და მინდვრის ბალახს შეჭამ. შენი პირის ოფლით შეჭამ პურს, სანამ მიწას დაუბრუნდები, რომლისგანაც ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვერს დაუბრუნდები“.*
>
> – დაბადება 3:17ბ-19

პირველი, რაც მინდა დაინახოთ, არის ის, რომ ღმერთს არ დაუწყევლია დედამიწა, ადამმა გააკეთა ეს. მას სრული ბატონობა ჰქონდა ქვეყნიერებაზე. ის იყო მასზე პასუხისმგებელი. ადამი, რომელსაც სრული, აბსოლიტური ბატონობა აქვს დედამიწაზე,

ღალატობს ღვთის მმართველობას და ღმერთს აგდებს იქიდან. ამ გადაწყვეტილებას უდიდესი გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ ადამზე, არამედ მთელ დედამიწაზე და ყველა კაცსა თუ ქალზე ვინც კი ოდესმე იცხოვრებდა აქ. მიუხედავად იმისა, რომ იგი კვლავ ინარჩუნებდა ძალაუფლებას მიწიერ სამეფოზე, რაც ღმერთმა მისცა, აღმოაჩინა, რომ აღარ ჰქონდა ძალა, ემართა იმ გვირგვინისა და მმართველობის პერსპექტივიდან, რომელსაც ერთ დროს წარმოადგენდა, რაც ხელს უშლიდა მას მართვაში. სიცოცხლისგან განცალკევებულზე სიკვდილმა დაიწყო გაბატონება, როცა მანამდე სიკვდილის ცნებაც კი უცხო იყო ადამისთვის.

ღმერთი ადამს უპირისპირებს იმას, რაც მან გააკეთა და ეუბნება, რომ მან, უპერველეს ყოვლისა, თავისი ცოდვით დაკარგა თავისი კანონიერი პოზიცია ღვთის მმართველობაში. რადგან ადამი იყო ამ მმართველობის წარმომადგენელი პლანეტა დედამიწაზე, ზეცამაც დაკარგა კანონიერი წარმომადგენლობა, რომლის მეშვეობითაც ფლობდა ძალაუფლებას მიწიერ სამეფოზე. მეორე, ამან თავად დედამიწაზეც იქონია გავლენა. ის უკვე აღარ უზრუნველყოფდა ადამს ისევე, როგორც მანამდე ედემის ბაღში. ახლა ადამს საკუთარი ტანჯვა და ოფლი სჭირდებოდა, რათა დედამიწას წარმოეშვა ის, რაც მას სჭირდებოდა გადასარჩენად. ეკალმა და ძეძვმა დაფარა მინდვრები და ცხოვრება გართულდა; ბრძოლა თავის გატანისთვის, ცხოვრების სტილი ხდება.

ცხოვრების ამ გზას, მენტალიტეტს, რომელშიც გადარჩენისთვის ბრძოლა შიშითა და სიკვდილითაა გაჯერებული, რომელიც ადამის შემდეგ ყველა ადამიანს გადაწონის, მე დედამიწის წყევლის სისტემას ვეძახი. სწორედ აქ ვიზრდებით მე და შენ, გადარჩენისთვის ბრძოლის სისტემა ყველასთვის კარგადაა ცნობილი. დავითი მას სიკვდილის აჩრდილთა ველს უწოდებს 23-ე ფსალმუნში.

> *„სიკვდილის აჩრდილთა ველზეც რომ ვიარო, ბოროტების არ შემეშინდება, რადგან შენა ხარ ჩემთან“.*
>
> – ფსალმუნები 23:4

ეს არის სამეფო, სადაც სიკვდილის შიშითაა გაჟღენთილი ჰაერი. თუმცა კიდევ ერთი ნეგატიური შედეგი გვაქვს. ადამიანი

კარგავს ურთიერთობას ღმერთთან, შესაბამისად ის კარგავს ხედვას თავისი შექმნის მიზეზისა და იდენტობის შესახებ. როცა ადამიანი შეიქმნა, მას მიეცა მიზანი, დანიშნულება. მას ღვთის სახელით უნდა ემართა დედამიწა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ჰქონდა ღვთისგან მიცემული დანიშნულება და მიზანი თავისი ცხოვრებისთვის. მაგრამ ახლა ადამიანის გონება მხოლოდ თავის გატანისკენაა მიპყრობილი. გადარჩენა ხდება მისი ერთადერთი მიზანი და დანიშნულება.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲬᲧᲔᲕᲚᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲘᲚᲐᲚᲐ ᲡᲘᲠᲑᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ.

ახლა, ადამიანის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება გადარჩენისთვის ბრძოლის ამ წყევლაში გაიფილტრება, ან იპოვის უზრუნველყოფას ან საიდუმლოდ დააგროვებს მას. არანაირი მშვიდობა; ყოველი დღე სავსეა ტანჯვითა და ოფლით. ერთადერთი გამოსავალი ამ სიცოცხლისთვის ბრძოლისგან, ვირთხების რბოლისგან, როგორც მას დღეს ვუწოდებთ, არის როგორმე საკმარისი მარაგის მოპოვება, რათა სირბილი შევწყვიტოთ. ესაა ყველა კაცის და ქალის ოცნება ადამიანის დაცემის შემდეგ. ესაა მათი უპირველესი მიზანი, შეწყვიტონ სირბილი. ყველა ვინც საკმარისად იღბლიანი აღმოჩნდა და დამატებითი მარაგი აქვს, ახლა ძალიან ზრუნავს და იცავს მას. დაკარგვის შიშით არიან მასზე ჩაჭიდებულნი, რადგან თუ დაკარგავენ, კვლავ ტანჯვითა და ოფლით სირბილზე დამონება მოუწევთ.

ადამიანის ოცნება, მისი გადარჩენის მიზანი, როგორც ვთქვი, არის, როგორმე საკმარისი მარაგი მოაგროვოს, რათა შეწყვიტოს სირბილი, როგორც გადარჩენის მონამ და მოსვენება ჰპოვოს. მინდა დავრწმუნდე, რომ კარგად გაიგეთ ამ ფაქტის შესახებ: დედამიწის გადარჩენისთვის ბრძოლის წყევლის სისტემაში, ყველა დაიღალა სირბილისგან.

მახსოვს, ერთ პასტორთან ერთად ვიჯექი ერთ დილას. იგი მიყვებოდა, რომ უყვარდა თავისი მსახურება, სანამ ყოველ დილას არ გაახსენდებოდა მისი ფინანსების მდგომარეობა, ვალები, და ფულის სიმცირე. მისი თქმით, მისი ფინანსური ცხოვრება სველ საბანს ჰგავდა, რომელიც მისი ცხოვრების მოგუდვას ცდილობდა და რომელიც მას ყველანაირი სიხარულისგან ძარცვავდა, რაც არ უნდა გაეკეთებინა. მხოლოდ პასტორები არ აწყდებიან ასეთ

დისფუნქციას. ეს ოჯახების დიდი ნაწილის ცხოვრების წესია, რადგან ადამიანები ვალებში, გადასახადიდან გადასახადამდე ცხოვრობენ.

ყველა ეძებს გამოსავალს და ერთადერთი გამოსავალი სიმდიდრეა, საკმარისზე მეტის ქონა. დედამიწის წყევლის სისტემის ქვეშ იდენტობას არ განსაზღვრავს ის, თუ რა გაქვს, ან რამდენს გამოიმუშავებ. უპირველეს ყოვლისა, სასოწარკვეთილი ადამიანი ცდილობს, დაფაროს თავისი სიშიშვლე, თავისი შექმნის მიზეზის და იდენტობის დანაკარგი და სიყალბეს ეჭიდება. ახლა იგი ცდილობს ჩაანაცვლოს ღვთის ცხებულება, რომელიც ერთ დროს მას დიდებით და სიმდიდრით ფარავდა. იგი თავისი პატივის გვირგვინის პოზიციის ჩანაცვლებასაც ცდილობს, რომლიდანაც ღვთის სამეფოში მართავდა და მის ჩასანაცვლებლად სიამაყესა და სხვა ადამიანების მართვას იყენებს. ახლა, ადამიანი ერთმა რამ შთანთქა: ქონების შოვნამ და დაგროვებამ. იგი უკვე იდენტობას იმით იძენს, თუ რამდენი ქონება აქვს და რამხელა ძალაუფლების გამოვლენა შეუძლია სხვა ადამიანებზე. სტატუსი და პოზიციაა ახლა ის, რაც დაცემულ ადამიანს პატივისცემას აგრძნობინებს.

იფიქრეთ ამაზე! რა არის ხშირ შემთხვევაში პირველი კითხვა, რასაც ადამიანები ერთმანეთს ეკითხებიან: „რას საქმიანობ?“ რატომ? მართლა გვაინტერესებს ეს? არა მგონია, უბრალოდ ეს კითხვა განსაზღვრავს ჩვენი პატივისცემის დონეს სხვა ადამიანისადმი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკუთარ თავებს ვეკითხებით: „ვინ არის ეს ადამიანი? რა სტატუსი ან ფასი აქვს მიწიერ სამეფოში? რამდენად უნდა ვცე პატივი?“ ახლა მე აქ მხოლოდ კაცების პერსპეტივიდან ვლაპარაკობ, ქალბატონებო! ვიცი, რომ თქვენ, ქალბატონები, იდენტობის სრულიად სხვა პერსპექტივიდან მოქმედებთ.

დედამიწის წყევლის ეს სისტემა დღესაც მოქმედებს. ადამიანები ყველა გადაწყვეტილებას ფულის მოპოვების და დაგროვების ფილტრში ატარებენ. ისინი ერთი შტატიდან მეორეში გადადიან, რათა უკეთ ანაზღაურებადი სამსახური იშოვონ და იმაზე არც კი ფიქრობენ, თუ რა შეიძლება იყოს მათი მიზანი. ყველას უნდა როკ ვარსკვლავობა. რატომ? იდენტობისა (პოზიციის) და სიმდიდრის გამო.

კვლევა ჩაატარეს ათასობით საშუალო სკოლის მოსწავლეს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ რა პროფესიას უნდოდათ,

გაჰყოლოდნენ, როცა გაიზრდებოდნენ. მათმა 65 %-მა თქვა, რომ მათი პროფესიული მიზანი იყო, გამხდარიყვნენ ცნობილები. ცნობილი? ბოლოს რომ შევამოწმე, ცნობილად ყოფნა არც ერთი პროფესია არ არის, როგორც ასეთი.

კიდევ ერთმა კვლევამ დაადგინა, რომ მომუშავეთა 30 %-ს სძულს თავიანთი სამსახური, სხვა კვლევის მიხედვით კი 40 %-ს არ მოსწონს. ამრიგად, ამერიკის მომუშავეთა 70 %-ს არ მოსწონთ ის, რასაც აკეთებენ! მაშინ რატომ არიან იქ? რადგან გადარჩენისთვის ბრძოლის მონები არიან, მირბიან ტანჯვით და ოფლით, რათა თავი გაიტანონ. მიზანი და ვნება მომუშავეთა დიდი ნაწილისთვის არაა გათანაბრებული; მათი მამოტივირებელი ფაქტორი ქვითრების გადახდაა. ფულის შოვნის საჭიროებაზე დამონებულებისთვის, დიდი არჩევანი არაა. იმარჯვებს ყოველთვის ის, ვინც მეტ ფულს იხდის. ამას ეწოდება ვირთხების რბოლა! აი, აქ ვცხოვრობთ მე და შენ. გონებაში ზაზუნა წარმოდგინეთ, რომელიც მთელი ძალით გარბის, მაგრამ ვერსად ვერ მიდის, რადგან ბორბალზე დარბის. ჩვენ ვიცინით და ვფიქრობთ, რომ საყვარლობაა. მაგრამ რეალურ სამყაროში, საერთოდ, საერთოდ არ არის საყვარლობა. ადამიანები ამ ბორბალზე კვდებიან ისე, რომ ვერასოდეს აღწევენ იქ, სადაც იმედოვნებდნენ, რომ დაასრულებდნენ.

> *„ამიტომ ნუ ეძებთ, რა ჭამოთ და რა სვათ და ნუ შფოთავთ! რადგან <u>ყოველივე ამას ქვეყნიერების ხალხები ეძიებენ</u>; თქვენმა მამამ იცის, რომ გჭირდებათ ეს ყველაფერი. მაშ, ეძიეთ ღვთის სამეფო და ყოველივე ეს შეგემატებათ!“*
>
> – ლუკა 12:29-31

ტანჯვითა და ოფლით სირბილი ერთადერთი სისტემაა რომელიც ვიცით. თუკი გეტყოდი, რომ ვალებისთვის თავი უნდა დაგეღწია, **უნდა** დაგეღწია 12 თვეში ან მთელი შენი ოჯახი ჩრდილო პოლუსზე გადასახლდებოდა სამუდამოდ (უკიდურეს მაგალითს ვიყენებ, რათა მიგახვედროთ), რას გააკეთებდი? მე გეტყვით, რას გააკეთებდით. მაშინვე დაიწყებდით გეგმის ჩამოყალიბებას, რომ უფრო სწრაფად გეოფლათ და გერბინათ. იტყოდით: „კიდევ შემიძლია, რამდენიმე ნახევარ განაკვეთიან

სამსახურში ვიმუშავო? ჩემს ცოლსაც შეუძლია რამდენიმე ნახევარ განაკვეთიან სამსახურში მუშაობა და ბავშვებიც დაგვეხმარებიან.“ ხედავთ, ესაა ერთადერთი უზრუნველყოფის სისტემა, რაც კი იცით, ტანჯვისა და ოფლის სისტემა. ნება მომეცით, ამ სისტემის კიდევ ერთი სურათი დაგიხატოთ!

წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ქუჩაზე ჩამოვრბოდი და თქვენი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ყავისფერი ქაღალდის ჩანთა ვიპოვე, რომელშიც ათი მილიონი დოლარი იდო. ისეთი აღელვებული ვიყავი, მაგრამ ვიცოდი, რომ ამის შესახებ უნდა განმეცხადებინა. ასე რომ, შენი სახლისკენ გამოვიქეცი და ტელეფონის გამოყენების უფლება გთხოვე. შერიფის დეპარტამენტში დავრეკე. ამ დროს, შენ გვერდით იდექი და მისმენდი. მე მათ ვუთხარი, თუ რა მოხდა და რა ვიპოვე. მცირე ხნიანი სიჩუმის შემდეგ, როცა ჩანაწერებს ამოწმებდნენ, მითხრეს, რომ მათ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდათ დაკარგულ ფულზე და შემეძლო დამეტოვებინა. (არა მგონია, მართლა ასე ეთქვათ, მაგრამ ჩემი ილუსტრაციისთვის ასე მჭირდება.) როცა ეს მითხრეს, სიხარულისგან ხტუნვა და ყვირილი დავიწყე. შემდეგ შენც გაგიზიარე, რაც მითხრეს და სიხარულისგან აღარ ვიცოდი რა მეთქვა.

შენ ზრდილობიანად გამიღიმე, როცა მე მიხაროდა და ამ ყველაფერს განგიმარტავდი. მაგრამ რას გააკეთებდით ვახშამზე საღამოს, როცა ამ ამბავს მეუღლეს მოუყვებოდით? გაიღიმებდით? არა მგონია. ალბათ იტყოდით: „ეს_____!“ შეავსეთ ცარიელი ადგილი? როგორ მიხვდით, რომ სიტყვა „უსამართლობაა“ არის სწორი პასუხი? მე გეტყვით: როგორ? რადგან ასე გაიზარდეთ. ამ სისტემაში გაიზარდეთ. ტანჯვით და ოფლით უნდა მოგეპოვებინა. ჩემს მაგალითში მე ვიპოვე ფული ყოველგვარი შრომის გარეშე და ეს სისტემის მოტყუებაა. ეს უსამართლობაა, რადგან ამ ფულისთვის არ მიშრომია; უბრალოდ ვიპოვე. რადგან იცი, რომ სავარაუდოდ არასდროს გაგიმართლებს ასე, შურმა და სიმწარემ გშთანთქა, იცი რა, რომ შენი დღეები კვლავ გადარჩენისთვის ბრძოლაზე იძულებული მონობით გაგრძელდება.

შესადარებლად, თუ მე ეკლესიაში ერთ დღეს დახეული და ბინძური ტანსაცმლით მოვიდოდი, ავდგებოდი და ხალხს ვეტყოდი: „ჩვენ ეს შევძელით! მე და დრენდა ბოლო ათი წლის განმავლობაში დღეში 22 საათს ვმუშაობდით და საბოლოოდ

შევძელით სახლის გამოსყიდვა“, იმ ადგილს შეძახილები და აპლოდისმენტები დაიპყრობდა. რატომ? რადგან ვიღაცამ გააკეთა ეს და შენ ამან გაგამხნევა. ვიღაცამ შეძლო, არსებობს გამოსავალი! ესე იგი ჩვენც შეგვიძლია კბილებით გავიტანოთ, ყველაფერზე წავიდეთ, გადავიხადოთ და გავთავისუფლდეთ. მაგრამ რატომ არ უკრავს ყველა ტაშს და არ შესძახის, როცა გზაზე ვიპოვე ფული? რატომ იყო შენთვის ასე ადვილი ცარიელი ადგილის შევსება? რადგან ასე ფიქრობ; შენც ამაზე ოცნებობ. სამართლიანობა ის ტანჯვის და ოფლის სისტემაა, რაზეც ყველამ ვისწავლეთ. უშრომელი ფული უსამართლობაა.

მაგრამ ყველას ოცნებაა ტანჯვის და ოფლის სისტემიდან თავის დაღწევა. მდიდრად გახდომა, მილიონერობა ადამიანთა უმრავლესობის მტანჯველი აზრია. მილიონი დოლარი იგივე არაა, რაც ადრე იყო, თუმცა როგორც რიცხვი, სიმდიდრეზე მეტყველებს. სიმდიდრე თავისუფლებას გვთავაზობს, რაც იმ ყოველდღიური ტანჯვის საპირისპირო მხარეს დგას, რაშიც ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრობს. ყველა დაიღალა სირბილით და მილიონი დოლარის ქონა ნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს შეეძლებათ გაჩერდნენ და ის აკეთონ, რაც სურთ. იფიქრეთ ამაზე: რა არის ლატარიის მოწოდება? ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ! თავისუფლება, რათა გააკეთო არჩევანი, მიიღო გადაწყვეტილება, რაც მხოლოდ გადასახადების გადახდასა და არსებობის გარშემო არ იტრიალებს.

ძალიან პოპულარულია შოუ - *ვის უნდა გახდეს მილიონერი?* მიმზიდველია, რადგან ყველა ოცნებობს თავისუფლებაზე. შოუს ყურებისას, ემოციურად ებმებიან, ამხნევებენ მონაწილეს, იმედოვნებენ, რომ გამოუვა.

მოკლედ რომ შევცვალოთ თემა, მოპარვის ყველაზე მარტივი განსაზღვრებაა უზრუნველყოფა შრომის გარეშე. დამახინჯებული აზრით, იგი დედამიწის წყევლის სისტემისგან განთავისუფლებასაც ჰპირდება. მოდით, უბრალოდ შევთანმხდეთ, რომ ყველას სურს შეწყვიტოს სირბილი! მაგრამ არსებობს გამოსავალი? ფულის სქემები ძალიან გავრცელებულია. დღეში სულ მცირე ათ მეილს ვიღებ, სადაც ხალხი ოკეანის გადაღმიდან მიყვებიან თავიანთ სევდიან ისტორიებს, თუ როგორ მიიღეს მემკვიდრეობით 20 მილიონი დოლარი და სჭირდებათ ვინმე, ვინც ამ თანხის უსაფრთხო ადგილას შენახვაში დაეხმარებათ.

ისინი თანხის ნახევარს მთავაზობენ მხოლოდ იმის გამო, თუ სურვილს გამოვთქვამ, რომ ფულს ავიღებ და შევინახავ. რა თქმა უნდა, შემდეგ მათ სურთ ჩემი ელექტრონული ფოსტის მისამართი, შემდეგ რომ გადავიხადო პროცესის გადასახადი, ტრანსპორტირების გადასახადი, დაზღვევის გადასახადი და კიდევ რასაც გადასახადს დაარქმევენ, რათა მემკვიდრეობა მომანდონ. მართლა? იდიოტს ვგავარ?

ერთმა კლიენტმა დამირეკა, რათა დაბანდებასთან დაკავშირებით რჩევა მიმეცა. ჩვეული კითხვები დავუსვი და აღმოვაჩინე, რომ დაახლოებით ხუთი მილიონის დაბანდება უნდოდა. მან მითხრა, რომ იმ წუთას ფული არ ჰქონდა, მაგრამ მემკვიდრეობა უნდა მიეღო. მე ვკითხე მისი აზრით რამდენად მალე მიიღებდა ქონებას? მანაც მითხრა, რომ დაახლოებით ორ კვირაში. ამრიგად, მე დავურეკე დაახლოებით ორ კვირაში და მითხრა რომ ცოტა მეტი დრო სჭირდებოდა. პრობლემები შეექმნა მემკვიდრეობის ევროპული ბანკიდან გადმოგზავნაში, სადაც ინახებოდა. ამან ჩემი ყურადღება მიიპყრო, ამიტომ კითხვების დასმა დავიწყე. ამბავი კი ასეთი იყო, რომ მას ჰყავდა შორეული ბიძა რომელიც საფრანგეთში გარდაიცვალა. ამ ბიძამ მას ხუთი მილიონი დოლარი დაუტოვა. თუმცა, სანამ მემკვიდრეობას მას გადმოუგზავნიდნენ, 50,000 დოლარი უნდა გადაეხადა სხვადასხვა გადასახადებისა და ფინანსური ვალდებულებებისათვის. მან მითხრა, რომ ის კვლავ ცდილობდა ამ თანხის შოვნას და სახლის ჩადება გადაწყვიტა.

ვკითხე ადვოკატი თუ ჰყავდა, და მითხრა: „კი, საქმეს ის ადვოკატი უძღვება, რომელმაც საფრანგეთიდან დამირეკა.“ „ანუ, ამერიკელი ადვოკატი არ გყავს, ვინც ამ ყველაფერზე იმუშავებს?“ „არა!“ - თქვა მან, „მხოლოდ ის, ვინც საფრანგეთიდან დამირეკა.“ მან გააგრძელა მოყოლა, რომ რადგანაც უჭირდა 50,000 დოლარის მოძიება, ფრანგი ადვოკატი დაჰპირდა რომ ნახევარს თვითონ გადაიხდიდა და შეეძლო უკან მაშინ დაებრუნებინა, როცა მემკვიდრეობა გადაერიცხებოდა. „არა!“ - ვუთხარი მე, „ეს თაღლითობაა!“ მიუხედავად იმისა, რომ მას მანამდე არასდროს სმენია ამ შორეულ ბიძაზე, დაიჯერა რომ სიმართლე იყო. ორი კვირის შემდეგ ისევ დავურეკე და მითხრა, რომ თითქმის მოგროვებული ჰქონდა გადმოსარიცხად საჭირო თანხა. მე ისევ ვუთხარი: „მათ უკვე აქვთ ხუთი მილიონი

დოლარი. მართლა რომ უნდოდეთ გადასახადისთვის თანხა, უბრალოდ მეილით გადმოგიგზავნიდნენ ფორმას, რომელსაც ხელს მოაწერდი და უკან გადაუგზავნიდი, რითიც უფლებას მისცემდი, რომ იმ თანხიდან აეღოთ 50,000 დოლარი.“ მაგრამ ის არ მიჯერებდა და დარწმუნებული იყო, რომ სიმართლეს ეუბნებოდნენ.

ამ კვირას ეკლესიაში იგივე შემთხვევა მქონდა. ახალგაზრდა კაცი რჩევას მეკითხებოდა ფულის დაბანდებასთან დაკავშირებით, რომელსაც მალე მიიღებდა საზღვარგარეთიდან მემკვიდრეობით. წინადადების დამთავრების უფლებაც არ მივეცი. ვუთხარი: „ვიცი, ვიცი, უნდათ რომ რაღაც თანხა გააგზავნო, როგორც გადასახადი და შემდეგ გადმოგიგზავნიან ფულს, ასეა?“ „კი, ასეა, საიდან იცით?!“ მე იგივე ვუთხარი, რომ ეს თაღლითობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდა იმ ადამიანს, ვინც სავარაუდოდ მოკვდა და არც ადვოკატი ჰყავდა აქ ა.შ.შ.-ში, მაინც მეკამათებოდა ფულის რეალურობაზე. რატომ ტყუვდებოდნენ ეს ადამიანები? რადგან მათ უნდათ განთავისუფლება! ისინი ვერ უშვებდნენ ამას მათ გონებაში, რადგან თუკი მილიარდიდან მეათედი შანსიც კი იყო, რომ ეს ნამდვილად არსებობდა, უნდოდათ ასე ყოფილიყო.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანო! ფინანსური სერვისების ბიზნესი, რომელსაც მე და დრენდა ვფლობთ, მთელ ა.შ.შ.-ს ფარავს. საოცარი ბიზნესია! ჩემს კომპანიაში რეალური შესაძლებლობაა; ადამიანები წელიწადში ასობით ათას დოლარს გამოიმუშავებენ. მაგრამ ასევე ბევრია სასწავლი ჩემს ბიზნესში. შენ ადამიანების ფულთან გაქვს შეხება. არსებობს კანონები და ქონების დაგეგმვის სტრატეგიები, რაც უნდა იცოდე.

რადიოში რეკლამები გავუშვი კოლუმბუსში, ოჰაიოში, ადგილობრივ ქრისტიანულ რადიო სადგურში, სადაც რეზიუმეები ვითხოვე და შესაძლო კანდიდატებს ვეძებდი. დაახლოებით 50 მივიღეთ. იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ გასაუბრებები დამეგეგმა, გადავწყვიტე, საორიენტაციო სესია გამემართა ახლომდებარე სასტუმროში, რათა აპლიკანტები შემემოწმებინა. შეხვედრა შეეხებოდა ჩვენი კომპანიის უზარმაზარ პოტენციალს ბაზარზე, რომ არა მხოლოდ ის უნდა გავაზიაროთ, თუ როგორ მოქმედებს ფინანსები, არამედ ეს რჩევები ქრისტიანულ მსოფლიო პერსპექტივაში მოვაქციოთ. ჩვენ ასევე ვისაუბრეთ, თუ რას

აკეთებდა ჩვენი კომპანია პროცედურებთან, კომპენსაციებთან, ტრენინგებთან და ლიცენზიების მოთხოვნასთან დაკავშირებით. გამოცდილებიდან ვიცოდი, რომ კანდიდატთა დიდი ნაწილი უკან დაიხევდა, როცა გაიგებდა თუ რამხელა შრომა იდგა წელიწადში 200,000 დოლარის გამომუშავების უკან.

შეხვედრის შემდეგ, სასტუმროს ჰოლში მივდიოდი და დავინახე, რომ დიდი, მთავარი დარბაზი დაახლოებით 1,000 ადამიანით იყო გადაჭედილი. ყველა ერთი მიზნით მოვიდა. პოპულარული მრავალ შრიანი კომპანია პრეზენტაციას აკეთებდა კომპანიასთან შეერთების შესახებ. მაგრამ რატომ იყო აქ ამდენი ხალხი შეგროვილი განსხვავებით ჩემი 50 კაცისგან? პასუხი მარტივია - ფული! სამწუხაროდ, და ამას არ ეუბნებოდა მრავალ შრიანი კომპანია, მაგრამ ასეთი აღქმა იყო, „თუ მე მოვხვდები, შემდეგ სამ ადამიანს მივმართავ და ბუმ, მილიონერი ვარ!“ ახლა უკვე დიდი ხანი იყო რაც ამ ყველაფერში ვიყავი, იმის მისახვედრად, რომ ყველა, ვინც კარგ თანხას გამოიმუშავებს მრავალ შრიან კომპანიაში, ბევრს მუშაობს! დიახ, პოტენციალი არის, მაგრამ აღიქვამენ, როგორც მარტივ ფულს და „თუ ამ შანსს გავუშვებ, შეხედეთ რამდენი ხალხია, ცხოვრებაში აღარ მომეცემა ასეთი შესაძლებლობა!“ არასწორად არ გამიგოთ! ბევრი კარგი მეგობარი მყავს, რომელსაც მილიონები გამოუმუშავებია მსგავსი კომპანიებიდან და უამრავი დიდებული მრავალ შრიანი მარკეტინგი არსებობს. თუმცა მე ვსაუბრობ თუ ზოგადად საითკენაა მიმართული საშუალო მრავალ-დონიანი მარკეტინგის ახალწვეულის აზრები. ტყუილის მიყიდვა იმის შესახებ რომ მარტივი ფული, ბევრი ფულია, გადაარჩენისთვის ბრძოლის დედამიწის წყევლის სისტემის ნაწილია.

თუკი ერთი წუთით შეჩერდებით და საკუთარ თავს ჰკითხავთ თუ რამდენს ფიქრობთ ფულზე, იქნება ეს მისი მოპოვება თუ იმის დაცვა, რაც უკვე გაქვთ, გაოცდებით?! კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რათა კარგად მიხვდეთ: ყველას სურს, შეწყვიტოს სირბილი, ისინი დაიღალნენ მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრში ცხოვრებით! შაბათ-კვირის საცდურია შეჩერება. არდადეგების საცდურია, რომ შეგიძლია, შეჩერდე. პენსიაზე გასვლის საცდურია რომ ბოლოს და ბოლოს შეგვიძლია გავჩერდეთ და ვაკეთოთ ის, რაც გვსურს. არასწორად არ გამიგოთ. ადამიანთა უმრავლესობის ხედვა ცხოვრებისადმი არ არის უბრალოდ

ფულის საკითხის გადაწყვეტის გარეშე შენ განწირული იქნები ირბინო დედამიწის წყევლის სისტემის გადარჩენის მენტალობაში მთელი ცხოვრების განმავლობაში!

დასხდნენ და არაფერი აკეთონ. არც იმას ვამბობ რომ ესაა ღვთის ნება ჩვენზე. არა, ჩვენ შევიქმენით რათა აქტიურები ვიყოთ ჩვენს დანიშნულებაში, ჩვენს უნიკალურ მიზანში. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა იმდენად დაკავებულია გადარჩენისთვის სირბილით, რომ მათ წლების წინ თქვეს უარი თავიანთ ოცნებებზე.

დარწმუნებული ვარ, გაგიგონიათ ვინმეს ნათქვამი, ან თავად თქვენც გითქვამთ: „დღეს სამუშაოდ უნდა წავიდე!“ როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ადამიანები ემოციურად კარგად არ გრძნობენ თავს, როცა „უნდა“ წავიდნენ სამუშაოდ. თუმცა ისინი იფურჩქნებიან როცა უნდათ და მიდიან სამუშაოდ ვნებითა და ენთუზიაზმით იმ საქმისადმი, რასაც აკეთებენ. ჩვეულებისამებრ, ეს არ ხდება უმრავლესობის ცხოვრებაში. ამის ნაცვლად იტყვიან: „დღეს უნდა წავიდე სამსახურში!“ კვლავ გადასახადის გადახდა, კიდევ ერთი დღე ოფისში, კიდევ ერთი გადარჩენისა და თავის გატანის დღე. ზოგიერთი კარგად იწყებს ამაღელვებელი მომენტებით სავსე ცხოვრებას. სამსახური, რომელიც მხოლოდ გადასახადების გადასახდელად დაიწყეს, მხოლოდ დროებითი იყო, მანამ სანამ რამეს მიხვდებოდნენ. თუმცა ბოლოს იმას მიხვდნენ, რომ ცხოვრება გაურკვეველი ლაქა გახდა, და როცა 40 წელს გადააბიჯეს, მიხვდნენ, რომ გამოსავალი არ არსებობდა. ამას შუახნის კრიზისი ჰქვია, როცა პირველად ხვდებიან, რომ ხაფანგში არიან.

მეგობარო, ეს არაა ცხოვრება, როგორადაც ღმერთმა შექმნა იგი! შენ უკვე იცი ეს. მაგრამ ამ საცოდავი ცხოვრებიდან გამოღწევაა ის, რის გამოც მე და დრენდა წლებია ვამბობთ, რომ თუ ფულის საკითხს ვერ მოაგვარებ, ვერასდროს იპოვნი მიზანს, შენი ცხოვრების უნიკალურ მიზანს. ფულის საკითხის გადაწყვეტის გარეშე შენ განწირული იქნები, ირბინო დედამიწის წყევლის სისტემის გადარჩენის მენტალობაში მთელი ცხოვრების განმავლობაში.

თუ ფულის საკითხს ვერ მოაგვარებ, ვერასდროს იპოვნი შენი შექმნის მიზანს!

შესადარებლად, მოდით, ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო შენი ცხოვრება. მოდით, ვიფიქროთ შენს ჰობზე! ვთქვათ, რომ ეს გოლფია. გაგიგიათ ვინმეს ეთქვას: „ოხ, დღეს უნდა წავიდე და გოლფი ვითამაშო?!“ ან გაგიგიათ ასეთი ფრაზა: „ოხ, დღეს პარასკევი საღამოა; ვერ ვიტან პარასკევ საღამოს. ნეტავ, ორშაბათი დილა იყოს რათა სამსახურში წასვლა შევძლო!“ ან ვთქვათ, შენი ჰობი თევზაობაა. ოდესმე გავიგებდი შენგან: „ოხ, დღეს სათევზაოდ უნდა წავიდე“? არა, ვეჭვობ ამას ვერ გავიგებდი, რადგან ილტვი ამისკენ! რა მოხდებოდა, თუკი ცხოვრებიში იგივე ლტოლვა და ენთუზიაზმი გექნებოდა შენი საქმიანობისადმი, შეძლებდი შენს ლტოლვაზე ფოკუსირებას და აღმოაჩენდი სიტკბოს მომენტს და არა ოფლის მომენტს? რა მოხდებოდა, თუკი გექნებოდა ფული, რაც ოჯახზე ზრუნვისთვის გჭირდება და ფინანსური სტრესისგან თავისუფალი ცხოვრებით იცხოვრებდი? მართლა არსებობს გზა ამ ყველაფრის განსახორციელებლად? მე და დრენდამ აღმოვაჩინეთ, რომ არსებობს!

> *„უფლის კურთხევაა, რომ ამდიდრებს* და *დარდი არ მოყვება მას“.*
>
> – იგავთა 10:22

კარგად დააკვირდით ამ მუხლს. ებრაულში ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობაა სიმდიდრე შრომის გარეშე. ხედავთ? ღვთის სამეფო გვთავაზობს ტანჯვისა და ოფლის სისტემიდან თავის დაღწევის გზას, რომელიც ადამმა დაგვიტოვა. მართლა იმას გულისხმობს ეს მუხლი, რასაც ამბობს? დამეთანხმები, რომ თუ ასეა, მაშინ შესაძლოა საუკეთესო კეთილი უწყება წაიკითხე რაც კი ამ ბოლო დროს გაგიგია. სწორედაც! აი, რატომ აცხადებს ესაიას 61 თავი იესოსა და მის მომავალ მსახურებაზე წინასწარმეტყველურად ლაპარაკისას:

„უფლის სულია ჩემზე, რადგან მცხო უფალმა <u>გლახაკთა სახარებლად</u>“.

–ესაია 61:1

რა არის კეთილი უწყება ადამიანისთვის, რომელიც მომწყვდეულია დედამიწის წყევლის სისტემის გადარჩენისთვის ცხოვრების სტილში? ფინანსური თავისუფლება, რა თქმა უნდა! იესო პირდაპირ ამბობს, რომ ღვთის სამეფო უზრუნველყოფს ტკივილითა და ოფლით სირბილის დედამიწის წყევლის სისტემის შეზღუდვების მიღმა ცხოვრებას. მოდით, შევხედოთ ამას! შენ უბრალოდ სწრაფად შეგიძლია სირბილი, მაგრამ ხალხის უმრავლესობა საკმაოდ ძლიერად დარბის და აღმოაჩენს, რომ ეს საკმარისად სწრაფი არაა გასათავისუფლებლად. რაც შემეძლო, სწრაფად დავრბოდი იმ ცხრა წლის განმავლობაში, როცა მე და დრენდა სასტიკ ვალებში ვიყავით. ის ასობით ათასი კლიენტი, რომელიც ჩვენს ფირმას ჰყოლია 27 წლის განმავლობაში, ასევე რაც კი შეეძლოთ, სწრაფად გარბოდნენ. თუმცა მათი სიბეჯითის მიუხედავად გამომწყვდეულები იყვნენ ფინანსური მონობის ცხოვრებაში. ყველა მათგანმა მოგვმართა, რადგან აშინებდათ რეალობა, უიმედო მდგომარეობა ფინანსებთან მიმართებაში. მათი ოცნებები ფინანსური დამოუკიდებლობის შესახებ უფრო და უფრო რთულად მისაღწევი ჩანდა და ხედვა თავის გატანამ ჩაანაცვლა. მინდა, სიტყვა უზრუნველყოფას დააკვირდეთ ჩემთან ერთად!

ინგლისურ ენაში იგი სიტყვა-სიტყვით ხედვის წინა მდგომარეობას ნიშნავს.

ხედვა ვერ იქნება უზრუნველყოფის გარეშე, შესაბამისად უზრუნველყოფის მოპოვება ხდება შენი ხედვა. აი, ასე ცხოვრობს ადამიანთა უმრავლესობა - ხედვის გარეშე. ეს არის მონობის ყველაზე მაცდური ფორმა.

თავი 7
კარი

მოდი, მიმოვიხილოთ, თუ რა ვისწავლეთ ღვთის სამეფოს შესახებ! პირველი ვისწავლეთ, რომ ადამიანი დედამიწაზე მმართველის პოზიციაზე იყო მოთავსებული. ებრაელთა 2:7-8-ში დავინახეთ, რომ დედამიწაზე არაფერი იყო, ადამიანის დაქვემდებარებაში რომ არ ყოფილიყო. ამის გამო ვთქვით, რომ ადამიანი იყო გასაღები, თუ კარი მიწიერი სამეფოსთვის. სატანამ იცოდა ეს, ამიტომაც ამოიღო სამიზნედ ადამი და ევა თავის გეგმაში, რათა დედამიწაზე მმართველობა მოეპოვებინა. როცა ადამი და ევა დანებდნენ მის სიცრუის გეგმას, მათ შესცოდეს და გზა მოუჭრეს ღვთის კანონიერ მმართველობას მათ ცხოვრებაზე. ღვთის სულს, რომელმაც ისინი შექმნისას დაფარა, ახლა უკან, გვერდზე გადგომა მოუწია. ისინი არა მხოლოდ ფიზიკურად გაშიშვლდნენ, არამედ სულიერადაც. შემიძლია, წარმოვიდგინო რამხელა შოკს შეეჯახნენ, როცა ღვთის სული მათგან აიწია. ბიბლია ამბობს, რომ მათ მაშინვე ლეღვის ფოთლების დაწნა დაიწყეს საკუთარი თავების დასაფარად, რადგან იგრძნეს, რომ შიშვლები იყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს კვლავ დედამიწის მმართველის პოზიცია ჰქონდა, როგორც შექმნისას მიეცა, ახლა მან დაკარგა ძალაუფლება, რომ მიწიერი სამეფო სულიერად ემართა. რადგან მან ღვთის წინააღმდეგ ამბოხება აირჩია და არჩია დაეჯერებინა და საკუთარი თავი სატანასთვის გაეტოლებინა, ადამიანი სატანას ძალაუფლების ქვეშ მოექცა, შედეგად, იგივე განაჩენი მიიღო რაც სატანამ (ლუციფერმა) განიცადა, როცა ზეციდან იქნა გამოძევებული. განაჩენი იყო ადგილი, სახელად ჯოჯოხეთი, ტანჯვის ადგილი და სამუდამოდ ღვთის თანდასწრებიდან გამოძევება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯოჯოხეთი არ შექმნილა ადამიანისთვის და არც არასდროს მოიაზრებდა ადა-

მიანს. არასდროს ყოფილა ღვთის განზრახვა, რომ რომელიმე ადამიანი იქ წასულიყო.

> *„მაშინ იმათაც ეტყვის, ვინც მარცხნივაა: წადით ჩემგან, წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვის!“*
>
> – მათე 25:41

ადამიანის ამ ბედისგან დასახსნელად, ღმერთს ხელახლა უნდა დაედგინა თავისი მმართველობა დედამიწაზე. მას უნდა ეპოვნა გზა, დაებრუნებინა ის მმართველობა, რასაც ახლა სატანა ფლობდა. ამის მოსახდენად, მხოლოდ ერთი გზა არსებობდა. ვიღაც უცოდველს სურვილი უნდა გამოეთქვა, ადამის ნაცვლად აეღო სიკვდილის სასჯელი. თუმცა პატარა პრობლემა არსებობდა, რაც ამ გეგმის შესაძლებლობას უშლიდა ხელს. ყველა ადამიანი, ვინც კი დედამიწაზე არსებობდა, იყო ადამის შთამომავალი შებღალული ცოდვით, შესაბამისად არ შეეძლო, ეტარებინა ღვთის სული და მისი მმართველობა. მაგრამ ღმერთს ჰქონდა ამ პრობლემის გადასალახი გეგმა. გეგმა მოითხოვდა, რომ მისი სამართლიანი მოთხოვნები, მისი კანონები, დამკვიდრებულიყო და დაწერილიყო მიწიერ სამეფოში, რათა მიწიერ სამეფოში მცხოვრები ადამიანი უდანაშაულოდ გამოცხადებულიყო იგივე კანონით, თუკი ეს შესაძლებელი იყო. მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლებოდა ადამიანს კანონიერად გამოეთქვა სურვილი ადამის ადგილი დაეკავებინა და მისი დამსახურებელი სასჯელი საკუთარ თავზე აეღო.

მაგრამ რეალური პრობლემა იდგა ამ საკითხთან, რადგანაც ადამიანი, რომელსაც შეეძლებოდა მსხვერპლშეწირვის გეგმის განხორციელება, არ უნდა ყოფილიყო ადამის შთამომავალი, რადგან ეს შთამომავლობითი ხაზი შებღალული და ღვთის თანდასწრებიდან მოკვეთილი იყო. ამრიგად, როგორ იქნებოდა შესაძლებელი გადარჩენის გეგმის განხორციელება? იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი ყოფილიყო, ღმერთს რეალურად უნდა მოეთავსებინა ადამიანი დედამიწაზე, რომელიც არ იქნებოდა ადამის შთამომავლობითი ხაზიდან, რომელსაც ენდომებოდა მსხვერპლად შეეწირა საკუთარი თავი ადამიანთა გამო. მაგრამ მიწიერი სამეფო ადამს და მის მემკვიდრეებს მიეცათ, ამრიგად, ამ კანონიერი სტატუსის ქვეშ, ეს უკანონო იქნებოდა. მხოლოდ

ერთი გზა არსებობდა ამის განსახორციელებლად, მხოლოდ ერთი. ეს ადამიანი აქ უნდა დაბადებულიყო, მაგრამ არ უნდა ყოფილიყო ადამის შთამომავლობისგან.

ერთი შეხედვით, იტყოდით, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ტექნიკურად იყო გამოსავალი. ღმერთს კანონიერად შეეძლო დედამიწაზე ქალში კაცის თესლი მოეთავსებინა, თუკი ის იპოვიდა კაცს, რომელიც მას ერწმუნებოდა, ამრიგად მას ამის გასაკეთებლად კანონიერ უფლებას მისცემდა. გახსოვდეთ, ადამიანი ფლობდა მიწიერი სამეფოს გასაღებს! სატანამ იგივე გასაღები გამოიყენა მიწიერ სამეფოზე წვდომის მოსაპოვებლად და მასზე ადამის ძალაუფლების სულიერი პოზიცია მოიპარა. იმისათვის, რომ ღვთის გეგმას ემუშავა და სატანისათვის დაემტკიცებინა გეგმის კანონიერება მიწიერ სამეფოზე, რომელიც აუცილებლად გააპროტესტებდა, ღმერთს დასჭირდებოდა, ეპოვნა კაცი და ქალი, რომლებიც ერწმუნებოდნენ მას ბავშვისთვის, როცა მათთვის სრულიად და სამუდამოდ შეუძლებელი იქნებოდა ბავშვის ყოლა. მათ უნდა ერწმუნათ, რომ ღმერთი შეუძლებელს მოიმოქმედებდა.

ამ ბავშვის დაბადებასთან ასევე კავშირში იქნებოდა აღთქმა მის ბედზე, რომ მის შთამომავლობაში ყველა ერი იკურთხებოდა, რადგან მის შთამომავლობაში მოიპოვებდა ღმერთი იესოს დედამიწაზე მოვლენის კანონიერ უფლებას. თუკი იქნებოდა წყვილი, რომელიც ღმერთს ამ ყველაფერში ერწმუნებოდა, ბავშვი მკვდარ საშვილოსნოში ჩაისახებოდა, ირწმუნებდნენ რომ ამ ბავშვით იკურთხებოდა ყველა ერი და რომ მისი დაბადება ზღვის ქვიშის სიმრავლის შთამომავლობას მოიტანდა, მაშინ ღმერთს ექნებოდა საჭირო კანონიერება, რათა თავისი თესლი მარიამში, იესოს დედაში მოეთავსებინა. მაგრამ იპოვიდა კი ღმერთი ასეთ ადამიანს? მისი სახელი აბრაამი იყო, ჩვენი რწმენის მამა.

„რომელიც უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავალი ერის მამა, როგორც ნათქვამია: „ასე იქნება შენი თესლი!“ არ შესუსტებია რწმენა, როცა ხედავდა, რომ მისი სხეული, თითქმის ასი წლისა, უკვე ჩაკვდა, ხოლო სარას საშო მკვდარი იყო. და არ დაეჭვებულა ღვთის აღთქმაში ურწმუნოებით, არამედ განმტკიცდა რწმენით და დიდება უძღვნა ღმერთს. და გულდაჯერე-

ᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲦᲣᲗᲥᲕᲐ, ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲓᲐ“.

– ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ 4:18-21

ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲔᲠᲬᲛᲣᲜᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲡ ᲘᲡᲐᲐᲙᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲩᲔᲜᲐᲓ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲔᲠᲬᲛᲣᲜᲐ, ᲐᲦᲗᲥᲛᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲛᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ. ᲘᲔᲡᲝ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗ, ᲔᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲮᲐᲓᲝ! ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲘᲔᲡᲝ ᲐᲛ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲛᲝᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲜᲐ, ᲘᲒᲘ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ! ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲮᲓᲘᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲡ. ᲐᲘ ᲠᲐᲢᲝᲛᲐᲐ, ᲠᲝᲛ �თᲣᲙᲘ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲗᲐᲕᲡ ᲩᲐᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲘᲞᲝᲕᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲑᲔᲖᲠᲔᲑᲔᲚ ᲡᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲨᲕᲐ ᲔᲡ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘ. ᲘᲒᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ ᲤᲐᲥᲢᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ, ᲛᲘᲬᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ, ᲘᲔᲡᲝ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲧᲝ ᲐᲥ, ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲘᲣᲠ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲢᲐᲜᲐ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ. ᲗᲣ ᲔᲡ ᲡᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲐᲠᲐᲐ, ᲐᲜ ᲘᲔᲡᲝ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲣᲚᲐ ᲐᲑᲠᲐᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲗ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲢᲐᲜᲐᲡ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲒᲐᲜᲔᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲗᲐᲦᲚᲘᲗᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲧᲔᲕᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲘᲓᲒᲜᲔᲜ

ᲗᲣ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲓᲐ. ᲔᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲐᲓᲘ ᲘᲧᲝ. ᲐᲮᲚᲐ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ ᲔᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲮᲐᲖᲘ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲡᲔ. ᲓᲘᲐᲮ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲙᲚᲘᲡᲔᲑᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲠᲐᲚᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲠᲐᲮᲐᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲔᲠᲘᲮᲝᲜᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲚᲐ ᲛᲖᲕᲔᲠᲐᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲦᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲖᲕᲔᲠᲐᲓ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲜᲘ. ᲓᲘᲐᲮ, ᲘᲡᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲗᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲐᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲐᲜᲖᲔ ᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲔᲡᲛᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲑᲠᲐᲣᲚ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ.

ნება მომეცით, ცოტა ხანს გადავუხვიო თემიდან! მრავალი განიხილავს იმას, თუ რამდენი ხანია, რაც ადამიანი დედამიწაზეა. არსებობს გზა პასუხის გასაგებად? დიახ! შემიძლია დაგარწმუნოთ ამ ფაქტში. ეს სია მათეს პირველ თავში მართალი უნდა იყოს. არავინ არ უნდა იყოს გამოტოვებული, თორემ მე და შენ ვერ ვისიამოვნებდით იმ ხსნით, რაც ახლა გვაქვს. სატანა თაღლითობას გააპროტესტებდა. ეს სია სრულყოფილი უნდა იყოს! ამრიგად, ამაზე დაფუძნებით, შეგიძლია დაახლოებით გამოითვალო ადამიანის დედამიწაზე ყოფნის სრული დრო. უბრალოდ ვიფიქრე, ამაზე დაგაფიქრებდით!

> *„დიდ ერად გაქცევ, გაკურთხებ, განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები! ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; და იკურთხება შენში დედამიწის ყველა ტომი!“*
>
> – დაბადება 12:2-3

როგორც ამ მუხლში ხედავთ, კარები მიწიერ სამეფოში, რომელიც აბრაამმა დაადგინა, არის კანონიერი შემოსასვლელი, რომელზეც მომავალში იესო ივლიდა და აკურთხებდა დედამიწის ყველა ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ აბრაამმა და მისმა შთამომავლობამ ღმერთს ის კანონიერება და ძალაუფლება მისცა, რაც საჭირო იყო მისი მმართველობის ძალისა და გავლენის მოსატანად, რათა დედამიწის წინააღმდეგ ეტარებინათ, ადამიანი კვლავ გაბმული იყო ცოდვისა და სულიერი სიკვდილის სიმძიმის ხაფანგში, სანამ ღმერთი იესოს დედამიწაზე გამოგზავნიდა, სადაც იგი ადამის ცოდვის ფასს გადაიხდიდა. მაგრამ ამის უზრუნველსაყოფად, ვხდავთ, რომ აბრაამი და მისი მემკვიდრეები, ისინი ვინც წინადაცვეთის ნიშანს ატარებდნენ, ხარობდნენ. ისინი ახლა თავის გატანის ტანჯვისა და ოფლის წყევლაზე მაღლა იდგნენ.

> *„ძალზედ მდიდარი იყო აბრამი ჯოგებითა და ოქროვერცხლით“.*
>
> – დაბადება 13:2

ამ მუხლში ვხედავთ უდიდეს ცვლილებას, რაც ამ აღთქმამ მოიტანა უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ხედავთ რამე

განსხვავებას ღვთის მიერ აბრაამისა და ადამისადმი ნათქვამში დაბადების 3:17-ში? გახსოვდეთ, მას შემდეგ რაც ადამმა შესცოდა, ღმერთმა უთხრა, რომ ახლა თავისი ტანჯვითა და ოფლით გადარჩებოდა! მაგრამ ახლა, აბრაამთან მიმართებაში, განსხვავებას ვხედავთ. ღმერთი ამბობს: „მე გაქცევ!“ აქ არ წერია, რომ აბრაამი საკუთარ უნართან იყო დატოვებული, რომ ერბინა და ოფლით ეტანჯა. აქ წერია, რომ ახლა ღმერთია ჩარეული. ღმერთი ამბობს: „მე გაგხდი!“ ამრიგად, ვხედავთ, რომ აბრაამს უჭირს ცხოვრება ამის შემდეგ? ნაკლებად!

აბრაამი მდიდარი იყო! მისი შვილები მდიდრები იყვნენ. აბრაამი ცხოვრობდა ცხოვრებით, რომელიც დედამიწის წყევლის სისტემის მიღმა იყო. მას საკმარისზე მეტი ჰქონდა. ადამიანებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ განსხვავების დასანახად. ეს განსხვავება მთელს მის მემკვიდრეობით ხაზში გაგრძელდა. რეალურად, აბრაამის შემდეგ რამდენიმე თაობაში მისი შვილიშვილი, იაკობი ლაბანისთვის, თავისი სიმამრისთვის მუშაობდა. ლაბანმა დაინახა კურთხევა იაკობზე და მისი მოტყუება სცადა. მაგრამ ღმერთმა ისე შემოაბრუნა მისი გეგმები, რომ საკუთარი კურთხევა მოიპარა თავის საზიანოდ და აკურთხა იაკობი დიდი სიმდიდრით. მე იმას ვამბობ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მისი კურთხევის შეჩერებას ცდილობდნენ, ეს არ შეეძლოთ. სანამ მისი მემკვიდრეები აღთქმის ერთგულნი რჩებოდნენ და თაყვანს სცემდნენ ღმერთს, ღმერთი აკურთხებდა მათ.

„გაგიხსნის უფალი თავის საგანძურს, ზეცას, რათა თავის დროზე მისცეს წვიმა შენს მიწას და აკურთხოს ყოველი საქმე შენს ხელში.“

— მეორე რჯული 28:12ა

იფიქრეთ იმ არსზე, რაზეც ვლაპარაკობ! ყველანაირი სახის წერილსა და იმეილს ვიღებ ხალხისგან, რომლებიც მეუბნებიან, რომ ზედმეტად ბევრს ვლაპარაკობ ფულზე. ისინი მეუბნებიან, რომ აყვავება არ არის ღვთის ნება. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ჩვენ ყველა უნდა დავიტანჯოთ ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, როგორც ღვთისადმი მსახურების ფასი. მათი მოსაზრების ნაწილს ვეთანხმები. მარკოზის 10:30-ში იესო ამბობს, რომ ჩვენი კეთილდღეობა დევნით ტანჯვას გამოიწვევს. სამწუხაროდ, მრავალ ქრისტიანს სჯერა, რომ ღმერთი მკაცრი ბრიგადირია და ჩვენ მთელი ცხოვრება უნდა ვიწვალოთ, სიღარიბის ფიცი დავდოთ და ავადმყოფობით ვიტანჯებოდეთ. არა, ეს დედამიწის

წყევლაა და არა კურთხევა! ღმერთს უნდა განამტკიცოს შენი ფინანსები.

ღმერთს შენი განმტკიცება სურს!

შენი ფინანსების დაცვისა და განმტკიცების გარეშე, იძულებული ხარ თავის გატანისთვის ირბინო მთელი ცხოვრება, მონობის ცხოვრებით იცხოვრო, არ შეგიძლია, შეასრულო შენი სულიერი დანიშნულება. გადახედეთ რა უთხრა ღმერთმა აბრაამს მეორე რჯულის 28:8-13-ში.

> *„კურთხევას ბრძანებს შენთვის უფალი შენს ბეღლებსა და შენს ყოველ საქმეზე; და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი! დაგადგენს უფალი თავის წმიდა ხალხად, როგორც შეგფიცა, თუ დაიცავ უფლის, შენი ღვთის მცნებებს და ივლი მისი გზებით. იხილავს ყოველი ხალხი, რომ უფლის სახელით ხარ წოდებული და შეეშინდება შენი! სიუხვეს მოგცემს უფალი ყველა სიკეთეში, შენი მუცლის, საქონლისა და მინდვრის ნაყოფებში, იმ მიწაზე, რომლის მიცემაც შეჰფიცა შენს მამებს უფალმა.*
>
> *გაგიხსნის უფალი თავის საგანძურს, ზეცას, რათა თავის დროზე მისცეს წვიმა შენს მიწას და აკურთხოს ყოველი საქმე შენს ხელში; მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ. თავად გაქცევს უფალი და არა კუდად, მაღლა იქნები და არა ქვემოთ, თუ შეისმენ უფლის, შენი ღვთის მცნებებს, რომელთაც გამცნებ დღეს, რომ დაიცვა და აღასრულო“.*

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ახალ მიწაზე ჯერ არ იყვნენ დამკვიდრებულები, თუმცა აღთქმა ჰქონდათ. მაგრამ მოსე ეუბნება, რომ ღმერთი განამტკიცებს მათ! იმის გასაგებად, თუ დაახლოებით რა იყო ეს და რის თქმას ცდილობდა ღმერთი მათთვის, იფიქრეთ მუხის ხეზე! როცა ნერგია, არ არის განმტკიცბული. ყველას შეუძლია გადააადგილოს, როცა უნდა და სადაც უნდა. მაგრამ როცა მუხის ხე გაიზრდება და მომწიფდება, ვერავინ გადაადგილებს მას. ის განმტკიცებულია.

> *„კურთხევას ბრძანებს შენთვის უფალი შენს ბეღლებსა და შენს ყოველ საქმეზე; და გაკურთხებს იმ ქვეყანაში, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი! დაგადგენს უფალი...“*
>
> – მეორე რჯული 28:8-9ა

ამრიგად, როგორია ფინანსურად განმტკიცება? ღმერთი გვეუბნება ამას 12ბ მუხლში:

> *„მრავალ ერს ასესხებ შენ და თავად კი არ ისესხებ! თავად გაქცევს უფალი და არა კუდად!“*

ღმერთი ამბობდა, რომ ის აპირებდა მათ კურთხევას იმდენად, რომ ყოველთვის გამსესხებლები ყოფილიყვნენ და აღარასოდეს მსესხებლები. ისინი იქნებოდნენ თავი და არა კუდი. კუდს არაფერი აქვს სათქმელი სადაც მიდის; ის მიდის იქ, სადაც თავი მიუძღვება.

> *„მდიდარი ღარიბზე ბატონობს, მსესხებელი კი გამსესხებელს ემონება“.*
>
> – იგავები 22:7

მსესხებელი არაა განმტკიცებული. ისინი გამსესხებლის წყალობაზე არიან დამოკიდებულნი, თავისუფლების გარეშე მყოფი მონებივით მუშაობენ. მაგრამ ღმერთი ამბობს: „არა! მე ვაპირებ, განგამტკიცო! ვერავინ გეტყვის მიატოვო სახლი, რადგან მისი საფასური გადახდილი იქნება! ვერავინ გაასხვისებს შენს მანქანას, რადგან მისი საფასური გადახდილი იქნება. შენი სამზარეულო სურსათით სავსე იქნება და შენ მიერ ნაყიდ მიწაზე ივლი და აღასრულებ ღვთის მიერ შენდამი მოცემულ დანიშნულებას შენს სრულყოფილ ფინანსურ მშვიდობაში. შენ განმტკიცებული იქნები!“

ღმერთს სურს ფინანსურად ყვაოდე!

თავი 8
ერთგულების ძალა

ახლა, რის შესახებაც წაიკითხავ, ესაა სამეფოს ძლევამოსილი პრინციპი, იმდენად, რომ ჩავთვალე, იმსახურებდა წიგნის ქვესათაურად ყოფნას. ჩვენ მას აბრაამის შვილთაშვილის, იოსების ამბავსა და ცხოვრებაში ვნახულობთ. ფონური ინფორმაციისთვის, გეტყვით, რომ იოსები საკუთარი ძმების მიერ იყო მოძულებული და მისი თავიდან მოშორება უნდოდათ. რეალურად, მათ მისი მოკვლა განიზრახეს, მაგრამ ერთ-ერთ ძმას არ უნდოდა ასე ღრმად შეეტოპა; ამრიგად, ამის ნაცვლად, მოგზაურ ვაჭრებს მიჰყიდეს, რომლებმაც იგი ეგვიპტეში წაიყვანეს, სადაც ფოტიფარს, ფარაონის დაცვის უფროსს მიჰყიდეს.

„ეგვიპტეში ჩაიყვანეს იოსები და იყიდა იგი ისმაელიანთაგან ეგვიპტელმა ფოტიფარმა, ფარაონის კარისკაცმა და მცველთა უფროსმა. არ მიუტოვებია უფალს იოსები და ხელი ემართებოდა ყველაფერში. თავისი ეგვიპტელი ბატონის სახლში ცხოვრობდა იგი. და იხილა მისმა ბატონმა, რომ უფალი იყო მასთან და ხელს უმართავდა ყველაფერში, რასაც აკეთებდა. მადლი ჰპოვა იოსებმა მის თვალში და ემსახურებოდა მას. დანიშნა იგი თავისი სახლის ზედამხედველად და მას ჩააბარა მთელი თავისი საბადებელი.

მას შემდეგ, რაც თავისი სახლის ზედამხედველად დანიშნა, აკურთხა უფალმა იმ ეგვიპტელის სახლი იოსების გამო და კურთხეული იყო უფლისგან მთელი მისი ქონება სახლში თუ მინდვრად. იოსებს მიანდო მთელი თავისი ქონება, თვითონ კი აღარაფერზე ფიქრობდა ჭამა-სმის გარდა“.

– დაბადება 39:1-6

ყურადღება მიაქციეთ 2ა მუხლს: „ *არ მიუტოვებია უფალს იოსები და ხელი ემართებოდა ყველაფერში.“* რას ნიშნავს ეს? ღმერთი ყველასთან არაა? იმ კონტექსტში, რასაც წინა თავებში მემკვიდრეობით ხაზთან დაკავშირებით განვიხილავდით, პასუხია: არა! გახსოვთ, აბრაამის რწმენამ და აქედან გამომდინარე აღთქმამ მისცა ღმერთს კანონიერი წვდომა აბრაამსა და მის მემკვიდრეებზე - მხოლოდ მათზე. ამრიგად, როცა ვლაპარაკობთ იმაზე, იყო თუ არა ღმერთი ყველასთან, ეს არ უნდა აგვერიოს იმაში, უყვარს თუ არა ღმერთს ყველა; ნამდვილად უყვარს. მაგრამ მათთვის, ვინც კანონიერად ღვთის მიღმა დგას, მისი ხელები შეკრულია.

> *„იმ დროს ქრისტეს გარეშე იყავით, ისრაელის კრებულისგან გაუცხოებულნი, აღთქმის მცნებათათვის უცხონი, იმედი არ გაგაჩნდათ და <u>უღმრთონი იყავით წუთისოფელში.</u> ახლა კი იესო ქრისტეში მყოფნი, თქვენ, ოდესღაც შორეულნი, ახლობლები გახდით ქრისტეს სისხლის მეშვეობით“.*

– ეფესელთა 2:12-13

ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს მუხლი ლაპარაკობს აღთქმის გარეშე ყოფნაზე, რაც ნიშნავს რომ ღმერთი და მისი ძალა კანონიერად მოკვეთილია ადამიანისგან. რატომ? რადგანაც ღმერთს არ აქვს კანონიერება ან მმართველობა მიწიერ სამეფოზე კანონიერი შეთანხმების, აღთქმის, დედამიწაზე მცხოვრები კაცისა თუ ქალის გარეშე. ეს მუხლი უბრალოდ გამოკვეთს ამას, როცა ამბობს, რომ აღთქმის გარეშე ადამიანები იმედისა და ღვთის გარეშე არიან ამ სამყაროში. გახსოვდეთ, რომ რადგანაც იესომ ახალი აღთქმა დადო ჩვენთვის, ჩვენ ახლა ღვთის ოჯახის წევრები და მისი დიდებული სამეფოს მოქალაქეები ვართ! (ეფესელთა 2:19.) ამრიგად, ახლა, როცა ვუბრუნდებით ჩვენს მუხლს დაბადების 39-ე თავში, გვესმის, რომ ფრაზა *„უფალს არ მიუტოვებია იოსები“* ნიშნავდა რომ კანონიერად, ღმერთს ჰქონ-

ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲬᲘᲔᲠ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲖᲔ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ, ᲐᲦᲗᲥᲛᲘᲡ, ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

და ლეგიტიმური გავლენა იოსების ცხოვრებაზე იმ აღთქმის მეშვეობით, რომელიც მის დიდ ბაბუასთან, აბრაამთან დადო. ამ კანონიერმა აღთქმამ, რომელიც უფლებას აძლევდა ღვთის კურთხევასა და გავლენას, გაჭყლიტა მიწიერი სამეფოს ტანჯვისა და ოფლის სისტემა. ღმერთს კანონიერად შეეძლო, ეკურთხებინა იოსები.

გახსოვთ, რა უთხრა ღმერთმა აბრაამს: „მე გაგხდი!“, რადგან ღმერთი იყო იოსებთან და ეხმარებოდა ცხოვრებაში, იგი წარმატებული იყო ყველაფერში, რასაც აკეთებდა, იმდენად, რომ მისმა წარმართმა ბატონმა, ფოტიფარმა დაინახა უდიდესი განსხვავება იოსების უნარსა და იმ უამრავ ადამიანს შორის, ვინც მანამდე უნახავს. აქ უნდა ვახსენო, რომ როცა ღვთის დახმარებით ვაღწევთ წარმატებას, ადამიანები, რომლებიც დედამიწის თავის გატანის წყევლის სისტემაში ცხოვრობენ, ამჩნევენ ამ განსხვავებას! ფოტიფარი იმდენად შთაბეჭდილების ქვეშ იყო, რომ მან იოსებს მთელი თავისი ქონების მართვა დაავალა.

სამეფოს უამრავი პრინციპი ჩანს წმიდა წერილის ამ მუხლებში, მაგრამ გასაღებთა გასაღებიც სწორედ აქ გამოვლინდა. მე მას „ერთგულების ძალას“ ვუწოდებ, თქვენ შეიძლება „ფოტიფარის პრინციპი“ დაარქვათ. მას დაბადების 39:5-ში ვპოულობთ:

> *„მას შემდეგ, რაც თავისი სახლის ზედამხედველად დანიშნა, აკურთხა უფალმა იმ ეგვიპტელის სახლი იოსების გამო* ***<u>და კურთხეული იყო უფლისგან მთელი მისი ქონება სახლში თუ მინდვრად</u>“.***
>
> – დაბადება 39:5

მინდა ნათლად წარმოიდგინოთ, თუ რა ხდება აქ. ერთ დღეს იოსები არ განაგებდა ამ ყველაფერს და მეორე დღეს განაგებდა. ბიბლია აღნიშნავს დროის იმ მომენტს, როცა ეს ცვლილება მოხდა. ღვთის კურთხევა მოვიდა ფოტიფარის მთელ ქონებაზე! მაგრამ ის არ იცნობდა იოსების ღმერთს და არ იყო ისრაელის ერის ნაწილი. მაშინ, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო ან რას ნიშნავს? აი პასუხიც! როცა ფოტიფარმა თავისი გონება იოსების მმართველობის ქვეშ მოაქცია, ამის ცოდნის გარეშე, მისი ქონება იმ აღთქმის ქვეშ მოექცა, რაც იოსებს ღმერთთან ჰქონდა.

ფოტიფარის მთელმა მომსახურე პერსონალმა
და მთელმა მისმა ქონებამ, შეიცვალა სამეფოები!!

მას ერქვა შაბათის დღე, ეს იყო სურათი დღისა, როცა ადამიანს აღარ მოუწევდა ტანჯვითა და ოფლით ეწვალა, რათა უბრალოდ გადარჩენილიყო.

ხედავთ, ფოტიფარის ქონება კვლავ შეკრული იყო კანონიერად მიწიერი წყევლის სისტემის მიერ, სანამ იგი იოსების მფარველობაში არ გადავიდა?! როცა ფოტიფარმა თავისი ქონება იოსების მმართველობის ძალაუფლების ქვეშ მოაქცია, მან ვერ გააცნობიერა, რომ იგი ამავდროულად მას ღვთის კურთხვების გავლენის ქვეშაც ათავსებდა. ბიბლია აგრძელებს და გვეუბნება, რომ როცა იოსები განაგებდა, ფოტიფარს აღარ უწევდა შეწუხებულიყო და ეფიქრა რაიმეზე, გარდა იმისა, თუ რა ეჭამა. საწუხარი აღარ ჰქონდა! სადარდებლის გარეშე ფოტიფარი მხოლოდ თავის დანიშნულებასა და მიზანზე უნდა ფოკუსირებულიყო, როგორც ეგვიპტის დაცვის უფროსი. აქ ბევრი რამის დანახვა შეიძლება, მაგრამ რაც ფოტიფარმა გამოსცადა, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ არ იცოდა, ისაა რასაც ებრაელთა მიმართ წერილის მე-4 თავი შაბათის სიმშვიდეს უწოდებს და დიახ, იგი ხელმისაწვდომია ახალი აღთქმის მორწმუნეთათვის.

თუკი შაბათს შეისწავლით, აღმოაჩენთ, რომ ღმერთი ისრაელიანებს არანაირი საქმის გაკეთების უფლებას არ აძლევდა ამ დღეს, არანაირი ტანჯვა და ოფლისღვრა არ უნდა ყოფილიყო. შაბათი, რა თქმა უნდა, კვირის მეშვიდე დღე იყო და იგი შექმნის მეშვიდე დღეს შეესაბამებოდა. შეიძლება გახსოვდეთ, რომ შექმნის მეშვიდე დღე ღმერთმა დასვენების დღედ გამოაცხადა. არა იმიტომ, რომ ღმერთი დაიღალა, არამედ მან დაასრულა. ყველაფერი, სრულყოფილი იყო. მეშვიდე დღე იყო დღე, რომელში საცხოვრებლადაც იყო შექმნილი ადამიანი, დღე საწუხრის გარეშე, როცა ადამიანს უკვე ჰქონდა ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა, მანამ, სანამ დასჭირდებოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ადამმა დაკარგა ეს სიმშვიდე, როცა ღვთის წინააღმდეგ აჯანყდა. ღვთის წინააღმდეგ ამბოხებით მან გზა მოუჭრა ღვთის უზრუნველმყოფ უნარს. ამრიგად, მან დაკარგა

ის უზურნველყოფის ადგილი, რაც ღმერთმა მანამდე მისცა. ახლა ადამი იძულებული გახდა, საკუთარი თავი უზრუნველეყო და მთელ დროს ტანჯვითა და ოფლით მუშაობაში ატარებდა, რათა თავი გაეტანა.

მაგრამ ღმერთს ადამიანი უიმედოდ არ დაუტოვებია. მან მას იმ სიმშვიდის სურათი მისცა, რომელსაც ერთ დღეს აღუდგენდა. ამას შაბათის დღე ერქვა, ეს იყო სურათი დღისა, როცა ადამიანს აღარ მოუწევდა ტანჯვით და შრომით ეწვალა თავის გასატანად. როცა ფოტიფარი მოექცა უფლის კურთხევაში, რომელსაც ამ აღთქმის მეშვეობით ატარებდა იოსები, იგი მოექცა ღვთის უნარში, უზრუნველეყო იოსები და სიმშვიდე ჰპოვა. ყველაფერზე ზრუნავდნენ; მას საწუხარი აღარ ჰქონდა.

> *„იოსებს მიანდო მთელი თავისი ქონება, თვითონ კი აღარაფერზე ფიქრობდა ჭამა-სმის გარდა“.*
>
> – დაბადება 39:6

შაბათის დღის მნიშვნელოვნების და იმის გასაგებად, თუ რას აჩვენებდა ღმერთი ადამიანს, მარტივი კითხვის დასმაა საჭირო. როგორ იყო შესაძლებელი შაბათის დღის აღსრულება? ვგულისხმობ, დედამიწის წყევლის სისტემის ქვეშ, ადამიანი ყოველ დღე დარბოდა გადასარჩენად. თუ ეს სიმართლეა, მაშინ როგორ არ უწევდა მას სირბილი შაბათის დღეს? როგორ უზრუნველყოფდა თავს ყველაფრით შაბათის დღეს, თუკი ვერ იმუშავდებდა? ეს კარგი კითხვაა და ისეთი, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, და ამ პასუხში ვიპოვით მთელ გამოცხადებას „უფლის კურთხევის“ შესახებ, რომელშიც იოსები დადიოდა.

ვფიქრობ ამის კარგ ილუსტრაციას ვპოულობთ ლევიანთა 25-ე თავში, როცა ღმერთი ისრაელის ერს საზეიმო წლის შესახებ უხსნის. ფონური ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ საზეიმო წელი იყო ყოველ 50 წელში ერთხელ და უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ წელს, ვიდრე მე ახლა განვიხილავ. თუმცა ნაწილი, რომელიც მინდა, გაიგოთ, ისაა, რომ ისინი ამ წელს ვერ დათესავდნენ ვერაფერს. რეალურად, ისინი ვერც 49-ე წელს დათესავდნენ, რადგან იგი შაბათის წელი იყო. ამიტომ, მინდა ნათლად წარმოიდგინოთ რა ხდებოდა: ისრაელს უთხრეს რომ ისინი ვერაფერს დათესავდნენ 49-ე და 50-ე წლებში. შემდეგ მათ უნდა მოეცადათ 51-ე წლის ბოლომდე, როცა დათე-

სავდნენ, რომ მოსავალი მომწიფებულიყო. ამრიგად, ღმერთი მათ ეუბნებოდა, რომ 3 წლიანი პერიოდი მოსავლის გარეშე უნდა ყოფილიყვნენ. რომ მეთქვა თქვენთვის, რომ სამი წელი არ გექნებოდათ ხელფასი, ალბათ დაგაფიქრებდათ. ისრაელი ჩაფიქრდა. ბუნებრივი გზით ეს შეუძლებელი იყო. ღმერთი მათ რაღაცას აჩვენებდა.

> *„თუ იკითხავთ: რა ვჭამოთ მეშვიდე წელს, როდესაც არც დავთესავთ და არც მოსავალს ავიღებთო? ვბრძანებ ჩემს კურთხევას თქვენზე მეექვსე წელს და იგი მოიყვანს სამი წლის მოსავალს. დათესავთ მერვე წელს, მაგრამ მეცხრე წლამდე ძველი მოსავლიდან შეჭამთ: ვიდრე მოიწევა მისი მოსავალი, ძველი ჭამეთ!“*
>
> – ლევიანნი 25:20-22

შაბათი მხოლოდ იმიტომ იყო შესაძლებელი, რომ ღმერთი მეექვსე დღეს ორმაგი წილით, ანუ საკმარისზე მეტით აკურთხებდა. მოდით ეს ფრაზა ცოტა ხანს გონებაში ატრიალეთ! ამისკენ არ ილტვის ყველა კაცი და ქალი? საკმარისზე მეტისკენ? როცა ღმერთმა მისცა ადამიანს ორმაგი წილი მეექვსე დღეს, იგი ახსენებდა კაცს, რომ ის იყო უზრუნველმყოფი და ის ყოველთვის საკმარისზე მეტით უზრუნველყოფდა. მოდით გულწრფელები ვიყოთ; საკმარისზე მეტი იძლევა თავისუფლებას ვირთხების რბოლისგან. მას მონობიდან არჩევნის ქონამდე მივყავართ. რაც უფრო მნიშვნელოვანია, იგი გვათავისუფლებს, რათა ვიპოვოთ და წარმატებას მივაღწიოთ ჩვენს მიზანსა და ლტოლვაში. ეს მოსწონდა ფოტიფარს. არანაირი საწუხარი. ყველა მის საჭიროებაზე ზრუნავდა. ერთადერთი, რაზე ფოკუსირებაც უწევდა, მისი მიზანი იყო. როგორც მე და დრენდამ ვთქვით: „სანამ ფულის პრობლემას არ გადაწყვეტ, ვერასდროს იპოვი შენს მიზანს!“ მაგრამ, აქ არის კეთილი უწყება! შაბათის სიმშვიდე დღესაც ხელმისაწვდომია, იგი გვთავაზობს ადგილს, სადაც ჩვენი საჭიროებები კმაყოფილდება და ჩვენ, თავის გატანის გარდა შეგვიძლია, წარმატებულები ვიყოთ.

> *„ესე იგი, შაბათის სიმშვიდე კვლავ რჩება ღვთის ხალხისთვის. ვინაიდან, ვინც მის სიმშვიდეში შევიდა, მანაც ისევე დაისვენა თავისი საქმეებისგან (ტანჯვისა და ოფლის სისტემისგან, თავის გატანისგან), როგორც*

ღმერთმა თავისისგან“.

– ებრაელთა 4:9-10

ღვთის სამეფომ შეცვალა მიწიერი სამეფოს ტანჯვისა და ოფლის კანონი ფოტიფარისთვის, და იგივეს გააკეთებს შენთვისას. ღვთის სამეფოში ჩართვის სწავლისას შეგვიძლია, წარმატებულები ვიყოთ და ჩვენი მიზანი ვიპოვოთ. ცხოვრება შეიძლება იყოს სასიამოვნო, ლტოლვითა და სიხარულით სავსე, მართლა!

„უფლის კურთხევაა რომ ამდიდრებს და დარდი არ მოჰყვება მას“.

– იგავები 10:22

უფლის კურთხევა ამდიდრებს და მას მძიმე შრომა არ სდევს თან!!! ჩვენ შეგვიძლია, დაბადების 3:17-ში აღწერილ ტანჯვისა და ოფლის სისტემაზე მაღლა ვიცხოვროთ. მე ამ თავის გატანის სისტემის ქვეშ ვცხოვრობდი მრავალი წლის განმავლობაში, სანამ გავიგებდი, თუ როგორ ფუნქციონირებს ღვთის სამეფო. ამის სწავლა შენც შეგიძლია. ღმერთი შენთანაა! მას შეუძლია, დაგეხმაროს! შენ შეგიძლია იყო წარმატებული. არა, ნება მომეცით, თავიდან ვთქვა ეს! შენ უნდა იყო წარმატებული! ამ ქვეყნიერების ფოტიფარები, ისინი, რომლებიც ღმერთს არ იცნობენ და და უიმედობის, მძიმე შრომის, თავის გატანის მცდელობის წყევლამ წელში მოხარა, გიყურებენ. მათზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ვერც შენმა რელიგიამ, ვერც შენმა ეკლესიის შენობამ, ვერც შენმა მუხლებმა, რადგან ისინი ვერაფერს ხედავენ შენი პასუხების ნაკლოვანების მიღმა. შენ ადამიანებისგან მოსმენას ვეღარ მოელი, როცა ეუბნები თუ რა დიდებულია ღმერთი და ამავდროულად, შენც იგივე საშინელ ფინანსურ სტრესში, ნაკლოვანებასა და თავის გატანაში ცხოვრობ, როგორც ისინი. არა, შენ უნდა აჩვენო, თუ როგორია ღვთის სამეფო, ისევე, როგორც

შეწყვიტე საკუთარი თავის შენს გარშემო მყოფ ეჭვთან და ურწმუნოებასთან დაკავშირება! შეცვალე ის, თუ რისადმი ხარ ერთგული და ისიამოვნე ღვთის სამეფოთი!

ეს იოსებმა გააკეთა. არ ვგულისხმობ, რომ ჯიუტი იყო, მაგრამ ადამიანები სულელები არ არიან. ისინი პასუხებს ეძებენ.

წლების განმავლობაში არ მქონდა გავლენიანი ხმა. არავინ მთხოვდა ტელევიზიაში მისვლას; არ ვუძღვებოდი ათასებიან ეკლესიას. რატომ? რადგან არაფერი მქონდა სათქმელი, არანაირი გამოსავლები, არანაირი პასუხები, არანაირი ნიშანი იმისა, რომ ღმერთი ცოცხალი იყო და ჩემთან იყო. თავი რომ გამეტანა, ოჯახის წევრებისგან ვსესხულობდი ფულს. ჩემი მანქანაც იშლებოდა, სახლიც იშლებოდა და ცხოვრებაც იშლებოდა. რატომ ენდომებოდა ვინმეს იმის მოსმენა თუ რა დიდებულია ღმერთი? დიახ, მე ზეცისკენ მიმავალ გზას ვედექი და ზეცა ყველაზე დიდებული რამაა, მაგრამ ადამაინები არ მოგისმენენ იმის შესახებ, თუ რა დიდებულია ზეცა, სანამ არ აჩვენებ ზეცას აქ, მიწიერ სამეფოზე. მომისმინეთ, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ თუ ღმერთი ღმერთია და მისი სიტყვა ჭეშმარიტია, მაშინ უნდა იმოქმედოს. ჩვენი ცხოვრება უნდა გამოიყურებოდეს განსხვავებულად და იყოს განსხვავებული! ჩვენ ღვთის სამეფოს ჭეშმარიტებით უნდა მივწვდეთ ამ თაობას. ფოტიფარები გვაკვირდებიან.

ამრიგად, რატომ ავარჩიე ამ წიგნის ქვესათაურად *ერთგულების ძალა*? რადგან ფოტიფარი მოექცა ღვთის სამეფოში და ისიამოვნა შაბათის მშვიდობით, სადაც ცხოვრების წესი არ არის ტანჯვა და ოფლი, სადაც არ არის შიში და მშვიდობა მეფობს. ეს არის, სადაც თავის გატანა მიზნითა და ლტოლვითაა ჩანაცვლებული, ხოლო სიღარიბე უზრუნველყოფამ ჩაყლაპა. ეს როგორ გააკეთა? მან თავისი პრობლემები და საწუხრები ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ მოიტანა. არსებითად, მიუხედავად იმისა, რომ ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა, მან <u>საკუთარი თავი ღვთის ერთგულებაში მოაქცია</u>. მან შეთანხმება დადო და ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ მოექცა. ფოტიფარი საკმაოდ ჭკვიანი იყო იმისთვის, რომ თავისი საქმეები იოსების მზრუნველობისთვის მიენდო, რადგან მან დაინახა პასუხები. შენც შეგიძლია ამის გაკეთება; ეს გავაკეთეთ მე და დრენდამაც. სწორედ ასე გამოჩნდა ირემიც, ფულიც, მანქანებიც, და სახლიც, რომელიც გვჭირდებოდა. თუ გსურს, ისიამოვნო იმ ყველაფრით, რაც ღმერთს აქვს შენთვის, შეცვალე ის, თუ რისდამი ხარ ერთგული! შეწყვიტე საკუთარი თავის შენს გარშემო მყოფ ეჭვთან და ურწმუნოებასთან დაკავშირება! შეცვალე ის, თუ რისადმი ხარ ერთგული და ისიამოვნე ღვთის სამეფოთი!

თავი 9

შენ კვებავ მათ!

როცა პირველად შევხვდი დონს, იგი ჩემს ოფისში უიმედო მდგომარეობით, ვალებით სავსე მოვიდა. იმ დროისთვის, თითქოს არაფერი მიდიოდა სწორად მის ცხოვრებაში. როცა დავჯექი და დაველაპარაკე, აღმოვაჩინე რომ უკვე სამი-ოთხი თვე იყო, არც ბინის ქირა ჰქონდა გადახდილი და არც სხვა გადასახადები. ქორწინების საკითხიც იდგა. მის ცოლს ყელში ამოუვიდა მათი ფინანსური სიტუაცია და პატივისცემას კარგავდა დონის მიმართ, რადგან არ შეეძლო, უზრუნველეყო ის და მათი ხუთი შვილი. ფაქტი ის იყო, რომ დონმა თავადაც დაკარგა საკუთარი თავის პატივისცემა. გონებაში უამრავი კითხვის ნიშანი ჰქონდა.

მისი სამსახური ოჰაიოს შტატში ჯანმრთელობის დაზღვევის გაყიდვას მოიცავდა, მაგრამ წარუმატებლობა თითქოს კატასტროფულ ფინანსურ გზაზე აგორებდა მას.

მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც დონის წინააღმდეგ მიდიოდა, მასში პოტენციალი დავინახე. მას სურდა, ესწავლა და სურდა ემუშავა. ამ ძლიერმა კომბინაციამ დამაინტერესა, რათა დამექირავებინა იგი და საკუთარი თავი ჩამედო მისი მომავლის კეთილდღეობაში. საბოლოოდ, ეს იყო დაბანდება, რომელიც ორივესთვის მომგებიანი იყო.

ჩემს ბარტყების დამზრდელ კომპანიას ახალი მოგებული ჰქონდა ჰავაიში მოგზაურობა ერთ-ერთი ჩვენი მომწოდებლისგან და ვიფიქრე, ეს კარგი შანსი იქნებოდა დონისთვის ღვთის სამეფოს შესახებ გასაზიარებლად. მიუხედავად იმისა, რომ დონი ქრისტიანი იყო, მას ჩემნაირი გაგება არ ჰქონდა. მანამდე რამდენჯერმე ვცადე მისთვის ღვთის პრინციპების შესახებ გამეზიარებინა, თუმცა თითქოს არ სჯეროდა: რას ვეუბნებოდი?

დავიწყე გზის ძიება, თუ როგორ მიმეზიდა დონის ყურადღება, რაც დაეხმარებოდა გაეცნობიერებინა, რომ ღვთის სამეფოს

მოქმედების გაგებით მასაც შეეძლო მიეღწია წარმატებისთვის. თუმცა, დონი იმდენად სასოწარკვეთილი იყო, საკუთარი თავისაც კი არ სჯეროდა და ვერც იმის, რომ ცვლილება შეიძლებოდა მომხდარიყო. ვიცოდი, ეს ჰავაიზე მოგზაურობა ჩემი შანსი იყო.

რამდენიმე კვირით ადრე, სანამ მე და დონი წავიდოდით, ვისაუბრეთ და დავგეგმეთ, თუ რას ვნახავდით და გავაკეთებდით იქ ყოფნისას. ერთმა რაღაცამ განსაკუთრებულად მიიპყრო დონის ყურადღება. მას სურდა ლურჯი მარლინი დაეჭირა წყნარი ოკეანის მშვენიერ წყლებში. „ჰავაი ლურჯი მარლინის დედაქალაქია მთელს მსოფლიოში“ - მითხრა დონმა აღფრთოვანებით. „ყოველთვის მინდოდა ლურჯი მარლინის დაჭერა; ეს ჩემი ოცნებაა!“ ამ კვირების განმავლობაში პირველად შევნიშნე ნაპერწკალი დონის თვალებში. რაღაცამ მართლა ააღელვა და ვიცოდი, ეს აღფრთოვანება კარს გახსნიდა ძლიერი გაკვეთილისთვის.

„დონ!“ - ვუთხარი მე, „იცოდი, რომ შესაძლებელია იცოდე, არა იმედოვნებდე, არამედ *იცოდე*, რომ ჰავაიზე ლურჯ მარლინს დაიჭერ ღვთის სამეფოს მეშვეობით?“ დაბნეულ, თუმცა დაინტერესებულ დონს მეტის ცოდნა სურდა, და მეც გავაგრძელე ახსნა სამეფოს შესახებ. მარკოზის 11:24 მოვიყვანე, რომელიც ამბობს: „*ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ*!“ დონისთვის ეს, თითქოს ზედმეტად კარგი იყო იმისთვის, რომ დაეჯერებინა. დრო გამოვყავი, რათა დავხმარებოდი, ჩაწვდომოდა სამეფოს და იმას, თუ როგორ გამოეთავისუფლებინა რწმენა. ამრიგად, სანამ სამოგზაუროდ წავიდოდით, მან და მისმა ცოლმა დათესეს, როგორც მე გავაკეთე ჩემი ირმისთვის, ილოცეს თანხმობის ნიშნად და ირწმუნეს, რომ მათ მიიღეს ლურჯი მარლინი.

რაღაც დროის განმავლობაში, ჯონმა ყველაფერი გააკეთა, რაც იცოდა, რათა თავისი მხრიდან მოსავლის ასაღებად ხელი წაეშველებინა. გამოიკვლია შესაძლო გემები და ფასები და საბოლოოდ დაჯავშნა კაპიტანთან, რომლისადმიც დადებითად განეწყო. ყველაფერი მზად იყო და ყველანი მოუთმენლად ველოდით ჰავაის ლურჯ წყლებში წასვლას.

გამგზავრების დღეც დადგა, გემზე ასვლისთანავე აღტაცებით ვუთხარით კაპიტანს, რომ იმ დღეს ლურჯ მარლინს დავიჭერდით. რადგან ის ელოდა რომ წარმატებული დღე გვექნებოდა სხვა თევზების დაჭერაში, დაგვარწმუნა, რომ ის დღე,

„ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ.“

_ მარკოზი 11:24

ლურჯი მარლინის ჭერისთვის ვერ იქნებოდა წარმატებული. ორ გემს ჩარტერული ტურები ჰქონდა ყოველ დღე, ბოლო ოთხი თვის განმავლობაში და მისმა გუნდმა მხოლოდ ერთი ლურჯი მარლინი დაიჭირა მთელი ამ ხნის განმავლობაში. ეს მეტწილად იმ ფაქტის გამო იყო, რომ მარლინი მიგრირებადი თევზი იყო და მისი სეზონი ჯერ არ დამდგარიყო. ჩვენ უარვყეთ ყოველგვარი უიმედობა და პატივისცემით ვუთხარით, რომ ერთს აუცილებლად დავიჭერდით და ამძრავის გამზადება დავიწყეთ.

ექვსი საათი იყო გასული რაც სატყუარა წყალში გადავაგდეთ და ანკესი ერთხელაც არაფერს მოუქაჩავს, უკვე ნერვიულობას ვიწყებდი რომ უმოქმედობას შესაძლოა დონის რწმენა დაესუსტებინა. ჩაფიქრებულმა ხმამაღლა ვკითხე დონს. „დონ,“ გადავძახე მე ჩემი ქანდარიდან მის ზევით ხიდამდე, „ნება მომეცი კითხვა დაგისვა. როდის მიიღე ლურჯი მარლინი, როცა გამოჩნდება თუ როცა ილოცე?“ დონმა დარწმუნებით, მტკიცედ მიპასუხა: „გარი, ეს მარტივია. მე მივიღე ის, როცა ვილოცე.“ აღფრთოვანებული და დარწმუნებული ვიყავი, მისი პასუხის მოსმენის შემდეგ. ახლა უკვე ვიცოდი, რომ დონმა ჩემი მითითებები სერიოზულად მიიღო და განზრახული ჰქონდა მარლინის მიღება.

რამდენიმე წუთის შემდეგ, დონის მასრამ ღრჭიალი დაიწყო, რადგან ზღვისკენ გადაიხარა და ბიჭებმაც დაიძახეს - „თევზია!“

„ძალიან ნუ აენთები,“ გააფრთხილა კაპიტანმა. „მართალია, დიდი თევზია, მაგრამ ლურჯი მარლინი არაა. მარლინები პირდაპირ ზედაპირზე მოდიან და საოცრად ხტებიან ჰაერში, ეს თევზი კი ღრმად რჩება წყალში.“ წუთები გადიოდა, როცა დონი თევზის ამოთრევას აგრძელებდა, რომელიც ზედაპირთან უკვე იმდენად ახლოს იყო, რომ დანახვა შეიძლებოდა. დონზე მეტად დაღლილი თევზი მალე დანებდა და ბრძოლა შეწყვიტა. დონს და მე არ გაგვკვირვებია, როცა მან დიდი, ლამაზი, ლურჯი მარლინი ამოიყვანა, მაგრამ გემზე სხვა ყველა გაოცებული იყო.

დონისა და მისი თევზის სურათი დღემდე ჩემს ოფისში რჩება, როგორც დამოწმება სხვებისადმი და მუდმივი გამხსნებელი ჩემთვის, რომ ღვთის სამეფო რეალურია. გარეგნულად,

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲐᲠᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲖᲔ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲪ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲖᲔ.

უბრალოდ თევზია. მაგრამ დონისთვის, მარლინი ბევრად მეტს ნიშნავდა. თუკი ღმერთის სამეფო მარლინისთვის მოქმედებდა, მაშინ ის ნამდვილად იმოქმედებდა იმ ყველაფრისთვისაც, რაც მას ცხოვრებაში სჭირდებოდა. დონისთვის, ეს იმ გავლენის გაცნობიერების მხოლოდ დასაწყისი იყო, რაც ღვთის სამეფოს შეეძლო, ჰქონოდა მის ცხოვრებაზე.

რამდენიმე ათასი წლით წარსულში დაბრუნდით და გაიგებთ ერთი კაცის, სახელად ნიკოდემოსის შესახებ, რომელმაც იესოს კონკრეტულად ღვთის სამეფოს შესახებ დაუსვა კითხვა. იოანეს სახარების მე-3 თავში უფლის პასუხი წერია: *„ქარი ქრის, სადაც მოისურვებს; მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი, საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისგან არის შობილი“* (მე-8 მუხლი). დონთან ერთად გემზე გატარებული ეს მშვენიერი დღე ამის საუკეთესო მაგალითია.

მაშინ, როცა ვერც მე და ვერც დონი რეალურად ვერ ვხედავდით ღვთის სამეფოს, ჩვენ ნამდვილად დავინახეთ და ვიგრძენით მისი გავლენა, როცა დიდი მარლინი გამოჩნდა იმ დღეს. როგორც ქარს ვერ ვხედავთ, მაგრამ ხილული ეფექტი აქვს ბუნებრივ სამეფოზე, ასევე ღვთის სამეფოც რეალურია და გავლენა აქვს ბუნებრივ სამეფოზე. იმ კანონების სწავლით, რომლებიც ღვთის სამეფოს მართავს, ჩვენს ცხოვრებაზე ცვლილებით გავლენას ვახდენთ, როგორც დონი მოიქცა იმ დღეს.

კარგით, აი კითხვა. როგორ გამოჩნდა ეს მარლინი? არსებობს პასუხი ამ კითხვაზე. უბრალოდ ვერ იტყვი, რომ ეს ღმერთმა გააკეთა. არა, საჭიროა, იცოდე, საიდან ვიცოდით, რომ გამოჩნდებოდა?! შენ მართლა გჭირდება ამის ცოდნა, რადგან შეიძლება იყოს დღე, როცა დაგჭირდება ლურჯი მარლინი, ან ლურჯი მანქანა, ან უბრალოდ სურსათი! ფაქტი ისაა, რომ ამ ამბის მთავარი სათქმელი თევზაობას არ ეხება, ისევე როგორც ჩემი ნადირობის ამბების მთავარი იდეა არაა ირემი. ეს ამბავი გვაჩვენებს სამეფოს შესახებ, თუ როგორ ფუქნციონირებს იგი. არსებობდა მიზეზი, რის გამოც მარლინი გამოჩნდა! იესომ დიდი დრო გაატარა მოწაფეებისთვის ღვთის სამეფოს მოქმედების შესახებ სწავლებაში, მაგრამ ამაზე საუბრის გარდა, ის აჩვენებდა კიდეც.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციეთ! ღვთის სამეფო ისე არ მოქმედებს, როგორც მიწიერი სამეფო, სადაც შენ გაიზარდე. მთლიანად ვერ ჩასწვდები ამას შენი გონებით. ის ნამდვილად მოქმედებს კანონებზე დაფუძნებით, თუმცა იმისგან განსხვავებულ კანონებზე, რასაც შეჩვეულნი ვართ აქ, მიწიერ სამეფოზე. მაგრამ შეგვიძლია ამ კანონების სწავლა. იესო, სადაც კი მიდიოდა, დიდ დროს უთმობდა სამეფოს ამ კანონების ჩვენებასა და სწავლებას მათ შესახებ. ერთ-ერთი ჩემი საყვარელი ისტორიაა, როცა იესომ სამეფო მარკოზის მე-6 თავში წარმოაჩინა. ეს არის ცნობილი ისტორია, როცა იესომ 5,000 კაცი გამოკვება ხუთი პურითა და ორი თევზით. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში გაზრდილს მილიონჯერ მომისმენია ეს ისტორია, არავის არასდროს უთქვამს ჩემთვის, თუ როგორ გააკეთა ეს იესომ.

> *„უკვე გვიანი იყო; მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს: „ეს ადგილი უდაბურია და თანაც უკვე გვიანია. გაუშვი ეს ხალხი გარშემო სანახებსა და სოფლებში, რომ საზრდო იყიდონ თავიანთთვის!“*
>
> *მაგრამ მიუგო მათ და უთხრა: „თქვენ მიეცით მათ საჭმელი!“*
>
> *უპასუხეს: „წავიდეთ, ორასი დინარის პური ვიყიდოთ და ამათ მივცეთ საჭმელად?“*
>
> *უთხრა: „რამდენი პური გაქვთ? წადით, ნახეთ!“*
>
> *ნახეს და უთხრეს: „ხუთი პური და ორიც თევზი.“*
>
> *მაშინ უბრძანა მათ, ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დამსხდარიყვნენ მწვანე ბალახზე. და დასხდნენ მწყობრად, ასასად და ორმოცდაათ-ორმოცდაათად. აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, პურები დატეხა და მოწაფეებს მისცა, რომ მათთვის ჩამოერიგებინათ. ორი თევზიც ყველას გაუნაწილდა. ყველამ ჭამა და გაძღა. დარჩენილი ნატეხებით კი თორმეტი გოდორი გაავსეს. და ხუთი ათასამდე მამაკაცი იყო პურის მჭამელი“.*
>
> – მარკოზი 6:35-44

„იესო, პრობლემა გვაქვს! ხალხს შია და ახლავე თუ არ წავლენ, გვიანობამდე სახლში მისვლას ვერ მოასწრებენ; ამიტომ ვნერვიულობთ.“ ამრიგად, რა უთხრა მათ იესომ? „ღმერ-

თო ჩემო, მართლები ხართ! დროის შეგრძნება სულ დავკარგე; მოდით ახლავე დავამთავროთ შეხვედრა.“ არა, მან მარტივად უპასუხა: „თქვენ გამოკვებეთ!“ რა? ბიბლია 5,000 მამაკაცს ითვლის იქ, მაგრამ ქალების და კაცების ჩათვლით შეიძლება იქ 20,000 ადამიანი ყოფილიყო. ამდენი ადამიანის გამოკვება, თუნდაც რესურსები უკვე იქ გქონოდა, უზარმაზარი დავალებაა, შეუძლებელი დავალებაც კი. დარწმუნებული ვარ, მოწაფეები ვერ უჯერებდნენ იესოს სიტყვებს. მათი პასუხი მის გამოსავალზე მიწიერი სამეფოს ტიპურ აზროვნებას გვაჩვენებს. „მაგრამ, იესო, ამას რვა თვის ხელფასი დასჭირდება! ამდენის დახარჯვას ვაპირებთ პურზე?“ პირველ ყოვლისა, ყურადღება მიაქციეთ, როგორ მაშინვე გადაიყვანეს თავიანთი უზრუნველყოფის ნაკლებობის პრობლემა ეკონომიკის, ტანჯვის და ოფლის მიწიერი სამეფოს წყევლის სისტემაში, ზუსტად რომ ვთქვათ, რვა თვეში.

ერთ დღეს ვლოცულობდი და ღმერთმა მითხრა, რომ ხორციელი აზროვნება მქონდა. დავიბენი; ეს რას ნიშნავდა? გულისთქმასთან მქონდა პრობლემა? არა, ის ჩემს აზროვნებაზე მიუთითებდა და იმაზე, თუ როგორი შეზღუდული ვიყავი, რადგან დედამიწის წყევლის სისტემის აზროვნება ფილტრავდა ჩემს მომავალს იმით, თუ რამდენად სწრაფად ვმართავდი აზრებს. ჩვენ ყველა ვაკეთებთ ამას. თუკი ახალი სახლი გვჭირდება, ჯერ გავარკვევთ: რა ღირს? შემდეგ ვანგარიშობთ, გავწვდებით თუ არა. როგორ ვანგარიშობთ? ვიაზრებთ დედამიწის წყევლაში რამდენად სწრაფად შეგვიძლია სირბილი. ვნახოთ, მე გამოვიმუშავებ 15 $-ს საათში, გამრავლებული 40-ზე კვირაში, უდრის... „ვაჰ, ამ სახლის ყიდვის შანსი არ მაქვს!“ ასე რომ, თავიდან ამოიგდებ, როგორც შეუძლებელს. თუკი ყველა იდეას: რამდენად სწარაფად შემიძლია? - სირბილის ფილტრში გავატარებთ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲦᲔᲘᲡ შევალთ ცხოვრების სამეფოსეულ სტილში, რადგან ღმერთი მიბმული არაა ამ სისტემაზე. ღმერთი მეუბნებოდა, რომ თუკი მსურდა სამეფოს მეშვეობით მიმეზიდა, უნდა დამეწყო ფიქრი სამეფოსეული აზრებით: ყველაფერი შესაძლებელია!

სწორედ აქ იყვნენ მოწაფეები, როცა თქვეს: „ამას რვა თვის ხელფასი დასჭირდება.“ არსებითად, ისინი ამბობდნენ, რომ შეუძლებელი იყო ამდენი ხალხის გამოკვება.

ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ, თუ როგორ ჟღერდა მათთვის იესოს პასუხი: „თქვენ გამოკვებეთ!“ წარმოიდგინეთ, მე თქვენი პასტორი ვარ, რთულ პერიოდს გადიხარ და იპოთეკას

ველარ იხდი. უკვე სამი თვეა დავალიანება გაქვს და მალე სახლს დაკარგავ, ამიტომ, მოდიხარ ჩემთან და მეკითხები, თუ შეუძლია ეკლესიას დაგეხმაროს გადასახადებთან დაკავშირებით, რომ ცოტა ამოისუნთქო. მე შემდეგ ძალიან მშვიდად გეუბნები: „უკეთესი იდეა მაქვს. რატომ არ ადგები და უბრალოდ ყველაფერს არ გადაიხდი? შემდეგ აღარ გექნება გადასახადები.“ შენ, „აშკარად ვერ გაიგო, რას ვეუბნებოდი?!“ მზერით შემომხედავდი. „არა, პასტორო! მგონი არასწორად გამიგეთ. ფული საერთოდ არ გვაქვს. ამიტომაც მოვედით თქვენთან. უბრალოდ გვჭირდება, ეკლესია დაგვეხმაროს, რომ ფეხი ავუწყოთ გადასახადებს.“ მე ისევ მშვიდად გიყურებ და ვამბობ: „არა, გავიგე, რასაც ამბობ და არაჩვეულებრივი გამოსავალი მოგეცი. უბრალოდ უნდა გადაიხადო სრულად, გამოისყიდო სახლი და აღარაფერი გექნება გადასახდელი!“ როგორც პინბოლის მექანიზმი, რომელიც აურევს, იფიქრებთ, რომ ჭკუიდან შევცდი.

ნუ, აი ასე იგრძნობდნენ თავს მოწაფეები. „იესო, სერიოზულად არ ლაპარაკობ, 20,000 ადამიანის გამოკვებაზე, ხომ ასეა? ეს შეუძლებელია. ამისათვის საკმარისი რესურსი არ გვაქვს! და თუ გეგმას დავსახავთ, რომ წავიდეთ, ბევრი ვიმუშავოთ და ეს თანხა მოვიპოვოთ, ორგანიზება გავუწიოთ ვაგონების წასვლას და პურის მოტანას, იმ დროისთვის, როცა პურით დავბრუნდებით, ყველა მკვდარი იქნება. ფულიც რომ გვქონოდა, საკმარისი დრო არ გვაქვს ამის განსახორციელებლად.“ აი როგორ ვპასუხობთ შეუძლებელ რაღაცებს ბუნებაში, როცა გამოსავალს ვერ ვხედავთ. როცა უზრუნველყოფა არ გვაქვს, ჩვენი ხედვა კვდება.

იესოს უპასუხოდ არ მიუტოვებია მოწაფეები ამ სიტუაციაში და არც ეტყოდა მათ, რომ ხალხი გამოეკვებათ, თუკი ამის შანსი არ იყო. მას რეალურად უნდა ეჩვენებინა სხვა სისტემის - სამეფოს მოქმედება. მაშინ როცა მოწაფეები დაიბნენ, იესო თავის თავზე იღებს მოქმედებას.

„რა გაქვთ? წადით და ნახეთ!“ - ამბობს იესო. მოწაფეები დაბრუნდნენ და თქვეს, „ხუთი პური და ორი თევზი ვიპოვეთ.“ მათი ნახვის შემდეგ, იესო სთხოვს მოწაფეებს, მას მიუტანონ საკვები. იგი იღებს პურსა და თევზს, აკურთხებს მათ და მაშინვე უკან აძლევს. ბუნებრივი თვალისთვის, არაფერი შეცვლილა, მაგრამ სულიერ სამეფოში, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოხდა, რაღაც რაც სამეფოს შესახებ ჩვენი გაგების გასაღებია. იესო მიუთითებს მოწაფეებს, დაარიგონ პური და თევზი და ისი-

ნი გაოცებულები უყურებენ: როგორ მრავლდება საჭმელი მათ თვალწინ და კვებავს 20,000 ადამიანს, სანამ მეტის ჭამა აღარ შეუძლიათ. რა მოხდა? როგორ მოხდა ეს?

ამის გასარკვევად, ცოტა უკან უნდა წავიდეთ და კარგად დავაკვირდეთ ამ მოვლენის დეტალებს. სიტყვა „კურთხევა“ პირდაპირი მნიშვნელობით გამოყოფას ან მიძღვნას ნიშნავს. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ როცა იესომ დაილაპარაკა საჭმელზე და აკურთხა ის, პური და თევზი გამოეყო ერთ სამეფოს და მეორეს ნაწილი გახდა. მიწიერ სამეფოში, 20,000 ადამიანის ხუთი პურით და ორი თევზით გამოკვება შეუძლებელია. მაგრამ ღვთის სამეფოსთან ერთად, ყოველივე შესაძლებელია. რეალურად, ისტორია აქ არ მთავრდება. სანამ დამთავრდებოდა, მოწაფეებმა დარჩენილი ნატეხებით 12 გოდორი ააგროვეს. ხუთი პური და ორი თევზი არასაკმარისობიდან 20,000 ადამიანის დაკმაყოფილებამდე მივიდა და ბოლოს იმაზე მეტი დარჩა, ვიდრე თავიდან იყო? აი ესაა სამეფოს სტილი, საკმარისზე მეტი!

როცა როგორც სულიერი მეცნიერი, კარგად დავაკვირდი ამ ისტორიას, იგივე ფორმულა დავინახე, რაც ღმერთმა ირემთან დაკავშირებით მომცა. ირემზე ნადირობით, ღმერთმა მასწავლა, რომ უპირველესად დამეთესა ღვთის სამეფოში იმის ნაწილი, რაც მჭირდებოდა. სწორედ ეს გააკეთა ბიჭმა იმ პურთან და თევზთან მიმართებაში, რაც მას ჰქონდა. მან იგი ღვთის სამეფოს ძალაუფლების ქვეშ მოაქცია და ისიც გამრავლდა, 20,000 ადამიანი გამოკვება და 12 გოდორი ნარჩენები დარჩა. ყურადღება მიაქციეთ, რომ პური პურად გამრავლდა და თევზი - თევზად. აი ასე მუშაობს. შემიძლია დავთესო თევზი ღვთის სამეფოში და იგი თევზად გამრავლდება. მაგრამ რა უნდა გავაკეთო თუ თევზი მჭირდება, მაგრამ დასათესი თევზი არ მაქვს? პასუხია: ფული! გახსოვდეთ, ფული ბარტერული სისტემაა! მე და შენ „სახელს ვარქმევთ“ ფულს ყოველ დღე. ჩვენ ვარქმევთ მას: რძეს, სახლს, ტანსაცმელს, პურს და ნებისმიერ რამეს, რაც ყოველ დღე გვჭირდება. ფული ხდება ყველაფერი, რაც გვჭირდება. ამრიგად, როცა ვთესავთ, შეგვიძლია ფულს სახელი დავარქვათ. იმის ნაცვლად რომ მაღაზიაში ჩავიდეთ და თევზი ვიყიდოთ, რათა თევზი დავთესოთ,

ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲛᲔᲗᲔᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲨᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ.

შეგვიძლია უბრალოდ ფულს დავარქვათ სახელი. ეს შეგიძლიათ გააკეთოთ თქვენი შესაწირით, მაგრამ არა მეათედით, რადგან ღმერთმა უკვე დაარქვა მას სახელი. შეგვიძლია, დავინახოთ, რომ გამრავლების იგივე კანონი მოქმედებს ლუკას მე-5 თავში!

> *„ერთხელ, როცა გენესარეთის ტბასთან იდგა და ხალხი აწყდებოდა მას, რათა ღვთის სიტყვა მოესმინა, დაინახა ტბასთან მდგომი ორი ნავი და მათგან გადმოსული მებადურები, ბადეებს რომ რეცხავდნენ. ავიდა ერთ ნავზე, რომელიც სიმონისა იყო. სთხოვა, ნაპირს ცოტა გაშორებოდა, ჩაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს. ლაპარაკი რომ დაამთავრა, უთხრა სიმონს: „შეცურდით ღრმად და ბადეები ჩაუშვით თევზის დასაჭერად!“*
> *მიუგო სიმონმა პასუხად: „მოძღვარო, მთელი ღამე ვიშრომეთ და ვერაფერი დავიჭირეთ, მაგრამ შენი სიტყვისამებრ ჩავუშვებთ ბადეს!“ ასეც მოიქცნენ და იმდენი თევზი მოიმწყვდიეს, რომ ბადეები ეხეოდათ. ნიშანი მისცეს მეწილეებს მეორე ნავში, რომ მოსაშველებლად მოსულიყვნენ. მოვიდნენ და ორივე ნავი ისე აავსეს, რომ იძირებოდნენ“.*
>
> – ლუკა 5:1-7

როგორც სულიერმა მეცნიერებმა, მოდით კარგად შევხედოთ ამ ისტორიას. როგორ გამოჩნდა ეს თევზები? ხედავთ ამას? იესო მიდის ნაპირზე და პოულობს ნავს, რომელიც უნდა ხალხის ბრბოსთვის საქადაგებლად გამოიყენოს. იგი პეტრეს, ნავის მფლობელს ეკითხება, თუ შეუძლია გამოიყენოს მისი ნავი და პეტრეც პასუხობს, „რა თქმა უნდა!“ მათ უკვე აღარც სჭირდებოდათ, მთელი ღამე ითევზავეს, მაგრამ ვერაფერი დაიჭირეს. მას შემდეგ, რაც იესო გამოიყენებს ნავს, იგი პეტრეს ეუბნება, უკან დაბრუნდეს და ღრმა წყლებში ითევზაოს, რათა თევზი დაიჭიროს. დარწმუნებული ვარ, ამ შეთავაზებამ პეტრე ძალიან გააკვირვა, რადგან პასუხობს: „იესო, მთელი ღამე ვთევზაობდით, მაგრამ ვერაფერი დავიჭირეთ!“ პეტრე პროფესიონალი მეთევზე იყო და იცოდა, როგორ ეთევზავა. მისი გამოცდილებიდან გამომდინარე თევზი უბრალოდ არ იყო იმ ადგილას. ბუნებრივია, უბრალოდ აზრი არ ჰქონდა უკან წასვლას. მათ უკვე ჩაელაგებინათ ამძრავები და იმ წუთას დაამთავრეს ბადეების გარეცხვა.

მე არ მჯერა, რომ პეტრე ამას გააკეთებდა, გარდა იმ შემთვევისა, რომ მან რაღაც ისეთი მოისმინა იესოსგან მისი დაახლოებით ერთ საათიანი ქადაგებისას, რაც მას ისე შეეხო, როგორც არასდროს არაფერი. ამრიგად, ის ამბობს: „რადგან შენ ამბობ, ჩავუშვებ ბადეებს.“ პეტრე კვლავ შევიდა ღრმად წყალში და იმდენად ბევრი თევზი დაიჭირა, რომ მისი ბადეები იხეოდა და ნავი კინაღამ ჩაიძირა. იგი სასოწარკვეთით ეძახდა დანარჩენებს, რომლებიც ისევ ნაპირზე იყვნენ, ისინიც მოვიდნენ და მათი ბადეებიც ლამის დაწყდა და ნავები კინაღამ ჩაიძირა. ბიბლია პეტრეს რეაქციას გადმოგვცემს: იგი განცვიფრებული იყო!

როგორ მოხდა ეს? არსებობს რაიმე გასაღებები და თუ შეგვიძლია, ვიცოდეთ ისინი? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ერთგულების ძალის პრინციპი, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ. როცა პეტრემ ნება მისცა იესოს მისი სათევზაო ნავი გამოეყენებინა, ნავმა და ბიზნესმა სამეფოები შეიცვალეს. მისი ბიზნესი გამოვიდა დედამიწის წყევლის სისტემის მმართველობიდან და ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ მოექცა. ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ ყოფნამ, კანონიერება მიანიჭა ღმერთს, ცოდნის სიტყვა მიეცა იესოსთვის თევზის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ: „იქ, ღრმა წყლებში.“

ასე რომ, მოდით ეს მოვლენა გავხსნათ. იესო თხოულობს სათევზაო ნავს პეტრესგან, რომელიც ახალი დაბრუნებულია გრძელი ღამის შემდეგ, როცა მთელი ღამე თევზაობის მიუხედავად ვერაფერი დაიჭირა. ამ გაცვლაში, ნავები ღვთის სამეფოს მმართველობის ქვეშ შევიდნენ. იესოს ახლა სულიწმიდის მეშვეობით აქვს ცოდნა თევზის ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ. შემდეგ იგი პეტრეს ნავს ზუსტი ადგილისკენ მიმართავს, რის შედეგადაც მისი ნავი ლამის თევზით დაიფარა. პეტრეს მეწილეების ნავებიც ლამის სულ თევზითაა დაფარული, იმდენი დაიჭირეს. მაშ, როგორ დაიჭირეს თევზი? მარტივად რომ ვთქვათ, ზეციდან მომავალი მითითების პირდაპირი სიტყვით. მოდით, თვალი გავუსწოროთ ამ ფაქტს! ყველა დაიჭერს თევზს, თუკი იცის ზუსტად, სად არის? იფიქრეთ იმაზე, რაც ახლა ვთქვით! ღმერთმა ყველაფერი იცის; მას შეუძლია, დაგეხმაროს და გითხრას: რა გააკეთო?

როცა მე და დრენდა გაკოტრებულები ვიყავით და სამეფოს შესახებ სწავლა დავიწყეთ, ღმერთმა ღამით სიზმარი მომცა, რომ დამეწყო ბიზნესი, რომელზეც წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ უნდა დამეწყო. ეს ბიზნესი კვლავ მოქმედია 28

წლის შემდეგ, წლიური ქსელური შემოსავალი ასობით ათასი დოლარია. ამ 28 წლის განმავლობაში მან შესაძლებლობა მომცა მილიონები ჩამედო მსახურებაში და დავხმარებოდი ადამიანებს. როგორ? მე ზეციდან მოვისმინე, ასე რომ, შენც შეგიძლია! ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო!

რამდენიმე წლის წინ ხუთ დღიან კონფერენციას ვატარებდი ღვთის სამეფოს შესახებ. მეორე საღამოს შემდეგ კაცი, სახელად კრისი მოვიდა ჩემთან და მთხოვა მასზე მელოცა. ვკითხე რისთვის სჭირდებოდა ლოცვა. შემდეგ თავისი ისტორია მიამბო. ერთ ადამიანთან ერთად იყო ბიზნესში, რომელმაც ბიზნესის ფული მიითვისა, რამაც მისი გაკოტრება გამოიწვია. მეოთხე ქორწინებაში იყო და არც ის მიდიოდა კარგად, მაშინ როცა ამ დროს მხოლოდ 40 წლის იყო. მან მითხრა, რომ იმდენად დეპრესიაში იყო, დატენილი პისტოლეტი აიღო და აქეთ-იქით სიარულის შემდეგ დახურულ ბენზინ-გასამართ სადგურთან შეჩერდა თავის მოკვლის განზრახვით.

დაახლოებით დილის სამი საათი იყო და როცა იქ იჯდა ამ დატენილი იარაღით, მისმა მობილურმა ტელეფონმა დარეკა. მაშინვე იცნო ნომერი. მისი ყოფილი პარტნიორი იყო. ნამდვილად არ სურდა მასთან საუბარი, ამიტომ არ უპასუხა. ტელეფონი კი ისევ რეკავდა, რეკავდა და რეკავდა. რეალურად, 11-ჯერ დარეკა იმ დროისთვის, როცა კრისმა საბოლოოდ გადაწყვიტა, ეპასუხა. პირველი სიტყვები, რაც მისმა ყოფილმა პარტნიორმა პირიდან ამოუშვა, იყო: „სად ხარ და რას აკეთებ?“ როცა კრისმა უპასუხა, ყოფილმა პარტნიორმა უთხრა: „არ გაინძრე; ახლავე მოვდივარ!“ ამასობაში, მის ძველ პარტნიორს თავისი სიცოცხლე ღვთისთვის მიუძღვნია და უნდოდა ამის შესახებ კრისისთვის გაეზიარებინა. მისდა გასაოცრად, იგრძნო, რომ დილის სამ საათზე სასწრაფოდ უნდა მისწვდომოდა კრისს, და როცა მან არ უპასუხა, მცდელობა განაგრძო.

როცა კრისის პარტნიორი გამოჩნდა, იგი მას უფლისკენ წარუძღვა და კრისის ცხოვრებაც რადიკალურად შეიცვალა. ყველაფერმა დაიწყო გაუმჯობესება. კარგი ეკლესია მოძებნა, მისმა ქორწინებამ დაიწყო გამომჯობინება. ყველაფერი უკეთ მიდიოდა, გარდა მისი შემოსავლისა. კრისს არ ჰქონდა სამსახური და სწორედ ამისთვის მთხოვა ლოცვა. კონფერენციის განმავლობაში, ზუსტად იმას ვასწავლიდი რასაც ამ წიგნში გადმოგცემთ, როგორ შეუძლია, ღვთის სამეფოს საოცრებები ჩაიდინოს ჩვენი საკუთარი შესაძლებლობების მიღმა.

როცა კრისი ფიქრობდა, თუ როგორ შეიძლებოდა სულიწმიდა წაგვძღოლოდა და დაგვხმარებოდა მიმართულებასა და იდეებში, უცებ იდეა მოუვიდა. მას მართლა არ ჰქონდა ფინანსურად ბევრი არჩევანი. მაგრამ დიდებულ ჩიზქეიქს აკეთებდა. მისი განსაკუთრებულობა ჯანსაღ ჩიზქეიქში იყო, რომელიც იცოდა, რომ საუკეთესო იყო. რეალურად, კრისი მეგობრებში ცნობილი იყო როგორც ბიჭი, რომელიც საუკეთესო ჩიზქეიქს აკეთებდა, რაც კი გაესინჯათ. რამდენჯერმე ყოფილა ჯანსაღი კვების ადგილობრივ მაღაზიაში და გაუსინჯავს მათი გამომცხვარი ცომეული, მაგრამ მათ რაღაც აკლდა. კრისს ბევრი არჩევანი არ ჰქონდა, მაგრამ იგრძო რომ ჩიზქეიქების გაყიდვა მისი შანსი იყო. დარწმუნებული იყო, რომ თუ თავის ჩიზქეიქებს ჯანსაღი კვების ადგილობრივ მაღაზიაში მიიტანდა და გაასინჯებდა, მათი გაყიდვა მოუნდებოდათ. ასე რომ, ზუსტად ასე მოიქცა. გამოაცხო ჩიზქეიქი და წინასწარი გაფრთხილების გარეშე ჩაიტანა ჯანსაღი კვების მაღაზიაში. ისე მოხდა, რომ იმ დროს ჯანსაღი კვების მაღაზიების მთელი ქსელის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი სტუმრობდა იმ ფილიალს, ზუსტად მაშინ, როცა კრისი გამოჩნდა. მთავარი აღმასრულებელი დირექტორი დასთანხმდა, რომ გასინჯავდა ჩიზქეიქს და აზრს გააგებინებდა.

იმ საღამოს, კრისი შეხვედრის შემდეგ ისევ ჩემთან მოვიდა დასალაპარაკებლად. მითხრა რა გააკეთა და მთხოვა ისევ მელოცა მასთან ერთად ამ კონტრაქტის შესახებ ჯანსაღი კვების მაღაზიასთან. მოკლედ, შემდეგ დღეს კრისი ისევ მოვიდა ჩემთან და ის ისეთი აღფრთოვანებული იყო! მან მითხრა, რომ მთავარ აღმასრულებელ დირექტორს სურდა მას ჩიზქეიქები გამოეცხო არა მხოლოდ იმ ერთი მაღაზიისთვის, სადაც გასინჯა ჩიზქეიქი, არამედ ყველა მაღაზიისთვის მთელს ქსელში. მან ისიც კი ჰკითხა, თუ კიდევ რისი გამოცხობა შეეძლო. კრისი შოკში იყო! ჩვენდა გასაოცრად, მთავარი აღმასრულებელი დირექტორი კონფერენციის ბოლო დღეს მოვიდა, სადაც წინ გამოვიდა, თავისი გული უფალს მიუძღვნა და სულიწმიდით მოინათლა. ორი კვირის შემდეგ მისგან წერილი მივიღე, სადაც ამბობდა, რომ მასაც სურდა დაეთესა ღვთის სამეფოსთვის. იგი თავისი კომპანიის აქციების ათ პროცენტს ჩვენს მსახურებას აძლევდა - *რწმენით ცხოვრება ახლა*. დაუჯერებელია! ღმერთს შეუძლია აიღოს იდეა და რაღაც დიდი შექმნას არაფრისგან.

თავი 10

შეაგროვე, არ გაიქაფო!

ოდესმე გინახავთ ზაფხულში ცხენი ხანგრძლივი სირბილის შემდეგ? ოფლით არიან დაფარულები; რაღაცნაირი ქაფისებრი ოფლი ფარავთ, რასაც გაქაფვას უწოდებენ. შეხედვისთანავე მიხვდებით, რომ მძიმედ უშრომიათ. ყოველთვის ვიღებ ამ კითხვას: „გარი, იმას ამბობ, რომ არ უნდა ვიმუშაო?“ არა, მე ამას არ ვამბობ და არც ღვთის სიტყვა ამბობს. მაგრამ უზარმაზარი განსხვავებაა იმაში, თუ როგორ მუშაობ. ავიღოთ, მაგალითად, ისტორია რომელიც წავიკითხეთ პეტრესა და მისი მეწილეების შესახებ, რომლებმაც ორი ნავი თევზი დაიჭირეს და თითოეული იმდენად სავსე იყო, კინაღამ ჩაიძირნენ. მათ მთელი ღამე იშრომეს, ცდილობდნენ დაეჭირათ თევზი, თუმცა უშედეგოდ. შემდეგ, რა თქმა უნდა, იესო მოვიდა და ცოდნის სიტყვით აჩვენა, თუ სად იყო თევზი. მათ ამ მომენტშიც იშრომეს, თუმცა ეს სრულიად სხვა სახის შრომა იყო. მათ ნამდვილად იშრომეს ამ თევზების ამოთრევაზე. მაგრამ თევზაობდნენ კი?

ვიცი, აქ სიტყვებით ვთამაშობ. ჩვენ ტერმინს „თევზაობა“ ბევრი რამისთვის ვიყენებთ. ქალი კომპლიმენტზე თევზაობდა. კაცმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, გასაღებზე თევზაობდა. ჩვენ ტერმინ თევზაობას ვიყენებთ, როცა რაიმეს ძებნაზე ვსაუბრობთ. ამრიგად, თევზაობდა კი პეტრე? როცა მე სანადიროდ მივდივარ, გეუბნებით რომ 40 წუთში ირემი ჩემია. მაგრამ, განა ვნადირობ კი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი იცი ზუსტად სადაა თევზი, თევზაობ კი? თუკი ვიცი რომ ირემს მოვინადირებ, არის ეს ნადირობა? ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ განსხვავება დაიჭიროთ. დიახ, მე ვშრომობ, მაგრამ მე მთელი ღამე არ ვშრომობ და არც ისე ხდება, რომ მერე ვერაფერს ვიჭერდე. უპირველესად იმის ქონით, რაც მჭირდება ცხოვრებაში, მე შემიძლია ვიშრომო ღვთის სამეფოში, ვაკეთო მამაჩემის საქმე და აღვასრულო ჩემი მიზანი.

მე ამას შეგროვებას დავარქმევდი!

როცა პეტრე იესოსთან მივიდა მათეს 17:27ბ-ში და ჰკითხა თუ როგორ გადაეხადათ გადასახადები, იესომ შემდეგი რამ უპასუხა:

> *„წადი ზღვაზე და ანკესი ისროლე; და პირველი თევზი, რომელიც ამოყვება, გაუღე პირი და შიგ სტატირს იპოვი! წამოიღე და მიეცი შენთვის და ჩემთვის!“*

ყურადღება მიაქციეთ, იესოს არ უთქვამს: „კარგი, პეტრე, ჩვენ გადასახადები გვაქვს გადასახდელი. გეტყვი, რაც უნდა გააკეთო, წახვალ ქალაქში დაახლოებით სამი თვით, იშოვი სამსახურს, ფულს გამოიმუშავებ და მას შემდეგ, რაც ჩვენი გადასახადებისთვის საკმარისი თანხა გექნება, გუნდსაც დაეწევი!“ არა, იესოს ეს არ უთქვამს. რატომ? რადგან პეტრეს მოუწევდა თავისი დანიშნულების მიტოვება და ფულზე გაკიდება, თუკი იგი აზროვნების დედამიწის წყევლის სისტემას დაუბრუნდებოდა. ამის ნაცვლად იესო გვაჩვენებს, როგორ მოქმედებს სამეფო და როგორ უნდა ვიფუნქციონიროთ, სანამ აქ, მიწიერ სამეფოზე ვართ. პეტრეს პასუხი, შენი პასუხიცაა. იესომ მარტივად უთხრა პეტრეს, თუ სად იყო უზრუნველყოფა, რა მეთოდი სჭირდებოდა მის მოსაპოვებლად, და ზუსტად რა უნდა ეძებნა. ყველაფერი, რაც პეტრეს უნდა გაეკეთებინა, იყო წასულიყო და შეეგროვებინა.

როცა იესოს და მის მოწაფეებს ვუყურებთ, ისინი ძირითადად განცვიფრებულები და შოკირებულები იყვნენ, როდესაც სამეფოს მოქმედებას ხედავდნენ. როდესაც იესომ სიტყვით გაახმო ლეღვის ხე მარკოზის მე-11 თავში, ბიბლია ამბობს, რომ პეტრეს გაუკვირდა. როცა ლაზარე საფლავიდან გამოვიდა მას შემდეგ, რაც მკვდარი იყო ოთხი დღე, ისინი გაოცდნენ. როცა პეტრემ, იაკობმა და იოანემ მთელი ეს თევზები დაიჭირეს, მათ კვლავ გაუკვირდათ. მე და დრენდა ვოცდებოდით, პირი ღია გვრჩებოდა და ვამბობდით: „ეს დაინახე?“ და ეს წლების განმავლობაში ხდებოდა, ვაგრძელებდით რა იმის შესწავლას, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო. რადგან სულიწმიდის დახმარებით შეგროვებაზე ვსაუბრობთ, მათეს მე-6 თავი უნდა მოგიყვანოთ. ჩემს ბიბლიაში ამ ნაწილს ასეთი ქვესათაური აქვს, „ნუ დარდობთ!“ ძალიან მომწონს ეს.

„არავის შეუძლია ორ ბატონს ემსახუროს: ან ერთი უნდა სძულდეს და მეორე უყვარდეს; ანდა იმ ერთს შეეთვისოს და მეორე მოიძულოს. ვერ შეძლებთ, ღმერთსაც ემსახუროთ და მამონასაც!

ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ წუხხართ თქვენთვის, რა ჭამოთ ან რა სვათ, ნურც თქვენი სხეულისთვის, თუ რითი შეიმოსოთ! განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არ არის და სხეული - სამოსელზე? შეხედეთ ცის ფრინველებს: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებში აგროვებენ, და თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ. განა თქვენ მათზე ბევრად უკეთესები არ ხართ? ანდა, რომელ თქვენგანს შეუძლია დარდით ერთი წყრთა მაინც შემატოს თავის სიმაღლეს?

სამოსელზე რაღად დარდობთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი მთელ თავის დიდებაში არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი. თუკი მინდვრის ბალახს, რომელიც დღეს არის, ხვალ კი თონეში ჩაიყრება, ღმერთი ასე მოსავს, თქვენ უფრო მეტად არა, მცირედ მორწმუნენო?!

მაშ, ნუ დარდობთ და ნუ ამბობთ: რა ვჭამოთ, ან რა ვსვათ, ან რით შევიმოსოთო? რადგან ყოველივე ამას წარმართნი ეძებენ; ვინაიდან იცის თქვენმა ზეციერმა მამამ, რომ გჭირდებათ ეს ყოველივე. თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღვთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ! მაშ, ნუ დარდობთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე! ყოველ დღეს საკმარისად აქვს თავისი გასაჭირი.“

– მათე 6:24-34

იესო ამბობს, რომ ორ ბატონს ვერ ემსახურები. შეიძლება იფიქრო, რომ შეგიძლია, მაგრამ არ შეგიძლია. მხოლოდ და მხოლოდ ერთი გეყვარება. და მე გეტყვი რომელიც. რომელსაც ენდობი, რომ შენს საჭიროებებს დააკმაყოფილებს. როცა უფალი დამელაპარაკა იმ ძველ ფერმაში, რომ არასდროს გამოვყოფდი დროს იმის შესასწავლად, თუ როგორ მოქმედებდა მისი სამეფო, ის მეუბნებოდა, რომ რეალურად ის არ იყო ჩემი ბატონი. ის არ იყო, რომელშიც სრულიად დარწმუნებული ვიყავი,

რომელსაც ვემსახურებოდი და ვენდობოდი. ოჰ, რა თქმა უნდა, ეკლესიაში დავდიოდი, გულუხვი ვიყავი, და ვიცოდი რომ ზეცაში მივდიოდი. მაგრამ არასდროს გამომიყვია დრო ღვთის ფინანსების სისტემის და მისი სამეფოს მოქმედების პრინციპების შესასწავლად.

> *„რადგან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქ არის“.*
>
> – ლუკა 12:34

ნელა წაიკითხეთ: „*რადგან, სადაც თქვენი საუნჯეა, თქვენი გულიც იქ არის.*“ ბევრს ამ ფრაზის შემობრუნება და ისე თქმა მოსწონს: „სადაც თქვენი გულია, თქვენი საუნჯეც იქ იქნება.“ მაგრამ ეს მუხლი ამას არ ამბობს და ასე არ მოქმედებს. ადამიანები ფიქრობენ, რომ ეს ნიშნავს, მათ შეუძლიათ უყვარდეთ ღმერთი კვირა დილას და იქ იქნება მათი საუნჯეც. ეს **ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘᲐ**! სისტემა, რომელსაც ენდობი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, არის ის, სადაც შენი საუნჯეა.

იესო ამბობს, რომ ჩვენ ყველაფერი შემობრუნებული გვაქვს!

ღმერთს სურს, რომ ის იყოს პირველი ჩვენს ცხოვრებაში და არა ფული. თუკი ფულია ჩვენი საუნჯე, ის იქნება პირველი, მოითხოვს ჩვენს დროს, ჩვენს პრიორიტეტებს, ყურადღებას. აი რატომ არ უნდა დაეტოვებინა პეტრეს თავისი დანიშნულება, რომ წასულიყო და ფული გამოემუშავებინა, როცა გადასახადის გადახდის დრო მოვიდა?! აი რატომ უნდა გაგვწვრთნას ღმერთმა, რომ მოვაგროვოთ და არ გავიქაფოთ?! იესომ უნდა გვასწავლოს სამეფოს სტილი, როგორ ვენდოთ ღმერთს ჩვენი უზრუნველყოფისთვის, ამრიგად გამოვათავისუფლოთ გულები, რომ გვიყვარდეს ღმერთი მთელი გულით! იესომ თქვა, „*განა სიცოცხლე საზრდოზე მეტი არ არის და სხეული - სამოსელზე?*“ ის ამბობდა, რომ სიცოცხლე რაღაცების ქონა არაა. ცხოვრების მიზანია, რომ ეს რაღაცები შენ და დედამიწაზე შენს დანიშნულებას გემსახურებოდეთ.

ᲗᲣᲙᲘ ᲤᲣᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲜᲯᲔ, ᲘᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲡ, ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ.

და მაინც რას ვხედავთ? ადამიანთა უმრავლესობა გაუჩერებლად დარბის და ამ რაღაცებს ემსახურება. ხალხი დარბის გირაოს გადასახდელად, ქვითრების გადასახდელად. იესო ამბობს, რომ ესაა

სიცოცხლე! ახლა მხარს ნუ დამიჭერთ და იტყვით: „ხედავთ, იესო თვითონ ამბობს, რომ რაღაცების ქონა ცუდია!“ არა, ის არ ამბობს. მან 33-ე მუხლში თქვა, რომ თუ ჯერ ღვთის სამეფოს და მის სიმართლეს ეძებ, ყველაფერი დანარჩენი შეემატება შენს ცხოვრებას. საქმე იმაში არაა, სად ვიპოვით პრობლემას; ეს გულია. თუ ღმერთს არ სურს, რომ რაღაცები გვქონდეს, იესო ასეც იტყოდა. ამის ნაცვლად, ის ამბობს რომ ის ყველაფერი რასაც მსოფლიო ეძიებს, შეემატება ჩვენს ცხოვრებას, თუკი ღვთის გზით ვიცხოვრებთ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოვრება რაღაცებს არ ემსახურება, მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანების უმრავლესობა სწორედ ასე იქცევა. მათ არ აქვთ არჩევანი; მონები არიან. შეუძლებელია, ორ ბატონს ემსახურო და რაღაცების მსახურება ცხოვრება არაა. იესო აგრძელებს, რომ განმარტოს სხვა სისტემა, ფინანსური მშვიდობისა და უზრუნველყოფის ადგილი, რომელიც განთავისუფლებს, რომ იცხოვრო. ამას სამეფო ეწოდება.

მათეს მე-6 თავში, სწავლებაში იესო ორ მაგალითს გვაძლევს იმისას, თუ როგორია სამეფო. ის ამბობს: „*შეხედეთ ცის ფრინველებს: არც თესავენ, არც მკიან, არც ბეღლებში აგროვებენ, და თქვენი ზეციერი მამა ასაზრდოებს მათ*“ (26-ე მუხლი).

ჩიტებს არ აქვთ თბილი ფერმები!

ისინი თავის თავზე არ იღებენ ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებას. არა, მამა კვებავს მათ. მათ უბრალოდ უნდა მოაგროვონ ის, რაც სჭირდებათ ყოველდღიურად. ხედავთ ამას? მათ არ უწევთ საკუთარი სიცოცხლისთვის ტანჯვა და ოფლის ღვრა. ისინი აგროვებენ!

მცენარეები არ შრომობენ და წრიალებენ!

> *„სამოსელზე რაღად დარდობთ? შეხედეთ ველის შროშანებს, როგორ იზრდებიან: არც შრომობენ, არც ართავენ. მაგრამ გეუბნებით თქვენ, რომ სოლომონიც კი მთელ თავის დიდებაში არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი.“ (28-ე მუხლი).*

მცენარეები საკუთარ თავს ტანჯვითა და ოფლით არ მოსავენ. არა, მამა მოსავს მათ! იესო აგრძელებს და მე და შენ პასუხს გვეუბნება. არსებობს ცხოვრების სხვა სტილი, სამეფოს სტილი! იესო ამბობს: „*თქვენ კი უწინარეს ყოვლისა ღვთის სამეფო და მისი სიმართლე ეძიეთ, ხოლო ყოველივე ეს შეგემატებათ*“ (33-ე მუხლი). რას ნიშნავს „ეძიეთ ღვთის სამეფო“? ეს ნიშნავს, გამოარკვიეთ, როგორ მოქმედებს იგი! ისწავლეთ კანონები, რომლებიც მას მართავენ! ისწავლე როგორ მუშაობს ღვთის სისტემა!

თუკი თვითმფრინავიდან იმ ქვეყანაში უნდა ჩამოგსვა, სადაც ჯერ არასდროს ყოფილხარ. შენი პირველი დავალება იქნება, გაიგო, თუ როგორ მოქმედებს ეს სამეფო: როგორ ჭამენ, როგორ ყიდულობენ და ყიდიან, კანონები, რაც ამ ქვეყანას მართავს. იგივეა ღვთის სამეფოს შემთხვევაშიც. უნდა ისწავლო, თუ როგორ მოქმედებს ღვთის სამეფო, რათა ისიამოვნო მის ნაწილად ყოფნის უპირატესობებით. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, თუ რამდენს ვკარგავდი, როცა არ ვიცოდი, თუ როგორ მოქმედებდა იგი. შენი პასუხი მარტივია. შენ ფინანსური რევოლუცია გჭირდება. რევოლუციისას ადამიანები ჯანყდებიან დადგენილი ხელისუფლების წინააღმდეგ და ახალი ხელისუფლება მოჰყავთ. იგივე უნდა გააკეთო! დედამიწის წყევლის სისტემის ეს ძველი ხელისუფლება უნდა მოიშორო მთელი მისი ნაკლოვანებითა და სასოწარკვეთით და ისიამოვნო ცხოვრების ახალი სტილით - ღვთის სამეფოში ცხოვრებით, ახალი კანონებით ნაკლოვანებების გარეშე და დიდი სიხარულით!

თავი 11

ფრენა, სიარულზე უფრო ადვილია!

ისტორიაში უკან რომ დაბრუნებულიყავი და ნიუ იორკიდან სან ფრანცისკოში ყოფილიყავი წასასვლელი, გემით უნდა წასულიყავი. პანამის სრუტის გახსნამდე მოგზაურობას ერთი წელიც კი შეიძლება დასჭირვებოდა, რათა სამხრეთ ამერიკისთვის შემოგევლო. მოგვიანებით, როცა ორეგონის კვალი მოათავსეს თავის ადგილას, ამას ოთხ თვეში შეძლებდი. ახლა, ოთხ საათში შეგიძლია იქ მოხვედრა. როგორ? ახალ კანონში, აწევის კანონში მოქცევით. ეს აწევის კანონი, ყოველთვის არსებობდა, ჩიტები მას ყოველ დღე იყენებდნენ, მაგრამ ადამიანებს არ ესმოდათ. როგორც ფრენის ბუნებრივი კანონები, ქრისტიანთა უმრავლესობამ უბრალოდ არ იცის ზეციური სამეფოს კანონების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დიდ ნაწილს მათ კითხვაში ატარებენ. ღვთის სამეფო აქაა, იგი შენშია და შენ კანონიერი უფლება გაქვს ისიამოვნო მისი უპირატესობებით. ბუნებრივ სამეფოში ფრენის კანონები არ აუქმებენ გრავიტაციის კანონს, ისინი მას გვერდს უვლიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ მოქმედებ იმ კანონებით, რაც ფრენას მართავს, დაფრინავ, მიუხედავად იმისა, რომ გრავიტაციას კვლავ აქვს გავლენა. უნდა დამეთანხმო, რომ ბევრად მარტივია იფრინო ოთხი საათი, ვიდრე ერთი წელი გემით იმოგზაურო! მაშინ, დაიწყე რაღაცების სწრაფად გაკეთება და შენი ძველი მეთოდები უკან მოიტოვე.

ოდესმე გინახავთ სამეფო პეპელა? აქ, ოჰაიოში, შემოდგომაზე ასობით სამეფო პეპელას დაინახავთ, რომლებიც სამხრეთში მიფრინავენ გამოსაზამთრებლად. ისინი მექსიკაში იმოგზაურებენ, 3,000 კილომეტრ მანძილზე. მაგრამ აი, რა უნდა დაიჭიროთ?! ისინი იქ არასდროს ყოფილან მანამდე! საიდან იციან, როგორ წავიდნენ ან როდის წავიდნენ? თუკი ღმერთმა სამეფო

პეპლის გადასარჩენად შექმნა გზა, მას შენთვისაც აქვს გზა. როგორ აკეთებს ამას პეპელა?

ამ ტერმინს მეტამორფოზა ჰქვია. სიტყვის ძირია „მორფო“ რაც ცვლილებას ნიშნავს. ადამიანების დიდმა ნაწილმა იცის, რომ სამეფო პეპელა ცხოვრებას პეპლად არ იწყებს, იგი თავიდან მუხლუხოა. მუხლუხოს ფაზაში ისინი რძე-წვენის შემცველ მცენარეზე ცხოვრობენ და იზრდებიან ზომაში მანამ, სანამ საბოლოოდ მთავარი ცვლილებისთვის არ იქნებიან მზად. გარკვეულ ზომამდე გაზრდის შემდეგ, ისინი ჭუპრად ყალიბდებიან, ეს არის ჯავშნის მსგავსი, რომელსაც მუხლოხო თავად შემოიხვევს გარს 7-დან 15 დღეში. შემდეგ, ჭუპრიდან პეპელა გამოძვრება, რომელიც მუხლუხოსგან სრულიად განსხვავებულად გამოიყურება და მოქმედებს. იგი ცხოვრობს და თავი გააქვს არსებობის სრულიად ახალ დონეზე. იგი დაფრინავს! ერთი მცენარით შეზღუდვის ნაცვლად, ახლა შეუძლია, იფრინოს ყველგან, სადაც კი მოისურვებს. იგი ლამაზია და მთელ ბუნებაში უბადლო სინატიფე და სინარნარე აქვს.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი რამ, რაც მას გამოარჩევს, არის უნარი, გაფრინდეს პრობლემისგან. ხედავთ, სამეფო პეპელას უბრალოდ არ შეუძლია იცხოვროს ყინვიან ზამთრის თვეებში, რაც ნორმალურია ჩრდილოეთის კლიმატისთვის. იგი მოკვდება. მაგრამ ღმერთმა შექმნა გზა მისი ქმნილებისთვის, რომ გაფრინდეს პრობლემისგან, იმით რომ 3,000 კილომეტრი იფრინოს ადგილამდე, სადაც მანამდე არ ყოფილა. საიდან იცის თუნდაც იქ წასასვლელი გზა? ამას როგორ აკეთებს? მეტამორფოზით. და ბიბლია ამბობს, რომ იგივე პროცესით, შეგიძლია იფრინო შენს პრობლემებზე მაღლა, ისეთ სიტუაციებშიც კი, სადაც წარმოდგენა არ გაქვს, როგორ გაუმკლავდე, როგორც სამეფო პეპელა.

სტივი, ჩემი მეგობარი, მანქანით მიდიოდა სახლში ღამით და ირემს დაარტყა. მან მანქანა მთლიანად შეანგრია. სამწუხაროდ, ოჯახის მინივენს, მათი ერთადერთი გადაადგილების საშუალებას, ძრავი ერთ კვირაში გაუფუჭდა. სტივის სადაზღვევო კომპანია უზრუნველყოფდა სტივს ორ კვირიანი უფასო იჯარით მისი მანქანის დანაკარგისთვის, მაგრამ მინივენი ვერც ერთ დაზღვევის დაფარვაში ვერ მოხვდა, რომ ჩანაცვლებაში დახმარებოდა. სტივმა და ქერენმა არ იცოდნენ: რა გაეკეთებინათ? სტივის ბიზნესი მისგან მანქანის ქონას მოითხოვდა, რადგან იგი გაყიდვებზე მუშაობდა და ყოველ საღამოს აქეთ-იქით დადიოდა შეკვეთებზე.

უკვე საკმაოდ ბევრი ჰქონდათ ნასწავლი სამეფოს შესახებ, რათა მიმხვდარიყვნენ რომ ღმერთი იყო მათი პასუხი. ამ დროს

მათ არ ჰქონდათ გადანახული ფული, რათა მანქანა ჩაენაცვლებინათ. ამრიგად, იცოდნენ, რომ მათი ერთადერთი იმედი ღმერთი და სამეფო იყო. უფასოდ ქირაობის ორი კვირა სწრაფად უახლოვდებოდა დასასრულს და პასუხი ჯერაც არ ჩანდა. მათდა გასაოცრად, ნაქირავები მანქანის უკან დაბრუნების წინა ღამით სტივს ტელეფონზე დაურეკა კაცმა, რომელმაც განაცხადა რომ ჰქონდა მანქანა, რომლის გაცემაც უნდოდა. რადგანაც იცოდა, რომ სტივი ჩემს ეკლესიაში დადიოდა, მას დაურეკა და ჰკითხა თუ იცნობდა ოჯახს ეკლესიაში, რომელსაც მანქანა სჭირდებოდა. სტივმა სწრაფად აუხსნა თავისი სიტუაცია და უთხრა, რომ მადლობელი იქნებოდა, თუკი მანქანას ის და მისი ოჯახი აიღებდნენ. ეს დიდებული იყო, მაგრამ სტივს ექვსი შვილი ჰყავდა და მათ ერთი პატარა მანქანა არ ეყოფოდათ. თუმცა ეს მანქანა გამოჩნდა, რამაც ისინი გაამხნევა.

შემდეგ კვირა დღეს, ორივენი წინ გამოვიდნენ ეკლესიაში და მთხოვეს, მელოცა მათი მომავალი მანქანის შესახებ. ქერენმა მითხრა: „პასტორო, ჩვენ გვწამს, რომ რწმენით ვიღებთ ჰონდა ოდისეის მინივენს და გვინდა თქვენც დაგვეთანხმოთ ამაში, რადგან გვინდა მისთვის დავთესოთ!“ ვუთხარი, რომ აუცილებლად ვილოცებდი და ვილოცეთ. მართლა არ მახსოვს ზუსტად რამდენი კვირა გავიდა, ალბათ სამი ან ოთხი, როცა მათთან სტუმრად მივედით. სტუმრობისას სამზარეულოში შევედით და მაცივრის კარზე ჰონდა ოდისეის სურათი დავინახეთ. ქერენმა თქვა, რომ ყოველდღე, როცა მაცივრის კარს გამოაღებდა, ხელებს დაასხამდა სურათს და ღმერთს მადლობას უხდიდა მინივენისთვის.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, მდივანმა დამირეკა და მითხრა: „პასტორო, საინტერესო ზარი მივიღეთ!“ ერთ კაცს სურდა ეკლესიისთვის მინივენი ეჩუქებინა. ამ დროს, არავინ იცოდა, როგორ გამოათავისუფლეს სტივმა და ქერენმა რწმენა ახალი მინივენისთვის, არც ის იცოდნენ, როგორი მანქანა უნდოდათ. „რა მანქანაა?“ - ვკითხე ჩემს მდივანს. „ჰონდა ოდისეი“ - მიპასუხა მანაც. „რა მდგომარეობაშია?“ - მან მითხრა, რომ იმ კაცის თქმით მანქანა იდეალურ მდგომარეობაში იყო, ნაკაწრიც კი არ ჰქონდა და 110 000 კმ. ჰქონდა გარბენი. მდივანს ვუთხარი, რომ ვიცოდი, სად უნდა წასულიყო მინივენი. დრენდას მანქანის შესახებ ვუთხარი და ვთხოვე ქერენისთვის დაერეკა. დრენდამ დაურეკა და ჰკითხა: როგორ მიდიოდა საქმეები? რაიმე წინსვლა ხომ არ ჰქონდათ მანქანის საჭიროებასთან დაკავშირებით? ქერენის პირველი სიტყვები იყო: „ნუ, ერთი დღით უფრო ახლოს ვარ მიზანთან!“

„ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ახლოს ხარ, მოდი და წაიყვანე!“ - უთხრა დრენდამ.

ძალიან მიყვარს ასეთი ამბები, თქვენ არა? ისტორია გრძელდება, რამდენადაც სტივმა და ქერენმა მეტი თავდაჯერებულობა შეიძინეს იმაში, რომ სამეფო უზრუნველყოფდა მათ.

იმ დროისთვის, სტივსა და ქერენს სახლი უნდოდათ. რამდენიმე წლის განმავლობაში ქირაობდნენ, და იგრძნეს, რომ დრო იყო, საკუთარი სახლი ჰქონოდათ. ისევ არ ჰქონდათ საკმარისი თანხა, რომ ეყიდათ. უამრავი ბანკი შემოიარეს მიწის საყიდლად, თუმცა ყველა ერთსა და იმავეს მოითხოვდა, 50% წინასწარ შენატანს. ამ დროისთვის, ამ ახალგაზრდა ოჯახს ჯერ არ ჰქონდა საკმარისი ფული ხელთ. ქერენი იმედგაცრუებული იყო და ამის შესახებ მკითხა. დავეთანხმეთ, რომ ღმერთი გზას გამოაჩენდა. ამრიგად დაიწყეს სხვადასხვა ადგილების და სახლების ძებნა.

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲕᲖᲦᲣᲓᲐᲕᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲔᲑᲡ, ᲘᲛᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲕᲬᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲣᲒᲠᲐᲚᲝᲓ ᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲗ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ, ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

ერთ-ერთ ნანახ საკუთრებას თვალი დაადგეს. ისეთ ადგილას იყო, სადაც სახლის აშენება სურდათ და მხოლოდ 55,000 $ ღირდა 22 ჰა. მაგრამ, მათ ისევ არ ჰქონდათ წინასწარი შენატანისთვის საჭირო თანხა. ამ დროს ერთი პატარა სოფლის ბანკის შესახებ გავიგე, რომელიც ორი საათის სავალზე იყო და აქციების სანაცვლოდ აღარ ითხოვდა წინასწარ შენატანს. ეს ძალიან იშვიათი იყო ცარიელი მიწის შემთხვევაში. ამის შესახებ ვუთხარი და ბანკში წასასვლელად დრო შეათანხმეს. მიწა 100,000$-ად შეფასდა და ბანკმა თანხა საერთოდ არ მოითხოვა. ამრიგად, მათ იყიდეს მიწა ყოველგვარი წინასწარი შენატანის გარეშე და ამ მშვენიერ, სოფლის ტერიტორიაზე საყვარელი სახლი ააშენეს ასევე წინასწარი შესატანის გარეშე. სტივი და ქერენი დღემდე აგრძელებენ წარმატების მიღწევას სამეფოს გზით, ჩემი და დრენდას მსგავსად.

ასეთი ისტორიები ეკლესიის ყველა წევრზე მაქვს და იგივე სახის ისტორიებს ველი თქვენი ცხოვრებიდანაც. ღმერთს საოცარი და ზოგჯერ უცნაური რაღაცების გაკეთება შეუძლია ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ხშირად, ვზღუდავთ საკუთარ თავებს, იმით რომ შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვწონით

მომავალს. მაგრამ ღმერთთან ერთად, ყველაფერი შესაძლებელია, თუ უბრალოდ ნებას მივცემთ ღვთის სიტყვას, შეცვალოს ჩვენი აზროვნება. *„და ნუ მიესადაგებით ამ წუთისოფელს, არამედ გარდაისახენით თქვენი გონების განახლებით, რათა შეიცნოთ, რა არის ღვთის ნება - კეთილი, სასურველი და სრულყოფილი“.*

– რომ. 12:2

როგორც მორწმუნეები, არ უნდა შევესაბამებოდეთ ქვეყნიერების თარგს. პავლე დედამიწის წყვევლის სისტემაზე და მისი ცხოვრების სტილზე საუბრობს, განსკუთრებით იმაზე, თუ როგორ ვაზროვნებთ. ოდესმე შეგიკერავთ კაბა ან აგიშენებიათ რაიმე პროექტის მიხედვით? თუკი არ მოგეწონებოდათ, რაც გამოვიდა და თავიდან იგივე თარგის მიხედვით სცდიდით, რა გამოვიდოდა? იგივე შედეგს მიიღებდით. ამრიგად, პავლე ამბობს, რომ უნდა გარდავისახოთ ჩვენი გონების განახლებით; უნდა შევცვალოთ თარგი, რომლის მიხედვითაც ვცხოვრობთ. ქვეყნიერებისგან განსხვავებულად უნდა ვფიქრობდეთ!

სიტყვა „გარდასახვა“ იგივეა, რაზეც ახლახანს ვისაუბრეთ, „მორფო“, რაც ცვლილებას ნიშნავს. ჩვენ მეტამორფოზა გვჭირდება! გვჭირდება ღმერთივით ვიფიქროთ! გვჭირდება სამეფოსთვის დამახასიათებელი ფიქრები გვქონდეს! მახინჯი, გამომწყვდეული, ზამთარში სიკვდილისთვის განწირული მუხლუხოს პერსპექტივის ნაცვლად გვჭირდება ღმერთს მივენდოთ ცხოვრების სრულიად ახალი გზით. მაშინ, და მხოლოდ მაშინ შევძლებთ გადავაფრინდეთ ჩვენს პრობლემებს და ვიქნებით აღჭურვილნი იმის ცოდნისთვის, თუ რა არის ღვთის სრულყოფილი და სასურველი ნება ყველა სიტუაციაში. თუკი ფიქრის ასეთ ცვლილებას არ მოვახდენთ, ჩვენი ძველი წყობის გონება გამუდმებით იტყვის: „არა, არა, მე ამას ვერ შევძლებ! არა, ვერ ვხედავ, ეს როგორ შეიძლება მოხდეს?!“

ოდესმე ვიფიქრებდით რომ მახინჯი მუხლუხო შეძლებდა ასეთი მოხდენილობითა და სრულყოფილებით ფრენას? მუხლუხოს ყურებით და იმ 3,000 კმ.-იან მოგზაურობაზე ფიქრით, რაც უნდა გიაროს, თავს გააქნევდი და იტყოდი: „ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ!“ მაგრამ ღვთის სამეფოში ყველაფერი შესაძლებელია. მე შემომხედეთ! როცა ჩემი სატელევიზიო გადაცემა იწყება, მე ფინანსურ ექსპერტად ვარ მოხსენიებული. ზოგჯერ მახსენდება წარსულში ჩემი მუხლუხობის დღეები და ვამბობ: „ეს საოცარია!“

ფრენაზე საუბრისას, უნდა გიამბოთ, რომ, როცა მე და დრენდამ დავიწყეთ სამეფოს მოქმედების შესწავლა, გადავწყვიტე,

რომ თვითმფრინავი მინდოდა. 19 წლის ასაკიდან პილოტი ვიყავი და ყოველთვის ვქირაობდი თვითმფრინავებს, მაგრამ არასდროს მქონდა ჩემი საკუთარი. რა თქმა უნდა, იცით რატომაც; ფული არ მქონდა. ერთ დღესაც გადავწყვიტე, რომ ეს სიგიჟე იყო; თვითმფრინავი სულაც არ არის რთული ღვთის სამეფოსთვის. რატომ ვზღუდავდი სამეფოს იმით, რაც ჩემი აზრით შეუძლებელი იყო ჩემთვის? ამრიგად, ჩეკი გამოვწერე, დავაწერე „ჩემი თვითმფრინავისთვის“ (და დეტალები ჩამოვწერე). ხელები დავასხი და გავაგზავნე, ვირწმუნე რომ მარკოზის 11:24-ის თანახმად, ლოცვისთანავე მივიღე თვითმფინავი.

> *“ამიტომ გეუბნებით, ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ.“*

ერთი თვეც არ იყო გასული, როცა ექიმთან მივედი რეგულარული კვლევისთვის. გაოცებული ვიყავი როცა, სრულიად მოულოდნელად, ექიმმა თქვა: „ვინმე ხომ არ იცი, ვისაც თვითმფინავის შეძენა სურს?“ უცნაურად მომეჩვენა. „როგორი თვითმფრინავის?“ ვკითხე მე. გაოცებული და აღფრთოვანებული ვიყავი, რადგან ზუსტად ისეთი თვითმფინავი აღმიწერა, როგორიც ვირწმუნე ლოცვისას. ასე რომ, ვკითხე: სად შემეძლო მისი ნახვა? მითხრა, რომ ჩემი სახლის გვერდით, სოფლის აეროპორტში იყო. ნება მომეცით, აგიხსნათ! ჩემი სახლი სოფლის აეროპორტის ბოლოშია. ყველა თვითმფინავმა დაშვებამდე ჩემს სახლს უნდა გადაუფრინოს. მთელი დღის განმავლობაში თვითმფინავების გადაფრენ-გადმოფრენის ყურება და ის ფაქტი, რომ ასაფრენი ბილიკი ჩემი სახლის კარებიდან 1.5 კმ.-ში იყო, ნიშნავდა რომ უბრალოდ უნდა მქონოდა თვითმფრინავი!

ასე რომ, დავურეკე მეგობარს, რომელიც მთელი ცხოვრება დაფრინავდა და ამავდროულად ფრენის ინსტრუქტორი იყო, რათა ჩემთან ერთად წამოსულიყო ამ თვითმფრინავის სანახავად. როგორც კი თვითმფინავი კარგად ვნახეთ, ვიცოდი, რომ ეს ჩემი თვითმფინავი იყო; იგი სრულყოფილი იყო! ზუსტად ის იყო, რაც მინდოდა. თუმცა, ერთი პრობლემა მქონდა, იგივე პრობლემა, რასაც წლების განმავლობაში ვაწყდებოდი, როცა საქმე თვითმფრინავის ყოლას ეხებოდა, საჭირო ფული არ მქონდა. გქონიათ ოდესმე ეს პრობლემა? ამ დროისთვის უკვე აღარ ვაპირებდი შიშის გამო უკან დახევას. ვიცოდი, რომ ეს ჩემი თვითმფრინავი

იყო; უბრალოდ ჯერ არ ვიცოდი, როგორ აპირებდა ღმერთი ამ თანხის გამოჩენას.

რამდენიმე თვით ადრე მე და დრენდა ჩვენი კომპანიის ოფისისთვისთვის ადგილს ვეძებდით. ვიცოდით, სად გვინდოდა ჩვენი ბიზნესის ადგილმდებარეობა ყოფილიყო, მაგრამ იმ ტერიტორიაზე არაფერი იყიდებოდა; ამიტომ სხვა ადგილებშიც დავიწყეთ ძებნა. რამდენიმე შენობა ვნახეთ, რომელიც თითქმის ვიყიდეთ, მაგრამ სულში ვიგრძენით რომ უნდა გადაგვემოწმებინა სანამ რომელიმეზე გადავწყვეტდით. უბრალოდ უკან ვბრუნდებოდით იმ ადგილას, სადაც ვიცოდით, რომ ოფისი უნდა ყოფილიყო, იმის იმედით რომ ფართს ვნახავდით. როცა ამ გადაწყვეტილების შესახებ ვლოცულობდით, ერთ დღეს მამაჩემმა დამირეკა და ასეთი სიტყვები მითხრა: „ვიცი, იტყვი, რომ ეს ღმერთია, მაგრამ მე და დედაშენმა ვილაპარაკეთ და გვინდა ჩვენი შენობა მოგცეთ ოფისისთვის!“ შენობა, რომელსაც ისინი ფლობდნენ, ზუსტად იქ იყო, სადაც ფართის პოვნის იმედი მქოდნა ჩემი ოფისის ახალი ადგილისთვის. შოკირებული ვიყავი!

იმის გასაგებად, რაც ახლა მოხდა, უნდა იცოდეთ, რომ მამაჩემი ამ დროს მორწმუნე არ იყო. ძალიან ცინიკური იყო ყოველთვის, როცა ღმერთს ახსენებდი. რეალურად, იმდენად, რომ ღმერთზე ვერც ველაპარაკებოდი. იმაზეც ვლოცულობდი, რომ ღმერთს ვინმე სხვა გამოეგზავნა მის გზაზე ქრისტეზე საქადაგებლად. ვიცოდი, მე ვერ მივწვდებოდი; არ მომისმენდა. მაგრამ მამაჩემმა რამდენიმე წლის შემდეგ, 80 წლის ასაკში მიიღო ხსნა. ჩვენდა გასაოცრად, ჩვენი სატელევიზიო გადაცემის ყურებისას გადარჩა, როცა ნახა რა საოცრებებს სჩადიოდა ღმერთი. თავისი ცხოვრების ბოლო სამ წელიწად ნახევარი შეცვლილმა ადამიანმა გაატარა, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში იყო.

ჩემი ცხოვრება, რომელიც თავის გატანითა და შიშით იყო დატყვევებული, ახლა ღვთის სამეფოს მიერ შეიცვალა. მის კანონებში მოქცევით, შევძელი შეუზღუდავი შესაძლებლობებით ცხოვრება მეპოვნა.

ერთ დღეს, მსახურება ახალი დამთავრებული იყო, როცა ჰოლში გამოვედი. დავინახე, რომ მამაჩემი ერთ კაცს, ეკლესიის წევრს ესაუბრებოდა, რომელსაც უკვე წლებია იცნობდა. რადგან მათკენ მივდიოდი, გავიგონე როგორ ჰკითხა ამ კაცმა მამაჩემს, თუ რატომ დაიწყო ეკლესიაში სიარული. მამაჩემმა უპასუხა, რომ ძალიან

ბევრი რამ ჰქონდა ნანახი, რასაც ახსნას ვერ უძებნიდა. დიდება ღმერთს! ასეც უნდა იყოს.

მაგრამ გვჭირდება უკან დავუბრუნდეთ იმ სატელეფონო ზარს შენობასთან დაკავშირებით, სანამ მამაჩემი ხსნას მიიღებდა. მე და დრენდა შოკირებულები ვიყავით იმით, რომ ამ შენობას გვაძლევდა. ვიცოდით, ეს ღმერთი იყო, რა თქმა უნდა, შეგვეძლო მამაჩემისთვის გვეთქვა, როცა დარეკა: „დიახ მამა, მართალი ხარ; ეს ღმერთია!“

შენობას ძირითადი სამუშაოების ჩატარება სჭირდებოდა, რათა კომერციულ ფართად გადაკეთებულიყო და ჩვენი ოფისის საჭიროებები დაეკმაყოფილებინა. დეკემბერი იყო როცა მამაჩემმა ეს შენობა მომცა და გაზაფხულამდე უნდა მომეცადა გადაკეთებისთვის. მთელი ზამთარი შენობა დაკეტილი იყო და არავინ იყენებდა, ამიტომ მამაჩემმა წყალი გადაკეტა. აი ასეთი ამბები ხდებოდა ზამთრის თვეებში. თვითმფრინავის ნახვიდან დაახლოებით ერთ კვირაში, ჩემი ძმა რეკავს და მეუბნება, რომ ჯობია შენობას მივაკითხო, რადგან წყალი გზაზე გადმოდის. ამინდი დათბა და აშკარაა მამაჩემი შეცდა; ზამთრის განმავლობაში წყალი არ ყოფილა გადაკეტილი. შენობამდე მივედი და აღმოვაჩინე, რომ ზედა სართულის სააბაზანოდან წყალი დღეების ან კვირების განმავლობაში მოდიოდა. ქვედა სართულზე კედლებიდან მთელი გიფსოკარდონი ჩამოყრილი იყო.

ვიცი, ზედაპირულად ისე ჟღერს, როგორც ცუდი ისტორია, მაგრამ რაც არ იცით და არც ჩემმა ძმამ იცოდა, ისაა, რომ უკვე ხელი მქონდა მოწერილი კონტრაქტზე, რომლის მიხედვითაც მთელი გიფსოკარდონი უნდა მოეშორებინათ, ექსტერიერის ყველაფერი მოეშორებინათ და მთლიანად გადაეკეთებინათ შენობა, რაც რამდენიმე კვირაში უნდა დაწყებულიყო. ამრიგად, ეს წყლის დაზიანება, სულაც არ იყო პრობლემა, რადგან ყველაფერი რაც დაზიანდა, ისედაც უნდა მოგვეშორებინა. მაგრამ ეს დაიჭირეთ: ჩემმა სადაზღვეო კომპანიამ შეამოწმა ზარალი, რაც საკმარისი თანხა იყო, რათა თვითმფრინავი მეყიდა!

დავინახე ეს? ჩემი თვითმფრინავიც და ოფისის შენობაც მივიღე ყოველგვარი ვალის და იმ დრამების გარეშე, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს? დიახ! ახლა როცა ამ თვითმფრინავით დავფრინავ და ჩემი ფერმის თავზე ვარ, მახსენდება, რომ თვითმფრინავით ფრენა ღვთის სამეფოს ჰგავს. მისი მოქმედება და კანონები ნებას გვაძლევს სიცოცხლის პარამეტრებისგან განსხვავებული ცხოვრებით ვიცხოვროთ. როგორც მუხლუხო და პეპელა, ეს მუხლუხო

ვერასდროს შეძლებს ამ მუხლუხოს ფეხებით ისე სწრაფად გაიქცეს, რომ მექსიკას მიაღწიოს. ჩემი ცხოვრება, რომელიც თავის გატანითა და შიშით იყო დატყვევებული, ახლა ღვთის სამეფოს მიერ შეიცვალა. მის კანონებში მოქცევით შევძელი, შეუზღუდავი შესაძლებლობებით ცხოვრება მეპოვნა.

რადგან უკვე წიგნის შეჯამებაზე უნდა გადავიდე, მინდა ერთი მუხლი დაგიტოვოთ. დარწმუნებული ვარ, ისაა, რომელიც მთელი ცხოვრებაა გესმით. მაგრამ ვფიქრობ, ახლა სრულიად ახალ მნიშვნელობას შეიძენს თქვენთვის.

> *„მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, და მე მოგასვენებთ თქვენ! იტვირთეთ ჩემი უღელი და ისწავლეთ ჩემგან, რადგან მშვიდი და გულით თავმდაბალი ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს! ვინაიდან ჩემი უღელი სასიამოვნოა და ჩემი ტვირთი მსუბუქი!“*
>
> – მათე 11:28-30

იესო ჩვენი უღელის ასაღებად მოვიდა, დედამიწის ტანჯვის და ოფლის წყევლის სისტემის წასაღებად. ახლა ჩვენ უნდა ავიღოთ მისი უღელი (რომელიც დასრულებულია) და სიმშვიდე ვპოვოთ (მეშვიდე დღე, ჭეშმარიტი შაბათი) ჩვენი სულებისთვის.

შეგიძლია საოცარი რაღაცები გამოსცადო პირადად შენს ცხოვრებაში თუ უბრალოდ გააკეთებ იმას, რაც ფოტიფარმა გააკეთა, იმოქმედებ ცხოვრების სამეფოს სტილით. მიიღე გადაწყვეტილება დღეს, რომ ღვთის სამეფოს კანონებს უერთგულებ და დაიწყე ერთგულების ძალით ტკბობა! დაიწყე შენი ფინანსური რევოლუცია დღეს, მოიშორე ცხოვრების ძველი სტილი, ძველი მთავრობა, გაჭირვების, ავადმყოფობისა და უიმედობის დედამიწის წყევლა! მიატოვე შენი ძველი, მუხლუხოს გზები და დაიწყე ფრენა სამეფოს კანონების გამოყენებით, რომლებთანაც იესომ მოგცა წვდომა! შენ ამ სამეფოს მოქალაქე ხარ!

შენ კანონიერი უფლებები გაქვს!

თუ კი ეს წიგნი შენთვის საინტერესო იყო და განსაზღვრული გაქვს გახდე სამეფოს მოსწავლე, ნება მომეცით GaryKeesee.com -ისკენ მიგმართოთ. აქ იპოვით იმ ინფორმაციის ბიბლიოთეკას, რაც დაგეხმარებათ და დაგარიგებთ სამეფოში. მე ასევე მოგიწოდებთ გახდეთ რევოლუციის გუნდის პარტნიორი, სადაც საშუალება გექნებათ სპეციალურ ღონისძიებებსა და სასწავლო სესიებზე გქონდეთ წვდომა.

ფინანსებში გამარჯვება მოითხოვს, როგორც სულიერ ცოდნას, ასევე მიწიერ, ბუნებრივ ცოდნას. ვალებიდან თავის დაღწევის შესახებ ინფორმაციის, უფასო ვალებისგან განთავისუფლების გეგმის მისაღებად, რომელიც შენთვის ჩემი კომპანიის მიერ იქნება შექმნილი, დაუკავშირდით ფინანსურ გუნდს ნომერზე 1-800-815-0818.

შენი რთულად მოპოვებული პენსიის თანხის დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც იმის ცოდნა, თუ როგორ მოიპოვო, განსაკუთრებით ამ ფინანსური შფოთის ჟამს. ჩემი კომპანია ფოკუსირებულია ადამიანების დახმარებაზე, უსაფრთხოდ დაბანდებაში. დაახლოებით ასი მილიონი დოლარი გვაქვს დაბანდებული ჩვენი კლიენტებისთვის და ერთი პენიც არ დაგვიკარგავს ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩვენი ერის ფინანსურ ქაოსში. ისევ გავიმეორებ, რომ ზარიც უფასოა და რჩევაც. ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ 1-800-815-0818.

მე და დრენდამ თავი მივუძღვენით ადამიანებისა და ოჯახების დახმარებას ცხოვრების მოგებაში. აი რატომ აქვს დრენდას თავისი სატელევიზიო გადაცემა, სახელად - *დრენდა?!* ეს არის გადაცემა რომლის მიზანი ოჯახური ცხოვრება და ყველა ასაკის ქალის გამხნევებაა. გთხოვთ, ეწვიოთ Drenda.com-ს მეტი ინფორმაციისთვის.

საბოლოოდ, მე და დრენდას გვსურს მიგვიჩნიოთ ეკლესიებისა და პასტორების მხარდამჭერებად მთელს მსოფლიოში. ჩვენი H-3 საევანგელიზაციო პროექტი ჩვენი გულების გამოძახილია, დავეხმაროთ ადამიანებს ცხოვრების პრაქტიკულ მხარეში. H-3 სთავაზობს ათი ათასობით სასწავლო მასალას პასტორებს მთელ მსოფლიოში ყოველ წლიურად. ჩვენ ასევე ვეხმარებით მშივრების გამოკვებაში, მხარს ვუჭერთ მსახურებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სექსუალური ტრეფიკინგის შეჩერებას არაერთ ქვეყანაში, მხარს ვუჭერთ ობოლთა თავშესაფრებს, ფინანსურად ვეხმარებით პასტორებს მრავალ ქვეყანაში და ასევე გვაქვს სახლი ქალებისთვის, აქ, ოჰაიოში. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ადამიანებს მთელ მსოფლიოში, ისწავლონ ღვთის სამეფოს შესახებ და გაიგონ იმ თავისუფლებისა და სისავსის შესახებ, რაც ღმერთს სურს რომ გვქონდეს.

დიდი მადლობა, რომ ნება მომეცით, ჩვენი საოცარი ამბავი თქვენთვის გამეზიარებინა! ახლა წადით და ღვთის სამეფოსთან ერთად, თქვენი პირადი საოცარი ამბავი შექმენით!

Gary Keesee

წიგნები „შენი ფინანსური რევოლუციის“ სერიაში გარი ჟისის მიერ:

ერთგულების ძალა

დასვენების ძალა

სტრატეგიის ძალა

უზრუნველყოფის ძალა

გულუხვობის ძალა

შენი ფინანსური რევოლუცია

ერთგულების ძალა

წაიკითხე ეს წიგნი თუ...

მოგბეზრდა შენი ფინანსური სიტუაცია

გინდა თავი დააღწიო ვალებს

არ იცი საიდან დაიწყო

უიმედოდ ხარ

გარი ქისმა თავად გამოიარა ეს ყველაფერი. ცხრა ხანგრძლივი წლის განმავლობაში, მისი ცხოვრება ძლიერი ემოციური შფოთით იყო სავსე, მისი საშინელი ფინანსური მდგომარეობის გამო. კრედიტორების ზარები, გირაოები შიდა საგადასახადო სისტემაში და სასამართლოზე ბრალის წაყენება მისთვის ცხოვრების ჩვეული სტილი იყო. მაგრამ ეს ყველაფერი შეიცვალა ერთ დღეს, როცა ღმერთი დაელაპარაკა გარის მისი ფინანსების შესახებ და გაანდო ის საიდუმლო, რამაც რადიკალურად შეცვალა მისი ცხოვრება! იგი ვალებისგან განთავისუფლდა, დააარსა მულტიმილიონიან დოლარიანი კომპანია, და ამჟამად სხვებს უზიარებს იმ გასაღებებს, რამაც მისი ცხოვრება შეცვალა სატელევიზიო გადაცემის, *ფულის საკითხის მოგვარების*, მეშვეობით, რომელიც ყოველდღიურად გადის მსოფლიოს ყველა სასაათო სარტყელში. გარიმ ამ იდეების შესახებ ასობით ათას ადამიანს ასწავლა მსოფლიოში, კონფერენციებისა თუ პირადი საუბრების მეშვეობით. იგი ეთანხმება, რომ კიდევ მრავალი პრინციპია რაც წარმატებული ცხოვრებით ცხოვრების ნაწილს შეადგენს. მაგრამ მხოლოდ ერთის გაზიარების საშუალება რომ ჰქონდეს, ამ ერთს ამოირჩევდა. გარი გთავაზობს შეუერთდე ამ რევოლუციას და რადიკალურად შეცვალო შენი ფინანსები *მორჩილების ძალით.*

გარი ქისი არის ავტორი, სპიკერი, მეწარმე, ფინანსური ექსპერტი და პასტორი, რომელიც აღძრულია ადამიანებს ცხოვრებაში გამარჯვების მოპოვებაში დაეხმაროს, განსაკუთრებით რწმენის, ოჯახისა და ფინანსების სფეროებში. გარიმ და მისმა ცოლმა დრენდამ რამდენიმე წარმატებული ბიზნესი შექმნეს და არიან დამაარსებლები *„რწმენით ცხოვრება ახლა“*, რომელიც ორ სატელევიზიო გადაცემას უშვებს – *ფულის საკითხის მოგვარება* და *დრენდა*, ასევე მსოფლიო მასშტაბის კონფერენციებსა და პრაქტიკულ რესურსებს. გარდა ამისა, ქისები კოლუმბუსში, ოჰაიოში მწყემსავენ *„რწმენით სიცოცხლის ეკლესიას“*.

GKM GARY KEESEE MINISTRIES

garykeesee.com